ყველა იმ უფლებიდან, რომელიც დაკანონებულია პარლამენტის მიერ, პროლეტარიატი სინამდვილეში მხოლოდ ერთით სარგებლობს: კაპიტალისტის ექსპლოატაციაში თავისი თავისა და თავისი შვილების გაყიდვის უფლებით. ყველა სხვა დანარჩენი უფლება მისთვის არსებობს მხოლოდ ქაღალდზე, ფორმალურად, აბსტრაქტულად.

ავიღოთ, სანამუშოდ, გაფიცვის უფლება. რას წარმოადგენს ის? იმას, რომ მუშას უფლება აქვს არ გაყიდოს თავისი თავი შეუფერებელ ფასში. არ შეიძლება ექვის შეტანა იმაში, რომ ეს უფლება ძვირფასია პროლეტარიატის აღზრდისათვის, მისი კლასობრივი თვითშეგნებისა და ძლიერების ორგანიზაციისათვის და გამაგრებისათვის, მისი შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის და მისი უსაზღვრო ყვლევის შეზღუდვისათვის, მაგრამ ნამდვილად კი ეს უფლება პროლეტარიატისათვის წარმოადგენს მხოლოდ შიმშილით სიკვდილის უფლებას, რადგან მუშას თავისი მუშაძალის გაყიდვის გარეშე არავითარი სხვა აუცილებელი საარსებო სახსარი არ მოეპოვება. მას ამ უფლების გამოყენება შეუძლია მოკლე ვადით და მთელი თავისი ოჯახის სიცოცხლის განწირვით და ისიც მხოლოდდამხოლოდ ბურჟუაზიისათვის მისაღებ ფარგლებში.

გაფიცვის უფლება არის ყველაზე უფრო უმარტივესი უფლება — თავისი საქონლის გაყიდვაზე უარის თქმის უფლება, მაგრამ როგორ შეხედავს ბურჟუაზია იმას, რომ მთელმა პროლეტარიატმა გამოაცხადოს გაფიცვა, ე. ი. რომ მთელმა პროლეტარულმა კლასმა მართლაც განახორციელოს თავისი თავის გაყიდვაზე უარის თქმის უფლება თუგინდ ერთი დღითაც. პარლამენტარული

<sup>1</sup> ლენინი, ტ. XXV, ქართ. გამოც., 1932, გვ. 331—332.

რული რესპუბლიკა ასეთ შემთხვევაში დაუყოვნებლივ უბასუხებს სამხედრო წესების და განსაკუთრებული კანონების შემოღებით. ასე ხდებოდა და ასევე ხდება დღესაც უკლებლივ ყველა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

გაფიცვის უფლება მუშათა კლასის ბრძოლების ერთერთი უდიდესი მონაპოვართაგანია. პროლეტარიატმა ფორმალურად ეს უფლება მოიხვეჭა დემოკრატიულ რესპუბლიკებში, მაგრამ ფაქტიურად განა ყმა გლეხები და მონები კი იყვნენ შიმშილით სიკვდილის უფლებას მოკლებული?

ავიღოთ სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება. ეს თავისუფლება პირდაპირ გამოდინარეობს ბრძოლის პარლამენტარული ფორმიდან. სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლების გარეშე შეუძლებელია თვით პარლამენტარული რეჟიმის არსებობა<sup>1</sup>, მაგრამ ვინ სარგებლობს ფაქტიურად ამ თავისუფლებით? ცხადია, რომ მხოლოდ ბურჟუაზია, რადგან ამ თავისუფლების განსახორციელებლად საჭიროა კაპიტალი, ურომლისოდაც არ შეიძლება არც სწავლის მიღება, არც სტამბის, არც ქაღალდის და არც ყველა იმ საშუალების ფლობა, რომლებიც აუცილებელია ამ თავისუფლების განსახორციელებლად კაპიტალიზმის დროს.

განა პროლეტარიატს შეუძლია ექნეს ეს საშუალებები, ვიდრე სწავლა ესოდენ ძვირია, ვიდრე სტამბები, ქაღალდის ფაბრიკები, საუკეთესო დარბაზები სხდომებისათვის და პრესის ორგანიზაციისათვის წარმოადგენენ კაპიტალის მონოპოლიის საგანს?

ბეჭდვის თავისუფლებაც წარმოადგენს აგრეთვე „წმინდა დემოკრატიის“ ერთერთ ლოზუნგთაგანს, — წერს ლენინი, — მუშებმა იციან და მთელი ქვეყნის სოციალისტებსაც მილიონჯერ უღიარებიათ, რომ ეს თავისუფლება თვალთამაჯობაა მანამდე, ვიდრე სტამბები და ქაღალდის უდიდესი მარაგი კაპიტალისტების ხელშია, ვიდრე არსებობს პრესაზე კაპიტალის ძალაუფლება, რომელიც მთელ სამყაროში იმდენად უფრო ნათლად და ცინიკურად მჟღავნდება, რამდენადაც უფრო განვითარებულია დემოკრატია — როგორც, მაგალითად, ამერიკაში. „კრებების თავისუფლება“ ყველაზე უფრო დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაშიც კი ცალიერ ფრაზას წარმოადგენს, რადგან მდიდრებს ხელთ აქვთ საუკეთესო საზოგადო და კერძო შენობები და აგრე-

<sup>1</sup> „პარლამენტარული რეჟიმი, — წერს მარქსი, — დისკუსიით ცნაფრობს, როგორ უნდა აკრძალოს მან დისკუსია? თითოეული ინტერესი, თითოეული საზოგადოებრივი დაწესებულება აქ სოჯად აზრად იქცევა, იდენი სახით განიხილება, — როგორ შეუძლია რაიმე ინტერესს, რომელიმე დაწესებულებას აზროვნებაზე მალა დადგეს და სარწმუნოების სიმბოლოს სახის ძალა მოიპოოს? რატორთა ბრძოლა ტრიბუნაზე ბრძოლას იწვევს პრესაში, დებატების მწარმოებელ კლუბს პარლამენტში აუცილებლად ემატება დებატების მწარმოებელი კლუბები სალონებსა და სამიკიტნოებში; წარმომადგენლები, რომლებიც მუდმივ ხალხის აზრს მიმართავენ, უფლებამოსილად ხდიან ხალხის აზრს თავისი ნამდვილი აზრი პეტიციებში გამოსთქვას. პარლამენტარული რეჟიმი ყველაფერს უმრავლესობის გადაწყვეტილებას ანდობს, — როგორ არ უნდა ისურვოს დიდმა უმრავლესობამ პარლამენტის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილებანი? თუ თქვენ სამხელმწიფოს მწვერვალზე ვიოლინს უკრავთ სხვას რას უნდა ელოდეთ თუ არა იმას, რომ ქვევით მდგომნი იცეკვებენ?“ (მარქსი, „თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა“, ქართ. გამოც., გვ. 66).

თვე დროც კრებისათვის და ამ კრებების დაცვა ხელისუფლების ბურჟუაზიული აპარატის მიერ. სოფლისა და ქალაქის პროლეტარიატს და წვრილ გლეხებს, ე. ი. მოსახლეობის დიდ უმრავლესობას არა აქვს არც ერთი, არც მეორე და არც მესამე<sup>1</sup>.

მაგრამ საქმე მარტო ეს არ არის.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება ნიშნავს მხოლოდ ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის სასარგებლო და უვნებელ სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებას. პროლეტარიატს აქვს უფლება გამოიყენოს ეს თავისუფლება მხოლოდ იმდენად და იმდრომდე, ვიდრე ის დგას ბურჟუაზიული საზოგადოების პრინციპებზე და კმაყოფილდება იმის ლოიალური გაკრიტიკებით, ვიდრე უჭირავს მისდამი ლოიალური ოპოზიციის პოზიცია. ხოლო, რამდენადაც პროლეტარიატი თვით ერკვევა და კაპიტალიზმს კომუნიზმს უპირისპირებს, რამდენადაც ის აგროვებს ძალას ექსპლოატატორული საზოგადოების გარდასაქმნელად, იმდენად პროლეტარიატს ერთმევა ყოველგვარი თავისუფლება და მასზე ბატონდება თვითნებობა და საპყრობილებების რეჟიმი. ბურჟუაზიული დემოკრატია ნებას რთავს თავისუფლებას მხოლოდ ისეთი სიტყვისას, რომელიც, როგორც „ვაიშარის კონსტიტუციაში“ არის ნათქვამი, „არ ემუქრება არსებულ (იგულისხმე ექსპლოატატორულ) წესწყობილებას“.

„თანამედროვე დემოკრატია“ (რომლის წინაშეც ასე უგუნურად იმტყრევენ შუბლებს მენშევიკები, ესერები და ნაწილობრივ ანარქისტები და ა. შ.) სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა იმის ქადაგების თავისუფლებას, რის ქადაგებაც ბურჟუაზიისათვის სასარგებლოა<sup>2</sup>. (თარგმანი ჩემია, ი. ტ.).

კოალიციის თავისუფლება პირდაპირ გამომდინარეობს ვაჭრობის თავისუფლებიდან, ე. ი. ბურჟუაზიის მთავარ საარსებო ინტერესებიდან, მაგრამ რაგვარ კოალიციის თავისუფლებაზე მსჯელობს პარლამენტარული კონსტიტუცია? მხოლოდ ისეთი კოალიციის თავისუფლებაზე, რომელიც არ ისახავს მიზნად არსებული კაპიტალისტური ექსპლოატაციის წესყობილების დამხობას. ხოლო იმ კოალიციისათვის, რომელიც თავის მიზნად ექსპლოატაციის მოსპობას ისახავს, არსებობს არა თავისუფლება, არამედ საპყრობილე. აი როგორ ახასიათებს მარქსი ბურჟუაზიულ დემოკრატიას: „პროლეტარიატის მდგომარეობის უმცირესი გაუმჯობესებაც კი ბურჟუაზიული რესპუბლიკის საზღვრებში იჩნება უტოპიად, და ეს უტოპიადანაშაულობად იქცევა მისი განხორციელების პირველი ცდისთანავე“<sup>3</sup>.

ასეთია ჭეშმარიტი აზრი ბურჟუაზიული სიტყვისა, ბეჭდვისა და კოალიციის თავისუფლებისა.

<sup>1</sup> ლენინი, „თეზისები ბურჟუაზიული, დემოკრატიისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ“, თხზულებანი, XXV, გვ. 9).

<sup>2</sup> ლენინი, „თხზულებანი“, გამოც. III, ტ. XXVII, გვ. 185.

<sup>3</sup> მარქსი, „კლასთა ბრძოლა საფრანგეთში“, გვ. 49.





საყოველთაო და თანასწორი არჩევნების უფლება, — ბურჟუაზიის თვალთმაქცობის და პირფრობის ეს უდიდესი შედეგო, — წარმოადგენს სინამდვილეში ვაჭრობისა და თავისუფალი კონკურენციის ზოგადი უფლების პოლიტიკურ გამოხატულებას. ცხადია, რომ პროლეტარიატსაც, — რამდენადაც ის გამოდის „საქონლის“ გამყიდველის როლში, — აქვს წარმომადგენლობის უფლება ყველა იმ დაწესებულებაში, სადაც წყდება ვაჭრობის ორგანიზაციის და დაცვის საკითხები. პარლამენტი არის კაპიტალიზმის, ბაზრისა და ვაჭრობის დამცველი უმადლესი დაწესებულება და განა შესაძლებელია, რომ მასში არ ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი კაპიტალისტური საზოგადოებისათვის ძირითადი საქონლის — მუშაძალის მიმწოდებელს? მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ პროლეტარიატი დაწვებულია პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მხოლოდ ხანგრძლივი და ბეჯითი ბრძოლების შედეგად და ისიც მხოლოდ მანამდე, ვიდრე ის ურიგდება თავისი სხეულის გაყიდვას და ცნობს კაპიტალისტურ წესწყობილებას.

პარლამენტი არა მარტო თავისი მიზნებით მოგვავაგონებს ბირჟას, არამედ თავისი კონსტრუქციითაც. იქ როგორც ბირჟაზე გამოდიან კაპიტალის ცალკეული ფრაქციებისა და ჯგუფების წარმომადგენლები და იცავენ მათ ინტერესებს. ისინი დაობენ და აქებენ თავიანთ პროგრამებს, იმგვარადვე ვაჭრობენ, როგორც ბირჟის მაკლერები. ბირჟის მსგავსად, პარლამენტის კულუარებშიაც ხდება საიდუმლო გარიგებები, ჯგუფებისა და ამხანაგობების შექმნა, ერთი სიტყვით, პარლამენტი წარმოადგენს პოლიტიკურ ბირჟას, სადაც დეპუტატ-მაკლერები აკახრაკებენ თავისი ბატონ-პატრონების, კაპიტალისტების საქმეებს.

პარლამენტის ყოველი წევრი დაკავშირებულია კაპიტალისტების განსახლდრულ ჯგუფთან, რომლის ინტერესებსაც ის იცავს და ამისათვის სუბსიდიებს ღებულობს. ძალიან ხშირად „სასარფო გარიგებისათვის“ პროცენტებსაც ღებულობს. ამგვარ გამყიდველობის საინტერესო მაგალითების გაგება შეუძლია მკითხველს ყოველი ბურჟუაზიული ქვეყნის ყოველდღიური პრესიდან<sup>1</sup>.

<sup>1</sup> მორგანის ბანკის წევრთა დაკითხვა სენატის კომისიაში თანდათან უფრო სკანდალურ ფაქტებს ააშკარავებს. საკიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ გამოიძება წარმოებს ძალიან ფრთხილად და რომ კომისიის ზოგიერთი წევრი აშკარად უჭერს მხარს მორგანს და რომ მორგანის ბანკი უდიდეს დაბრკოლებებს უღობავდა წინ საგამომძიებლო ორგანოებს, რომლებიც მოითხოვდნენ საბუთების წარდგენას. ამიტომ უმთავრესი მორგანის როლის საკითხში-კავშირი № 23 სახლსა და ვაშინგტონის ადმინისტრაციულ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის, — ჩრდილ ქვეშ არის დარჩენილი და საეჭვოა, რომ დაკითხვის დროს ზემოთ ამოტივტივდეს.

მორგანის ბანკი აფრქვევს თავის სიუხვეს ორი კატეგორიის პირებზე; ზოგს აძლევს სესხად დიდ თანხებს, ხოლო მოვალესაგან წარდგენილი საწინდარი ნისლით არის დაფარული. მეორეთა აძლევს საშუალებას შეიძინონ მორგანის მემკვიდრით გამოშვებული აქციები დაბალ ფასებში და, ამრიგად, ჩაიჯობოს თვალსაჩინო თანხები ყოველგვარი დავიდარაბის გარეშე. ხშირად რაიმე კაპიტალის დაუბანდებლად მორგანის ხარჯზე მყოფ უკვე წინათ გამოვლინებულ სანონიკების სიას მიემატნენ: სენატორი მოროუ, ნიუ-იორკის ბირჟის თავმჯდომარე ვიტნი, კალვინ კულიჯი — შეერთებული შტატების პრეზიდენტად ყოფნის დროს, ოუენ იუნგი, პარკერ ვილბერტი, ნატ, მანოლდი, კილსი და სხვ. (გაზ. „პრადა“, 1933 წ. 28/V).

ბევრი ასეთი მაგალითია მოყვანილი სხვადასხვა ქვეყნის ბურჟუაზიულ მეცნიერთა და პარლამენტის წევრთა წიგნებში: ფ. დელეზის<sup>1</sup>, მ. ოსტროგორსკის<sup>2</sup>, რ. ფ. პეტიგრუს<sup>3</sup> შრომებში. ისინი მოგვითხრობენ, თუ როგორ წარმოებს არჩევნები დემოკრატიულ სახელმწიფოებში, თუ როგორ ქრთამავენ პრესას, სკოლას, ეკლესიას, კულტურულ და ადმინისტრაციულ დაწესებულებებს, პოლიტიკურ ორგანიზაციებს და ცალკეულ პირებს, თუ როგორ ღონისძიებებს მიმართავენ იმისათვის, რომ არჩევნებში გაიმარჯვონ.

პარლამენტის არჩევნებს ისე, როგორც სხვა ყოველგვარ სასარგებლო ნივთს, კაპიტალისტურ სახელმწიფოში, თავისი ფასი აქვს და შეიძლება იმის შეძენა და რა უნდა იყოს გასაკვირველი იმაში, თუ იმის შეძენაში იმარჯვებს ის, ვინც უფრო მდიდარია. კაპიტალისტურ საზოგადოებაში სინიდისი და ღირსება საქონელს წარმოადგენს და რათ უნდა გვიკვირდეს, თუ მათ ყიდულობენ. მეძავი ქალისა და ამომრჩევლების სინიდისის მყიდველნი ერთ ყაიდაზე ასრულებენ ვაჭრის „საგმირო“ საქმეს.

ზემოხსენებული ფ. დელეზი წერს: „საფრანგეთში ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება ატაროს ოქროს საათი და ლაიკის ფეხსაცმელები, ამისათვის საჭიროა მხოლოდ რომ მას შეეძლოს მათი ფასის გადახდა. თანაბრად ყოველ მოქალაქეს შეუძლია იყოს კანდიდატი დეპუტატობისა, რისთვისაც საჭიროა, რომ მას ჰქონდეს სახსრები საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად. მთელი უბედურება იმაშია, რომ ყოველივე ეს ძვირად ღირს. საჭიროა მთელ ქალაქში ან სოფელში უამრავი ფურცლების გავრცელება, გადაბეჭდვა და ბინებზე დაგზავნა მოწოდებების, სურათების, ბიოგრაფიისა და თავისი პოლიტიკური მრწამსის განმარტება. საჭიროა ჰქონდეს განკარგულებაში გაზეთები საკუთარი იდეების დასაცავად და მოწინააღმდეგეთა სახელის გასატეხად, საჭიროა კრებების მოწყობა და ამისათვის შენობების დაქირავება, ამომრჩევლებისათვის ქეიფის გამართვა, გავლენიან პირთათვის სადილების მოწყობა, ფურცლების დამტარებელთა და კაფეებში მოლაყებ აგენტების მთელი ლაშქრის ყოლა და ა. შ. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ მერყევე ამომრჩევლების ხელში რამდენიმე ოქროს ან ვერცხლის ფულის ჩაჩრა. ყველაზე უფრო იაფფასიან არჩევნებს 10.000 ფრანკად აფასებენ, მაგრამ ზოგიერთ ადგილას არჩევნები 200.000 ფრანკამდე ჯდება. საშუალოდ შეიძლება 50.000 ფრანკით იოლად წასვლა“<sup>4</sup>. (თარგმანი ჩემია, ი. ტ.). (დაწერილია 1911 წელს. ეს მაჩვენებლები ამჟამად უნდა გადიდდეს სულ მცირე 50-ჯერ მაინც).

როგორც მ. ოსტროგორსკი წერს, არჩევნები (600 დეპუტატისა) ინგლისის პარლამენტში 1880 წელს დაშჯდარა 3.000.000 გირვანქა სტერლინგზე მეტი<sup>5</sup>. ამგვარად, არჩევნების თავისუფლება, ბურჟუაზიული გაგებით, ნიშნავს მოსყიდვის თავისუფლებას. ამკარაა, რომ გამარჯვებული გამოიღოს ის, ვისაც

<sup>1</sup> ფ. დელეზი, „დემოკრატია და საფინანსო ოლიგარხია საფრანგეთში“.

<sup>2</sup> მ. ოსტროგორსკი, „დემოკრატია და პოლიტიკური პარტიები“.

<sup>3</sup> რ. ფ. პეტიგრუსი, „მოზენიმ პლუტოკრატია“.

<sup>4</sup> ფ. დელეზი, „დემოკრატია და საფინანსო ოლიგარხია საფრანგეთში“, გვ. 39—40.

<sup>5</sup> მ. ოსტროგორსკი, „დემოკრატია და პოლიტიკური პარტიები“, გვ. 94.

მოსყიდვისათვის უფრო მეტი სახსარი აქვს. საარჩევნო ბიულეტენები იყიდება იმგვარადვე, როგორც სხვა რომელიმე საქონელი — ნებაყოფლობით, მაგრამ ფარულად და კონსტიტუციურად, ე. ი. ძალის დაუტანებლად და გამოუმქლავნებლად. სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქის ბურჟუაზიული საზოგადოების უმაღლესი პრინციპი არის ვაჭრობის თავისუფლება და ვანა შესაძლებელია ამ პრინციპის უკუგდება ბურჟუაზიის საქმეთა უმაღლესი კომიტეტის არჩევნების დროს?!

ვაჭრობის თავისუფლება ნიშნავს თავისუფალ კონკურენციას, თავისუფალ შეჯიბრებას. კონკურენციაში იმარჯვებს ის, ვინც უფრო მდიდარია. ამგვარადვე არის საქმე პარლამენტის არჩევნების დროსაც: იმარჯვებს ის პარტია, რომელსაც ზურგს უმაგრებენ ყველაზე უფრო მდიდარი კაპიტალისტები<sup>1</sup>.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ კაპიტალისტები ვითომც თავისთავს ირჩევენ. მათ არ სცალიათ პარლამენტის ტრიბუნაზე დროის დასაკარგავად; მათ არ სჩვევიათ საკუთარი საქმისათვის ოფლში წურვა. ისინი ამჯობინებენ ბირჟაზე და პარლამენტში თავისი საქმეების მოგვარებას მათ მიერ დაჭირებულთა მეოხებით. ეს მით უფრო მოხერხებულია, რომ მათი აგენტების როლში პარლამენტში ხშირად გამოდიან მშრომელი ინტელიგენციის და ზოგჯერ მუშათა წრიდან გამოსული ადამიანები, მშრომელთა მოტყუებაში ყველაზე უფრო გამოქნილი და გამობრძმედილი.

პარლამენტების დებუტატების 80% გამოსულია წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის წრიდან, რომელსაც კარეგა გაკეთებული აქვს მშრომელი მასების მოტყუებით და ამ საქმეში თავისი ნიჭის გამოჩენით; ესენი არიან ვეჟილები, ყურნალისტები, ლიტერატორები, სხვადასხვა დარგის ქვემოქმედნი და „საქმის ხალხი“ — ცნობილი თავისი კალმით და ენით, რომლებიც ახერხებენ თავისთავის გასაღებას მშრომელი მასების დამცველებად.

პროლეტარიატს არ უნდა ჰქონდეს პარლამენტის არჩევნებში გამარჯვების იმედი. ეს არჩევნები წლიდან-წლამდე უფრო ძვირი ჯდება, ხოლო პროლეტარიატი უფროდაუფრო ღატაკდება. „თავისუფალ არჩევნებს“ პროლეტარიატისათვის იმდენივე სარგებელი მოაქვს, რამდენიც ოქროს საათების და ლაიკის ფეხსაცმლის თავისუფლად ყიდვის უფლებას, და თუ პროლეტარიატი დღემდე მაინც მონაწილეობს პარლამენტის არჩევნებში, — ბევრი სიძინელების გადაღახვით და დიდი მსხვერპლის გაღებით. — ეს ხდება არა პარლამენტარული გზით გამარჯვების მოპოების იმედით, არამედ იმ მიზნით და იმისა-

<sup>1</sup> პარლამენტის არჩევნებში რომელიმე პარტიის გამარჯვება და დამარცხება ბევრნაირად მოგვაგონებს სხვადასხვა სფეროს შორის კაპიტალების მოქცევას და უკუქცევას; ეჭვს გარეშეა, რომ არჩევნებში ყოველთვის იმარჯვებს ის პარტია, რომელიც გამოსახავს კაპიტალიზმის მოქცევაში მყოფ სფეროს ინტერესებს. მსგავსად იმისა, რომ სფეროთა შორის კაპიტალიზმის მოქცევა-უკუქცევა ცვალებადი და პერიოდულია, აგრეთვე ცვალებადი და პერიოდულია სხვადასხვა ბურჟუაზიული პარტიის გამარჯვებაც. სამწუხაროდ, ეს ერთობ საინტერესო საკითხი ორ ხეშეშლი პარტიის ურთიერთობის შესახებ — დღემდე არ არის ლიტერატურაში გაშუქებული.

თვის, რომ მასებს თვალი აეხვიოს პარლამენტარული მექანიზმის შექმნის, რომელიც გამოგონილია მშრომელთა დამონაგებისა და ყველფის მიზნით.

„ბურჟუაზიულ პარლამენტში მონაწილეობა, — წერს ლენინი, — აუცილებელია პროლეტარიატისათვის მასების განათლებისათვის, რაც შესაძლებელია პარლამენტში არჩევნებით და პარტიათა შორის ბრძოლით. მაგრამ კლასთა ბრძოლის შეზღუდვა პარლამენტის შიგნით ბრძოლით, ანდა ამ უკანასკნელის ბრძოლის უმალლეს გადამწყვეტ ფორმად ცნობა, — რომელიც ბრძოლის სხვა ფორმებს იმორჩილებს, — ნიშნავს ფაქტიურად ბურჟუაზიის მხარეზე გადასვლას პროლეტარიატის წინააღმდეგ“<sup>1</sup>. (თარგმანი ჩემია, ი. ტ.).

მეორე ადგილას ლენინი წერს: „ბურჟუაზიულ პარტიათა და ფრაქციათა ურთიერთობა ყველაზე უფრო ხშირად სწორედ პარლამენტში იჩენს ხოლმე თავს და ბურჟუაზიულ საზოგადოების ყველა კლასს შორის არსებულ ურთიერთობას გამოსახავს. ამიტომ ჩვენ, კომუნისტებს, გემართება, სწორედ ბურჟუაზიულ პარლამენტში, მის შიგნიდან, ავუხსნათ ხალხს სიმართლე შესახებ კლასთა ურთიერთობისა პარტიებთან, მემამულეთა მოჯამაგირებთან, მდიდარ გლეხთა უღარიბეს გლეხებთან, მსხვილი კაპიტალისა მოხელეებთან და წვრილ მებატონეებთან და სხვ.“<sup>2</sup>.

პარლამენტარული, ე. ი. დემოკრატიული რესპუბლიკა ტიპური ფორმაა ბურჟუაზიული სახელმწიფოსი. „დემოკრატიული რესპუბლიკა, — წერს ლენინი თავის შრომაში „სახელმწიფო და რევოლუცია“, — არის კაპიტალიზმის შესაძლებელი და საუკეთესო პოლიტიკური გარსაცმი“.

პარლამენტი არის ბურჟუაზიული პოლიტიკის უმალლესი დაწესებულება, უმალლესი მომწესრიგებელი. ის უფრო სრულად და მოხერხებულად არის შეგუებული სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქის ბურჟუაზიული კლასის სპეციფიკურ მოთხოვნილებებთან. მასში წარმოდგენილია ბურჟუაზიის ყველა ფენა, ყველა ფრაქცია ისე, რომ ყოველი მათგანი პროპორციულია თავისი ეკონომიური წონისა ნაციონალურ მეურნეობაში.

ბურჟუაზიის ყველა ფრაქციის წამომადგენლები პარლამენტში გამოდიან და ანხორციელებენ თავისი ინტერესების დაცვას კაპიტალისა და ზედმეტი ღირებულების განაწილების საქმეში იმავე საფუძველზე, როგორც ისინი მონაწილეობას იღებენ ეკონომიკაში და ბაზარზე. ყოველი სფეროს წინააღმდეგობის ძალა პროპორციულია მისი ეკონომიური ძალისა და სიმდიდრის. კაპიტალიზმის კანონი, — მოგების საშუალო ნორმის გათანაბრების კანონი, — მოითხოვს, რომ ზედმეტი ღირებულება განაწილებული იყოს პროპორციულად დახარჯული კაპიტალისა და, მართლაც, ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენისა და სფეროს ძალთა თანაბრობა პარლამენტში ყოველთვის შეესაბამება ამ კანონის მოთხოვნას.

ამ კანონის მოთხოვნას შეესაბამება აგრეთვე თვით პარლამენტში არჩევის

<sup>1</sup> ლენინი, ტ. XXIV, გვ. 696.

<sup>2</sup> ლენინი, „წვრილი ავსტრიელ კომუნისტებისადმი“, ტ. XXV, გვ. 437.

პრინციპიც. თუ არჩევნები მოითხოვს ხარჯებს, ე. ი. თუ მას თავისი საკუთარი ფასი აქვს, მაშინ ცხადია, რომ მასში გაიმარჯვებს კაპიტალის ესათვის სფერო პროპორციულად თავისი სიმდიდრისა.

პარლამენტარული დემოკრატია არის სამრეწველო კაპიტალიზმის და თავისუფალი კონკურენციის ეპოქის ბურჟუაზიული კლასის დიქტატურის ფორმა, კაპიტალის სფეროების ემანსიპაციის ეპოქისა და, მაშასადამე, ბურჟუაზიის ყველა ფრაქციის თანასწორუფლებიანობისა იმ დროს, როცა პროლეტარიატი ჯერ კიდევ არ არის სავსებით თვითგამორკვეული, როცა იმის უმრავლესობას ჯერ კიდევ არ დაუქარგავს კაპიტალისტური საზოგადოების ფარგლებში თავისი მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ბურჟუაზიული დემოკრატია წარმოადგენს დემოკრატიას მხოლოდ ბურჟუაზიული კლასისათვის. სიტყვისა და პოლიტიკური ბრძოლის თავისუფლება არსებობს სინამდვილეში მხოლოდმხოლოდ ბურჟუაზიისათვის, იმის სხვადასხვა ფრაქციისათვის, რადგან არცერთ ფრაქციას არ შეუძლია და არც საშუალება აქვს გასწიროს მთელი კლასის ინტერესების წარმომადგენლობა. დემოკრატია ბურჟუაზიის სხვადასხვა ფრაქციისათვის — აი, პარლამენტის შინაარსი<sup>1</sup>. მაშასადამე, პარლამენტს შეუძლია იარსებოს მხოლოდ მანამდე, ვიდრე ეს ფრაქციები არსებობენ დამოუკიდებლად ერთიმეორისაგან ვიდრე ერთიმეორეს მეტოქეობას უწყევენ.

კაპიტალიზმის განვითარების ისტორიაში ორი პერიოდი არსებობს. სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაში — კაპიტალის სხვადასხვა სფეროს თანდათან დიფერენციაციის და ემანსიპაციის პერიოდი. ამ პერიოდს შეესაბამება პარლამენტარული დემოკრატის გაძლიერება.

იმპერიალიზმის განმტკიცების შემდეგ იმარჯვებს მეორე პერიოდი — კაპიტალის სხვადასხვა სფეროს შეზრდის პერიოდი, ე. ი. კაპიტალისტთა შორის ზედმეტი ღირებულების განაწილებისათვის ბრძოლის ფორმების გამოცვლის პერიოდი. სფეროთა შორის კონკურენცია გადადის უნივერსალურ შეძლებათა — უნივერსალურ ანაგებობათა მონოპოლიის გიგანტებს შორის ბრძოლაში. კონკურენცია არ ისპობა, არამედ მხოლოდ ფორმას იცვლის, ის ხდება მონოპოლიათა და მათ ცალკეულ რგოლებს შორის შეჯიბრებად. ბრძოლაში მომჭმედ სუბიექტს წარმოადგენენ არა კაპიტალის ცალკეული სფეროები, არამედ ცალკეული გიგანტები, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა სფეროს შენაზარდს, მათ კონგლომერატს. ბრძოლა წარმოებს არა მწარმოებლებს, ბანკირებს ანდა მიწათმფლობელებს შორის, ე. ი. არა კაპიტალის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა შორის, არამედ სხვადასხვა მონოპოლიას, რანტიებს, სხვადასხვა სააქციო კომპანიას შორის და მათ შიგნით.

<sup>1</sup> „უმცირესობის დაცვას ბურჟუაზიული დემოკრატის გაბატონებული პარტია ანდობს მხოლოდ მეორე ბურჟუაზიულ პარტიას, ხოლო პროლეტარიატს ყველა სერიოზული, დრმა და ძირეული საკითხის დროს, «უმცირესობის დაცვის» ნაცვლად, არგუნებენ სამხედრო წესებს ანდა დარბევებს», — წერს ლენინი თავის შრომაში „პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუციკი“. (Соч., т. XXIII, გვ. 348).

„ახალი ეკონომიკის, მონოპოლისტურ კაპიტალიზმის (იმპერიალიზმი არის მონოპოლისტური კაპიტალიზმი) პოლიტიკურ ზედნაშენს, — წერს ლენინი, — წარმოადგენს დემოკრატიიდან პოლიტიკურ რეაქციისაკენ შებრუნება; თავისუფალ კონკურენციას შეესაბამება დემოკრატია, მონოპოლიის შეესაბამება პოლიტიკური რეაქცია“<sup>1</sup>.

И. Талахадзе

## Сущность буржуазной или парламентской демократии

(Резюме)

Буржуазная или парламентская демократия есть одна из форм буржуазной диктатуры, преимущественно соответствующей эпохе промышленного капитализма.

Эта демократия является надстройкой над капиталистической собственностью, представляющей собой эксплуатацию и порабощение огромного большинства населения, лишенного капитала, кучкой богатеев, монополистов средств производства.

Эта демократия внешне, формально, юридически представляется как всеобщее равенство и свобода.


Причина такого противоречия между содержанием и формой буржуазной демократии кроется в особенностях, свойственных капиталистической экономике и буржуазному классу.

Капитализм основан на товарном производстве и обращении. Это последнее зиждется на обмене равных ценностей, на формальном равноправии и свободе сторон в меновой сделке. И рабочий, поскольку он выступает на рынке как продавец товара — рабочей силы, выступает формально в роли равноправного субъекта с покупателем рабочей силы — капиталистом, „добровольно“ осуществляя эту сделку.

В действительности в сделке между рабочим и капиталистом нет никакого равенства и свободы.

„По заключению сделки оказывается, что он вовсе не был „свободным агентом“, что время, на которое он свободно продает свою рабочую силу, является временем, на которое ему прихо-

<sup>1</sup> ლენინი, „პარტიკატურა მარქსიზმზე“. გვ. 29—30.



дится не продавать, что в действительности пьявка не выпускает его до тех пор, пока еще остается для высасывания хотя бы единый мускул, единая жилка, единая капля крови" („Капитал“, т. I, стр. 275—276).

„То, что выносятся на рынок, — пишет К. Маркс, — есть в действительности не труд, а рабочий. Что он продает капиталисту — это не его труд, а временное употребление его личности, как рабочей силы. В контракте, который заключают капиталист и рабочий, в купле и продаже, когда они договариваются, это является непосредственным предметом“ (К. Маркс, „Теории прибавочной стоимости“, т. III, стр. 96).

„Закон присвоения и закон частной собственности, покоящийся на производстве и обращении товаров, превращается путем собственной, внутренней неустранимой диалектики в свою прямую противоположность. Обмен эквивалентов, представляющийся нам основной первоначальной операцией, претерпел такие изменения, что в результате обмен оказывается лишь внешней видимостью; в самом деле, часть капитала, обмененная на рабочую силу, во-первых, сама представляет лишь часть продукта чужого труда, присвоенного без эквивалента; во-вторых, она должна быть не только возмещена создавшим ее рабочим, но возмещена с новым прибавочным продуктом. Меновое отношение между капиталистом и рабочим становится, таким образом, простой видимостью процесса обращения, простой формой, которая чужда своему собственному содержанию, и лишь затемняет его действительный смысл“ („Капитал“, т. I, стр. 568).

Таким образом, рабочий, выступая на рынке формально, в качестве свободного товаровладельца, в действительности не является ни свободным, ни товаровладельцем, а представляет собой товар, который сам продает себя, освобождая общество от накладных расходов по найму продавцов этого товара. В результате сделки сам рабочий оказывается проданным капиталисту. Такова особенность экономики капитализма.

Другая особенность заключается в том, что буржуазный класс не монолитен — он состоит из разных фракций капиталистов: промышленников, банкиров, торговцев, землевладельцев и т. д., и т. п., интересы которых солидарны в деле ограбления рабочего класса, в деле выколачивания прибавочной стоимости, но они противоположны в деле распределения суммы награбленного, т. е. прибавочной стоимости.

Отсюда—новое противоречие: единство и противоположность интересов разных фракций буржуазии, что ставит необходимостью существование нескольких буржуазных партий, которые общими силами борются против пролетариата, но дерутся между собой за дележ прибавочной стоимости. „...Если все члены современной буржуазии имеют один и тот-же интерес, поскольку они образуют особый класс, противоречащий другому классу, то в их собственных взаимных отношениях интересы их враждебны и противоположны. Эта противоположность интересов вытекает из экономических условий их буржуазной жизни“ (К. Маркс, „Нищ. философии“, соч., т. V, стр. 375).

Фракции буржуазии разъединены не так называемыми принципами, а материальными условиями своего существования... различными видами собственности“ (К. Маркс, „18 Брюмера Луи Бонапарта“, стр. 34).

Парламентская демократия есть форма диктатуры буржуазного класса эпохи промышленного капитализма и свободной конкуренции, эпохи эмансипации сфер капитала и, стало быть, равноправия всех фракций буржуазии, когда пролетариат еще полностью не самоопределился, когда его большинство еще не потеряло надежды на улучшение своего положения внутри капиталистического общества.

---





3. ნათაძე

## სასოფლო მეურნეობის ორგანიზაცია და ტექნიკა ძველ გერმანიაში

### I

ისტორიულ მეცნიერებაში ბევრი არ მოიპოვება ისეთი საკითხი, რომლის გარშემო იმდენი კამათი ყოფილიყოს გაშლილი, როგორც ეს წილად ხვდა საკითხს ძველი გერმანელების ეკონომიური და საზოგადოებრივი წყობილების შესახებ. ეს გარემოება იხსნება არა მარტო იმით, რომ აქ გერმანელ მეცნიერთა ერთ ჯგუფს ნაციონალური თავმოყვარეობა ეჩვენებოდა შელახულად, არამედ, უმთავრესად, იმით, რომ ამ საკითხის ასეთუისე გადაწყვეტა თუ საეცებით არ უარყოფდა კერძო საკუთრებაზე აგებულ საზოგადოებრივ წყობილების მარადიულობას, ყოველ შემთხვევაში საეჭვოდ მაინც ხდიდა მას; ერთი მხრით, გერმანელების შეჭრა რომაელთა იმპერიაში თავისი თემური წყობილებით და მისი დანგრევა, რაც გულისხმობს ამ ერის პრიმიტიულობას მაშინ, როდესაც რომში მაღალი კულტურა არსებობდა, პატრიოტულად განწყობილ მეცნიერთ სინამდვილის დამახინჯებად მიაჩნდათ და ამიტომ ესენი ხშირად ფაქტების აშკარა დამახინჯებით საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ, ვითომდა უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში გერმანელები კულტურულად ისე მაღლა იდგნენ, რომ ანტიკური კულტურა მათ აეთვისებინათ და განეითარებინათ. მეორე მხრით, თემური წყობილება და თანასწორობის ნაშთები, რომელსაც მეცნიერთა ერთი ჯგუფი პოულობდა გერმანელებში ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, რაც ამტკიცებდა ისტორიული პერიოდისა და პრეისტორიის მიჯნაზე სოციალური და ეკონომიური თანასწორობის არსებობას და რითაც დასტურდებოდა შესაძლებლობა ადამიანთა არსებობისას კერძო საკუთრების და სოციალური უთანასწორობის გარეშე, მეცნიერთა მეორე ჯგუფისათვის მიუღებელი იყო თეორიულად, აპრიორულად. ამიტომ გაცხარებით კამათობდნენ და ხშირად უარყოფდნენ წყაროების აშკარა და ნათელ დებულებას. კამათი იქამდის ხანგრძლივია და მწყვევე, რომ წყაროდან ამოღებული ესათუის წინადადება ხშირად და მრავალგვარად იცვლის აზრს სხვადასხვა მეცნიე-

რის ხელში. ხშირად ისეთი ფრაზა, რომელიც თავისი გარკვეულობით ერთი შეხედვით არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მრავალგვარი ინტერპრეტაციის საგნად ხდება. ყოველი მეცნიერი ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ინტერპრეტაციაში და ბოლოს გამოდის ისეთი რთული აღნაგობა სხვადასხვა ინტერპრეტაციისა, რომ მკვლევარისათვის არ არის ადვილი გადაწყვეტა, თუ რომელ მათგანს დაემყაროს. ბოლოსდაბოლოს, წყაროებიდან სადაო ადგილები ისე ხშირად ტრიალებს მოკამათეთა შორის, რომ ისინი თითქმის ზეპირად არიან დასწავლილი. მიუხედავად ამისა, მანც მათი კიდევ და კიდევ ამოწერა და განმარტება საჭირო ხდება, რადგანაც კამათი დამთავრებულად არ ჩაითვლება: სხვა რომ არ იყოს რა, ისიც საკმარისია, რომ საბჭოთა მეცნიერებას, ჩემის აზრით, ჯერ არ უთქვამს თავისი გადაწყვეტი და უკანასკნელი სიტყვა ამ საკითხზე, რაც ბურჟუაზიულ მეცნიერთ აძლევს საბაზს იფიქრონ, რომ მათი პოზიცია შეურყევლად არის დარჩენილი. ამას განსაკუთრებით ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ თვით საბჭოთა მეცნიერთ შორის არიან ისეთნი, რომელნიც წყალს უგდებენ ევროპის მეცნიერთა წისქვილს. მათი საწინააღმდეგო სიტყვის თქმას დიდი შრომა და აზრის დარაზმულობა ესაჭიროება. ყოველ ისტორიკოსს მოეხსენება, რომ ის, რაც თქვა თავისი ავტორიტეტული გამოსვლით და დიდი ერუდიციული დასაბუთებით აკადემიკოსმა პეტრუ შევსკიმ და რაც თავისებურად შეავსო მისმა მოწაფემ ნეუსიხინმა, წარმოადგენს დოკუმის ნაწერების გაღრმავებას და განმტკიცებას. მათ წინააღმდეგ კი არ თქმულა ძლიერი და ავტორიტეტული სიტყვა.

მე აქ დიდხანს არ შევჩერდები იმ კამათზე, რომელიც უკვე საკმაოდ შორეულ წარსულს ეკუთვნის, კამათზე ეგრეთწოდებულ რომანისტებსა და გერმანისტებს შორის. ავლნიშნავ მხოლოდ, რომ მათ შორის კამათი იქამდის იყო განპირობებული ნაციონალური თავმოყვარეობის გრძნობით, რომ ახლაც კი აკადემიკოსი პეტრუ შევსკი, ეხება რა დოკუმის შრომებს, მისი ნაციონალური გრძნობების დამცველობასა და მოსარჩლეობას კისრულობს. „დოკუმი, — ამბობს იგი, — მთელი თავისი პატრიოტული გრძნობის ადგენებით პროტესტს აცხადებს მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე უფრო არგაგონილი ფაქტის წინააღმდეგ“<sup>1</sup>. რა არის, დოკუმისა და პეტრუ შევსკის აზრით, ეს ყველაზე უფრო არგაგონილი ფაქტი? ეს არის ის, რომ ძველი სამყაროს შეცვლა ფეოდალური სამყაროთი ვითომ კატასტროფით მომხდარიყოს. მერე, რა შუაშია აქ პატრიოტული გრძნობა? საქმე ისაა, რომ კატასტროფის თეორიით გამოდის, რომ (ასე ესმით დოკუმისა და პეტრუ შევსკის) გერმანელები ყოფილან კულტურის მტრები, მწგრეველნი<sup>2</sup> („погромщики“ — Kulturzerstörer).

ასეთი განმარტება გერმანისტების და რომანისტების ბრძოლისა ძირეულად მცდარია. თვით რომანისტებსა და გერმანისტებს ასე არ ესმოდათ თავისი საბრძოლო პოზიციების მნიშვნელობა. მაგალითად, ვაიცი, გერმანისტი,

<sup>1</sup> Петрушевский, Очерки из экономической истории ср. веков, стр. 81.

<sup>2</sup> Ibidem. აგრეთვე Dopsch, Wirtschaftliche und sociale Grundlagen der europäischen Kulturw. I, S. 3.

იცავდა რა იმ პოზიციას, რომ ფეოდალური წესწყობილების წარმოშობაში მეტი წილი აქვს გერმანულ საწყისს და არა რომაულს, რომ ახალი კულტურა თავის წარმოშობას გერმანელებს უნდა უმაღლოდეს და არა რომაელებს, ცხადია, იცავს იმას, რომ რომის კულტურის ნაშთები თითქმის უკვალოდ მოისპო და გერმანიისა კი განვითარდა და მოგვცა ახალი კულტურა, რაც სწორედ კატასტროფის გარეშე ვერ მოხდებოდა. მაშასადამე, აქ კატასტროფის თეორია გერმანელთა ნაციონალური გრძნობის შეურაცხყოფა კი არა, პირიქით, მისი ამოღება გამოდის. მეორე მხრით, რომანისტები (მაგალითად, ფიუსტელდგ-კულანჟი) კატასტროფის თეორიის სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ და ამტკიცებდნენ, რომ ახალი ევროპული კულტურა რომის კულტურიდან წარმოიშვა და არა გერმანიისა, რომ რომის კულტურა კი არ დაუნგრევიათ გერმანელებს, პირიქით, შეითვისეს იგი, მისი გავლენის ქვეშ მოექცნენ ისე, რომ კატასტროფის უარყოფა, მართალია, გერმანელებს „პოგრომშიკობას“ არ სწამებს (ამას არც კატასტროფის თეორია სწამებს), მაგრამ უფრო კი დამამცირებელია გერმანელთა ნაციონალური თავმოყვარეობისათვის, თუ მიინცდამინც ამაზე ვილაპარაკებთ, ვინაიდან ამტკიცებს, რომ გერმანელებს არავითარი, ან თითქმის არავითარი წილი არ უდევთ ევროპის ახალი კულტურის განვითარებაში. მაშასადამე, აქ მთავარი მნიშვნელობა ეძლევა იმას, თუ როგორ გავიგებთ ჩვენ კატასტროფის თეორიას. კატასტროფაში აქ უნდა ვიგულისხმოთ რევოლუცია და არა „პოგრომი“, როგორც ეს ჰგონიათ დოპშისა და პეტრუშევსკის. „პოგრომისა“ და რევოლუციის შორის კი, როგორც ეს ყველას მოეხსენება, არაფერი საერთო არ არის.

მაშ, რატომ ვუწოდებთ რომის იმპერიის დაცემის და ახალი სახელმწიფოების წარმოშობის პროცესს კატასტროფას და არა რევოლუციას? მე ვფიქრობ, იმიტომ, რომ ეს პროცესი მეტად ხანგრძლივია. რევოლუციებში ჩვეულებრივ თავიდანვე, ცოტად თუ გვირად მიინც, გარკვეულია მებრძოლი მხარეების ვინაობა და მის პროცესში ეს გარკვეულობა უფრო მატულობს, სანამ ბოლოსდაბოლოს ერთერთი მხარე არ გაიმარჯვებს. რომის იმპერიის დაცემის პროცესის დაწყებისას კი ჯერ სრულიად სხვა მოპირდაპირე ძალები იბრძოდნენ და შემდეგ მათ განვითარების პროცესში სხვა ახალი ძალები წარმოიშვა, მერე კიდევ ახალი, ასე რომ პროცესი შეიცავს მთელ ისტორიულ პერიოდს; ამიტომ ძნელია მას მარტივად რევოლუცია ვუწოდოთ. უკეთ რომ ვთქვათ, ეს პერიოდი შეიცავდა დაუმთავრებელი რევოლუციების მთელ რიგს, რომელთა შედეგადაც ცხოვრება ისე ძირფესვიანად გარდაიქმნა, რომ მოისპო ძველი ფორმაცია და წარმოიშვა ახალი.

ასეთია სპეციფიკა მონათმფლობელური ფორმაციის გარდაქმნისა ფეოდალურ ფორმაციად, რაც იმით აიხსნება, რომ მონათმფლობელობა ვერ ჰქმნის თავის წიაღში საკმარის ძალას ძველი ფორმაციის დამხობისა და ახლის წარმოშობისათვის, ასევე ვერ ჰქმნის პირობებს საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარებისათვის. მონური შრომა ამისათვის მეტად რეგრესულია. ამიტომ მონათმფლობელობის რევოლუციები, შემდეგ ბაგაულების, ცირკულაციონების და სხვათა აჯანყებები ანგრევენ ძველს, მაგრამ ახალს, ცოცხალს, საკმაოდ მოქმედ ძალას ვერ



ჰქმნიან, მშობიარობის პროცესი მეტად გართულდა და გაძნელდა. სტრუქტურულ ლეგმა საკმაოდ დიდი ცოცხალი, მოქმედი და შემოქმედი ძალები შეჰმატეს ამ პროცესს და მშობიარობის პროცესი გააადვილეს. ენგელსი ამბობს, რომ „მონობა ეკონომიურად შეუძლებელი გახდა (რომის იმპერიის უკანასკნელ პერიოდში. გ. ნ.), ხოლო თავისუფალი შრომა ზნეობრივად ზიზღს იწვევდა. პირველს უკვე არ შეეძლო და მეორეს ჯერ არ შეეძლო საზოგადოებრივი წარმოების საფუძვლად გახდომა. ამ მდგომარეობიდან გამოყვანა შეეძლო მხოლოდ ძირითადად რევოლუციას“<sup>1</sup>. ეს ადგილი ენგელსის ნაწარმოებიდან უკვე კარგად ცნობილია. მართალია, დოპშისა და პეტრუშევსკის ენგელსის ავტორიტეტი არ სწამთ, მაგრამ რაკი ისინი იძულებული არიან ეკამათონ ისეთ აზრს, რომლის საუკეთესო წარმომადგენელი და მკაფიოდ გამტარებელი მარქსი და ენგელსი არიან, ამიტომ კიდევ უნდა გაუწიონ მათ ანგარიში: სხვა გზა მათთვის არ არის.

ახლა შევეხოთ იმას, თუ რა ახალი, შემოქმედი და ცოცხალი ძალა შეიტანეს გერმანელებმა რომის იმპერიაში მისი დაცემის პერიოდში. აქ პირველად ყოვლისა ენგელსს მივმართოთ. თუმცა, მართალია, ენგელსის ეს აზრიც საკმაოდ კარგად და ფართოდ არის ცნობილი, მაგრამ მაინც საჭიროა მისი მოყვანა, იმისათვის, რომ დოპშისა და პეტრუშევსკის აზრებს დაეუბრისობოთ მკაფიოდ და დახვეწილი აზრები და არა ბუნდოვანი მსჯელობა იმ მეცნიერთა, რომელთაც დოპში და პეტრუშევსკი ეკამათებინან: „მოსპო ანტიკური მონობა, მოსპო გადატაკებული თავისუფალი, რომელთაც სძაგდათ შრომა, როგორც მონის ხვედრი. რომის კოლონსა და ყმას შუა იდგა თავისუფალი ფრანკი გლენკაცი. IX საუკუნის საზოგადოების კლასების ფორმირება ხდება არა დაცემის გზაზე მდგარი ცივილიზაციის დაქვეითების გარემოში, არამედ ახალი ცივილიზაციის მშობიარობის ტანჯვაში. მაგრამ რაში მდგომარეობდა ის საიდუმლო გრძნეული საშუალება, რომლის მეოხებითაც გერმანელებმა შთაბერეს ახალი სიცოცხლის ძალა მომაკვდავ ევროპას? გერმანელი ერის განსაკუთრებული სასწაულთმოქმედი ძალა იყო ეს, როგორც გამოიგონა ჩვენმა შოვინისტურმა ისტორიოგრაფიამ? სრულიადაც არა. მაგრამ ევროპის გაახალგაზრდავება მოახდინა არა მათმა სპეციფიკურმა ნაციონალურმა განსაკუთრებულმა თვისებებმა, არამედ, მარტივად, მათმა ბარბაროსობამ, მათმა გვაროვნულმა წესწყობილებამ, სწორედ ბარბაროსობის უმაღლესი საფეხური, რომელსაც მიღწიეს გერმანელებმა ხალხთა გადასახლების წინ, უდიდესად ხელს უწყობდა ამ პროცესს“<sup>2</sup>.

რანაირად შეეძლო ბარბაროსობას ხელი შეეწყო ევროპის გაახალგაზრდებისათვის? საქმე ისაა, რომ ბარბაროსობასთან დაკავშირებულია ხალხის ფართო მასების გვაროვნული ორგანიზაცია, ეს იმ დროისათვის ძლიერი ორგანიზაცია. მონათმფლობელურმა ფორმაციამ არ იცის ასეთი ორგანიზაცია მას შემდეგ, რაც რომში დამყარდა მონათმფლობელური წესწყობილება, გაპროლე-

<sup>1</sup> Маркс и Энгельс, Соч. XVI, ч. I, гл. 127.

<sup>2</sup> ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 156—158

ტარებულმა გლეხობამ ადგილობრივი სამეურნეო ორგანიზაციული კავშირი დაჰკარგა და ახლა კომიციებში მოიყარა თავი უმთავრესად ლუმპენპროლეტარიატის სახით. ერთხანად მათ შერჩათ ორგანიზაცია აგრეთვე არმიაში, რომელშიაც მხოლოდ რომაელი მოქალაქეები იღებდნენ მონაწილეობას, ხოლო იმპერიის დამყარების შემდეგ, როდესაც კომიციებმა დაჰკარგეს პოლიტიკური მნიშვნელობა და გაუქმდნენ და როდესაც რიცხვობრივად გაზრდილ არმიაში უკვე პროვინციელებსაც ღებულობდნენ, რომისა და საერთოდ იტალიის მოსახლეობის მასამ სრულიად დაჰკარგა ყოველგვარი ორგანიზაცია, დაიქსაქსა და პროვინციელებში აირია. განთავისუფლებულ მონებს ხომ თავიდანვე არ ჰქონიათ არავითარი ორგანიზაცია. ხოლო მონათმფლობელური მეურნეობის დაცემის და მსხვილი მემამულეების გაძლიერების პროცესში თვით პროვინციელებიც ჰკარგავენ ერთმანეთში ყოველივე კავშირს და კოლონების სახით ეკონომიურად და ადმინისტრაციულად მხოლოდ მემამულეს ემორჩილებიან. სხვადასხვა ქვეყნიდან და კუთხიდან ჩამოსახლებული კოლონები არც ნათესაურად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. აი ამ მდგომარეობაში ღებულობს დიდ მნიშვნელობას გერმანელების ხალხის მასების გვაროვნული ორგანიზაცია. როდესაც გერმანელები მოელმთელ ტომებად, თემებად და გვარებად სახლდებიან რომის იმპერიაში, მათ შეაქვთ კოლონების მასებში ორგანიზაციული მოქმედიანობა, ინიციატივა, რასაც კოლონები აქამდის მოკლებული იყვნენ, რის გამოც მხოლოდ უსისტემო, სტიქიურ აჯანყებებს თუ აწყობდნენ და ამით იმპერიის რღვევას ხელს უწყობდნენ, დადებითს, შემოქმედებითს კი ვერაფერს ახერხებდნენ.

ასევე დაკარგული ჰქონდათ იმპერიის დროს ორგანიზაცია რომის არისტოკრატ-მემამულეებსაც, რომელთა პირადი და გვაროვნული შემადგენლობა იმპერიის პერიოდის მეორე ნახევარში სრულიად შეიცვალა. სახელმწიფო აპარატი შეივსო მხედრებითა და პროვინციელებით. პროვინციელებშიც მსხვილი მემამულეები, კურილები, დუოვირები და სხვა არარომელებისაგან შესდგებოდნენ. ამ ახალ არისტოკრატის ერთმანეთს შორის უკვე არავითარი კავშირი არ ჰქონდა. თითოეული მემამულე თავის მამულში კარჩაკეტილად ცხოვრობდა და მონებს და კოლონებს ამუშავებდა. მან პოლიტიკას სრულიად მიანება თავი. ხოლო ვინც სახელმწიფო აპარატში არჩია შესვლა, ის მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებაზე ზრუნავდა და იცავდა მას ისე, როგორც ესმოდა. მემამულეებს არ ჰქონდათ არც ორგანიზაცია და არც საკმაო ინიციატივა, რომ ცენტრალური ხელისუფლება ხელში ჩაეგდოთ, ან ძველი სახელმწიფო აპარატი დაემსხვრიათ და შეექმნათ ახალი, მათი კლასობრივი ინტერესების შესაფერისი.

გერმანიაში ამ დროს უკვე ნობილიტეტის ჩანასახი არსებობდა. მაგრამ მათ ჯერ კიდევ ჰქონდათ გვაროვნული ორგანიზაცია, რომლის საშუალებითაც ისინი აწარმოებდნენ მართვა-გამგეობას და ომებს. ამათაც რომის არისტოკრატიაში შეიტანეს მოქმედიანობა და ინიციატივა. ჯერ ისინი ომებში დაამარცხეს, დაამსხვრიეს რომის იმპერიის ცენტრალური აპარატი, რომის არისტოკრატის ნაშთები შემოიერთეს, აამოქმედეს და მერე ორივემ ერთად შექმნეს ფეოდალური წესწყობილების წინასწარი საზოგადოებრივი ფორმები, რომელსაც შემდეგ მოჰყვა ფეოდალური წესწყობილების გაფორმება.



ამგვარად, რომში მონათმფლობელური ფორმაციის დაცემის პერიოდში შექმნა ელემენტები მომავალი წესწყობილებისა: კოლონატი, მსხვილი მემამულეობა, ამასთან დაკავშირებული პატროცინიუმი, პრეკარიუმი და სხვ. მაგრამ მონათმფლობელობის სპეციფიკური თვისებების გავლენის გამო, ყველა ეს ელემენტი უმოქმედოდ და უინიციატივოდ დარჩებოდა, გერმანელებს რომ არ უმოეტანათ თავისი ორგანიზაცია, ინიციატივა და მოქმედებები. თავის მხრივ გერმანელებმაც ამ ბრძოლის განმავლობაში რომაელებისაგან შეითვისეს ისეთი საზოგადოებრივი ფორმები, რომელიც ებრძოდა გვაროვნული წესწყობილების გავლენას, რამდენადაც ის ახალ ფორმაციის წარმოქმნას და არისტოკრატის ბატონობის განმტკიცებას უშლიდა ხელს, ე. ი. გვაროვნულ წესწყობილების გარდაქმნას აწარმოებდა საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ უფრო მაღალ ფორმებში.

ეთქმის განა გერმანელების ასეთ მოქმედებას „პოგრომშიკობა“, როგორც მას ეძახის დოპში, რომელსაც კვერს უკრავს აკად. პეტრუშევსკი? პასუხი თავისთავად ცხადია. საკითხის ამოწურვისათვის საჭიროა გავარკვიოთ, თუ რას ეუწოდებთ ჩვენ კატასტროფას, რომელიც ბევრ მეცნიერს ასე ძლიერ აწინებს.

როდესაც სიტყვა „კატასტროფას“ ვხმარობთ, დოპსსა და პეტრუშევსკის ისე ეხატებათ საქმე, თითქოს ჩვენ უარყოფდეთ ისტორიაში განვითარების პროცესის არსებობას, თითქოს ჩვენ ვფიქრობდეთ, რომ ძველ და შუა საუკუნეების მიჯნაზე ისტორიის ძაფი სრულიად გაწყვეტილიყოს და ფეოდალიზმი წარმოშობილიყოს სრულიად ახალი ძალებისაგან, რომელთაც წარსულთან არავითარი კავშირი არ ჰქონიათ: „Это был именно процесс, акт длительный и очень сложный, а не внезапная катастрофа, разразившаяся над древним миром и его цивилизацией и превратившая его в развалины, на которых разрушители заложили основы совершенно новой жизни, новой культуры“.

ასე ამბობს აკად. პეტრუშევსკი. „Keine Kulturzäsur, also keine Katastrophe“, — ამბობს დოპში იმავე ეპოქის და იმავე პროცესის შესახებ (Dopsch, op. cit., S. 331). სიტყვა „კატასტროფასთან“ სიტყვის „внезапная“-ს ხმარება—ეს საკუთარი თქმაა აკად. პეტრუშევსკისა. კატასტროფის თეორიის მომხრენი არავითარ შემთხვევაში მას „უეცარს“ არ უწოდებენ. დანარჩენი სულ ისეა, როგორც აკად. პეტრუშევსკიც ამბობს. ეს იყო პროცესი ხანგრძლივიც, რაულიც, მაგრამ მაინც კატასტროფა იყო. კატასტროფა იყო იმიტომ, რომ დიდი ძალადობის გარეშე ახალი ცივილიზაციის წარმოშობა ვერ მოხერხდა და ამ ძალადობამაც თანდათანობით კი არ შესცვალა მომწიფების პროცესში მყოფი ნაყოფის გარსი, არამედ დაამსხვრია. საზოგადოების სტრუქტურა, მისი რთული აღნაგობა (საწარმოო ძალები, სოციალური ურთიერთობა) იცვლებოდა, ხოლო მისი ფორმა—სახელმწიფოებრივი აპარატი, მიუხედავად ცვლილებისა, საერთოდ იგივე რჩებოდა და კიდევაც უარესდებოდა, ვინაიდან იგი მეტად ზღუდავდა ახალი ძალების განვითარებას, ახშობდა ყოველ ახალ ინიციატივას. მონათა ყოველ აჯანყებას, კოლონების გამოსვლებს

და სხვ. მოსდევდა ცოტადთუბევრად ცვლილება, აპარატი კი დარჩა ისეთივე, როგორც იყო. ამიტომ მთელი იმპერიის ფარგლებში იგი სამხედრო აჯანყებების შემდეგ უკვე ვეღარცერთ ფენს ვერ ეყრდნობოდა და მისი დამსხვრევა აუცილებელი გახდა. ვერც არმინიუსმა, ვერც მარობოდმა, ვერც ცივილისმა, ვერც სხვა ვინმემ ვერ დაამსხვრია იგი, ვიდრე ოდოაკრმა არ აიღო რომი და არ მოსპო იმპერატორის ხელისუფლება. დიად, გერმანელებმა ხელი შეუწყეს მონობის მოსპობას, დაამსხვრიეს სახელმწიფოს აპარატი, ვინაიდან იგი ყოველსავე ინიციატივას ახშობდა თავისი ბიუროკრატიის სასარგებლოდ; ამ ნგრევის პროცესში მრავალი ადგილიც განადგურდა, ამიტომ ეს პროცესი იყო კატასტროფა. მაგრამ იგი არ იყო „პოგრომი“, რადგან მას უმთავრესად შემოქმედებითი შედეგები ჰქონდა და არა ნგრევითი. მისი შედეგები გამოჩნდა მაშინ, როდესაც რომის იმპერიის ადგილზე მოეწყო მთელი რიგი სიცოცხლის უნართ ალსავე, თუმცა ჯერ კიდევ ჩამორჩენილი, სახელმწიფოებისა, რომელთაც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში შეჰქმნეს ახალი—ფეოდალური—წესწყობილება. თავისთავად ცხადია, რომ ამ ერთსადაიმავე დროს ნგრევისა და მასთან ერთად მშენებლობის პროცესში გერმანელებს რომ თავისი რამ შეაქვთ რომის იმპერიის ცხოვრებაში, თვითონაც ბევრს რასმე ითვისებენ მისგან: ძლიერ ცენტრალურ ხელისუფლებას, მეურნეობის ახალ ფორმებს, საქალაქო ცხოვრების ფორმებს, აღმშენებლობას და მრავალ სხვას, ისე რომ ახალი და უცხო რამე არ არის ის, რასაც ამბობს დოპში გერმანელების მიერ როგორც სამოქალაქო ცხოვრებაში, ისე სოფლისაში რომაელებისაგან ბევრი რამის გადმონერგვის შესახებ<sup>1</sup>.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დოპში რომისა და გერმანელთა სოფლების მსგავსებას მეურნეობის მხრივ: გერმანელების ჰუფების და რომაელების *sortes*, *vicini* და *convicani*-ს და მათ უფლებებს უცხოელთა ჩამოსახლების საკითხში, სახნავების გაფანტულობას და სხვ. მაგრამ ყოველივე ეს ხომ რომის გვიანდელი ეპოქის მოვლენებია, როდესაც კლასიკური რომის საფუძველი—მონათმფლობელობა მისი ლათიფუნდიებით—ირღვეოდა და ჩნდებოდა ახალი, მომავალი ფეოდალური წესწყობილების დამახასიათებელი ელემენტები. მაშასადამე, ყოველივე ეს არ არის რომის სპეციფიკური თვისებები. რომის ცხოვრება მისი დაცემის პერიოდში უახლოვდება გერმანელებისა და გერმანიისა რომისას. იგივე ითქმის ეგრეთწოდებულ ფედერატებზე, ე. ი. იმ გერმანელებზე, რომელნიც რომის ტერიტორიაზე სახლდებოდნენ, აგრეთვე გერმანელ კოლონებზე და ლეტებზე. რასაკვირველია, რომის გავლენის გამო მათ შორის უფრო ადრე განვითარდებოდა (და ასეც იყო) კერძო საკუთრება მიწაზე, ვიდრე სხვა გერმანელებს შორის, აგრეთვე მათი ზეგავლენით რომის მსხვილი მემამულეობაც უფრო ადრე დაირღვა, ვიდრე იმპერიის ცენტრში, მაგრამ ყველა ეს უკვე აღარ იყო „რომაული წესი“ და ცხოვრების ფორმა. მაშასადამე,

<sup>1</sup> Dopsch, Wirtschaftl. und sociale Grundlage... t. I, 386.

კატასტროფის თეორია არ ნიშნავს იმას, რომ ისტორიაში არსებობს ნაკვეთები (Zäsur<sup>1</sup> დოკუმის ტერმინოლოგიით), რომ ახალი ცხოვრების შემქმნელი ძალები ძველთან არ არიან დაკავშირებული. მაგრამ, რით უნდა აეხსნათ კატასტროფა? რა იწვევს მას? რატომ მაინც აუცილებელია ისტორიაში ძალადობა, მსხვერვა. რატომ ხდება ძველიდან ახლის წარმოშობა მტკივნეულად? რატომ ძველი ძალები თავისთავად არ ისაობიან და არ განიბნევიან ჰაერში? იმიტომ, რომ ყოველგვარი მშობიარობა—ბუნებაშიც, ცხოვრებაშიც და საზოგადოებაშიც—მტკივნეული პროცესია. საქმე იმაშია, რომ ყოველი განვითარება ხდება წინააღმდეგობით, დიალექტიკურად. ახალი ძალები ძველი ორგანიზმის საშოში ძველი ძალების უმწვერვალესი განვითარების მომენტში ისახება, მისი ნაწილია, მით იკეცება და ვითარდება, მაგრამ დგება დრო, როდესაც ეს ახალი ძალები ძველს ეწინააღმდეგებიან და ებრძვიან. ბოლოს დადგება დრო, როდესაც ახალი ძალების იერიშის შედეგად ძველი მოისპობა და აქ არის სწორედ მტკივნეულობის, კატასტროფის მომენტი. ცხოველის ორგანიზმში მომწიფებული ნაყოფი ვითარდება, საშოდან გამოდის, რომ დამოუკიდებლად, თავისთავად იცოცხლოს, ძველი უჯრედები კი, საშოში რომ ჰკვებავდა ახლად მომწიფებულ ნაყოფს, იხოცებიან, ისაობიან. ხის ნაყოფიც, მაგ., ნიგვზის კაკალი, ჯერ სულ სხვა გარსით არის დაცული. როდესაც ბირთვი ვითარდება, ნიგვზი შრება, ის ახალ, უფრო მაგარ გარსს იკეთებს და დგება მომენტი, როდესაც წინანდელი გარსი, წნეგო, გასკდება და დაიმსხვრევა. კაკალი იკროლება. საზოგადოებაც ასე.

ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა რომის იმპერიის აპარატის ჯერ დამსხვრევის უშედეგო ცდებს და შემდეგ კი სრულ დამსხვრევას.

## II

დაახლოებით ასეთ მდგომარეობაში იმყოფება დასმული საკითხის თეორიული მხარე. უარყოფა ძველი რომის წესწყობილების ფეოდალურ ფორმაციაზე გადასვლის პროცესის მტკივნეულობისა და რევოლუციური ხასიათის მოწინააღმდეგეთა აზრებისა, უარყოფა მშვიდობიანი, თანდათანობითი გადაზრდის თეორიისა არ არის ძნელი, ვიდრე საკითხი თეორიულ ფარგლებში ტრიალებს. მდგომარეობა იცვლება, როდესაც ჩვენ გადავდივართ კონკრეტ მასალების დახასიათებაზე, იცვლება არა იმიტომ, რომ ჩვენი პოზიცია აქ უფრო სუსტია, ვიდრე თეორიულ სფეროში, არამედ იმიტომ, რომ კონკრეტი მასალა ადვილად ხელმისაწვდომი არ არის და ის მეცნიერნი, რომელნიც კატასტროფის თეორიას ეწინააღმდეგებიან, დახელოვნებული არიან ამ მასალების ინტერპრეტაციაში, თუმცა თეორიაში მოისუსტებენ. ხოლო თუ ისინი, მიუხედავად მასალების დიდი ცოდნისა, მაინც სწორ აზრს ვერ აღგანან, ეს აიხსნება იმით, რომ წინაღებული აზრის გავლენით უღებებიან მასალების შესწავლას. დავასაბუთოთ ეს აზრი, რისთვისაც საკმარისია მოკლედ გავიხსენოთ ამ საკითხის ისტორიოგრაფია.

<sup>1</sup> Dopsch, ibidem.



სამარკო თეორია პირველად წამოაყენა მაურერმა, რომლის შრომამ დადებითი შეფასება მიიღო მარქსის მიერ, როგორც ჩვენ ეს უკვე გვკონდა აღნიშნული<sup>1</sup>, და ენგელსის მიერ მის სტატიაში მარკის შესახებ<sup>2</sup>.

მაურერი ამტკიცებდა, რომ შუა საუკუნეებში მარკა იყო საზოგადოებრივი განვითარების საფუძველი, მხოლოდ ის ჯერ თავისუფალი იყო, შემდეგ კი ბატონყმურ სისტემაში შევიდა და მას დაემორჩილა. მარკის არსებობის საკითხთან დაკავშირებით წამოიჭრა საკითხი კოლექტიური მიწათმფლობელობის შესახებ ტაციტისა და ცეზარის ეპოქაში. ამასთან დაკავშირებით შემდეგ დაისვა საკითხი მსხვილი მიწათმფლობელობის წარმოშობის შესახებ, რომელიც განსაკუთრებით მტკიცედ დაასაბუთა ინამა-შტერნემა. ამ მიმართულების წინააღმდეგ გამოვიდა ფიუსტელ-დე-კულანჟი; მას მხარი დაუჭირეს ინგლისში სიბობმა და მეტლენდმა. სამივე მეცნიერი ამტკიცებდა, რომ გერმანელებს შორის საზოგადოების განვითარების საფუძველს ყოველთვის, და არა მხოლოდ განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდში, წარმოადგენდა მსხვილი მამული. ამგვარად, ცეზარისა და ტაციტის დროსაც არსებობდა მსხვილი მემამულეობა. მარკის თეორიამ კვლევადიების პროცესში გამოიწვია იმ აზრის მტკიცება, რომ საზოგადოდ ფეოდალიზმის პერიოდში საზოგადოების განვითარების საფუძველი იყო ნატურალური მეურნეობა. ამას ამტკიცებდნენ ინამა-შტერნევიც და ვინოგრადოვიც. XX საუკუნემდის ეს თეორია გამარჯვებული იყო. რუსეთში თვით პროფ. პეტრუშევსკი თავისი მთავარი წიგნის ძველ გამოცემებში<sup>3</sup> ამავე აზრებს ატარებდა. XX საუკუნიდან დაიწყო ხელახალი იერიშები მაურერისა და ინამა-შტერნევის სკოლის წინააღმდეგ და ის, რაც აქამდის დამტკიცებულად იყო მიღებული, ახლა საეჭვოდ გამოაცხადეს და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ, რაღაც უნდა დაჯდომოდათ, მაინც დაერღვიათ არსებული თეორია. ეს, უდაოდ, გამოიწვია იმან, რომ ეს სამარკო და ნატურალური მეურნეობის თეორია, მათი ავტორების სურვილის წინააღმდეგ, მარქსისტულ გაგებას შუასაუკუნეების ისტორიისას ხელს უწყობდნენ, ხოლო XX საუკუნეში უკვე ყველა მიხვდა, რომ მარქსიზმი უკვე საშიშ ანტიბურჟუაზიულ მიმართულებას წარმოადგენდა. კარომ, პეტრუშევსკიმ და დოპშმა დიდი შრომა გასწიეს ამ თეორიის დასამარცხებლად. ვინოგრადოვი დარჩა ერთგული თავისი ნატურალური მეურნეობის კონცეფციისა და დოპშის ავტორიტეტს, აკად. პეტრუშევსკისავეთ, არ დაემორჩილა. ამიტომაც არის, რომ ეს უკანასკნელი ისე უსაყვედურებს მას, თითქოს ეს საქციელი რაღაც დიდი ღალატი იყოს. საგულისხმიერო აქ ის არისო, რომ მისი (ვინოგრადოვისა და საუბარი. გ. ნ.) აზრები დაახლოებულია და გასაგები ჩვენში გაბატონებული მიმართულებისათვის (იგულისხმება მარქსიზმი),

<sup>1</sup> თ. ს. უ. შრომები, ტ. VI, 1938 წ. სალიკური კანონი.

<sup>2</sup> ენგელსი, მარკა.

<sup>3</sup> Петрушевский, Очерки из истории средневекового общества и госуд 1905 წ. გამოცემა.

მიუხედავად იმისა, რომ მისი ავტორი შორს დგას ამ მიმართულებიდან რედ ამ ძლიერმა ანტიმარქსისტულმა განწყობილებამ გამოიწვია ის, რომ მეოცე საუკუნის მეცნიერები ძალთა განსაკუთრებული დაძაბულობით ცდილობენ უარპყონ ყოველივე ის, რაც კი პირდაპირ ან არაპირდაპირ ხელს უწყობს მარქსისტული კონცეფციის განმტკიცებას ამ საკითხში.

ვიდრე ჩვენ მსჯელობას განვაგრძობდეთ, საჭიროა აღვნიშნოთ, ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, რომ ის მეცნიერნი, რომელთაც ამჟამად ჩვენ ვიცავთ მოწინააღმდეგეებისაგან, არ არიან შეუმცდარნი, პირიქით, მათ კონცეფციის მრავალი შესწორება ესაჭიროება, მაგრამ იმ დებულებებში, რომელსაც ჩვენ ახლა ვეხებით, ისინი უფრო მართალი იყვნენ, ვიდრე მათი მოწინააღმდეგენი. სწორედ ამ დებულებებს იცავდნენ მარქსი და ენგელსი და არა მთლიანად მათ კონცეფციას, რომელიც—ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ—სრულიადაც არ იყო მარქსისტული. მათმა მოწინააღმდეგეებმაც ისარგებლეს მათი სუსტი მხარეებით და მიიტანეს მათზე იერიში. სხვებზე უფრო ადრე გამოვიდა შვეიცარელი კარო<sup>2</sup>, შემდეგ ზელიგერი<sup>3</sup>, მაგრამ ესენი ეხებიან კრიტიკულად კაროლინგების ხანას და იმდროის გლეხთა საკითხის გაგებაში შეაქვთ თავისი „შესწორებები“. ჩვენ კი ამჟამად ჯერ ძველი გერმანელების საკითხს ვარჩევთ და არა უკვე ჩამოყალიბებულ ფეოდალურ წესწყობილებისას. სათემო მიწათმფლობელობის არსებობის თეორიის კრიტიკას ოდნავ ცდილობდა ჯერ ბელოვი<sup>4</sup> და შემდეგ გაბედულებით და ძლიერი იერიშების მიტანით პეტრუშევსკი. ეს ორი, დიდი ავტორიტეტით აღჭურვილი, მეცნიერი ცდილობს გამოიყენოს პირველად ყოვლისა უკვე წინათვე გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ ცეზარსა და ტაციტს, როგორც პირველ წყაროებს, ესაჭიროებათ კრიტიკა, ვიდრე მათ მონაცემებს რაიმე დასკვნებისათვის გამოიყენებდეთ. ამ თავისთავად სწორი აზრით სარგებლობენ ეს მეცნიერები და ცეზარისა და ტაციტის მიერ ყოველ ნათქვამს ხშირად სრულიად თავისებურად, თავისი სურვილისამებრ ჰმარტავენ. მეორე გარემოება, რომლითაც სარგებლობდნენ აღნიშნული მეცნიერნი, იმაში მდგომარეობს, რომ ცეზარისა და ტაციტის საშუალებით ცდილობდნენ გამოეკვიათ კერძო საკუთრების წარმოშობისა და თემური წესწყობილების ფორმები საერთოდ კაცობრიობის ისტორიაში, როგორც ერთერთი საფუნდური კაცობრიობის კულტურის განვითარებისა. მათ უხდებოდათ გერმანელების ცხოვრების და მრავალ სხვა ხალხთა სხვადასხვა ეპოქის ცხოვრების ერთმანეთთან შედარება და ამიტომ მათ ყურადღების გარეშე რჩებოდა მრავალი მეტად მნიშვნელოვანი წვრილმანი, სპეციფიკური ინდივიდუალური თვისებები, ნიუანსები. ამიტომაც მათი დასკვნები გადაჭარბებით კატეგორიული ხასიათისაა და მათთან ბრძოლა არ არის ძნელი, თუ კაცი ღრმად შეისწავლის ტექსტებს. არ არის საჭირო აქ ეთნოლოგების,

<sup>1</sup> Петрушевский, იქვე; აგრეთვე ამავე ავტორის წიგნაკი „Виноградов“.

<sup>2</sup> Caro Deuts. Gesch., 1903.

<sup>3</sup> Seeliger, Die sociale und politische Bedeutung der Grundherrschaft in früheren Mittelalt. 1903.

<sup>4</sup> G. Below, Probleme der Wirtschaftsgesch. 1920. S. 1—24.

ან მათ გავლენის ქვეშ მყოფ ისტორიკოსების დასახელება. აღნიშნოთ მხოლოდ, რომ ესენი თავისი მსჯელობის კატეგორიულობის ზეგავლენით ზუსტ სქემებს იძლეოდნენ და ტაციტის დროის გერმანელებს სახავდნენ ან როგორც მონადირეებს, ან როგორც ნომადებს, მაგრამ თუ ეს არ არის სწორი, არც ამ თეორიის მოწინააღმდეგენი არიან მართალნი, როდესაც ისინი არანაკლებ კატეგორიულად მსჯელობენ და ამ ეპოქის გერმანელებს მკვიდრ მიწის მეურნეებს უწოდებენ. ამით აიხსნება, რომ მათი კვალითიკაციით სქემატურად მოაზროვნე მეცნიერთა წრეში მოექცნენ ლამპროესტიც, ზომბარტიც<sup>1</sup> და თითქმის ვინოგრადოვიც. სინამდვილე კი რას გვიჩვენებს და რას მოიხზოვს? კონკრეტუი მასალების ყოველმხრივ დამუშავებას მაქსიმალური ობიექტივობით, მაგრამ არა „нез руля и без ветрил“, არამედ გარკვეული მეთოდებითა და კონცეფციით. უნდა გვახსოვდეს, რომ რეალური სინამდვილე ამგვარ სქემებს კი არ გვაძლევს, არამედ უსაზღვრო სხვადასხვაობას და თავისებურებას და მუდამ ერთსადაიმდევე ვასალებით (როგორც ამბობს მარქსი) არ მოხერხდება ყოველი კარის გაღება. ფორმალური ლოგიკის დებულება, ვითომ ყოველივე ან არსებობს და ან არ არსებობს, ისტორიაში არ გამოდგება, აქ დიალექტიკური ლოგიკის თვალსაზრისია საჭირო, ვინაიდან სინამდვილემ უფრო ხშირად იცის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ესათუის საზოგადოებრივი მოვლენა არსებობს კიდევ და არც არსებობს.

მაშ გაყვეთ ტექსტებს და გაგარჩიოთ თითოეული მათგანი კრიტიკულად. ერთი ყველაზე უფრო სადაოდ გამოცხადებული ტექსტთაგანი არის მე-26 თავი ტაციტის „გერმანიისა“. ეს ადგილი მოჰყავთ და თავისებურ განმარტებას აძლევენ მას:

„agri: pro numero cultorum ab universis invicem occupantur, quos mox inter se secundum dignationem partiuntur. facilitatem partiendi camporum spatia praebent“ („მიწას იჭერენ ყველა ერთობლივ მიწის მუშათა რაოდენობის მიხედვით, რომელსაც შემდეგ თავის შორის ინაწილებენ ღირსების მიხედვით. განაწილებას აადვილებს მინდვრების სივრცე“).

აქ პირველად ყოვლისა სადაოდ გამოცხადებულია ის, თუ სად და რა გარემოებაში ინაწილებდნენ მიწას ამ წესით. პეტრუშევსკი<sup>2</sup> და ნეუსიხინი<sup>3</sup>, როგორც ჩანს, ფიქრობენ, რომ აქ ტაციტს მხედველობაში აქვს ტომის ახლად დასახლება ახალ ტერიტორიაზე, ვინაიდან მიწის სივრცე იქამდის დიდია, რომ არავითარი დაბრკოლება არ შეიძლება იყოს. მაგრამ როგორ და რად უნდა მომხდარიყო ახლად დასახლება? განა შეიძლება ახლად დასახლება მიწაზე ისე რეგულარულად და სისტემატურად ხდებოდეს, რომ ამისათვის გარკვეული მუდმივი წესი იყოს შემოღებული? ეს ყოვლად წარმოუდგენელია. მით უმეტეს, რომ, როგორც კარგად ვიცით, ტაციტის დროს უბრძოლველად და უომრად ახალი ადგილმამულის დაკავება მთელი ტომის მიერ არ ხდებ-

<sup>1</sup> Петрушевский, იქვე, გვ. 67.

<sup>2</sup> Петрушевский, იქვე, გვ. 144.

<sup>3</sup> Неусыхин, Общественный строй древн. германцев, 1929, გვ. 92.

ბოდა და შეუძლებელიც იყო. მართალია, პეტრუშევსკი პირდაპირ არ ამბობს, რომ აქ ომით დაკავებულ ადგილმამულზე საუბარიო, მაგრამ ნებაყოფლობით ვინ დაუთმობდა, როდესაც ადგილმამულის შეძენის გულისათვის მთელი ტომები წყდებოდა და დიდ რომსაც კი ებრძოდნენ? არც ნეუსიხინი ამბობს ამას, მაგრამ იგი აქ დიდ წინააღმდეგობაში ვარდება: ერთი მხრით, ის ამბობს, რომ ტაციტის სიტყვები მშვიდობიან პირობებს გულისხმობენო, მაგრამ, მეორე მხრით, ამბობს, რომ ეს იმ მომენტს ეხება, როდესაც ტომის რომელიმე ნაწილი დასამუშავებლად მიწის გარკვეულ ტერიტორიას იჭერს<sup>1</sup>. ახალი ტერიტორიის დაჭერა კი ომის გარეშე არ შეიძლებოდა. ხოლო თუ აქ ომით ტერიტორიის დაჭერას გამოვრიცხავთ, მაშინ იძულებული ვიქნებით ვიფიქროთ, რომ ტაციტი გულისხმობს იმ ჩვეულებრივ პერიოდულ მოვლენას, როდესაც თემი ან გვარი სახნავ მიწას იცვლის და ამით ახორციელებს მათ შორის იმ დროს გავრცელებულ მიწის დამუშავების წესს, სახნავცვლით ანუ გადანაცვლებით სისტემას (переложное или залежное хозяйство). იძულებული ვართ ასე ვიფიქროთ და მართლაც სწორედ ასეც იყო. ტაციტი იმავე მე-26 თავში ცოტა ქვევით ამას სრულიად გარკვევით ამბობს: „arva per annos mutant et superest ager“, „სახნავს რამდენიმე წლის შემდეგ სვლიან და კიდევ რჩება მიწა“<sup>2</sup>. აი ამ სახნავის ცვლის მომენტში ხდება სწორედ ამ ტექსტში აღნიშნული „occupatio“ და ამიტომ აქვს მას ერთხელ და სამუდამოდ მიღებული წესის სახე, მაგრამ რას ნიშნავს „occupatio“? მიწის დაკავება შეიძლება დროებითი იყოს და შეიძლება მუდმივი—საკუთრებად. დოპში ამტკიცებს, რომ ეს მიწის დაკავება მუდმივ საკუთრებად ხდებოდაო და საბუთად მოჰყავს ის, რომ რომაელები ყოველთვის ამ სიტყვას ხმარობდნენ, როდესაც კი უნდოდათ აღნიშნათ მიწის საკუთრებად დაჭერა<sup>3</sup>. „Occupatio agrorum“ მას ტექნიკურ ტერმინადაც კი მიაჩნია ჯერ კიდევ ლიცინიუს სტოლონის გამოცემულ კანონის დროიდან<sup>4</sup>. ეს ტექნიკურ ტერმინად მიჩნევა კი ძლიერ პრობლემატური რამ არის, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ სიტყვა „occupatio“ უსათუოდ მიწის საკუთრების არსებობას უარპყოფდეს. ყოველ შემთხვევაში არც იმას ამტკიცებს, რომ სწორედ მიწის კერძო საკუთრებას გულისხმობდეს ავტორი. რომში ager publicus-ის არსებობის პირობებში, შესაძლოა, ამ ტერმინის ხმარების დროს ზოგჯერ არც კი ეგულისხმებინათ კერძო საკუთრებად დაკავება მიწისა.

რაც შეეხება ტაციტის ტექსტს, აქ არ შეიძლება კერძო საკუთრება იყოს ნაგულისხმევი, ვინაიდან რამდენიმე წლის შემდეგ სახნავი მიწა იცვლებოდა და ამასთან იცვლებოდა ერთობლივად და არა თითოეული ოჯახის მიერ ცალკე, „ab universis“, როგორც ამბობს ტაციტი. ამ სიტყვის შესახებ მსჯელობას აწარმოებს დოპში<sup>5</sup>, პეტრუშევსკი და ნეუსიხინი კი ამას საჭიროდ

<sup>1</sup> Н е у с х и н, იქვე, გვ. 92.

<sup>2</sup> Т а с., იქვე.

<sup>3</sup> D o p s c h, op. cit., გვ. 70.

<sup>4</sup> D o p s c h, იქვე.

<sup>5</sup> ibidem, გვ. 67.



არ სთვლიან. დოკში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ, მისი აზრით, ეს სიტყვა არ ნიშნავს იმას, რომ ვითომ მიწას კერძო საკუთრებად არ ინაწილებდნენო, ტაციტს ამის თქმა რომ ნდომოდაო, მაშინ სხვა სიტყვას იხმარდაო, მაგალ., „commune“. რომ „universi“ არ ნიშნავს საზოგადოს, ეს, რასაკვირველია, სწორია, მაგრამ ის გარემოება, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მთელი ეს „universi“ უნდა ახლა სხვა მინდორზე გადასულიყო და ის გაენაწილებინა, არ სტოვებდა საჭიროებას იმის თქმისას, რომ ეს მიწები საკუთრებად არ ეძლეოდა. თვით გერმანელებსაც საკუთრების უარყოფელი იურიდიული ნორმებიც არ ექნებოდათ, რაკი საკუთრება არც მანამდის და არც მაშინ არ არსებობდა.

კერძო საკუთრების, ასე ვთქვათ, არსებობა თავისთავად იყო, სტიქიურად და იხატებოდა სამეურნეო წესებში, რომელიც მათ ჰქონდათ მიღებული, მათ შედეგს წარმოადგენდა. ამის მეტის აღნიშვნა არ შეეძლო ტაციტსაც და ვერც მოვთხოვთ მას. მართალია, ეს არის ის, რასაც რუსულად უწოდებენ „переложная система“, გერმანულად კი Feldgrasswirtschaft<sup>1</sup> (სამინდვრესაბალახე მეურნეობა), მაგრამ სულ სხვაა, როდესაც ეს სისტემა ხორციელდება ერთობლივად (ab universis) კოლექტიური ერთეულის მიერ, და სულ სხვაა, როდესაც იგი ხორციელდება კერძო პირების ან მოსახლეობის მიერ. პირველ შემთხვევაში შეუძლებელია მიწის საკუთრება არსებობდეს თუნდ იურიდიულად, თუნდ ფაქტიურად, მეორე შემთხვევაში კი თუ იურიდიულად არა, ფაქტიურად ნაინც შესაძლებელია კერძო საკუთრება. ტაციტს აქ პირველი შემთხვევა აქვს აწერილი. აი რა მნიშვნელობა აქვს სიტყვას „ab universis“.

ერთის შეხედვით ამ დასკვნებს თითქოს აბათილებს ან ხელს უშლის სიტყვები: secundum dignationem — ღირსების მიხედვით. ამ სიტყვების გარშემოც დიდი დავაა<sup>2</sup>. როგორ უნდა გავიგოთ ეს „ღირსება“? მიწის ღირსება იგულისხმება აქ, თუ მიწის მიმღებთა ღირსება? თავისთავად ტექსტი ისეთია, რომ სრულიად თავისუფლად შეიძლება ისეც გავიგოთ და ასეც. პირველ შემთხვევაში (თუ ეს ტექსტი გავიგეთ როგორც მიწის ღირსება) უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს მთელი სახნავი მინდვრის სამ ნაწილად გაყოფასთან მიწის ღირსების მიხედვით, როგორც ეს იყო ზოგიერთ ტომში, მაგალითად, ანგლებსა და საქსებში. ამ შემთხვევაში თითოეულ მოსახლეს სამივე მინდორში ეძლეოდა თითო ნაჭერი მიწისა იმ ვარაუდით, რომ სამივე ნაკვეთი ერთად გამოსულიყო იმდენი, რამდენიც ერგება ამათუიმ მოსახლეს. შეიძლება, აქ ტაციტს ეს ჰქონდა მხედველობაში. თუ ეს ასეა, აქ სადაო არაფერია კერძო საკუთრების არსებობის ან არარსებობის თვალსაზრისით. ავიღოთ ახლა ამ ტექსტის მეორე შესაძლებელი გაგება (მოსახლეთ პირადი ღირსების მიხედვით). რასაკვირველია, აქ მხედველობაში მისაღებია ის, რომ გერმანიის მოსახლეობა ტაციტის დროს არ წარმოადგენდა ერთგვარ მასას. წოდების გარკვეული ჩანასახი უკვე არსებობდა: ნობილები, ლეტები, თავისუფლები. ისე, რომ, თუ ამ

<sup>1</sup> Dopsch, op. cit. გვ. 71.

<sup>2</sup> Петрушевский и, გვ. 144; Неусыхин, op. cit. გვ. 147; განსაკუთრებით კი

ტექსტში იგულისხმება მოსახლეობის სხვადასხვა წრეს შორის განსხვავების არსებობა, აქ ახალი და მოულოდნელი არ არის რა. მაგრამ ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ, მართალია, ნობილები ფაქტიურად შეძლებითაც და გავლენითაც სხვებზე მაღლა იდგნენ, მაგრამ არც იურიდიულად და არც ეკონომიურად ჩამოყალიბებულ და გაფორმებულ კლასს არ წარმოადგენდნენ. მაშ როგორ უნდა აეხსნათ ის, რომ მიწა პირადი წარჩინების მიხედვით ეძლეოდათ? აქ ჩვენ უნდა დავიხმაროთ ამ ტექსტის ერთი ადგილი, რომელზედაც აქამდის არ გვითქვამს რა: *pro numero cultorum*. მიწას იჭერდნენ *pro numero cultor*. რას ნიშნავს სიტყვა *cultorum*? ესეც საკამათოა. აქ იგულისხმება ან მოსახლეობის რიცხვი, ან მუშახელისა. არა მგონია პირველი გაგება სწორი იყოს, იმიტომ რომ საქმის გასარკვევად მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ეს თავისთავად იგულისხმება, თუ სხვა არაფერია ნათქვამი. რა საჭირო იყო ტაციტიუსს თავის იმის თქმა, რომ დასახლებულების რიცხვის მიხედვით იჭერდნენ მიწას, როდესაც უკვე ნათქვამია *ab universis*? ერთობლივ, საყოველთაოდ. სულ სხვაა მეორე გაგება: „მუშახელის რაოდენობის მიხედვით განაწილება“. აქ შრომის პრინციპია მხედველობაში მიღებული. ამასთან ეს ხსნის და გასაგებად ხდის იმასაც, რაც იგულისხმება სიტყვებში *secundum dignationem*. საქმე იმაშია, რომ თემის ზოგერთ წევრს, რომელიც უფრო წარჩინებული იყო და თარეშობას აწარმოებდა სხვა ტომებზე, ტყვეები ჰყავდა მოყვანილი მონებად. ეს მონები კარგ სამუშაო ძალას წარმოადგენდნენ, მაგრამ სათვალავში არ მიიღებოდნენ მიწის განაწილების დროს, რადგანაც თემის წევრები არ იყვნენ. აქედან ერთადერთი გამოსავალი ის იყო, რომ მათ ბატონს განეცხადებინა, რომ მის განკარგულებაში იმყოფება ამდენი და ამდენი მუშახელი მონების ჩათვლით, მაშინ, თანახმად საერთო წესისა, მისთვის მეტი მიწა უნდა მიეცათ. გამოდიოდა ისე, რომ საბოლოო ანგარიშში წარჩინებულნი, რადგანაც მონები სწორედ მათ ჰყავდათ, მეტ მიწას იღებდნენ ფაქტიურად, თუმცა იურიდიულად მათ ამის უფლება არ ჰქონდათ. ეს გარემოება არ ნიშნავს იმას, რომ თემის მთლიანობა და თანასწორობა უკვე დარღვეული ყოფილიყოს. აქ, პირიქით, დაცული იყო თავისებური „სამართლიანობა“, თავისებური „დემოკრატიზმი“. თემობის ადათებს არ ჰქონდათ ვათვალისწინებული მონების, როგორც მუშახელის, გამოყენება, რადგანაც მონების შრომის გამოყენება ახალი საქმე იყო და არც მასობრივი მოვლენა იყო. თითო თემში ერთ-ორ კაცს თუ ეყოლებოდა მონები, მეტს არა. დარჩა ამ ტექსტიდან ასახსნელი კიდევ ერთი სიტყვა: *invicem*<sup>1</sup>. დოპში ამ სიტყვას თარგმნის *gegenseitig*<sup>2</sup>, რუსულად გამოვა *взаимно* უდალცოვის რედაქციით გადათარგმნილ ტექსტში კი არის „поочередно“.

<sup>1</sup> ამ ტექსტის სადაო ადგილების შესახებ იხილეთ უდალცოვის რედაქციით ნათარგმნი ტაციტის „Germania“-ს შენიშვნებში. აქ მოცემულ განმარტებებს ჩემი განმარტებები უმეტეს შემთხვევაში ეთანხმება, მხოლოდ დამატებით მაქვს გამოთქმული რამდენიმე ისეთი მოსახრება, რომელიც ამ შენიშვნებში არ არის მოცემული, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მათ არ ეწინააღმდეგება. იხ. „Древние герм.“ Социализм 1937, გვ. 79.

<sup>2</sup> Dop sch, op. cit., გვ. 69, შენიშვნა მეხუთე (73).

თავისი თარგმნის სისწორის დასასაბუთებლად დოკში აღნიშნავს, რომ ტაციტიუსი სიტყვა ბევრგან აქვს ნახმარი და ყველგან სწორედ ამ აზრით. ეს მართლაც ასეა, მაგრამ დანარჩენ შემთხვევებს ეს აზრი უდგება, აქ კი არ უდგება. მაგალითად, მე-18 თავში საუბარია იმაზე, თუ რა საჩუქრებს აძლევს საქმრო თავის საცოლოს და რა საჩუქრებს აძლევს თავის მხრივ სამაგიეროდ (Invicem) საცოლო. ასეთივეა დანარჩენი მაგალითებიც, რომელთაც ემყარება დოკში. იმ ტექსტში, რომელსაც ჩვენ ვარჩევთ, ეს მნიშვნელობა სრულ უახრობას ჰქმნის. მოსახლეობა ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის. რაში უნდა იხატებოდეს აქ ერთიმეორისადმი სამაგიერობა? შესაძლოა, ოდნავ დაუახლოვდეს ამ აზრს ამ სიტყვის ის მნიშვნელობა, რომელიც მას აქვს მე-22 თავში. „De reconciliandis invicem inimicis (inimicitias). აქ საუბარი არის იმაზე, რომ ხალხი ერთმანეთს შორის (invicem) შუღლსა და მტრობას სპობდა.

ასევე ჩვენს შემთხვევაში. ხალხი ერთობლივად ერთი მეორის დახმარებით იჭერს მამულს. ის, რომ დაჭერისთანავე მაშინვე მამულის განაწილებაც ხდებოდა, ამტკიცებს, რომ აქ ერთგვარი რიგიც უნდა დაცულიყო. უკეთ იქნება, თუ აქ ამ სიტყვას ორივე მნიშვნელობით გადავთარგმნით: ერთობლივად რიგრიგობით. ყოველ შემთხვევაში ამ სიტყვის მნიშვნელობა პირდაპირ არ უარყოფს კერძო საკუთრების არსებობას, რაც უმთავრესად გვინტერესებს ჩვენ, პირიქით, ადასტურებს მთელი კოლექტივის ძალას და უფლებას, მის მონაწილეობას ისეთ დიდ საქმეში, როგორც იყო მიწის განაწილება, რაც მთლიანად დოკში ს კონცეფციის სიმტკიცეს მეტად სათუოდ ხდის.

### III

ამ ტექსტის გარჩევა გვარწმუნებს, რომ ის დასკვნა, რომელიც გამოჰყავთ მისი შესწავლის შედეგად დოკშს, პეტრუშევისკის და სხვებს კერძო საკუთრების შესახებ, მეტად ნაძალადევია. კამათის შესაძლებლობას, ან, უკეთ რომ ვთქვათ, საბაბს მათ აძლევს მხოლოდ ის გარემოება, რომ ტაციტიუსი პირდაპირ არ ამბობს: საკუთრება (proprium) არა აქვთო და სათემო მფლობელობა აქვთო, მაგრამ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ტაციტიუსი ანაირ თქმაში ჩვენსავით არ იყო დაინტერესებული. რომ დაინტერესებული ყოფილიყო, ამისათვის ის ან უნდა კერძო საკუთრების მოწინააღმდეგე ყოფილიყო და შესაფერისი პროპაგანდის მიზნით ეწერა, ან ამგვარი მიმართულების სასტიკი მტერი და უნდა მის წინააღმდეგ გალაშქრებულიყო. რაც შეეხება გერმანელთა ყოფაცხოვრებას, როგორც უკვე ზემოთ გვქონდა აღნიშნული, მათ არ შეიძლება ჰქონოდათ ისეთი გარკვეული ნორმები საკუთრების უარყოფისა, რომ, ზუსტი ტერმინოლოგიით და წესების ფორმულირებით, ერთბაშად გაეჭროთ მათი ცხოვრების მიმართ ყოველივე ეჭვი. არც კონსტიტუცია, არც სტატუტები და წესდებები არ ჰქონდათ მათ, ჰქონდათ მხოლოდ ადათი, რომელიც იცვლებოდა მიწის დამუშავების წესების, უნარიანობისა და შესაძლებლობათა ცვლასთან ერთად. ამ მხრივ კი უნდა აღინიშნოს, რომ გერმანელების ცხოვ-


რება საგრძნობლად ჩამორჩენილი იყო. ეს იყო მიზეზი, რომ ტ ა ც ი ტ ი ს დროსაც, როგორც მანამდისაც, მათ ადგილმამული არ ჰყოფნიდათ. მხოლოდ ამით აიხსნება დოკუმის სავსებით სწორი განმარტება იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ორ სიტყვას — arva და ager: arva — ხნულია და ager — ჯერ უხნავი მიწა<sup>1</sup>. ხნულებს რომ იცვლიან, მიწაორი კიდევ რჩება, რომელზედაც მერე უნდა დასახლდნენ.

მაგრამ ამგვარი სახნავცვლითი მეურნეობისათვის ყოველთვის არ არის მიწა საკმარისი. ამიტომ უკვე სოფლის ან თემის მთლიანობა ირღვევა და ზოგიერთი მოსახლე შორს სადმე ეძებს სახნავ მიწას და იქ სახლდება. ამგვარი მდგომარეობა უფრო გარკვევით ტ ა ც ი ტ ს აქვს აღნიშნული, ვიდრე ცეზარს. ამრიგად, ერთის შეხედვით, ტ ა ც ი ტ ი ს ნაწერში გამოდის დიდი წინააღმდეგობა. ერთი მხრით, სოფელი არსებობს, რომელიც ერთად იცვლის ადგილს, ერთად იქერს ახალ სახნავ მიწას, ერთად ინაწილებს მას გარკვეული წესით, მეორე მხრით კი, გერმანელების ცხოვრება გვეხატება გაფანტულად და განცალკევებით. „Ne pati quidem inter se junctas sedes. Colunt dispersi ac diversi, ut fons, ut campus, ut nemus placuit. Vicos locant non in nostrum morem connexis et coharentibus aedificiis: suumquisque domum spacio circumdat“<sup>2</sup>. რით უნდა აიხსნას ეს წინააღმდეგობა? რასაკვირველია, თემური მიწათმფლობელობის მოწინააღმდეგე ტ ა ც ი ტ ი ს ნაწერის ამ ადგილს გამოიყენებდნენ თავის სასარგებლოდ, მაგრამ ჯერ ვნახოთ, ტ ა ც ი ტ ი თვითონ რად ამბობს ერთ შემთხვევაში ერთს და მეორე შემთხვევაში კი მის საწინააღმდეგოს. ამის ასახსნელად მივიღოთ მხედველობაში, თუ საერთოდ რის შესახებ აქვს საუბარი თითოეულ შემთხვევაში და რა კონტექსტში იძლევა ამათუიმ ცნობას. სახნავი ადგილის კოლექტიურად ცვლის შესახებ ტ ა ც ი ტ ი ლაპარაკობს იქ, სადაც მას მიზნად აქვს მეურნეობის ფორმების დახასიათება, ხოლო, სადაც ეს მეორე ტექსტი აქვს მოყვანილი, იქ, როგორც ეტყობა, მას მიზნად დაუსახავს გერმანელი ხალხის ესთეტური გრძნობების დახასიათება, რამდენადაც იგი იხატება მათ ყოფაცხოვრებაში, და ამით ხსნის მრავალ ისეთ მოვლენას, რომელიც, ჩვენი შეხედულებით, ბევრად უფრო ღრმა მიზეზებით აიხსნება და არა იმით, რომ მათ უყვართ ცალკალკე დასახლება, ქალაქებში ცხოვრება არ უყვართ და ცდილობენ ბუნების წიაღში ცხოვრებას, ვისაც რა ბუნება მოსწონს: წყაროს მახლობლად თუ ქალაში, თუ მიწაორში. როგორ უნდა აიხსნას ის წინააღმდეგობა, რომელიც არის ამ ორ ტექსტში? ჩვენც ხომ მართო ესთეტური გრძნობით ვერ ავხსნით ამას? თუ მივაქცევთ ყურადღებას იმას, რომ ცეზარს ასე გარკვევით არსად არა აქვს არაფერი ასე ცალკალკე გაფანტული მოსახლეობის შესახებ, ეტყობა, ეს შემდეგი დროის მოვლენა ყოფილა, ახალი მოვლენა, რომელიც შემდეგ უნდა თანდათან განვითარებულიყო. თუ ამ აზრს დავადექით, გამოვა, რომ ტ ა ც ი ტ ი ს დროსაც სამეურნეო ცხოვ-

<sup>1</sup> Dopsch. op. cit., S. 73, იხ. აგრეთვე Нейсыхин, op. cit., 98. რომ ეს სიტყვები კ. მარქსს უფრო ბევრად ადრე ჰქონდა განმარტებული, ამის შესახებ იხ. ჩემი „სალიკური კანონი“.

<sup>2</sup> ტ ა ც ი ტ ი, Germania, თავი XVI.





რების ძირითადი ფორმა ყოფილა ერთიანი სოფელი, რომელზედაც მას, როგორც გვექონდა ნათქვამი, მე-26 თავში აქვს საუბარი, მხოლოდ შექმნილა ახალი, ჯერ კიდევ ნაკლებ გავრცელებული მოვლენა — გაფანტულად ცალკეულ ოჯახების დასახლება ტყეში, მინდორში და სხვ., ე. ი. წარმოშობა იმისა, რასაც რუსულად უწოდებენ „хуторское хозяйство“. მაქს ვებერი ამბობს<sup>1</sup>, რომ ჰუფის მფლობელთა ზევით შეიქმნა განსაკუთრებული მფლობელთა ფენი, რომელთა მიწის ნაკვეთებიც იმყოფებოდნენ საპუფო კავშირის გარეშე. მისი აზრით, გერმანიაში უძველეს დროიდანვე არსებობდა წესი, რომლის ძალითაც კერძო პირს უფლება ჰქონდა დაემუშაებინა და შეეღობა მის მიერ გაწმენდილი ადგილი. რასაკვირველია, თუ ეს ტყეში იქნებოდა, ტყის გაკაფვა მოუხდებოდა, თუ მინდორზე — ყამირის გატეხვა. წყაროების ტერმინოლოგიით ამას ეწოდება „Bifang“<sup>2</sup>, ქართულად — ახოს ალება ან ყამირის გატეხვა, რუსულად — „заимка“.

თუ მოვიგონეთ ის, რაც ნათქვამი იყო ზემოთ გერმანიაში არსებულ სახანაცვლითი სისტემის შესახებ, მაშინ ცხადი იქნება კავშირი ამ ორ ერთმანეთის საწინააღმდეგო სისტემას შორის. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მიწის განაწილების დროს წარჩინებულნი, რომელთაც მონები ჰყავდათ, მეტ მიწას მიიღებდნენ. მათ შორის არ შეიძლება ხანდახან არ გამოჩნდულიყვნენ ისეთნიც, რომელთაც იმდენი მონა ეყოლებოდათ, რომ იმათ წილად სახნავი მიწის მიცემა საერთო სასოფლო მინდორში ვერ მოხერხდებოდა. მაშინ მათ მიეცემოდათ უფლება, რომ მიწების საშუალებით ახალი მიწა გაეტეხათ სახნავად სოფლის გაუყოფელ მამულში. რაც დრო გადიოდა, იმდენად უფრო გამრავლდებოდა ამნაირი შემთხვევები. „ამგვარი ბიფანგების მოწყობა, — ამბობს მაქს ვებერი, — გულისხმობდა გარკვეულ მფლობელობას საქონლისას და მონებისას“<sup>3</sup>. ამას გარდა, იგივე მ. ვებერი ამბობს, რომ ამგვარი მიწა მის ამლებს ეკუთვნოდა, ვიდრე იგი მის დამუშავებას აწარმოებდა, ხოლო როდესაც მის დამუშავებას თავს დაანებებდა, ისევ მარკას ან სოფელს დაუბრუნდებოდა<sup>4</sup>. ცხადია, ამგვარი მფლობელობა უფრო ახლო იყო კერძო საკუთრებასთან, ვიდრე ჩვეულებრივი ჰუფი, თუმცა ჯერჯერობით არც ეს იყო სრული საკუთრება. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ კერძო საკუთრება სწორედ ამ ბიფანგიდან უნდა წარმოშობილიყო მომავალში. ძირითადად, უმთავრესად და უპირველესად ამ მამულებში უნდა წარმოშობილიყო აგრეთვე მსხვილი მეურნეობაც, მაგრამ არა ისეთი, როგორცაა უკვე ტაციტის დროს ნახულობენ დოპში და მისი მიმდევარი, როგორც ამას დავინახავთ შემდეგში. ამნაირად, თუ გერმანელების ყოფაცხოვრება განვიხილეთ სინამდვილესთან რაც შეიძლება მეტის დაახლოებით, როგორც მოძრაობაში და

<sup>1</sup> М. Вебер. Ист. хозяйства, гл. 23.

<sup>2</sup> ამის შესახებ იხ. ჩემი „სალიკური კანონი“, სადაც ეს საკითხი უფრო დაწვრილებით არის განმარტებული და Bifang-ის შესახებ პირველ წყაროდანაც არის ამონაწერი. თ. ს. უ. შრომები, VI, გვ. 78.

<sup>3</sup> М. Вебер. იქვე.

<sup>4</sup> ibidem.

განვითარების პროცესში მყოფი, რომელშიც ვხედავთ ძველ წარმავალ სტრუქტურასაც, ძირითად ფორმებსაც, რომელსაც ჯერ კიდევ საზოგადოება ეყრდნობოდა, ახალსაც, რომელიც ძველის საშოდან არის წარმოშობილი, მაგრამ მისი მოწინააღმდეგეა, როგორც მომავალი ცხოვრების საფუძველი, მაშინ წინააღმდეგობაში არ ჩაიფლებით და ურთულესი და უაღრესად სხვადასხვაგვარი მოვლენების ახსნა გავგვიადვილდება.

უკვე გარჩეული ტექსტებიდან აშკარა ხდება, რომ გერმანელების ნომადობა და თუნდაც ნახევრადნომადობა, თუნდაც იმ შენიშვნებით მკვიდრი ბინადარი მიწათმოქმედების შესახებ, რომელსაც, თანახმად ნეუსიხინის ცნობისა<sup>1</sup>, იცავდნენ მაიციენი<sup>2</sup> და ვიტიხი<sup>3</sup>, შორეული წარსულის მოვლენაა. ცეზარისა და ტაციტის დროს ძირეული და გაბატონებული ფორმა მოსახლეობისა, რომელთანაც დაკავშირებულია სახნავცლითი<sup>4</sup> მეურნეობა, არის ის, რომლის სქემასაც და ნასახსაც იძლევა მაქს ვებერი. რაც შეეხება ბიფანგს, როგორც უკვე ვთქვით, იგი ახალი მოვლენაა, რომელიც თანდათან სპობს სახნავცლით მეურნეობას და მასთან დაკავშირებულ იურიდიულ ნორმებს და ყოფაცხოვრების ფორმებს, თუმცა თვითონ მის ნიადაგზეა წარმოშობილი. ხოლო გერმანელთა სახნავცვლის სისტემასთან, როგორც ძირითადთან, დაკავშირებულია სათემო და არა კერძო საკუთრება, კერძო საკუთრება კი წარმოშობის პროცესში იმყოფება საბიფანგო სისტემის ზეგავლენით.

ეს ორი ერთმანეთთან გენეტურად დაკავშირებული და ამავე დროს ერთმანეთის საწინააღმდეგო და უარყოფელი სისტემა, განსხვავდება აგრეთვე მეურნეობის ინტენსივობისა და ნაყოფიერების მხრივ. ტაციტის მოწმობით, გერმანიის სასოფლო მეურნეობაში გაბატონებული იყო მეტად ჩამორჩენილი, დაბალი კულტურა. „nec enim cum ubertate et amplitudine soli labore contendunt, ut pomaria conserant et prata separent et hortos rigent: sola terrae seges imperatur“<sup>5</sup> („არც ხელოვნური გააბატონება ნიადაგისა, არც ბაღების გაშენება, არც საბაღახოს შემოღობვა არ იციან. მიწისაგან ისინი მოელაიან მხოლოდ იმას, რაც დაუთესიათ“). ამაზე მკაფიო დახასიათება ექსტენსიური მეურნეობისა ძნელია. რისი ბრალიც უნდა იყოს—იმის, რომ ბუნება ხელს არ უწყობს მაღალი ტიპის მეურნეობას, როგორც სამხრეთ ქვეყნებში, თუ იმის, რომ გერმანელებს ამ დროს დიდი მოთხოვნილებები არ ჰქონდათ—სულერთია, ფაქტი ფაქტად რჩება და მეტად მკაფიოდ ახასიათებს საწარმოო ძალების განვითარების დონეს გერმანიაში. რასაკვირველია, ესეც მეურნეობის ძირითად ფორმებს ეხება. რაც შეეხება იმ იშვიათ ფორმებს, რომელშიც მონური შრომა გამოყენებული, მეტადრე როდესაც ამასთან დაკავშირებულია

<sup>1</sup> Heussyhin, op. cit., გვ. 110.

<sup>2</sup> Meitzen, 'Siedelung und Agrarwesen, 1855.

<sup>3</sup> Wittich, Die wirtschaftliche Kultur der Deutschen zur Zeit Cäsars-Hist. Zeitschr. 1897, I 64—65. Heussyhin, იქვე.

<sup>4</sup> Макс Вебер. op. cit. 18—19. შედ. Bifangrecht, Dopsch, op. cit., I. 376.

<sup>5</sup> Tacitus, Germania, თ XXVI.

საბიფანგო სისტემა, აქ მეურნეობის კულტურული დონეც შედარებით მაღლა იდგებოდა, მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს განსხვავება ჯერ იქამდის ნაკლები იყო, რომ ტ ა ც ი ტ ს პირდაპირ და საგანგებოდ ეს არ აღუნიშნავს, თუმცა ამგვარი ხასიათის არაპირდაპირი ცნობები შეიძლება მოინახოს აქაიქ. ამის მაჩვენებელია, მაგალითად, ის, რომ ტ ა ც ი ტ ი ს ცნობით, მონები, რომელნიც რომაული კოლონებივით მიწაზე იყვნენ დასახლებული და თავთავის წვრილ მეურნეობას აწარმოებდნენ, ვალდებული იყვნენ ბეგარა ანუ ღალა გადაეხადათ თავისი ბატონისათვის. *Frumenti modum dominus aut pecoris aut vestis ut colono injungit*<sup>1</sup>.

რასაკვირველია, ამნაირი დაბევრილი მეურნეობა არ შეიძლება უფრო მაღლა არ მდგარიყო, ვიდრე ჩვეულებრივი გერმანელის წვრილი მეურნეობა. თუმცა ჯერ მაღლა არც ეს მეურნეობა იდგა, მაგრამ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მარტო იმასაც კი, რომ ამ მამულზე მუშაობდა ჯანდონით სავსე ვაჟკაცი, ომში ტყვედ წაყვანილი მონა. ამათ არ შეეძლოთ გერმანელთა საერთო ჩვეულებისამებრ თავის მეურნეობას უფულოდ მოჰკიდებოდნენ. ისინი იძულებული იყვნენ მთელი ძალდონე ჩაეღიათ და კარგად მოეხნათ, კარგად ეზრუნათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ბატონი არ აპატიებდა, თავისას მაინც წაიღებდა, თვითონ მონას კი არა დარჩებოდა რა. ეს იყო პირველი ფორმა სამუშაო ძალის ძალადობით გამოყენებისა. ტექსტებიდან პირდაპირ არ ჩანს, რა გაუმჯობესება უნდა ყოფილიყო შეტანილი ამ მეურნეობაში, მაგრამ ტ ა ც ი ტ ი ს გამოთქმებში მეტად გარკვევით გამოსჭვივის განსხვავება ჩვეულებრივ, ძირითად მეურნეობასა და მონურ მეურნეობას შორის. *Nec arare terram aut expectare annum tam facile persuaseris quam vocare hostes et vulnera mereri*<sup>2</sup>, — ამბობს ტ ა ც ი ტ ი ჩვეულებრივ თავისუფალი გერმანელის შესახებ, რომ მიწა დაამუშაოს და მთელი წელიწადი ელოდოს მოსავალს, ამაზე ვერ დაიყოლიებ ისე ადვილად, როგორც იმაზე, რომ მტერს შეებრძოლოს და ჭრილობები მიიღოს. ან კიდევ: *pigrum quin immo et iners videtur sudore adquirere, quod possis sanguine parare*<sup>3</sup>, — სიზარმაცის და სულით დაცემულობის ნიშანია, რომ ადამიანმა ოფლით მოიპოოს ის, რის მოპოებაც სისხლით შეიძლებაო. მეტად დაჟინებით იმეორებს ტ ა ც ი ტ ი ამგვარ სიტყვებს და მეტად მკაფიო ფერებით ახასიათებს გერმანელის ცხოვრების ამ მხარეს. მას ისიც კი აქვს აწერილი, თუ როგორ უსაქმურობაში ატარებდა გერმანელი თავის ცხოვრებას, როდესაც ომში არ იყო: თუ ნადირობენ — კიდევ კარგი, თორემ უფრო ხშირად სძინავთ, სჭამენ, ლოთობენ და ლოთობაში ჩხუბიც ხშირია, კოჭის თამაშსაც მისდევენ, რომლის დროსაც ისეთ აზარტში შედიან, რომ თავის თავსაც კი ავირავებენ. *Quotiens bella non ineunt, non multum venatibus, plus per otium transigunt dediti somno ciboque, fortissimus quisque et bellicosissimus nihil agens*<sup>4</sup>. შემდეგ: *Diem noctemque continuare potando*

<sup>1</sup> Tacitus, თავი XXV.

<sup>2</sup> Ibid., თ. XIV.

<sup>3</sup> Ibid.

<sup>4</sup> Ibid., თ. XV.

nulli probrum, ut inter vinolentos, rixae raro conviciis saepius caede et vulneribus transiguntur<sup>1</sup> და სხვ.

კოკის თამაშის შესახებ: aleam, quod mirere, sobrii inter seria exercent. tanta lucrandi perdendique temeritate, ut cum omnia defecerunt, extremo ac novissimo jactu de libertate ac de corpore contendunt<sup>2</sup>. თუმცა ეს შენიშვნები პირდაპირ არ ეხება გერმანელების მეურნეობას, მაგრამ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ როგორც გერმანელების მეურნეობის, ისე საერთოდ მათი კულტურული განვითარების დონის დახასიათებისათვის, მით უმეტეს, რომ ამ შენიშვნებში ტაციტი ამჟღავნებს განსაკუთრებულ უნარს დაკვირვებისას და ლიტერატურულ ნიჭს. ჩვენი დროის მწერალს რომ ჰქონდეს ამგვარი შენიშვნები, თუმცა მაინც საქმებურად ჩაეთვლებოდა, მაგრამ არ გაგვიკვირდებოდა, ვინაიდან დღეს პირველყოფილი და განვითარების ბარბაროსულ სტადიაში მყოფი ხალხის ისტორიაც, საზოგადოებრივი ცხოვრებაც და ფსიქოლოგიაც საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. ტაციტის დროს კი ეს ასე არ იყო. ამიტომაც, რომ განსაკუთრებით უნდა დაფასდეს ის მიღწევა, რომელიც მისცა ტაციტმა მეცნიერებას აქ მოყვანილი შენიშვნების სახით. ტაციტი მიმხვდარა, რომ კულტურის დაბალ დონეზე მდგომ ადამიანს ეძნელება სისტემატური, გამოზომილი, ზუსტად განაწილებული დროის მიხედვით მუშაობა, რომელსაც მოითხოვს კულტურული ცხოვრების პირობები, თუმცა იგი საბოლოო ანგარიშში უფრო უკეთესად ინახავს ადამიანის სიცოცხლეს და შრომის უნარიანობას და ნაკლებ ძალღონის დახარჯვას და ნერვ-კუნთების დაძაბულობას მოითხოვს. შრომის რაციონალური განაწილება, ძალღონის დაზოგვა, რაციონალური დასვენება და რაციონალური მუშაობა აუტანელია დაბალ კულტურულ დონეზე მდგომ ადამიანისათვის; იგი იწვევს მის ფიზიკურ გადაშენებას, ძალღონის გამოფიტვას. მას უფრო ეადვილება რამდენიმე დროის განმავლობაში განუწყვეტლივ იტანდეს დიდ ფიზიკურ ტანჯვას: შიმშილს, წყურვილს, სიცხეს, სიცივეს, ჭრილობებს, ოღონდ შემდეგ, თუ ცოცხალი დარჩა, ასევე შეუწყვეტლივ რაც შეიძლება მეტ ხანს სრულიად უსაქმურად ატარებდეს დროს უზომო ჭამამაში, ლოთობაში, ყოველგვარ გართობაში. ეს შეუნიშნავს ტაციტს და იგი გაკვირებულია, თუ რათ არის ეს ასე. „უცნაურია“, ამბობს იგი, რომ ერთსადაიმავე ადამიანს ასე უყვარს უმოქმედობა (sic ament inertiam) და ასე სძულს მშვიდობიანობა (sic oderint quietem)<sup>3</sup>. ასეთი მდგომარეობის არა ერთი მაგალითი ვიცით ისტორიიდან. საკმარისია თუნდაც დავასახელოთ ამერიკის ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობა, როდესაც ევროპელებმა დაიწყეს მათი დაპყრობა და პლანტაციებში იძულებით ამუშავებდნენ. ალბათ სწორედ იმიტომ, რომ ტაციტის ნაწერის ამ ადგილებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანელების ცხოვრების სინამდვილის დახასიათებისათვის, კერძო საკუთრების არსებობის მომხრე და თემური წესწყობილ-

<sup>1</sup> Tacitus, თ. XXII.

<sup>2</sup> Ibid., თ. XXIV.

<sup>3</sup> Ibid., თ. XV

ზის არსებობის უარყოფელი მეცნიერნი ცდილობენ ამ ადგილების შთაბეჭდილების ვაჭარწყლებას და თავისი თეორიის სასარგებლოდ გამოყენებას. აკად. პეტრუშევსკი და ნეუსიხინი ამტკიცებენ, რომ ყველა ეს ადგილი ტაციტის თხზულებაში გულისხმობს წარჩინებულებს (ნობილებს) და მათი რაზმების წევრებს და არა ჩვეულებრივ თავისუფალ გერმანელებს. „უბრალო გერმანელები ოფლით შოულობდნენ სარჩოს“, — ამბობს აკად. პეტრუშევსკი და ტაციტის მიერ მოცემულ სურათს გერმანელების ცხოვრებისას „საბანაკო ცხოვრებას“ უწოდებს<sup>1</sup>. ნეუსიხინიც იზიარებს საერთოდ აკად. პეტრუშევსკის აზრს და უკიდურესობამდის მიდის. ის, როგორც ჩანს, ფიქრობს რომ სახალხო კრებებზე თავმოყრილი გერმანელებიც რაზმის წევრები იყვნენ და არა ჩვეულებრივი თავისუფალნი<sup>2</sup>. შევჩერდეთ ცოტა ხნით ჯერ ამ უკანასკნელზე. კარგად ვიცით, რომ იმ ხალხს, რომელიც სახალხო კრებაზე იკრიბებოდა, ტაციტი უწოდებს პლებსს. ამას აკად. პეტრუშევსკიც აქცევს ყურადღებას. *De minoribus rebus principes consultant, de maioribus omnes, ita tamen, ut ea quoque, quorum penes plebem arbitrium est, apud principes pertractentur*<sup>3</sup>. ეს omnes (ყველანი), plebes (პლებსი) ვინ არიან, თუ არა თავისუფალ გერმანელთა მასა და არა მხოლოდ მათ შორის გამორჩეული მხედრობა? არასოდეს ამათ ამ სიტყვებით არ მოიხსენიებდა ტაციტი, მხოლოდ დაწინაურებული წრე რომ ჰყოლოდა მხედველობაში. ეს საკლებით უდაოა. მერე როგორ იკრიბებიან ისინი? შეიარაღებულები (*considunt armati*), ისე, როგორც ნადიმზედაც მოდიან და საზოგადოდ ყოველსავე მნიშვნელოვან საქმეზე. მაშასადამე, მთელი მასა შეიარაღებულია კრებებზე და იარაღით ჰხატავს თავის თანხმობას ამათუიმ გამოთქმულ აზრისადმი. *Si displicuit sententia, fremitu aspernantur, sin placuit, frameas concutiant*<sup>4</sup>.

თანხმობის გამოცხადების ამგვარი საშუალება აკად. პეტრუშევსკის იმის ნიშნად მიაჩნია, რომ სახალხო კრებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია, ტაციტი კი სულ სხვას გვეუბნება: ის ამბობს, რომ თანხმობის გამოცხადება იარაღის ჩხარუნით ყველაზე უფრო საპატიო საშუალებად ითვლებოდა (*honoratissimus assensus genus est armis laudare*)<sup>5</sup>. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. იარაღი რეალური ძალაა და იარაღით გამოხატვა თანხმობისა იმას ნიშნავს, რომ რეალური ძალა მის მხარეზეა. კენჭის ყრა ან ხელის აწევა საკითხების გადაწყვეტის დროს მაშინ ჯერ არ იცოდნენ. მაშასადამე, გამოდის, რომ გარკვეული ზღვარი რაზმის წევრებსა და თავისუფალ გერმანელთა მასას შორის არ არსებობდა. თვით ეს მასა წარმოადგენდა შეიარაღებულ ძალას, შეიარაღებულ ხალხს. თვით ტაციტის მიერ აწერილი ომები „გერმანიაში“ „ანალებში“, თუ „ისტორიაში“, ისე, როგორც სხვა ავტორებისაც, ამტკიცებენ, რომ იმ დროს, რომელზედაც ჩვენ გვაქვს საუბარი, ომში მთელი შეიარაღებუ-

<sup>1</sup> Петрушевский, *op. cit.*, გვ. 147.

<sup>2</sup> Неусыхин, *იქვე*, გვ. 168, ტექსტი და შენ.

<sup>3</sup> Tacitus, *იქვე*, C. XI.

<sup>4</sup> *Ibid.*

<sup>5</sup> *Ibid.*

ლი ხალხი გამოდიოდა. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ხალხიდან ომს არავინ აკლდებოდა. მაშინ ხომ მუდმივი არმია არ იყო, არც მეომართა აღრიცხვის წესები არსებობდა, არც სავალდებულო სამხედრო ბეგარა. მოდიოდნენ ნებაყოფლობით: ვისაც გული და მკლავი ერჩოდა, ვინც ამ ომიდან რაიმე ნივთიერ სარგებლობას მოელოდა, ვისაც სახლში არაფერი არ აბრკოლებდა. დანარჩენთ შეეძლოთ არც გამოსულიყვნენ და ამისათვის პასუხს არ აგებდნენ. ფაქტიურად კი ცხოვრება ისე იყო მოწყობილი, რომ უმრავლესობას ეს ომები ამათუიმ მიზეზით იზიდავდნენ და თავისუფალი გერმანელები en masse მაინც მიდიოდნენ ომში. მშვიდობიანობის დროსაც მათი გარკვეული ნაწილი რომელიმე ნობილის რაზმში იყო, მაგრამ ეს რაზმიც თავისი შემადგენლობით არ იყო მუდმივი; იგი ცვალებადი, მოძრავი, დენადი იყო. ერთნი მიდიოდნენ, მეორენი მოდიოდნენ, ზოგნი ერთი რაზმიდან მეორეში გადადიოდნენ. ეს კია, რომ მათი რეზერვი მაინც თავისუფალ გერმანელთა მასა იყო. რაზმსა და ამ მასას შორის არ არსებობდა არავითარი ზღუდე: არც ნივთიერი, არც იურიდიული. მაშასადამე, ტაციტის სიტყვები ოფლით მონაგარის და სისხლით მონაგარის შესახებ, აგრეთვე უსაქმურობის და უხეში გართობების შესახებ თანაბრად ეხება ყველა თავისუფალ გერმანელს და არა მხოლოდ რაზმების წევრებს. მართალია, ამ უკანასკნელებს შორის ზოგიერთი უკვე პროფესიონალია და ოჯახს და მეურნეობას, შესაძლოა, არასოდეს არ უბრუნდება, მაგრამ ასეთი ჯერჯერობით არ არის ბევრი, და ვინ მეტ ხანს დაარჩება რაზმში და ვინ ნაკლებ ხანს, ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს და არც სათვალავშია ჩასაგდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ უნდა დაფიქრდეთ იმ საკითხს, რომელიც თავიდან დავსვით: როგორი იყო მათი მეურნეობა და რით განსხვავდებოდა ნობილების და არანობილების, ინგენუების მეურნეობა ერთი მეორისაგან? რამდენად მართლდება აკად. პეტრუ შევსკის თავისუფალ გერმანელ მასაზე ნათქვამი: „в поте лица своего добывали хлеб свой“, არა მარტო ნობილებისაგან, არამედ რაზმის წევრებისაგანაც განსხვავებით? ჩვენ სწორედ მათ შორის განსხვავება უარყავით. მაგრამ ამ კითხვაზე მაინც პასუხია საჭირო. თუ თავისთავად გერმანელთა მასა არაფერს არ აკეთებდა, მაშ რით ცხოვრობდა, რით ირჩენდა თავს მათი ცოლშვილი, რა აძლევდა საშუალებას, რომ მშვიდობიანობის დროს უნაყოფო გართობაში ეტარებინათ დრო?

ამაზე ტაციტი ორჯერ გვადლევს პასუხს: ერთი პასუხი ეხება ნობილებს, ხოლო მეორე დანარჩენ გერმანელებს. პირველ შემთხვევაში ის ამბობს, რომ მონების გადასახდისაგან შემდგარი შემოსავლის გარდა, მონების ბატონებს ეძლევათ ის, რასაც მათ მიწაზე მოსავალს მიიღებენ ქალები და ბავშვები (cetera domus officia uxor ac liberi exsequuntur).

თუმცა ტაციტი პირდაპირ არ ამბობს, რომ ეს სიტყვები სწორედ მხოლოდ ნობილებს ეხებათ, მაგრამ ეს თავისთავად ცხადი იქნება, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ იმდენი მონა, რამდენიც საჭირო იყო იმისათვის, რომ მამაკაცებს არ ემუშავნათ და ოჯახიც უზრუნველყოფილი ყოფილიყო, შეიძლება ჰყოლოდა მხოლოდ ნობილს. ბავშვებისა და ქალების შრომა ბევრს ვე-

რას მისცემდა ოჯახს და მონების გადასახადები იყო მთავარი სარჩო. ნობილები კი ომის ნადავლით ცხოვრობდნენ და არავითარ შემთხვევაში არც ახალგაზრდობისას, არც სიბერეში მეურნეობას არ ჰკიდებდნენ ხელს. ასეთ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო მხოლოდ ნობილების მეტად პატარა ფენა, სრულიად მცირე რიცხვი. ესენი მართლაც გამოყოფილი იყვნენ თავისი ნივთიერი მდგომარეობით თავისუფალთა მასიდან, თუმცა, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ჯერ ეკონომიურად და იურიდიულად არ იყო მათი უპირატესობა ჩამოყალიბებული და გაფორმებული. სწორედ ესენი ჰყავს მხედველობაში ტაციტს, როდესაც ამბობს, რომ წარჩინებულება და მამაპაპათა დამსახურება ახალგაზრდებსაც კი აწინაურებს (*insignis nobilitas aut patrum merita principis dignationem etiam adulescentulis adsignant*)<sup>1</sup>.

ამას ტაციტი არ ამბობს და არც იტყოდა რაზმის ყოველ წევრზე, არამედ მხოლოდ რაზმის მეთაურებზე, ნობილებზე.

ვნახოთ ახლა, რას ლაპარაკობს ტაციტი თავისუფალ გერმანელთა მსების (რაზმის წევრების შიგ ჩათვლით) მეურნეობაზე. მათზე ის ისე კატეგორიული კილოთი არ ლაპარაკობს, როგორც ნობილებზე და მათ მეურნეობაზე. მათ ოჯახზე ზრუნვა, მინდორში მუშაობა დავალებული ჰქონიათ ქალებს, მოხუცებულებს და იმათ, ვინც უფრო სუსტია ოჯახში. „*Agrosum cura feminis senibusque et infirmissimo cuique ex familia*“<sup>2</sup>. რით არის გამოწვეული ეს განსხვავება? ორივე შემთხვევაში საუბარია მეურნეობაზე, ორივე შემთხვევაში დასმულია საკითხი მეურნეობაში მუშახელის ვინაობის შესახებ და პასუხი კი ერთნაირი არ არის. ყოვლად შეუძლებელია ეს განსხვავება შემთხვევითი იყოს და არა შეგნებულად შეტანილი ავტორის მიერ. განსხვავება კი რაშია? ნობილის, ან (თუნდაც ასე ვთქვათ) მონათმფლობელის მამულში, გარდა მონებისა, მუშაობენ ქალები და ბავშვები, ხოლო უბირი თავისუფალი გერმანელის მამულში კი ქალები, მოხუცი და უსუსტესნი. ვინ არიან ეს უსუსტესნი? ძალღონით სავსე ვაჟკაცები არ მუშაობენ, ეს უდაოა, მოხუცები და ქალები საგანგებოდ არიან მოხსენებული. ვილა დარჩა? ბავშვები. მაგრამ ამ შემთხვევაში მათ არ ასახელებს ავტორი, მაშინ როდესაც პირველ შემთხვევაში ასახელებს. ალბათ ესენი უსუსტესების რიცხვში შედიან, მაგრამ მათ შემადგენლობას არ ამოსწურავენ. ვინ დარჩა კიდევ? ინვალიდები; მაგრამ ესენი ისე ბევრნი არ არიან, რომ მათზე ცალკე ღირდეს ლაპარაკი. დავგრჩა ერთი მოსაზრება, რომელიც ახსნის ამ გაუგებარ ადგილს. ქაბუქობისა და მომწიფების პერიოდში ყოველი გერმანელი ომს და ასპარეზობას ეტანებოდა, ხოლო სისხლი რომ დადუღდებოდა, ცხენის ჯირითისა და იარაღის ქნევის ხალისი გაქრებოდა და აღარც გული და აღარც მკლავი ერჩოდა საომრად, მაშინ იგი უბრუნდებოდა თავის მეურნეობას და მუშაობდა. ნობილი ამას ვერ იზამდა, ის პროფესიონალი მეომარი იყო. მას ხელქვეითი რაზმის წევრები ჰყავდა. ის სიბერეშიც საჭირო იყო რაზმისათვის, რადგანაც მისი სამხედრო გამოცდილება ყოველთვის გაუწევდა მას სამსახურს.

<sup>1</sup> Tacitus, op. cit., c. XIII.

<sup>2</sup> Ibid., c. XV.





დავივიწყოთ, რომ ტაციტის ეპოქას და *dons gratuits*-ის ეპოქას შორის ისტორიამ იცის ხალხის დიდი ბრძოლები ხელისუფლების წინააღმდეგ სწორედ სავალდებულო გადასახადების დაწესების გამო. მოვიგონოთ ხილბერიხის მეფობაში მომხდარი აჯანყება გადასახადების წინააღმდეგ, რომლის შედეგად საგადასახადო სიები დასწვეს. ბოლოსდაბოლოს მაინც შემოიღეს სავალდებულო გადასახადები. აი რა ბრძოლების შემდეგ გადაიქცა ნებაყოფლობითი გადასახადები სავალდებულო გადასახადებად.

თეოდორიხის მეფობა ოსტგუთებში და მისი საგადასახადო სისტემა აგრეთვე მოწმობს იმას, რომ გერმანელები იმ ხანებშიც კი, არა თუ ტაციტის დროს, არ იხდიდნენ გადასახადებს. ხოლო ძღვენის მირთმევის ჩვეულება ისეთია, რომ მისი პრაქტიკა იწყება ნებაყოფლობის პირობებში, როდესაც დაწინაურებული წრეები ჯერ მხოლოდ პირადი პატივისცემით სარგებლობენ თავისი დამსახურების გამო და მათი უფლება ჯერ არ არის გაფორმებული არც ეკონომიურად, არც იურიდიულად. ტაციტის დროის ნობილიტეტი, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, სწორედ ამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. აქაც იმავე მდგომარეობას ვხედავთ, რომელიც მეურნეობის ორგანიზაციაში ვნახეთ: ყოველი გარემოება ისეთი იყო, რომ მომავალში აუცილებლად ეს ნებაყოფლობითი გადასახადები სავალდებულო გადასახადებად უნდა გადაქცეულიყო, მაგრამ ჯერჯერობით ეს მდგომარეობა არ იყო. ამას გარდა, უნდა ითქვას ისიც, რომ თვით ტაციტი არ უვლის გვერდს სიჩუმით ამ საკითხს. მის მიერ ამ გადასახადების შესახებ ნათქვამ ფრაზაში არის ნიუანსი, რომელიც გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ ეს გადასახადი სწორედ ნებაყოფლობითი იყო. აი მისი სიტყვები: „*Mos est civitatibus ultro ac viritim conferre principibus armentorum vel frugum, quod pro honore acceptum etiam necessitatibus subvenit*“. ეს „*ultro*“ და „*viritim*“, გვაძლევს უფლებას ვიფიქროთ, რომ ეს გადასახადები მართლაც სინამდვილეშიც ნებაყოფლობითი იყო და, თუ აქ რაიმე იძულების მომენტი იყო, ჯერჯერობით მხოლოდ მორალური. ეს ნიშნავს, რომ ამ გადასახადებს მისი მიმღები ვერ მოსთხოვდა ვერავის, ამისი უფლება მას სრულებით არ ჰქონდა, მაგრამ, რადგანაც თემის წევრს არ უნდოდა საზოგადოებიდან ყოფილიყო გამოთიშული და, შესაძლოა, თარეშის დროს რაზმში მონაწილეობაც მოსურვებოდა (ამას კი ნადავლის განაწილებაში მონაწილეობა მოსდევდა), ისიც ცდილობდა სხვებს არ ჩამორჩენოდა და საზოგადოებაში ყველას მიერ პატივცემული პირების მიმართ თვითონაც პატივისცემაში სხვაზე უკან არ დამდგარიყო. ამის შემდეგ სრულებით გაუგებარი ხდება, თუ რად ამბობს აკად. პეტრუშევიჩი, რომ „*мы не имеем данных судить о степени добровольности этих приношений*“<sup>1</sup>. ტაციტის ნაწერის ამ ადგილთან დაკავშირებით, ნეუსიხინი<sup>2</sup>, კ. მიულენჰოფის მიმბაძელობით, სხვა საკითხს სვამს: რა მიჰქონდათ ძღვნად მეთაურებისათვის გერმანელებს? რა არის ეს *fruges*? ნეუსიხინი, კ. მიულენჰოფთან ერთად, ამტკიცებს, რომ

<sup>1</sup> Петрушевский, *op. cit.*, გვ. 150.

<sup>2</sup> Неусыхин, *op. cit.*, 107. განსაკუთრებით შენიშვნა.



ეს მოსაკითხი იყო პური. მაგრამ თუ ეს ასეა, რატომ ანალოგიურ შემთხვევაში როდესაც მიწაზე დასახლებული მონების გადასახადზეა საუბარი, იქ ტაციტი პირდაპირ ამბობს *frumentum*? რად დასჭირდა პირველ შემთხვევაში სიტყვა *fruges*, რომელიც ჩვეულებრივ არ ნიშნავს ხორბალს? არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აქ ვიგულისხმოთ ხორბალი, არამედ ყოველგვარი ნაყოფი, თუნდაც ტყის ნაყოფის ჩათვლით.

მაგრამ რა შეიძლება კიდევ ყოფილიყო ტყის ხილის გარდა? სიტყვა *virritim*<sup>1</sup> ხომ იმას ამტკიცებს, რომ არა მარტო სხვადასხვა რაოდენობის, არამედ სხვადასხვა გვარის შეიძლება იყო ყოფილიყო ის ძღვენი, რომელიც მიჰქონდათ გერმანელებს თავისი მეთაურებისათვის. ვილკე თავის შრომაში ტაციტის დროის არქეოლოგიური ნაშთების შესახებ ამბობს, რომ ძველმა გერმანელებმა უკვე ლობიოსმაგვარი მცენარეულობა იცოდნენ<sup>2</sup>. რატომ არ შეიძლება, რომ იმ ნაყოფთა შორის, რომელსაც მეთაურები ღებულობდნენ, ყოფილიყო აგრეთვე ამაირი ნაყოფი: ცერცვი ან მუხუდო და სხვ.? მრავალი საბუთებით შეიძლება დამტკიცება იმისა, რომ ძღვნად ყოველთვის ისეთი ნაწარმოები მიჰქონდათ, რომელიც მასობრივი მოხმარების საგანი არ იყო. პური მონების პატრონებისათვის არ იყო ასეთი. კიდევ შესაძლებელია, რომ მოეტანათ გამოცხვარი პური, ხორბალი კი ძღვნად მისატანი საქონელი არ იყო. რომ სიტყვა „*fruges*“ შეიძლება ნიშნავდეს ხორბალს, ამის საბუთად ნეუსიხინს მოჰყავს ის, რომ გერმანელები ნაყოფს „ორმოში ინახავდნენ მტრის შემოსევის დროისათვის“<sup>3</sup>. რა შეიძლება იყოს ეს ნაყოფი (*fruges*) თუ არა პური, ფიქრობს

<sup>1</sup> ამ სიტყვას ზოგი მკვლევარი სულ სტოვებს. როგორც ჩანს, ვერ მოუწინავეთ საერთო ტექსტის შესაბამისი მნიშვნელობა, ზოგს კი ეს სიტყვა ესმის როგორც რუსული *поглобно* (კაცზე გადასახადი) სიტყვიდან „*vir*“ მამაკაცი. მაგრამ, ეს მნიშვნელობა კონტექსტს სრულიად არ უდგება. თუ ძღვენი ნებაყოფლობითი იყო (*ultro*), *поглобно* არ იქნებოდა, ხოლო, თუ ყოველ კაცზე იყო, მაშინ გაწერილი უნდა ყოფილიყო და ნებაყოფლობითი აღარ იქნებოდა მე ფიქრობ, რომ სიტყვა *virritim* წარმოებულია სიტყვისაგან *vis*—ძალა და არა *vir*. ამ სიტყვიდანაც ზმის ზედა იქნება სწორედ ასე: *virritim* (შეძლების მიხედვით) და მთელი ტექსტის მნიშვნელობასაც იგი საუკეთესოდ უდგება. ასე თარგმნის ამ სიტყვას მოდესტოვი.

<sup>2</sup> Wilke, *Archäologische Erläuterungen zur Germ. der Tacit.* S. 43.

<sup>3</sup> Нейс хин, იქვე, გვ. 107, ტექსტი. აქ ზედმეტი არ იქნება აღნიშნოთ შემდეგორმოში შენახვის ნაყოფისას, როგორც ტაციტი აღნიშნავს, კიდევ ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ნაყოფი სიცოცხლის გამო დაზერას გადაჩვენებოდა. რომ მიზნად მათ ესეც ჰქონდათ, ჩანს იქიდან, რომ ორმოს ზემოდან პატრის აყრიდნენ სითბოსათვის. ახლა დავსვათ საკითხი, რა ნაყოფს დასჭირდებოდა სიცოცხლესაგან დაცვა? რასაკვირველია, ამგვარი ნაყოფი, რომელიც სიცოცხლესაგან დამზრალი, აღარ ვარგა საჭმელად, არის ხილული: ვაშლი, მსხალი და სხვ. ხოლო რადგანაც გერმანელებს ბაღები არ ჰქონდათ, ეს ნაყოფი ტყეში მოგროვილი უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება ნიტიოსაგან გაფუჭებას, ნიტიოში ხომ ხორბალიც ფუჭდება: ომი ეკიდება, მაშასადამე, არც ისე ამაღლებებელია, როგორც ეჩვენება მიულენჰოფს და მასთან ერთად ნეუსიხინს, ის გარემოება, რომ ტაციტი გარეულ ხილს (*Agrestia poma*) ასახელებს, როგორც ჩვეულებრივ საჭმელს გერმანელებისას. შესაძლოა, სწორიც იყოს ის, რომ ეს საჭმელი პირველ ადგილს არ უნდა იყოს მოხსენებული, შესაძლებელია ისიც, რომ აქ რამდენიმედ გაზვიადებული იყოს ხილის ადგილი გერმანელის საჭმელთა შორის. ალბათ, ტაციტი აქ რომაელებს უჩვენებდა მაგალითს ჰამასში თავდაპირველობისას და მარტოებისას, რადგანაც რომის არისტოკრატია მეტად განაზებული და ფუფუნება-განცხრომას იყო მიჩვეული ამ მხრივ.

ნეუსიხინი. რასაკვირველია, პურიც ნაყოფია, როგორც მრავალი სხვა, მაგრამ პურის ნაცვლად ამ სიტყვის ხმარება არ შეიძლება და მას არც ხმარობს ტაციტი. შეიძლება, მხოლოდ მრავალ სხვა ნაყოფთა შორის პურიც ყოფილიყო. იმ დროს შემოსევები ჩვეულებრივ არ იყო ხანგრძლივი. შემოსეული ტომი მოაგროვებდა რაც ხელთ მოხვდებოდა და წავიდოდა. ასე მოკლე ხნით შენახვა ორმოში ყოველგვარი ნაყოფისა შეიძლება, ხილისაც კი, და არა მარტო ხორბლისა.

ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ აქ საუბარია ისეთ მეურნეობაზე, რომლისთვისაც პური არ არის ძირითადი შემოსავალი და რომელიც არ იყო დაბეგრული, მაგრამ არსებობს მეურნეობის მეორე სისტემა (საბიფანგო მონური მეურნეობა), რომლის ძირითადი შემოსავალი პურია და რომელიც დაბეგრულია. ეს მეორე სისტემა წარმოადგენს მომავალი ფეოდალური მეურნეობის უჯრედს. მათ ოჯახში საქმელად პურის ხმარებაც იქნებოდა შემოღებული, მაგრამ ეს მხოლოდ წვეთი იყო ზღვაში. გერმანელთა მასას პურის ხმარება საქმელად ნაკლებ ჰქონია შემოღებული, რაც, სხვათა შორის, მტკიცდება იმითიც, რომ მათ პურის გამოცხობა არ სცოდნიათ, რასაც მოწმობს ძველი დროის არქეოლოგიური ნაშთები. ამ აზრს იცავს ნეუსიხინიც. მის მიერ თავმოყრილ ცნობებიდან ჩანს, რომ გერმანელები ტაციტის დროს შორს არ უნდა ყოფილიყვნენ ამ მხრივ წასული იმ მდგომარეობიდან, როდესაც პურს ქვებით ხეხავდნენ და ასორსო ლავებულ გორგოლებს ნალვერდილში სწვავდნენ კარტოფილსავით<sup>1</sup>. მაშასადამე, არც დაფქვა სცოდნიათ, არც გამოცხობა. ცხადია, ამგვარი პური იმ დროს არ იქნებოდა ისე ფართო ხმარებაში, როგორც შემდეგში. ამგვარად, ყოფაცხოვრების მხრივ უბირი თავისუფალი კაცი და მონათმფლობელი ბევრად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ნობილის მეურნეობის ორგანიზაციაც ჯერ არ იყო სრულიად ახალი რამე, არ იყო ის, რასაც ფეოდალური მამული წარმოადგენდა. მისგან დამოკიდებული მიწის მუშა ხალხი ამისათვის ჯერ მცირე იყო, მონა სულ დიდი თითოეულ ნობილს რამდენიმე ათეული ჰყოლოდა. შესაძლოა, ამ დროს, როგორც ამბობს აკად. პეტრუშევსკი, უკვე არსებობდნენ დამოკიდებული, ნახევრადთავისუფალნი (ლიტები), მაგრამ მათი რიცხვი, ეტყობა, ყოველ შემთხვევაში უმნიშვნელო იყო, თორემ ტაციტი არაერთხელ მოიხსენიებდა მათ. რაც შეეხება თავისუფალ გერმანელებს, მათი ძღვენის ნებაყოფლობითი ხასიათი ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, დაეუმატოთ მხოლოდ ის, რომ ძღვენს ამგვარადვე უცხო ტომებიც უხდიდნენ რომელსამე გამოჩენილ მეთაურს, რათა მასთან მეგობრული კავშირი ჰქონოდათ და მისი დახმარების იმედი არ დაჰკარგოდათ, როდესაც გაქირვება დაადგებოდათ. ეს ტომიც ხომ ამ ნობილების ყმები არ იქნებოდნენ. „Expetunt enim legationibus et muneribus ornantur et ipsa plerumque fama bella

მაგრამ ეს არ გვაძლევს საბუთს, რომ მთელი მითითება ტაციტისა, მთელი მის მიერ აღნიშნული ფაქტი საესეებით მოვანილად ჩავთვალოთ, მით უმეტეს, რომ, როგორც ზემოთ მოყვანილმა მსჯელობამ დაგვარწმუნა, ამგვარი მოვლენები იმდროინდელ მდგომარეობას ძლიერ უდგება.

<sup>1</sup> Нeусыхин, იქვე, გვ. 108—109.

profligant“,—ამბობს ტაციტი<sup>1</sup>, მაგრამ ძღვენის მიტანა სხვა ტომების მიერ მარტო ელჩების მოლაპარაკებასთან და, ასე ვთქვათ, დიპლომატიურ ურთიერთობასთან არ იყო დაკავშირებული. აქ ტაციტი მოგვითხრობს იმ ძღვენების შესახებ, რომელსაც რაზმების მეთაურები ღებულობდნენ უცხო ტომებისაგან მთლიანად და მათ ცალკეულ წევრებისაგან. „ამგვარი ძღვენი განსაკუთრებით სასიამოვნოდ რჩებათ მეთაურებს“,—დასძენს ტაციტი<sup>2</sup>. აი, კიდევ ერთი საბუთი იმის შესახებ, რომ donum (ძღვენი) ამ შემთხვევაში ჯერ სრულიადაც არ ნიშნავს სავალდებულო გადასახადს. მართალია, უცხო ტომებისაგან სხვა სახისა ეს ძღვენი, ვიდრე საკუთარი ტომის წევრებისაგან<sup>3</sup>, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

მაშასადამე, ცხადი ხდება, რომ ნობილესათვის მონების შემოსავალი, შესაძლოა, საკმარისი ყოფილიყო ოჯახის გამოსაკვებად, მაგრამ რაზმის შესანახად, გამოსაკვებად და მისი წევრების დასასაჩუქრებლად კი ეს არაერთაა შემთხვევაში არ იქნებოდა საკმარისი. ამის სასწარს ნობილი შოულობდა ომისა და თარეშის საშუალებით (per bella et raptus). ნობილი, თუ იგი რაზმის მეთაური იყო, ვალდებული იყო რაზმის წევრისათვის მიეცა საომარი ცხენი და იარაღი; ამას გარდა, იგი ვალდებული იყო აგრეთვე რაზმის წევრი გამოეკვება. მართალია, რაზმის წევრების ჭამასმას ნადიმის ხასიათი ჰქონდა, თითქოს ომში გამარჯვებას ზეიმობნენო, მაგრამ ნადიმის, ასე ვთქვათ, მენიუ არ სტოვებს ეჭვს, რომ მისი დანიშნულება უმთავრესად ის იყო, რომ მეომრებს მაძღრისად ეჭამათ. ნადიმზე საქმელი არც თუ გემოვნებით შერჩეული ყოფილა, მაგრამ ღიდად უხვი კი ყოფილა, „რაც ჯამაგირის სამაგიერო იყო“,—დასძენს ტაციტი („Epulae quamquam incompti, largi tamen apparatus pro stipendio cedunt“)<sup>4</sup>.

ამგვარად, ომები და-თარეშობა რაზმის მეთაურისათვის გამდიდრებისა და რაზმის შენახვის საშუალება იყო, ხოლო რაზმის წევრისათვის არსებობის წყარო. ამიტომ ის გარემოება, რომ ახალგაზრდობა რაზმში ღებულობს მონაწილეობას და თარეშობს, უბირი, მაგრამ თავისუფალი გერმანელის მეურნეობის განტვირთვას ახდენს ზედმეტი მჭამელისაგან. უკეთეს შემთხვევაში ხომ შეიძლება სახლს რამეც შესძინოს, ნადავლიდან მიღებული. ამგვარად, თარეშობა და ნადავლის მოტანა, როგორც არსებობის ერთერთი წყაროთაგანი, ძირითადი მეურნეობის ერთგვარ დამატებად ჩაითვლება. ეს მდგომარეობა დროებითია, გარდამავალია, იმაზეა დამოკიდებული, რომ მეურნეობის ძველი წესი ხალხს ველარ ჰკვებავს, ხოლო ახალიც ჯერ არ დამყარებულა და აგრეთვე ვერ ჰკვებავს. მაგრამ გერმანიაში ეს „დროებითი“ მდგომარეობა ღიდახანს გაგრძელდა, საუკუნეები და არა წლები. საზოგადოდ მიღებულია ის დებულება, რომ პოლიტიკა „ქონდენსირებული ეკონომიკაა“. ამ შემთხვევაში კი უფრო მეტიც: პო-

<sup>1</sup> Tacitus, იქვე, თ. XIII.

<sup>2</sup> Tac., XV Gaudent precipue finitimarum gentium donis, quae non modo a singulis, sed et publice mittuntur.

<sup>3</sup> Ibidem. Electi aequi, magna arma phalerae torquesque jam et pecuniam... (რჩეული ცხენები, იარაღი და ფული).

<sup>4</sup> Tacitus, op. cit. c. XIV.

ლიტიკა თითქმის შერწყმულია ეკონომიკასთან, არა თუ მხოლოდ კონდენსირებული ეკონომიკაა, და როდესაც ამ ეპოქის ისტორიკოსები სამეურნეო ხასიათის ზოგიერთ მოვლენას ხსნიან „პერმანენტული საომარი მდგომარეობით“<sup>1</sup>, არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვით ეს პერმანენტული ომები ეკონომიკაა.

ახლა გადავიდეთ იმ საკითხზე, თუ რამდენად შესაძლოა ტაციტის დროის გერმანელებს ვუწოდოთ ნომადები. როგორც სხვა ძირეულ საკითხებში, ისე ამ საკითხში მსჯელობის დროს გადაჭარბებულ კატეგორიულობას აქვს ადგილი. ერთი მხარე კატეგორიულად აცხადებს—ტაციტის დროის გერმანელები ნომადები იყვნენო, ხოლო მეორე, პირიქით, ამბობს, რომ მკვიდრი ბინადარი მიწათმოქმედნი იყვნენ<sup>2</sup>. მხედველობაში არ არის მიღებული არც გარდამავალი მდგომარეობა და გარდამავლობის ხარისხი, არც ადგილის, ისტორიული მომენტისა და თვით მოსახლეობის სიმჭიდროვის ან თვისებების თავისებურება. არის შემთხვევები, როდესაც ისტორიული მოვლენების მიყენება ამათუიმ ფორმულასთან სინამდვილეს სწორად ასახავს და ნამდვილ ცოდნას იძლევა, მაგრამ უფრო ხშირად ეს ასე არ არის. ყოველივე მოვლენა უნდა იქნას შესწავლილი არა მარტო მის არსში, არამედ დინამიკურობაშიც. ნამდვილად ტიპურ, სრულყოფილ ნომადური ცხოვრების ფორმებს ისტორიაში უმთავრესად იძლევიან შუაზზის, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და ამერიკის ხალხები. ამ ხალხებზე დაკვირვებას იმ დასკვნამდე მიყვებართ, რომ ნომადებს სუსტად აქვთ განვითარებული ბუნების სტიქიონთან ბრძოლის უნარი. ამიტომ ნომადობა დაკავშირებულია ბუნების გარკვეულ პირობებთან. მისთვის, ჯერ ერთი, საჭიროა მეტად დიდი სივრცე ვაკე ადგილებისა. მთა მოძრაობას უშლის ხელს<sup>3</sup>. შემდეგ მისთვის საჭიროა შედარებით მშრალი, უქაობო, კარგი ბალახიანი ადგილები. ამ პირობებში ნომადები მუდამ თავისი ჯოგების დასაცავად არიან მზად ყოველ შემთხვევისათვის, მზად არიან აგრეთვე ასაყრელად და გასაქცევად, თუ დამარცხდებიან. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ მუდამ შეტაკებები აქვთ სხვა ტომებთან. ადგილების ცვლის დროს ისინი ნომადებს ხვდებიან, მაგრამ ეს შეიძლება საუკუნეში ერთხელ მოხდეს, თუმცა ამნაირი შეხვედრაც დიდხანს გრძელდება. ხოლო როდესაც ნომადები ისეთ ადგილებში მოექცევიან, სადაც ტომობრივი და გვარობრივი ბრძოლა, ერთმანეთის დარბევა და თარეში აღარ თავდება, ეს უკვე იმის ნიშანია, რომ ნომადური ცხოვრებისათვის პირობები აღარ არის შესაფერისი, რის გამო იწყება ახალი საწარმოო ძალების განვითარება და ახალ სამეურნეო ფორმებზე გადასვლა. ეს კი სპობს ნომადურ ცხოვრებას და ანვითარებს მკვიდრ, ბინადარ სამიწათმოქმედო ცხოვრების ფორმებს. გერმანელებს ძველადვე ისეთ პირობებში უცხოვრიათ, რომ, შესაძლებელია, ნამდვილი, სრული ნომადური ცხოვრება არც ჰქონოდათ

<sup>1</sup> Петрушевский, op. cit., 142; Неусыхин, passim.

<sup>2</sup> ნომადობის მომხრენი არიან: ვიტისი, მაიციენი, ლამპრეტო; მკვიდრი მიწათმოქმედებისა—დოპში, პეტრუშევესკი, ნეუსიხინი; შუა, შემარეგბელი პოზიცია უკავია ჰილდებრანდს.

<sup>3</sup> ნომადობა სხვაა და მომთაბარეობა სხვა, იხ. ენგელსი, Др. герм., გვ. 17.

ოდესმე. ტერიტორია შედარებით მცირე, მრავალი ტყე და ჭობი არ არის ხელისშემწყობი წმინდა ნომადური ცხოვრებისა, ამიტომ „მსხვილი მესაქონლეების“ ბატონობა, როგორც ამბობს ზოგიერთი, შეუძლებელია მათში ოდესმე ყოფილიყოს. ნომადური ცხოვრების თეორია ძველ გერმანელების მიმართ, რასაკვირველია, არ არის სწორი. არა მარტო ბუნებრივი პირობები, არამედ მთელი წყობა, კერძო თუ საზოგადოებრივი—დაწყებული ბინების ნაგებობიდან და გათავებული საომარი წესებით—ეწინააღმდეგება ამას. მაგრამ მისი საწინააღმდეგო თეორიაც მეორე უკიდურესობას წარმოადგენს. მაგალითად, პეტრუ შევსკის აზრით, ტაციტი „ხატავს ბინადარ მიწათმოქმედთა საზოგადოებას, რომელნიც, ბუნებრივია, მესაქონლეობასაც მისდევენ, ვინაიდან უამისოდ წარმოუდგენელია საკმაოდ განვითარებული მიწათმოქმედება“. დოპშის მთელი კონცეფცია ძველ გერმანელთა ცხოვრების შესახებ იმაზე დაფუძნებული, რომ გერმანელები ეკონომიურად და სოციალურად უკვე დიდად განვითარებულ ხალხად მიაჩნია, ისე, რომ საგანგებოდ თქმა იმისა, რომ ისინი მკვიდრი ბინადარი მიწათმოქმედნი არიან, აღარც სჭირდება. ამ აზრს მთლიანად იზიარებს და ამტკიცებს ნეუსიხინიცი, თუმცა იმის გამოკვლევაში ზოგიერთი ფაქტი ისე არ არის გაშუქებული, როგორც ეს აქვს დოპშს.

როგორც უკვე იყო ნათქვამი, ეს აზრიც გადაჭარბებულად უნდა ჩაითვალოს. საქმე ისაა, რომ გერმანელების მესაქონლეობა არც ისე მცირედ იყო განვითარებული, რომ ის მხოლოდ სასოფლო მეურნეობის საჭიროებისა და მოთხოვნილების შესაბამისად შეფასდეს. როგორც ტაციტის აღწერილობიდან და განმარტებებიდან, აგრეთვე საომარი მოქმედებებიდან, რომელიც იმ დროს წარმოებდა, ცხადად ჩანს მესაქონლეობის თავისთავადი, დამოუკიდებელი მნიშვნელობა, რომელიც ყოველ შემთხვევაში მეტია, ვიდრე მიწის დამუშავებისა. ყველგან, სადაც კი საუბარია საქმელზე ან რაიმე საფასურებზე (დამოკიდებულების გამომხატველი იქნება იგი, თუ ნებაყოფლობის), საქონელს მნიშვნელოვანი ადგილი უჭავია. პურის მნიშვნელობა ასეთ შემთხვევებში ნაკლებია, რადგანაც ის ხან სულ არ არის მოხსენებული, ხან საეჭვოა მისი მოხსენება. ყოველ იმ შემთხვევაში, სადაც პურის მოხსენიება სადაოა, საქონლის მოხსენიება არავითარ ეჭვს არ იწვევს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ მკვლელობის შემთხვევაში დამნაშავე იხდის მოკლულის ნათესავების სასარგებლოდ ჯარიმას საქონლით და არა სხვა რითიმე (*Certo armentorum et pecorum numero*)<sup>1</sup> არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ, როგორც ტაციტი ამბობს, გერმანელებს ახარებთ საქონლის რიცხვის სიდიდე (*numero gaudent*).

მესაქონლეობა ვეღარ აკმაყოფილებს ხალხს, რადგან, საქონლის გამრავლების საშუალება აღარ არის. ამას ხელს უშლის ის, რომ თავისუფალი საძოვარი არ ჰყოფნით, რადგანაც, ჯერ ერთი, გარშემო მრავალი ტომი ტრიალებს, რომელნიც ერთმანეთს ეცილებიან ადგილებს, და მეორე ის, რომ ბუნებრივი პირობებიც არ უწყობს ამას ხელს. უდაოდ სწორია ის აზრი, რომ ტყე არ

<sup>1</sup> Tacitus, *ibid.* c. XXI.



არის ხელისშემწყობი მესაქონლეობისა<sup>1</sup>. რომ მართლაც გერმანიის ტყეების სიდიდე გაზვიადებულიც იყო, ყოველ შემთხვევაში უდაოა, რომ ტყე მაინც იმდენად ბევრი იყო, რომ მესაქონლეობის ფართოდ გაშლას ხელს უშლიდა, ასევე იყო ქაობებშიც. ამიტომ ნომადური ცხოვრება გერმანიაში ვერ განვითარდა და მიწათმოქმედებას რამდენამდე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ნამდვილ ნომადებში, თუმცა მისი განვითარებაც მეტად გაძნელებული იყო, ვინაიდან კულტურული შრომის ჩვევების განვითარებას ჩაჰორჩენილი ადამიანისათვის ხანგრძლივი პრაქტიკა სჭირდება. დაბოლოს გამოდიოდა ისე, რომ მესაქონლეობას უპირატესობა ჰქონდა მიწათმოქმედებასთან შედარებით, მაგრამ ვერც ეს და ვერც მიწათმოქმედება ვერ აკმაყოფილებდა ხალხს. ამიტომ ის იძულებული იყო თარეშობით შეეგყო დანაკლისი. თარეშობისა და ნადავლის განაწილების ორგანიზაცია, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, არანაკლებ გავლენას ახდენდა საზოგადოების სტრუქტურაზე, ვიდრე მესაქონლეობისა და მიწის დამუშავების ორგანიზაცია, რადგანაც ეს სამივე ეკონომიურ ფაქტორს წარმოადგენენ.

ნომადობის შესახებ ატეხილ კამათში ყველაზე მეტად სიმართლეს ისევ ჰილდებრიანი უახლოვდება, მაგრამ არც მისი განმარტება შეიძლება ჩიითვალოს დამაკმაყოფილებლად; აქვე უნდა ითქვას, რომ გერმანელების ცხოვრებისათვის ნომადობისა თუ არა ნომადობის თვალსაზრისით კვალიფიკაციის მიცემა არ წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას. მეურნეობის ფორმის, საწარმოო ძალების განვითარებისა და საზოგადოდ ფორმაციულობის მხრივ სულ სხვა არის. ნომადობა არ არის კაცობრიობის განვითარების აუცილებელი საფეხური—პირველყოფილი კომუნიზმი კი არის; ამიტომ კვალიფიკაცია საჭიროა არა პირველის, არამედ მეორის თვალსაზრისით. ამ კვალიფიკაციის მიცემას კი ჩვენ შევეცადეთ ჩვენი ძალღონისა და შესაძლებლობის კვალობაზე. დასკვნა ჩვენი ამ კვალიფიკაციის მიხედვით ასეთია, რომ ტაციტის დროს გერმანელებში არსებობდა ჯერ კიდევ პირველყოფილი კომუნიზმის ნაშთები სათემო მიწათმფლობელობის სახით და უკვე იწყებოდა სოციალური დიფერენციაცია.

დაგვრჩა ერთი საკითხი, რომლის გაშუქებასაც მნიშვნელობა აქვს იმის გადასაწყვეტად, თუ რამდენად იყო განვითარებული სასოფლო მეურნეობა და რომელი რომელს სქარბობდა. ტაციტის დროს თავისი მნიშვნელობით: მესაქონლეობა თუ მიწათმოქმედება. ამ საკითხს არსებითად სწყვეტს სასოფლო მეურნეობის ტექნიკის მდგომარეობის საკითხი. როდესაც ჩვენ გერმანელების მონათმფლობელურ მეურნეობასა და გერმანელის მასობრივ მეურნეობას ვადარებდით ერთმანეთს, მაშინ აღვნიშნეთ პირველის უპირატესობა მუშახელის უპირატესობის თვალსაზრისით. ესეც შეიძლება მიიღოს კაცმა, როგორც ერთგვარი „ტექნიკური“ უპირატესობა, მაგრამ მხოლოდ პირობით. იყო თუ არა პირველის მხარეზე მართლაც ნამდვილი ტექნიკური უპირატესობა? ამ საკითხზე ტაციტის ნაწერში

<sup>1</sup> Hoops-ის აზრით, ტყე ადამიანის მტერია და არა მოყვარე. ეს აზრი არ არის სწორი. ტყე ერთ შემთხვევაში მტერია, მეორეში კი არა, როგორც ყოველი სტიქია. ეს დამოკიდებულია ადამიანის საწარმოო ძალების განვითარების დონეზე.

არ მოიპოვება ცნობები. ამიტომ მეცნიერნი ამის შესახებ ცნობებს ეძებენ არქეოლოგიურ ნაშთებში, რომელიც მეცნიერებას გააჩნია, მაგრამ არქეოლოგიური ნაშთების გამოყენება დიდ სიძნელეს შეიცავს. ოდნავადაც კი ზუსტი დათარიღება ვერ ხერხდება და მეცნიერს შეუძლია ამათუიმ იარაღის არქეოლოგიური ნაშთი რომელ დროსაც უნდა მიაწეროს. მეცნიერს იმის საშუალებაც კი არა აქვს ყოველთვის, რომ გამოარკვიოს, თუ ესათუის იარაღი რამდენად გავრცელებული იყო მასობრივად. მეურნეობის დახასიათებისათვის კი ამ გარემოებას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით ამ შემთხვევაშიც. ტაციტის ხანაში ევროპაში არსებობდა ორგვარი გუთანის: ეგრეთწოდებული Hakenpflug და Räderpflug, პირველი წარმოადგენდა უბორობლო გუთანს, რომელიც მხოლოდ ხნავდა მიწას და ბელტს არ აბრუნებდა, ხოლო მეორე იყო ბორობლიანი გუთანი, რომელიც მიწასაც ხნავდა და ბელტსაც აბრუნებდა<sup>1</sup>. რასაკვირველია, მეორის შემოღება პირველის შემდეგ საგრძნობ ტექნიკურ პროგრესს წარმოადგენდა. გამოდის, რომ წინანდელი იარაღი—კავი, თოხი, ბარი—ამ დროს აღარ არსებობდა, მაგრამ რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს ძველი იარაღი უკვე სულ მთლად დავიწყებული იყო და ყველა ახალი გუთნით მუშაობდა? არის შემთხვევები, როდესაც კაპიტალისტური მეურნეობის დროსაც კაცი იძულებული ხდება ეს ძველი იარაღი გამოიყენოს, მაგალითად, მთიან ალაგას, ახლად გაკაფული ტყის ადგილზე. მით უმეტეს ამნაირი შემთხვევები უნდა ყოფილიყო ტაციტის დროს. ახალი იარაღი უცბად ვერ გამოდევნიდა ძველ იარაღს. თუ რამდენად იყო გავრცელებული გუთანი იმ დროს, ამის ცნობას, ნაწილობრივ მაინც, გვაძლევს ტაციტი თავისი ნაწერის იმ ადგილებში, სადაც შესაბამელ ხარებზეა ლაპარაკი. მაგალითად, როდესაც ტაციტი ვადმოგვცემს გერმანელების ქორწინების წესებს, ამბობს, რომ საქმრო საცილოს ოჯახს საჩუქრებს აძლევსო, და ამ საჩუქრებს შორის პირველ რიგში დასახელებული აქვს შესაბამელი ხარები და შემდეგ შეკაზმული ცხენი (*boves et frenatum aequum*). ამ გარემოებას ისტორიკოსები საბუთად იყენებენ იმის დასამტკიცებლად, რომ გერმანელები ძლიერ აფასებდნენ რქოსან-საქონელს (*ნეუსიხინი*), მაშასადამე, მკვიდრი მიწათმოქმედნი ყოფილანო. მსხვილ რქოსან საქონელს რომ უფრო მეტად აფასებდნენ, ვიდრე წვრილფეხას, ეს სრულიად ბუნებრივია და არც საკვირველია, მაგრამ გერმანელები რომ მსხვილფეხა საქონლის გამრავლებას და ჯიშის გაუმჯობესებას არ ცდილობდნენ, ეს უდაო და მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. აზრის დიდი ნაძალადეობაა საქმრო, რომ ტაციტის მიერ V თავში ნათქვამი სხვანაირად გაიგოს კაცმა. გერმანიის ბუნების სიმკაცრისა და უნაყოფობის აღწერის შემდეგ ტაციტი ამბობს: „*pecorum fecunda, sed plerumque improcera, ne armentis quidem suos honor au gloria frontis. numero gaudent eaque solae gratissimae opes sut*“. გერმანია მდიდარია საქონლით, მაგრამ საქონელი უმეტესად დავაღულია და შესახედავად უფარგისი. მსხვილფეხა საქონელიც კი არც ტანით და არც რქით არის შემკობილი. მათი მთავარი საზრუნავი სიმრავ-

<sup>1</sup> Wilke, Archäolog. Erläuter. zur Germ. des Tac., S. 43—44.



ლეა, რადგანაც ამაშია მათი ნამდვილი სიმდიდრე. ამ სიტყვების გაცნობის შემდეგ ყოველივე, რაც კი საქონელზეა ნათქვამი ტაციტის ნაწერში, აუცილებლად მას უნდა შეეფარდოს, ვინაიდან ეს სიტყვები არ სტოვებენ ეჭვს და ყოველივე ცდა მათი სხვადასხვაგვარად ახსნისა აშკარა ძალადობაა მეცნიერული აზრის მიმართ. კიდევაც რომ მივიღოთ მიუღწეველ განმარტება<sup>1</sup>, ვითომ ტაციტს სურს თქვას ის, რომ გერმანელების საქონელი არ არის დიდი ღირსების და მისი ღირებულება მისი რიცხვითა, მაშინ სად წავიღოთ და როგორ ავხსნათ ის სიტყვები, რომელიც ტაციტის ტექსტში უშუალოდ მიუღწეველ მოყვანილ სიტყვებს მოსდევს: ეს არის მათი ერთადერთი სიმდიდრე? სინამდვილეში კი სულ სხვა გამოდის. ჯიშის გაუმჯობესება (ეს განვითარებული სასოფლო მეურნეობის თვისებაა) გერმანელებს არ აინტერესებს; ამიტომ შესაბამელი საქონელიც და კარგი საჯდომი ცხენიც კი იშვიათია მათში და მხოლოდ დიდ და ძვირფას საჩუქრის საგანს შეადგენენ, როდესაც საჩუქარი ეძლევა დიდუკაცს ან დიდი ოჯახის შეილის საცოლოს, ამგვარივე ოჯახის შეილს საქმროსაგან. ხარი და ცხენი რომ იშვიათი საჩუქრის საგანია, ეს გასაგებია, თუ გავიხსენებთ, რომ ნებაყოფლობითი ძღვენი ყოველთვის შესდგება ძვირფასი და იშვიათი საქონლისაგან და არა მეურნეობის ძირითადი შემოსავლისაგან, რადგანაც ეს უკანასკნელი სავალდებულო გადასახადის საგანია, რომელიც გადასახადის მიმღების არსებობის ძირითად წყაროს შეადგენს. გამოდის, რომ ძღვენის მიმართმევი ძღვენად აძლევს იმ საქონელს, რომლის მოხმარებაც თავისთვის და ოჯახის წევრებისათვის ან ენანება ან რაიმე მიზეზით არ შეიძლება, რადგანაც მისი მეურნეობა ამას არ მოითხოვს, ვერ აითვისებს. ასეთი იყო, მაგ., იშვიათი ნამცხვარი (ხაჭაპური საქართველოში), საგანგებოდ გასუქებული ყოჩი შაშლუგის სახელით (ცნობილი გადასახადი საქართველოში), იშვიათი ფრინველი და სხვ. გერმანიაში ასეთი იშვიათი რამ, რაც საჩუქრად გამოადგებოდა, იყო ხარი, ცხენი და რაიმე იშვიათი ნაყოფი მიწისა.

რაც შეეხება საქორწილო საჩუქრებს, ტექსტში პირველ რიგში დასახელებულია ხარი, მერე ცხენი და შემდეგ იარაღი. პირველი ორი, როგორც იშვიათი, უნდა ჩვეულებრივი საჩუქარი ყოფილიყო მდიდარი ოჯახების დანათესავეების შემთხვევაში, იარაღი კი, როგორც უფრო ადვილი შესაძენი და გავრცელებული, ჩვეულებრივი ოჯახებისა. მაშასადამე, ორივე შემთხვევაში ხარი შედის ნობილის, მონათმფლობელის მეურნეობაში, სადაც შეიძლებოდა მართლაც მისი გამოყენება და სადაც იხმარებოდა ხენის დროს გუთანის ან ცალსახნისიანი—Hakenpflug ან სახნის-საკვეთიანი Rederpflug. ეს კი, როგორც მძიმე სამუშაო იარაღი, შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო მხოლოდ ისეთ მეურნეობაში, რომელშიც მიწათმოქმედებას განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული და სავალდებულო შრომის გამოყენების შესაძლებლობა არსებობდა, ე. ი. მონურ მეურნეობაში. ამგვარად, რა მხრივაც უნდა მივუდგეთ საკითხს, ისე გამოდის, რომ ნობილის მონური მეურნეობა იყო ის მეურნეობა, რომელშიც შეტანილი იყო ყოველგვარი, დროის მიხედვით შესაძლებელი, ტექნიკური და ორ-

<sup>1</sup> K. Mülenhoff, Deutsche Altertumskunde (ნეუსიხინიდან), გვ. 156.

განიზაციული გაუმჯობესება. მასობრივი მეურნეობა კი ისევ ჩამორჩენილი იყო. აქედან გამომდინარე, რომ გუთანი და შესაბამელი ხარები იყო ხმარებაში; არქეოლოგიურად ეს უდაოდ მტკიცდება, მაგრამ რაც იყო არქეოლოგიური თვალსაზრისით, არ ნიშნავს, რომ იყო აგრეთვე მეურნეობის თვალსაზრისით, ვინაიდან, როგორც ირკვევა, გუთანი და შესაბამელი ხარები არ ყოფილა მეურნეობის ძირითადი დასაყრდენი, არამედ მხოლოდ მომავალი განვითარების ჩანასახი, შეტანილი მხოლოდ იშვიათ, დაწინაურებულ მეურნეობებში, სახელდობრ იმ მეურნეობებში, რომელსაც ჩვენ საბიჭანგო ვუწოდებთ, ვინაიდან, თუმცა, შესაძლოა, ნობილს ნაწილობრივ თავისი მონები საერთო მინდვრიდან (ალმენდიდან) მფლობელ მიწაზე დაესახლებინა, მაგრამ იქ არ შეეძლო შემოეღო ახალი წესები მუშაობისა, რადგანაც ამას ხელს უშლიდა მიწით სარგებლობის საერთო წესები, რომლისგანაც საბიჭანგო მფლობელობა, როგორც თუ არა მუდმივი, ხანგრძლივი მაინც, თავისუფალი იყო და მეურნეობის პატრონს ინიციატივის საშუალებას აძლევდა. გერმანელის მასობრივი მეურნეობა კი, რომლითაც ცხოვრობდა გერმანელების მასა, არც გუთანს ხმარობდა და არც ხარებს იყენებდა, გარდა იშვიათი გამონაკლისებისა. ეს იმ მხრივაც ბუნებრივია, რომ მხოლოდ ამგვარ უთანასწორობის ნიადაგზე და ამ პირობებში არის გასაგები ის პროცესი (პრეკარიის სხვადასხვა სახე), რომლის შედეგიც იყო ფეოდალური წესწყობილების წარმოშობა.

მიუხედავად ყველა ზემომოყვანილ მოსაზრებისა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ კიდევაც მასობრივად რომ ყოფილიყო გავრცელებული იმ ტიპის გუთნები, რომელიც აღვნიშნეთ, და შესაბამელი ხარების გამოყენება, მაინც ეს გარემოება ვერ გადაწყვეტდა საკითხს მიწათმფობელობის დიდი ხვედრითი წონის შესახებ გერმანიაში. ამის მიზეზი ის არის, რომ ევროპაში ნიადაგის პირობები (უმეტესად მაინც) ისეთი ყოფილა, რომ მის ნაყოფიერად მოხვნას მძიმე გუთანი და რამდენიმე უღელი ხარი ნდომებია. ფეოდალიზმის დამკვიდრების და მიწათმოქმედების სრულ და უღელ უპირატესობის ხანაში, როგორც ჩანს, ხშირად რვა უღელი ხარითაც კი უხდებოდათ ხვნა<sup>1</sup>, როგორც საქართველოს ზოგიერთ კუთხეში იყო, მაგალითად, ქართლში. მაშასადამე, ტაკიტიუს დროს მიწათმოქმედების განვითარებულ მდგომარეობაზე არც კი შეიძლება საუბარი. ამრიგად, არავითარი ეჭვი არ რჩება, რომ შესაქონლეობა სჭარბობდა მიწათმოქმედებას და მეურნეობის განვითარების დონე სრულებით არ მოითხოვდა კერძო საკუთრების არსებობას, რომელიც წყაროების მონაცემების მიხედვითაც არ არსებობდა.

## V

რამდენადაც ძალა, გარემოება და დრო გვაძლევდა საშუალებას, ჩვენ განვიხილეთ ტაკიტიუსის ცნობები გერმანელების შესახებ და მათ გარშემო ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული კამათი. დასკვნა ჩვენი ასე-

<sup>1</sup> ეს საკითხი დიდძალი მასალის საფუძველზე დამუშავებული აქვს გრაიანსკის-

თია, რომ, მიუხედავად სათემო მიწათმფლობელობის და გვაროვნული ორგანიზაციის არსებობის წინანდელ დამკველ სპეციალისტების ნაწერების ნაკლოვანებებისა და მოწინააღმდეგების დიდი ერთდროისა, სათემო მიწათმფლობელობისა და მისი შესაფერისი მეურნეობის არსებობა ურყევად რჩება. თუ ეს ასეა ტაციტის ეპოქის მიმართ, მით უმეტეს ეს დებულება ურყევი რჩება, როდესაც შევეხებით იულიუს ცეზარის ეპოქას და მის ნაწერებს. სწორედ ამიტომაც მოვაქციე ბოლოში ამ ისტორიკოსის ნაწერების გარჩევა, რომ ის ბევრად უფრო ნაკლებ კამათს იწვევს, მეტადრე ტაციტის ნაწერების შეახებ საკითხის გადაჭრის შემდგომ. ცეზარის ეპოქასა და ტაციტის ეპოქას შორის კიდევ ის განსხვავებაა, რომ ტაციტის დროს, შედარებით ცეზარის დროსთან, გერმანელები, წვრილწვრილი ომებისა და თარეშობის გარდა, დიდ ომებსაც აწარმოებენ, თვით რომის წინააღმდეგაც კი, და მსხვილ სატომო კავშირებსაც აარსებენ. დავასახელოთ თუნდაც მარობოდის და არიმინიუსის კავშირები, რომელიც ტაციტსავე აქვს აწერილი ანალებში. გამოდის, რომ ტაციტის დრო სრულიადაც არ ყოფილა, შედარებით ცეზარის დროსთან, უფრო მშვიდობიანი და ამიჯომ ამ შედეგებით მშვიდობიანობის არსებობაზე არავითარი მოსაზრების დამყარება არ შეიძლება. დოპში კი სწორედ ასე იქცევა. ის პირდაპირ აცხადებს, რომ ცეზარსა და ტაციტს შორის დიდი განსხვავებააო. პირველი წერდა შფოთისა და არეულობის პირობებში, რომელსაც ჰქმნიდა ომიანობა, ხოლო მეორე მშვიდობიან პირობებში და ომის გამო პირველის დროს კერძო საქუთრება ბუნებრივად ვერ ვითარდებოდაო<sup>1</sup>. ამ შფოთის მიზეზად ის ასახელებს ომებს. აკად. პეტრუშევსკიც სწორედ ამასვე მოგვითხრობს. ცეზარის ეპოქის შესახებ ის ამბობს, რომ გერმანელები ამ დროს განუწყვეტელ საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენო<sup>2</sup> და რამდენიმე გვერდს იქით ტაციტის ხანაზე ამბობს: ტაციტის გერმანიაში ჩვენს წინაშე დგას გერმანიის საზოგადოება მშვიდობიან მდგომარეობაში მყოფიო<sup>3</sup>. ამას ნეუსიხინიც იმეორებს. ამგვარ დახასიათებას ამ ორი ეპოქისას ვერ მივიღებთ თუნდაც იმ მიზეზით, რომ ამავე ავტორებს იმავე წიგნებში, რომელშიც ამ განსხვავების შესახებ აქვთ ნათქვამი, ტაციტის ეპოქაც დახასიათებული აქვთ როგორც გამუდმებული ომებითა და თარეშობით სავსე. არათუ ნეუსიხინი, რომელიც ტაციტის და სხვების ნაწერების საფუძველზე გამუდმებული ომების აწე-ას ანდომებს თავისი წიგნის დიდ ნაწილს, არამედ პეტრუშევსკიც ტაციტის დროის გერმანელების შესახებ ამბობს, რომ ისინი სულიერადაც და ნივთიერადაც ომითა და მისი ინტერესებით ცოცხლობდნენო<sup>4</sup>. და მართლაც, გერმანელებს შორის საომარი მდგომარეობა არ შეწყვეტილა მანამდის, ვიდრე ევროპოდებული ხალხთა დიდი გადასახლება არ დამთავრდა და რომის იმპერიის ტერიტორიაზე ახალი სა-

<sup>1</sup> Dopsch, იქვე, გვ. 68.

<sup>2</sup> Петрушевский, იქვე, გვ. 142.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 144.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 148.

ხელმწიფოები არ წარმოიშვა. ამ დებულების დასაბუთება სრულიად ადვილია. ჩვენის აზრით, არ ღირს იმ ომების ჩამოთვლა, რომელიც ამ ხანებში წარმოებდა, ან იმ მწერლების დასახელება, რომელნიც ამ ომებს აგვიწერენ. ეს მეტად ელემენტარული რამ არის და ყოველ სახელმძღვანელოში საკმაოდ მოიძებნება. საინტერესო აქ ის არის, თუ როგორ იყენებენ მისი ავტორები ამ მცდარ დებულებას ტაციტის დროის შედარებითი მშვიდობიანობის შესახებ და ამ მცდარი დებულებიდან რა (რასაკვირველია, მცდარი) დასკვნა გამოჰყავთ.

საქმე ისაა, რომ ცეზარის ნაწერბის საფუძველზე იმის უარყოფა, რის უარყოფასაც აღნიშნული ისტორიკოსები ცდილობენ ტაციტის ნაწერბის საფუძველზე, ოდნავაც კი ვერ ხერხდება. ცეზარს ბევრად უფრო მკაფიოდ და კატეგორიულად აქვს გამოთქმული ის აზრები, რომელიც ტაციტის ნაწარმოებშიც არის გატარებული, მაგრამ ნაკლები კატეგორიულობით. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ტაციტი არ ხმარობს სიტყვას „*proprium*“ და ეს აძლევს კამათის საბაბს კერძო საკუთრების არსებობის მომხრეებს. ცეზარი კი ამ სიტყვას ხმარობს. „საკუთარი მიჯნები არა აქვთო“<sup>1</sup>, — ამბობს იგი, და ამაზე მკაფიოდ თქმა, როგორღა შეიძლება? კიდევ უფრო გარკვეული რომ იყოს მიწათმფლობელობის საკითხი, ამისათვის ცეზარი მოგვითხრობს, რომ მეთაურები ყოველწლივ თანამოგვარეებს და ნათესაეებს აძლევენ იმდენ მიწას—და ისეთ ალაგას, რამდენსაც და სადაც თვითონ დაინახავენ საჭიროდ. ხოლო ერთი წლის შემდეგ აიძულებენ სხვა ადგილზე გადასვლას<sup>2</sup>. ცეზარმა, რასაკვირველია, არ იცის, თუ რით აიხსნება ამგვარი წესების არსებობა, რომელიც მის წარმოდგენაში ძლიერ უცნაურია. ამიტომ ის ფიქრობს, რომ რაიმე მიზნით განგებ შემოუღია ხალხს ეს წესები. ამ ცნობებს რომ ტაციტის ცნობები შევადაროთ, დიდ განსხვავებას ვერ ვნახავთ. ცეზარის დროს ყოველწლიურად ხდება მიწის ცვლა, ტაციტის დროს კი რამდენსამე წელიწადში ერთხელ. ალბათ ცეზარი იმიტომაც ლაპარაკობს უფრო გარკვეულად მიწის საკუთრების არარსებობაზე, რომ მის დროს ეს უფრო თვალში ეცემოდა ჯაცს, რადგანაც მიწის ცვლა ყოველწლიურად ხდებოდა. აკად. პეტრუშევსკი იძულებულია სცნოს, რომ ცეზარი თავისი ნაწერებით რამდენადმე აძლევს საფუძველს გერმანიაში თემური წესწყობილების მომხრეებს მათი დებულებების სასარგებლოდ. „ვის შეუძლია ეპკი შეიტანოს, რომ ამგვარი აგარარული წესების პირობებში მიწის კერძო საკუთრების შესახებ ლაპარაკიც კი არ შეიძლება?“—განაგრძობს შემდეგ იგივე მკვლევარი. დოპშიც დაახლოებით ამგვარადვე ამტკიცებს, რომ ცეზარის დროს სათემო საკუთრება არსებობდა (Gesamteigentum)<sup>3</sup>, ტაციტის დროს კი კერძო საკუთრება (keine Ge-

<sup>1</sup> Neque quisquam agri modum certum aut fines habet proprios. Caes. Coment. de b. G. VI, C. 22.

<sup>2</sup> Magistratus ac principes in annos singulos gentibus cognationibusque hominum, qui tum una coierunt, quantum et quo loco visum est agri attribuunt atque anno post alio transire cogunt. (იქვე).

<sup>3</sup> Dopšch, op. cit., S. 60—64. შეად. Notden. Die germanische Urgeschichte in Tacitus Germ.

samteig). ასეთსავე მდგომარეობას ფნახავთ, თუ შევეხებით ცეზარის ნათქვამს იმის შესახებ, თუ რა საკმელებს ხმარობენ გერმანელები. აქაც ცეზარი იმდენად გარკვეულად და კატეგორიული კილოთი ლაპარაკობს, რომ კამათი ძნელია, მით უმეტეს, რომ კატეგორიულობის გარდა, ამ შემთხვევაში ცეზარს, შედარებით ტაციტთან, უფრო ზუსტი თქმაც ახასიათებს, რაც ექვის გამოსათქმელადაც კი არ სტოვებს ადგილს. მაგალითად, სვეების შესახებ იგი ამბობს, რომ ესენი იმდენად პურით არ იკვებებიან, რამდენადაც რძით, ხორციით და დიდ დროს ანდომებენ ნადირობასო. საერთოდ გერმანელებს როცა ეხება, ის თითქმის იმასვე იმეორებს: უმთავრესად რძით, ყველით და ხორციით იკვებებიანო<sup>1</sup>. და თითქოს ამ სიტყვების ასახსენლად უმატებს: მიწათმოქმედებას არ ესწრაფიანო (agriculturae non student)<sup>2</sup>. ნეუსიხინი მაინც ცდილობს შეარბილოს ცეზარის ნათქვამი და ცოტა მაინც თავის სასარგებლოდ გადმოჰხაროს, მაგრამ ამაოდ: ამ შემთხვევაში ნაძალადეობა განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს<sup>3</sup>. დოპში და პეტრუშევსკი კი ასე არ იტყვიან: ისინი ცეზარის ნათქვამის ძლიერი შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად სულ სხვა მეთოდით სარგებლობენ.

საქმე ისაა, რომ ცეზარი თავისი ნაწერების მეოთხე წიგნში განსაკუთრებით ლაპარაკობს სვეების ტომის შესახებ და შემდეგ მეექვსე წიგნში ბევრს იქ ნათქვამს იმეორებს, როდესაც ახასიათებს საერთოდ გერმანელების ცხოვრებას და არა მარტო ერთი რომელიმე ტომისას. ნორდენი<sup>4</sup> ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ცეზარი მეოთხე წიგნში ნათქვამს ზედმიწევნით იმეორებს მეექვსე წიგნში და აქედან იმ დასკვნამდის მიდის, რომ ეს გარემოება გამოწვეული უნდა იყოს არა რეალური სინამდვილის ზეგავლენით, არამედ სხვა მოსაზრებით. როდესაც ცეზარი რაინზე მეორედ გადავიდა, იქაური ტომების ყოფაცხოვრების აღწერა დასკირებია სენატისადმი ახალი მოხსენებისათვის და გაუმეორებია ის, რაც მას უკვე ჰქონდა ნათქვამი მეოთხე წიგნში სვეების შესახებ. ნორდენს თავის წიგნში პარალელურად მოჰყავს ტექსტები ორივე წიგნიდან. ამ ტექსტების უმეტესობას ჩვენ უკვე ვიცნობთ. მსგავსება დიდია, მაგრამ ერთი ადგილი, რომელიც სვეების შესახებ მეოთხე წიგნში არის, მეექვსეში სრულიად არ არის. ეს ის ადგილია, რომელსაც ემყარებიან დოპში და პეტრუშევსკიც ცეზარის ნათქვამის გასაქარწყლებლად კერძო საკუთრების შესახებ. ცეზარი სვეებზე ამბობს, რომ ისინი მორიგეობით გადიან ომში: მამაკაცთა ერთი წყება რომ ომობს, მეორე წყება, მუშაობს; შემდეგ მათი როლი იცვლება—პირველნი მუშაობენ და მეორენი ომო-

<sup>1</sup> Neque enim multum frumento, sed maximam partem lacte atque pecore vivunt multumque sunt in venationibus. (Caes. IV).

<sup>2</sup> იქვე, VI, 22.

<sup>3</sup> Нейсыхин, op. cit. 108.

<sup>4</sup> Norden, op. cit. s. 484—485.

ბენ<sup>1</sup>. აი ეს მეტად მნიშვნელოვანი ადგილი ცეზარს მეექვსე წიგნში სრულიად გამოტოვებული აქვს. ჩვენის აზრით, მეექვსე წიგნი რომ ისეთი მექანიკური მიბაძვა იყოს მეოთხისა, როგორც ამას ფიქრობს ნორდენი, რასაც ნეუსიხინი საესებით ეთანხმება, მაშინ ეს მეტად მნიშვნელოვანი ადგილიც არ გამოჩნებოდა ცეზარს. ალბათ არავითარ ამგვარ გარემოებას არ ჰქონია ადგილი და ცეზარი მეექვსე წიგნს, როგორც სხვებს, წერდა ნახულისა და გავონილის უშუალო შთაბეჭდილებით. მით უმეტეს ეს ასე უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ორი წიგნის ტექსტებს შორის არის განსხვავება ნიუანსებში. მაგალითად, პირველი ორი ტექსტი თუ შევადარეთ ერთმანეთს, ასეთ განსხვავებას ვნახავთ: პირველშია *vacare agros*, მეორეში (VI წ.) *vastatis flnibus*, მეორე შესადარებელი წყვილი: *agriculturae non student*. ეს სიტყვები პირველში (IV წ.) სულ არ არის. საქმელების ჩამოთვლაში პირველში (IV) არ არის მოხსენებული ყველი, მეორეში კი (VI წ.) არის. მესამე წყვილი: პირველ ტექსტში სულ არ არის მოხსენებული მაგისტრატურის როლი მიწების ცვლის საქმეში. მეორე ტექსტში კი ეს საკმაოდ დაწვრილებით არის შეტანილი. ეს განსხვავებები არ არის ძირეული, მაგრამ მაინც არსებითია. საიდან შეიტანდა ცეზარი ამ განსხვავებას, ტექსტის რა ლიტერატურული გადამუშავება უნდა ეწარმოებია, თუ ახალი დაკვირვება არ ექნებოდა იმ ტომების ცხოვრებაზე, რომელთაც ის ენებოდა მეექვსე წიგნში? ამგვარად, ვარაუდი ძველი ტექსტის გამეორებისა ლიტერატურული გადამუშავებით არავითარი მოსაზრებით არ მართლდება.

ნათქვამის შემდეგ აუცილებელი ხდება ის დასკვნა, რომ სწორედ ის ადგილები, რომელიც ორ აღნიშნულ წიგნში ერთნაირად არის მოცემული, მტკიცე და საყოველთაო სინამდვილეს გამოხატავს. ეს კი ის ადგილებია, სადაც საუბარია კერძო საკუთრების არარსებობისა და მეაქონლეობის ხვედრი იწონის უპირატესობის შესახებ. ხოლო ის კი, რაც სვევების შესახება ნათქვანი და მეექვსე წიგნში ოდნავაც კი არ არის გამეორებული, ნდობის ღირსი არ არის. ეს არის სწორედ საკითხი მეომრობის და მიწის დამუშავებაში ორგანიზაციული მორაგობისა და შენაცვლების შესახებ, საკითხი, რომელსაც ეყრდნობიან მთლიანად და სავსებით ისინი, ვისაც სულს ცეზარის მიერ დახატული სურათის ასეთუთსე გაბათილება.

მაგრამ ამის თქმა არ კმაოა. ვაყვეთ საკითხს, ჩვენი ნათქვამის სიმართლე და სისწორე ბოლომდის გასაგები იქნება რით და როგორ უნდა ავხსნათ ცეზარის შეცდომა თუ მარცხი ამ ერთადერთ ადგილას?

ამის გამოსარკვევად ვნახოთ საღმე ნიმუში იმისა, თუ როგორ ხსნის ცეზარი ამათუიმ საზოგადოებრივ მოვლენებს და რა ტენდენციებს იჩენს იგი. საზოგადოდ ცეზარის შესახებ მიღებულია ის აზრი, რომ იგი, როგორც დემოკრატიული პარტიის მომხრე მისი დროის პოლიტიკურ ბრძოლაში, ცდილობდა

<sup>1</sup> Reliqui, qui domi remanescunt, se atque alios alunt. შემდეგ: hi rursus invicem anno post in armis sunt, illi domi remaneant. ახსნა: sic neque agricultura, nec ratio atque usus belli intermittitur (Caes. IV).



დემოკრატიული წესები, რამდენადაც ისინი შემოღებული იყო გერმანელებს შორის, გაეზვიადებინა, რათა რომელებსათვის ეჩვენებინა მაგალითი დემოკრატიული წყობის ხელსაყრელობისა ყველა საზოგადოებისათვის. რასაკვირველია, ეს არ ეხება მიწის კერძო საკუთრების არსებობის უარყოფას, ვინაიდან ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ცეზარი (და არც ტაციტი) არ იყო სოციალისტი და კერძო საკუთრების არარსებობაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. მაგრამ იქ, სადაც მთავრობის დემოკრატიულ ტენდენციებზე და მის სიმტკიცეზე დემოკრატიული ზომების გატარებაში ჩამოვარდებოდა საუბარი, ცეზარი ცდილობდა მთავრობის ძლიერი ვაჟენა გაეზვიადებინა. აქედან გამომდინარეობდა რაციონალისტური ახსნა ზოგიერთი ისტორიული მოვლენისა და განვითარების ისტორიული პროცესის უგულვებელყოფა. ასე ცდილობს, მაგალითად, ცეზარი ახსნას კერძო საკუთრების არარსებობა გერმანელებს შორის. იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ გერმანელთა მთავრობა იმდენად დემოკრატიული იყო, რომ კერძო საკუთრების მოსპობამდისაც კი მივიდა იმისათვის, რომ გერმანელებს შორის სიხარბე არ განვითარებულყოფი და თანასწორობა არ მოსპობილიყო. რასაკვირველია, ცეზარი ამგვარსავე ტენდენციას გამოიჩინდა ყოველ შესაფერ შემთხვევაში. სვევების ორგანიზაციის საკითხი ამისათვის საუკეთესო შემთხვევაა იძლევა, ოღონდ კი ამათუიმ მოვლენის გაზვიადებას არ დაერიდოს მწერალი. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ცეზარს გაზვიადებული აქვს მეთაურმმართველების როლი მიწისმფლობელობის ორგანიზაციაში. სვევების შესახებ თხრობაშიც მეთაურების როლია გაზვიადებული. ძველ გერმანელებისათვის ბუნებრივი მოვლენაა, რომ, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ომში ყველა არ მიდიოდა, ან ზოგი მოიგვიანებდა და ზოგიც ომიდან სხვაზე ადრე დაბრუნდებოდა, ვინაიდან შეიარაღებული ხალხი—ლაშქარი არ წარმოადგენდა რეგულარულ არმიას, სამხედრო ბეგარის საშუალებით შეკრებილს. ყოველივე ეს ცეზარმა დასახა როგორც წინასწარ შემუშავებული და დადგენილი წესი. ეს რომ მართლაც ისე ყოფილიყო, როგორც ამას ფიქრობს ცეზარი, მაშინ სვევებს მეტად განვითარებული, მტკიცე და მოქნილი სახელმწიფო აპარატი უნდა ჰქონოდათ, ხოლო ამგვარი აპარატის არსებობა იმ დროისათვის სრულიად წარმოუდგენელია, რაც უნდა გაკაზვიადოთ ძველი გერმანელების კულტურული განვითარების ხარისხი. ასეთი განვითარებული სახელმწიფო აპარატი ჩვენი დროის კაპიტალისტურ ქვეყნებშიც კი ძნელი წარმოსადგენია, არა თუ ძველ გერმანიაში, როდესაც ჯერ სახელმწიფო არც კი იყო და არსებითად არც ნამდვილი მთავრობა არსებობდა, როგორც იძულების ორგანო, არამედ ყოველი მოვალეობა უმთავრესად ნებაყოფლობაზე და ზნეობრივი ვალდებულების შეგნებაზე იყო დაფუძნებული, რამდენადაც და როგორც ესმოდათ იმ დროს ზნეობრივი ვალდებულება, ვითარცა საშუალება საზოგადოებაში გავლენის და პატივისცემის შენარჩუნებისა და ნივთიერად უმრავლესობის თანასწორად დგომისა, რის მიღწევაც ომში მონაწილეობისა და რაზმების წევრობის გარეშე ვერ მოხერხდებოდა. აი ეს დისციპლინისა და ორგანიზაციის ნაკლებობა სამხედრო საქმეში, ეს ომისადმი სიყვარულისა და ხალხის საფუძველზე აგებული ლაშქრობები ცეზარმა დასახა როგორც ომში და შრომაში ერთ-

მანეთის შენაცვლების ორგანიზაცია. ვინ იცის, იქნებ ცეზარი მიხვდა, რომ ეს არ იყო საკმაოდ დამარწმუნებელი მაგალითი რომის საზოგადოებისათვის, რადგანაც სინამდვილის მეტად დიდ დამახინჯებას წარმოადგენდა, და ამიტომაც, როდესაც იგი მეექვსე წიგნს წერდა, ეს ადგილი გამოსტოვა, სამაგიეროდ გაიმეორა თავისი რაციონალისტური ახსნა საზოგადოებრივი მოვლენებისა, როგორც ზემოთ გვქონდა ნათქვამი, მაგრამ ახლა უფრო დამარწმუნებულად რომის საზოგადოებისათვის, ვინაიდან ეს მოსაზრება როგორც მაგალითი თვითშეზღუდვისა, რომის არისტოკრატიული საზოგადოებისათვის მოყვანილი, ახლა უკვე უტყუარ სიმართლეს ემყარებოდა—კერძო საკუთრების არარსებობას.

ცეზარის მხრივ ანაბირი რაციონალიზმი ისტორიული მოვლენების ახსნაში გასაგებია, ვინაიდან იმ დროს არავინ (და არც ცეზარმა) არ იცოდა ისტორიული განვითარების პროცესის ობიექტური შეფასება, არ იცოდა, რომ პიროვნება თუ მთავრობა უძლურია, რომ თავის სურვილზე შეატრიალ-შემოატრიალოს ეს პროცესი, თუმცა ერთგვარი გავლენის მოხდენა მასზე კი ძალუძს; მან არ იცოდა, რომ მთავრობას შეუძლია მხოლოდ ის, რომ ისტორიული პროცესის მიერ უკვე შემზადებულ და განვითარებულ საზოგადოებრივ მოვლენათაგან ერთს მისცეს ფართო მსვლელობა, ხოლო მეორე შეაფერხოს; ის კი, რომ ისტორიული პროცესის მიერ სრულიად შეუმზადებელი სისტემა მოიგონოს და დაამყაროს, ვითარცა *deus ex machina*, და მოსპოს, ან დროებით შეაჩეროს ის, რაც ისტორიულად უკვე შემზადებულია—არავითარ მთავრობას და გენიალურ პიროვნებას არ შეუძლია. დოპში, მიიჩნევს რა დამტკიცებულად, რომ ტაციტის დროს კერძო საკუთრებაც და კლასობრივი დანაწილებაც არსებობდა, და აგრეთვე იმას, რომ ცეზარის დროს პერმანენტული საომარი მდგომარეობა არსებობდა, ტაციტის დროს კი მშვიდობიანობა, იმ დასკვნას ადგება, რომ ცეზარის დროს გამუდმებული საომარი მდგომარეობის გავლენის ქვეშ გერმანელების საზოგადოებაში დროებით მოუსპიათ კერძო საკუთრება და შემოუღიათ სათემო მმართველობის წესები, ხოლო როგორც კი დამდგარა მშვიდობიანობა (ვითომცდა ტაციტის დროს) ხელახლა აღუდგენიათ ისევ ძველებურად კერძო საკუთრებაც და მასთან დაკავშირებული ყველა წესი<sup>1</sup>. მთლიანად ამ სისტემას დოპში უწოდებს სახელმწიფო სოციალიზმს (*Staatssozialismus*).

რომ უფრო კარგად გაავებინოს მკითხველს, თუ რას გულისხმობს იგი ამ სიტყვით, შესადარებლად მას მოჰყავს მსოფლიო ომის დროის მდგომარეობა; ალბათ მას მხედველობაში აქვს საბარათო სისტემა, რომელიც შემოღებულ იქნა მსოფლიო ომის დროს, როგორც მთავრობის მიერ გატარებული ერთგვარი თვითშეზღუდვა საქონლის მოხმარების საქმეში. შესაძლებელია, რომ სწორედ ამას უწოდებს დოპში სახელმწიფო სოციალიზმს. მაგრამ თუ აქ მართლაც საომარი მდგომარეობის მიერ გამოწვეულ თვითშეზღუდვას ჰქონდა ადგილი, რატომ კერძო საკუთრება არ შეიზღუდა? ჩვენ კარგად ვიცით, რომ ფაბრიკების შემოსავალი კაპიტალისტების სასარგებლოდ და მუშათა კლასის

<sup>1</sup> Dopsch, op. cit., S. 63—64.



ექსპლოატაცია ომის დროს გამრავალკეცდა. სრულიად ნათელია, რომ ამგვარი მანიპულაცია, როცა მთავრობა, თუ სურს, მოსპობს კერძო საკუთრებას და, როცა სურს, ისევ აღადგენს, არაბუნებრივია და ამიტომ შეუძლებელიც.

ამგვარადვე ხსნის ძველი გერმანელების ყოფაცხოვრების თავისებურებას აკად. პეტრუშევისკიც, მხოლოდ უწოდებს მას სამხედრო კომუნიზმს და არა სახელმწიფო სოციალიზმს, მისი აზრით, საომარ მდგომარეობას ამოუგდია გერმანელების ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტიდან. ცეზარის მიერ დასურათებული აგრარული და სამეურნეო წესები არ ახასიათებს გერმანელების მიერ მიღწეულ კულტურულ საფეხურსაო, ამბობს პეტრუშევისკი და ცეზარის ზემოთ მოყვანილი მოსაზრება გერმანიაში ამგვარი წესების არსებობის მიზეზების ასახსნელად მასთან ერთად მიაჩნია „გარკვეული პოლიტიკის შედეგად“, რომელიც ისახავს გარკვეულ მიზანს და არ წარმოადგენს „ფაქტს, გამოწვეულს გერმანელების ცხოვრების საერთო კულტურული პირობების მიერ“<sup>1</sup>. მაშასადამე, ხელოვნურად, გარკვეული მიზნით მოუსპიათ კერძო საკუთრება და შემდეგ ტაციტის წინ ხელახლად აღუდგენიათ, იმისდა მიუხედავად, ისტორიულად რამდენიმედ მაინც იყო თუ არა შემზადებული ამგვარი „რეფორმა“. აქაც, როგორც დოპშის ნათქვამიდან, გამოდის deus ex machina ისტორიაში. კულტურული განვითარების ძაფი წყდება და მერე როგორ? პიროვნებათა ერთი ჯგუფის სურვილით და ამათსავე სურვილით მერე ისევ ძველებურად ინასკება. აღარ ვიცი, სწამთ თუ არა ამ მეცნიერებს რაიმე კანონზომიერება ისტორიაში? მე რომ მკითხვით, აი აქ არის საჭირო დოპშის მიერ სხვა ადგილას მოყვანილი გამაფრთხილებელი სიტყვები: Keine Kulturzäsur!

სინამდვილე რას გვეუბნება? არც ცეზარის დროს და არც ტაციტისა არ არსებობდა ჯერჯერობით მიწაზე კერძო საკუთრება. ტაციტის დროს მხოლოდ ოდნავ შეცვლილი იყო მდგომარეობა კერძო საკუთრების განვითარების მიმართულებით, რაც გამოიხატებოდა საბიფანგო მეურნეობის არსებობაში და სახნავის ცვლის ვადების მეტ ხანგრძლივობაში. ასევე ოდნავ წინ წასული იყო აგრეთვე კლასობრივი დანაწილების პროცესი, მაგრამ ჯერ კიდევ შორს იყო როგორც კერძო საკუთრების წარმოშობა, აგრეთვე კლასობრივი განვითარების ჩამოყალიბება. ყველა ეს მოწმობს ბუნებრივი ისტორიული განვითარების პროცესის არსებობას, რომელშიც ტაციტის ხანა, შედარებით ცეზარის ხანასთან, შემდეგს, მომდევნო საფეხურს წარმოადგენს.

<sup>1</sup> Петрушевский, op. cit., стр. 141.

Г. Натадзе

## Организация и техника сельского хозяйства в древней Германии

(Резюме)

Дош, вместе со своими предшественниками и последователями, отвергая существование общинной собственности среди германцев эпохи Цезаря и Тацита, исходит от неправильного понимания теории катастрофы. Толкуя эту теорию, как отрицание всякой закономерности в истории, эти ученые совершенно извращают марксистское понимание революционного становления новой формации и приходят к выводу, что, с точки зрения этой теории, германцы оказываются „погромщиками“ (Kulturzerstörer) римской культуры. Доказать шаткость этой позиции и всю необоснованность такого утверждения нетрудно, пока спор ведется в теоретической сфере. Но когда вопрос касается техники и организации земледелия среди германцев, как предпосылок для решения теоретического вопроса, наше положение становится труднее, так как здесь необходимо дать новое обоснование толкования текстов Цезаря и Тацита. Здесь советской науке еще предстоит сказать свое веское слово. Уточнение толкования слов *invicem* и *ab universis* (из 26-ой гл.), в связи с наличием переложного хозяйства, не оставляет сомнений в коллективном характере действий всей массы германцев даже если слова *secundum dignat.* понять так, как понимают противники общинной теории; при наличии рабства это не опровергает существования коллективной собственности и коллективной воли. Свидетельство Тацита о разбросанности населения вполне гармонирует с его основным положением об общинной собственности, если принять во внимание существование бифангов и рабского труда и подойти к разрешению вопроса диалектически. Таким-же образом, т. е. как явление не массовое, а исключительное, свойственное только сравнительно крупным рабовладельческим хозяйствам, объясняется и существование плуга. Сопоставление разных текстов и правильное их толкование (напр., сл. *viritim*) не оставляют сомнений в том, что в массовом хозяйстве работали только женщины и если не старики, то во всяком случае пожилые люди, и что их приношения вождям были добровольны. Хлеб, как мерило ценности и как пища, употреблялся редко. Природные условия и обилие непородистого скота еще не дают возможности причислить германцев к номадам, но хозяйство

у них, несомненно, было отсталое, опиравшееся главным образом на скотоводство, чем и объясняется отсутствие частной собственности. Что же касается положений Цезаря, в науке их не решаются серьезно оспаривать, но отсутствие частной собственности объясняют как временную меру ввиду перманентного военного положения, своего рода „гос-социал.“ или „воен. коммун.“. Это утверждение исключает существование какой бы то ни было закономерности в истории и поэтому оно неприемлемо. Да и тексты Цезаря из IV и VI книг совершенно не дают основания утверждать это, как покажет их сравнительное изучение, вопреки утверждениям Нордена. Вот где следовало бы вспомнить предостерегающие слова Допша: Keine kulturzäsür.



ქ. კეკელიძე

## ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისა

### I

იმ ლიტერატურულ კოლონიაში, რომელიც, 1801 წლის ისტორიული აქტის შემდეგ, ფეხს იკიდებს რუსეთში, განსაკუთრებულ ყურადღებას ისტორიოგრაფია იპყრობს; თავისი საჭმიანობის ერთერთ მიზნად ეს კოლონია საქართველოს ისტორიის გაშუქებასაც ისახავს. ეს გამოწვეული იყო, სხვათა შორის, ეროვნული თავდაცვის საჭიროებითაც. ასეთი შრომებით ამ კოლონიას უნდოდა დაენახებია დამპყრობელი ძალისათვის, რომ ქართველები მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და კულტურის მატარებელი არიან, ამისათვის ისინი ღირსი არიან ახალი ცხოვრების პირობებში შესაფერისი ადგილისა და ყურადღებისა. მეორე მხრით, ამ კოლონიის მოღვაწენი გრძნობენ, რომ, უცხო რუსიფიკატორული რეჟიმის ბატონობისას, შესაძლებელია ქართველების გათქვეფა და გადნობა იმ უსახდგრო ოკეანეში, რომელსაც «რუსეთის იმპერია» ეწოდებოდა. ამის ასაცილებლად საჭიროდ უყვნიათ მათში ეროვნული თვითშეგნების გაღვივება და ეროვნული კულტურული ტრადიციების განმტკიცება.

ამ ნიადაგზე უნდა წარმოშობილიყო ისტორიული შრომები ბატონიშვილების დავითის, თეიმურაზის და ბაგრატისა<sup>1</sup>. ამგვარ შრომათა რიცხვს განეკუთვნება ბატონიშვილის იოანეს «ისტორია ქართლისა», რომელიც მოთავსებულ-

<sup>1</sup> მხედველობაში გვაქვს «ნამდვილი ისტორია, აღწერილი მეფის გიორგის პირშოს ძის დავითის მიერ», გამოცემული 1905 წ. მ. ჯანაშვილის მიერ, როგორც «მასალები საქართველოს ისტორიისათვის». მეორე ნაწილი ამ ისტორიისა (1819—1840 წწ.) დავითს არ შეიძლება ეკუთვნოდეს, ვინაიდან დავითი 1819 წ. გარდაიცვალა. ისიც კი საეჭვოა, რომ მას პირველი ნაწილი (1744—1819 წწ.) ეკუთვნოდეს: ჯერ ერთი, აქ დავითზე ყველგან მესამე პირობითაა ლაპარაკი, მეორე—დავითი იყო ვოლტერიანი, ურწმუნო და თავისუფლად მოაზროვნე კაცი, ეს ნაწილი კი, ისე, როგორც მეორე, საესეა რელიგიური ელემენტებითა და ცრუმორწმუნოებით. თუ მხედველობაში გვექნება ზოგადი ხასიათი და სტილი, ორივე ნაწილი ერთს ავტორს უნდა ეკუთვნოდეს, ეს ავტორი არის ბაგრატ ბატონიშვილი, რომელიც თხზულებაში არაერთხელ ახსენებს თავის თავს.

ლია მის «კალმასობაში», როგორც ორგანული ნაწილი ამ ღირსშესანიშნავი ენციკლოპედიური შრომისა.

ეს «ისტორია» ცნობილი გახდა 1911 წლიდან, მას შემდეგ, რაც აღმოჩენილ იქნა ვაგრძელება ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული «კალმასობისა»<sup>1</sup>. მოთავსებულია ის საქართველოს მუზეუმის ხელნაწერში H 214, რომელიც 1923 წელს დაბრუნდა საქართველოში რუსეთიდან. ეს არის ავტოგრაფი, რომელიც ერთადერთ ცალად შენახულა, სხვა ცალი მისი არასდროს არ არსებულა. ვინაიდან «კალმასობა» ამ შრომით იხურება, მისი შედგენის დროდ დაახლოებით 1825—1818 წლები შეიძლება მივიჩნიოთ. სამშობლო ქვეყნის ისტორიას ავტორი იწყებს პრეისტორიული, — ნოესა და მისი შვილების, — დროიდან და მოჰყავს ის 1518 წლამდე, როდესაც საქართველოს შაჰ-ისმაილი შემოესია.

რას წარმოადგენს ეს შრომა? ზოგადად და ძირითადად ის არის ვახუშტის ისტორიის შესაფერისი ნაწილის თავისი სიტყვით გადმოცემა და გარდათხრობა. ავტორი კვალდაკვალ მისდევს ვახუშტის, მას დაუცავს ზუსტად როგორც აქტიუტექონიკა ვახუშტის შრომისა, ისე მისი გეგმა, მეფობათა და მოთხრობათა თანმიმდევრობა, განსაკუთრებით კი ქრონოლოგიური თარიღები და გამოანგარიშებანი. ჯერ მას გადმოუცია ვახუშტის ისტორიის პირველი ნაწილი, სამეფოს გაყოფამდე, მერე მოგვითხრობს მისსავე «ქართლის ისტორიას», რომელიც, როგორც ვთქვით, 1518 წლამდეა ამოყვანილი. მას განზრახვა ჰქონია საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროების ისტორიაც გადმოეცა, ყოველ შემთხვევაში ერთს ადგილას ის შენიშნავს, რომ წერეთელთა შთამომავლობას «იმერეთის ისტორიაში» მოვიხსენებო, ხოლო ავ-გიორგისდროინდელი შფოთის მიზეზთა შესახებ ამბობს, რომ მათ უერცულესად მოვიხსენებ კახთა საკუთარსა ისტორიასა შინაო».

იოანე რუსეთში ცხოვრობდა ისეთ წრეში, რომელიც რელიგიური კრძალულებით ეპყრობოდა საქართველოს წარსულს. იქ მყოფი ბატონიშვილები და დიდებულები, იქაური ქართული ინტელიგენცია, საუკეთესო დამცველნი და მატარებელნი იყვნენ ქართული ეროვნული და ისტორიული ტრადიციებისა. მათ წრეში საქართველოს სამეფოს მოგონება და ქართული ტრადიციები ჯერ კიდევ ცოცხალი და შეურყეველი იყო. ამ წრის სოფლგაგება, რომელიც დამყარებული იყო XVII—XVIII საუკუნეების ქართველ მეცნიერთა და მწერალთა შრომებზე, აგრეთვე ცოცხალ გარდამოცემებზე, ასაზრდოებდა იოანესაც. იმათ ის ეცნობოდა როგორც ცოცხალ საუბარში ქართველებთან; ისე ქართულ მატრიანეებში, ქრონიკებში, გეოგრაფიულსა და საისტორიო თხზულებებში, ყველაზე მეტად კი ვახუშტის შრომებში, რომელთაც გარკვეული მიმართულება და ხა-

<sup>1</sup> «კალმასობაში» მოთავსებულის «საქართველოს ისტორიის» (და არა «ქართლის ისტორიის») ავტორს. იოანე ბატონიშვილს, ასახელებს ა. ხახანაშვილი (Очерки III, 292—3), მაგრამ ეს ისტორია მას თვითონ არ უნახავს და არც შეეძლო ენახა, რადგანაც მისი შემცველი ხელნაწერი მის დროს ცნობილი არ იყო; ამით აიხსნება მისი განცხადება, რომ აღნიშნული შრომა შეიცავს ამბებს საქართველოს გაქრისტიანებიდან XVIII საუკუნის გასულამდე ფარგლები იოანეს «ისტორიისა», როგორც დავინახავთ, ასეთი არაა.

სიათი მისცეს იოანეს ისტორიოგრაფიულ მუშაობას როგორც მეთოდის<sup>1</sup>, ისე შინააღსის მხრივ.

მოუხედავად ამისა, იოანეს შრომა მაინც არ არის უბრალო განმეორება ვახუშტის ისტორიისა; მას ქართულ საისტორიო მწერლობაში საკუთარი, დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვს, და საკმაოდ შესამჩნევი.

პირველ ყოვლისა, იოანე ბატონიშვილს ვახუშტის მოთხრობა ალაგალაგ ისეთი დეტალებით გაუფრცია, რომლებშიაც შემონახულია ტრადიციული, გარდამოცემითი ცნობები ჩვენი წარსული ცხოვრებისა, ისეთი ცნობები, რომლებიც ყოფილ სამეფო ოჯახში იმ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, დღეს კი ჩვენთვის მკვდარი და დაკარგულია. თან ვახუშტის ისტორიიდან ამოღებულ ამბებს ის ხანდახან, თუმცა არც ისე ხშირად, აესევს ვახტანგის მიერ რედაქტირებული «ქართლის ცხოვრებიდან» (ცნობილია, რომ ვახუშტი შემოკლებით გადმოგვცემს ვახტანგის შრომას); ამკობს მას საქართველოს ფეოდალურ გვაროვნობათა შესახებ ისტორიულ-გენეალოგიური ცნობებით, — იშვიათია ისეთი გვარი, რომელიც ამნაირი ცნობებით არ იყოს განმარტებული, — ძველი გეოგრაფიული ნომენკლატურის თანამედროვეზე გადმოტანით და ისეთი პირადი განცდებისა და რწმენის გამოთქმით, როგორცაა, მაგალითისათვის, შენიშნვა: გიორგი ლაშა იყო «თვითრჩეული, ვითარცა მოსდგამთ ბაგრატიონთა გუართანა დაწეებულება», ანადა — ერისთავები აწუხებდენ ხალხს, ვითარცა აწუცა ესრეთ არიან ერისთავნი».

საყურადღებოა, რომ ავტორს არ სურს ბრმად მიჰყვებოდეს ვახუშტის, ის მას ხშირად ეჭვის თვალთ უყურებს და ამიტომაც კრიტიკულად უდგება. სიტყვიერი გამოხატულება ამ კრიტიკული მიდგომისა მოცემულია ჯერ კიდევ «კალმასობისა იმ ნაწილში, რომელსაც ჩვეულებრივ «მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის» ეწოდება; აქ ნათქვამია: ვახუშტი, ბუში ბაგრატიონთა, აღზარდა ვახტანგ მეფემან მოსკოვსა შინა და იყო კარგი მეცნიერი. ამან განაგრცელა ქართლის ისტორია და აღწერა კარგად, აგრებრვე მეფეთა შთამომავლობანიცა. გაონა, ვინაითგან გამოქებულ იქმნა კახთა მეფეთაგან, ამისთვის ისტორიასა შინა, თვისსა მიერ ქმნილსა, შურითა მოუთხრობს საქქეთა მათთა, შეწყენითა ცხვირმოქრილისა ორგულობასა ზედა მეფისსა ამილახორისშვილი-

<sup>1</sup> ვახუშტისა და იოანეს მეთოდის საილუსტრაციოდ საქმარისია მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. ულუ დავეითის ისტორიაში იოანე გადმოგვცემს: «ლაშას ძე დავეით იყო ტანად მაღალი, ლაშაში მორფ ნაკეთობითა, მხარბეჟიანი, მხნე და მამაცი, და ამისათვის სახელსდგეს პაპისა მისისა სახელი «სოსლან დავეით», «სოს» ითარგმანების ნაძვის ხედ; ვინაიდან ნაძვი არის თვეიდამ ბოლომდის სწორედ აღზრდილი და კარგი სანახავად, ამისთვის ტანადობასა მისსა მიაწერდნან «სოსლანსა». ამნაირად სახელი «სოსლანი» იოანეს გამოჰყავს რუსული სიტყვიდან сослиа. ვახუშტიც ხომ ამკვარი ეტიმოლოგიური მეთოდით ხელმძღვანელობდა, როდესაც, მაგალითისათვის, გეოგრაფიული სახელი «რანი» გამოჰყავდა რუსული სიტყვიდან ранишь, «დეღლეთი» სიტყვებისაგან два мета (მ. ჯანაშვილი, ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 63 და 179).

სა<sup>1</sup>, და ამისათვის ძრახვენ ქართველნი და არაჴემმარიტ ისტორიად რაცხვენ, ვინაითგან შურითა მეფეთა და მრავალთა თავადთა აუგნი დაწერა<sup>2</sup>. საბუთიანია თუ არა ასეთი ბრალდება, ამის განხილვაში ახლა ჩვენ ვერ შევალთ, როგორც უნდა იყოს, ამ ბრალდებას იოანე «ქართლის ისტორიაშიც» იმეორებს. აი ზოგიერთი მაგალითი იოანეს კრიტიკისა.

1. «შემდგომად წლისა ქრისტეს აქეთ 314-სა მოვიდა წმიდა მოციქული ნინა იერუსალიმით სომხითს. ვახუშტი რომ სწერს იჴვენულებას, რომელ ნინოს დროს არ იყო კონსტანტინე დიდიო, კონსტანტინემ მიიღო მეფობა ქრისტეს აქეთ 303, მოიქცა ქრისტიანედ 306-ში და ნიკიის კრებაც მოხდა 325-ში».

2. «შემდგომად სამისა წლისა (ვახტანგის დროს ეპისკოპოსად მიხაილის დასმისა) წარმოემართა სპარსთა მეფე იეზდიგურ, ძე ბარამ-გურისა. ვახუშტის იეზდი-გურის მაგიერ ხოსრო დაუწერია; მაგრამ ვახტანგის დროს იყო იეზდი-გური, ხოლო კვალად ხოსრო წელსა ქრისტეს აქეთ 540-ში გამეფდა. ხოლო ხოსრო არა თუ სახელი არს, არამედ არაბულად ნიშნავს მეფესა და უპირველეს მთავარსა, და ესრეთ იწოდა ხოსროდ იეზდი-გურ, ესე იგი მეფე იეზდიგურ, ხოლო საკუთრად სახელით ითქმის ქეიხოსრო».

3. ჯათარ ამირ-მუმლმან «წარმოავლინა მხედრობითა დიდითა ამილბარი თვისი, ზედწოდებით ბუდალ თურქი. ვახუშტის და სხვათა ისტორიათა შინა თვისთა დაუწერიათ ბულა, არამედ თათრული სახელი არს ნამდვილ ბუდალ».

4. შემდგომად არპასლანისა «დაჯდა ადგილსა მისსა სულთანი ხორასნისა ჯალაქუ. ვახუშტის დაუწერია სულთან ჯაქუ, არამედ სწორე სახელი ამისი არის ჯალაქუ».

5. დავით აღმაშენებლის მეფობაში «მოვიდა დაფარვით, დავრიშის სახით, მელიქშას შვილი ტანღან მელიქ სულთანი გამსტრობად ივერიისა და ხილვად მეფისა დავითისა, და ეგრეთვე ამავე სახედ ბერძენთა მეფე ალექსანდრე. თუმცა ვახუშტის დაუწერია ალექსანდრე, მეფე ბერძენთა, გარნა ალექსანდრე უწინ იყო ამა დავით მეფეზედ, ხოლო ამა რიცხვსა შინა იყო ბალდვონ იერუსალიმის მეფედ, რომელმანცა მრავალი ძლევა მიიღო სარაციანელთა ანუ არაბთა ზედა. და ესე ბალდვონი მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა, მოთხრობისამებრ სხვათა ისტორიათა. არამედ მე ალექსანდრე დავწერე, და ესეცა მოვიხსენე აქა».

6. «სულტანი ჩარა ასლანის-ძე ნურაჴდარ. ჩარა ასლან ითარგმნების სპარსულსაგან «ლომ-სახიანი». ვახუშტის დაუწერია ნურჴარდინ, გარნა ესე არ არს სახელი, არამედ ნურაჴდარ უნდა სახელად».

<sup>1</sup> ეს არის ალექსანდრე ამილახვრისშვილი, ძე სალთხუცესის დიმიტრი ამილახვრისშვილისა, რომელიც პაატა ბატონიშვილთან ერთად სულისჩამდგმელი იყო ირაკლის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულებისა. შეთქმულების აღმოჩენის შემდეგ ის ცხვირის მოჭრით დასაჯეს. ამის შემდეგ ის დაუკავშირდა ალექსანდრე ბაქარის ძეს, მაგრამ 1779 წელს რუსებმა დარუბანდში შეიპყრეს და ვიბორლის ციხეში ამოაყოფინეს თავი (მასალები საქართველოს ისტორიისათვის, მ. ჯანაშვილის გამოცემა, გვ. 14, 26).

<sup>2</sup> ძველი საქართველო, ტ. I, განყოფ. 3, გვ. 47. ეს ბრალდება ყველაზე ადრე ანტონ კათოლიკოსმა წამოუყენა ვახუშტის «წყობილისტყვაობაში», სადაც ნათქვამია: ვახუშტიმ «მღურვა მიიღო სამართლიადრე, რამეთუ ვითმე მტერობითნიცა თქმანი გამოჩნდეს წერილთა შინა მისთა მრავლადლა».

7. «იქორწინა რუსუდან მეფემან ტონღანშას შვილსა ზედა, რომელიცა იყო მძევლად მოყვანილი დროსა თამარ მეფისასა<sup>1</sup>. ვახუშტის ტურდულის ძე დაუწერია, რომელსა არა სკოდნია გუარი მისი. ესე ტონღანშა, რომელიც დაესწერეთ ზევით, ხორასნისა მეფისა ძე, მძევლად მოყვანილი დროსა თამარ მეფისასა, ესე იყო იგი, რომელსა ეწოდა ქართულად სახელი ნათლობისა დიმიტრი. ამან შეამკო ხატი ღვთისმშობელისა და დააწერინა სახელი თვისი და რუსუდან დედოფლისა; ხოლო ქართველნი უწოდდენ ზვარასანთ ტყვეთა მხსნელად».

8. აღნიშნავს რა ალექსანდრე მეფის მიერ საქართველოს სამ სამეფოდ გაყოფის ფაქტს, იოანე ამბობს: მთელი საქართველო იტყვის აწ «ამ სამეფოს ასე სამად განყოფასა. ხოლო ვახუშტი შურითა კახთა მეფეთასა უარჰყოფს ზოგან და ზოგან კი დაამტკიცებს, და ამისათვის არა არს ბევრი მისგან დაწერილი სარწმუნო».

9. ავგიწერს რა საქმეთა მდგომარეობას საქართველოში ალექსანდრე მეფის (დიდის) შვილების დროს და კახეთში დიმიტრის ძის დავითის მეფობის ფაქტს, იოანე ამბობს: «ვახუშტის დაუწერია, რომ არ იყო გაყოფილი კახეთი ქართლისაგან და არცა მეფე იჯდაო, არამედ, თუმცა გაყოფილი იყო და მეფედაც იჯდა დავით შემდგომად მამისა თვისისა, გარნა ჯერეთ არ იყო კურთხეული მეფედ და იწოდებოდა მეფედ, რომელსა წერილნი მისნი აცხადებენ და ესრეთვე ევროპიელთა მისტორიენი სწერენ გაყრასა კახთასა და მეფობასა დავითისასა. იხილე ძველთა მატიანეთა შინა».

ყველაზე მეტად საყურადღებოა ის ცნობები, რომელნიც, ვახუშტისაგან განსხვავებით, იოანეს შემოუტანია თავის შრომაში სხვადასხვა წერილობითი, ლიტერატურული წყაროებიდან, თვით ამ წყაროების დასახელებით. ჯერ ჩამოვთვალოთ უცხოური ისტორიანი თუ მისტორიენი, რომელთაგან იოანეს ამოუწერია ცნობები უცხოელთა თუ ქართველთა შესახებ. ესენია: ბიბლია, როსტომიანი (ძალიან უხვადაა გამოყენებული), ნეტარი იერონიმე, იოსებ ფლავიოსი, იუსტინიანეს ისტორიკოსი, სახელი არაა ნაჩვენები (ასურეთის მეფის ნინის შესახებ), ლუნების (ჰუნების) ისტორია, ბერძენთა და ბიზანტიელთა ისტორია, ხრონოგრაფი და მატიანე, სომეხთა მეფის ისტორია, სომეხთა მისტორიენი, ევროპიელთა ისტორია, ფრანციკული მისტორიე, მისტორიე ბარონ ლეტერნი, სპარსთა, მონღოლთა, თურქისტანის, ჯილათელი (თემურლენგის შესახებ) ისტორია, არაბთა მისტორიენი, ვიკენტი რომაელი, ნიკოლოზ მისტორიე (ჩერქესთა ეპონიმის ჩარგუზის შესახებ), კონსტანტინე მაკედონელის მიერ აღწერილი ისტორია (ხუნზახისა და ავარიის შესახებ), ნემეცის ისტორიკოსი, ნიკოლოზ თესალონიკელის ისტორია, არქიმანდრიტი იოანიკე და სხვ. ჩვენთვის უფრო საყურადღებოა

<sup>1</sup> ეს ამბავი თამარის ისტორიაში ასე გადმოუცია იოანეს: ტონღანშა ზვარასნელმა ზაქარია მხარგრძელს, მის მიერ ზვარასნის მორბევის შემდეგ, მძევლად მისცა შვილი თოხთამიშ, რომელიც თამარმა «მიიღო ესრეთ, ვითარცა მეფისა შვილთა შვენის, და უბოძა საბოძვარნი დიდდიდნი, მასცა და თანამყოლელთა მისთა ერთა, და აგრეთვე არტაანი და მისნი სოფლები შესახურებისათვის მისისა საჭიროებისათვისა. და რა იხილა ესტავარი პატრივი თოხთამიშ და განიხილა სჯული მართლმადიდებელთა, ითხზა გულსმოდგინედ და ნათელილო კათოლიკოზისაგან, და მას ზედა უმეტეს შეიყვარა თამარ მეფემან».



წმიდა ქართული, დღეს უმეტეს შემთხვევაში უცნობი წყაროები საქართველოს შესახებ. აი ეს წყაროები:

1. «ძველნი მემატიანენი», ამ სახელით შეიძლება ავტორი გულისხმობდეს ქართლის ცხოვრებაში» შეტანილ ქრონიკებს და მატიანეებს.
  2. «ცხოვრება სამცხე-საათაბაგოსი» და «აღწერა სამცხე-საათაბაგოსი», ეს შეიძლება ვახუშტის ცნობილი შრომები იყოს.
  3. «ცხოვრება ანტონ ჭყონდიდელ-გარეჯელისა», უცნობი ძეგლი.
  4. «ოლთისელი ხუცის გიორგის აღწერილობა», საიდანაც ავტორს მოჰყავს დავით სოსლანის გენეალოგია. ესეც უცნობია.
  5. იოსებ თელაველის წიგნი «წესნი მეფეთა აღწერილობისანი», საიდანა ავტორი გვაცნობს მეტად საინტერესო ცერემონიას მეფეთა კორონაციისა და გლოვა-დატირებისას.
  6. იოსებ ახალციხელი მღვდლის «მოთხრობა» ქართლში «სადედოფლო» მამულების დაწესების შესახებ ბაგრატ IV დროიდან.
  7. «გუჯარი წყალობისა ბარათიანთაჲ»; აქედან ამოღებულია მრავალი ცნობა მეფის ალექსანდრე დიდის შესახებ. ეს ალბათ ის გუჯარია, რომელსაც ვახუშტიც ასახელებს თავის წყაროთა შორის. უფრო მეტია ასეთი წყაროები, როგორც დაინახავთ, ლაშა გიორგის ისტორიაში.
- ხემოჩამოთვლილი ქართულ-უცხოური წყაროებიდან ავტორს მოჰყავს ხშირად ვრცელი და საინტერესო ექსცერპტები და ისეთი ცნობები, რომელთაც პირველად ამ წყაროებით ვეცნობით. ამის საილუსტრაციოდ ჩვენ შევჩერდებით «ლაშა გიორგის ისტორიაზე», რომელიც შეადგენს წინამდებარე ჩვენი ექსკურსის სპეციალურ სავანს.

## II

დღესდღეობით ცნობილია სამი რედაქცია ლაშა გიორგის ისტორიისა: პირველი მათგანი ამ რამდენიმე წლის წინათ აღმოაჩინა და გამოცა პროფ. ი. ჯავახიშვილმა შემდეგი სათაურით: ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანე (გვ. 17—18, 1927 წ.). გიორგი ლაშას ისტორია ამ ძეგლით შედგენილია გიორგის გარდაცვალებისა და რუსუდანის გამეფების წელს, ესე იგი 1223-ს<sup>1</sup>. მეორე რედაქცია შემოუნახავს ე. წ. «ჟამთააღმწერელს» თავის თხზულებაში, რომელიც, როგორც ვარკვეულია<sup>2</sup>, დაწერილია XIV საუკუნეში. მესამე რედაქცია, რომელიც წარმოადგენს პირველი ორი რედაქციის შერწყმა-შეერთების ცდას, ჩვენ გვაქვს ქართლის ცხოვრების ვახტანგისეულ რედაქციასა და ამაზე

<sup>1</sup> ლაშას მეფობის წინანაწილი ამ მატიანისა, ყოველშემთხვევაში თამარის ისტორია, დაწერილია თამარის გარდაცვალებისა და გიორგის გამეფების წელს. ამას დასტურებს შემდეგი სიტყვები, რომელიც თამარის გარდაცვალების ამბებს მოჰყვება: «ჟამსა ჯგეროვანსა დასვეს გიორგი, ძე მისი, მეფედ მასვე წელიწადსა, რომლისა წელნიცა მრავალ-ჟამ ეულ არიან და ცხოვრება მათი კეთილ-წარმართებულ აქა ცვალებადსა თანა და მერმესცა დაუსრულებელსა».

<sup>2</sup> ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 195 6.

დამოკიდებულს ვახუშტის ისტორიაში; ამ მესამე რედაქციას დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს და იმაზე არც შეგჩერდებით.

პირველი ორი რედაქცია განსხვავდება ერთიმეორისაგან როგორც ფაქტობრივად, ისე იდეოლოგიურად. ფაქტობრივი მხრით: პირველმა რედაქციამ იცის მონღოლების ორჯერ შემოსევა და დამარცხება: ბალის წყალზე და ერთი წლის შემდეგ ბარდავის ქალაში, მეორე რედაქციამ იცის მხოლოდ ერთი შემოსევა, რომელიც დამთავრდა სავიშის მდინარეზე ქართველების დამარცხებით. პირველი რედაქცია მოგვითხრობს, რომ რუსულანს თხოულობდნენ ხლათის სულტანი და შარვანშა. ეს მოთხრობა მეორე რედაქციამ არ იცის. მეორე რედაქცია თავის მხრივ შეიცავს ვრცელ მოთხრობას განძელთა განდგომისა და აღმოსავლეთში ჩინგიზ-ხანის მეთაურობით მონღოლთა გამომჩენის შესახებ, რაც პირველმა რედაქციამ არ იცის.

ასევე თვალსაჩინოა იდეოლოგიური განსხვავება ამ ორ რედაქციას შორის; ეს განსხვავება ეხება ლაშა გიორგის ზნეობრივი ფიზიონომიის შეფასებას. პირველი რედაქცია ამ მხრივ ასე გვიხატავს გიორგის: «ვტყუოდეთ ქებასა მისსა წინაშე ყოველთა კაცთა, არა ვტყუოდეთ, არცა გურცხუნოდეს. მეფედ დაჯდანიერგი, კეთილი მოზარდი, და ყუაილი, ყოველთა ფერთაგან შემკობილი, უმანკო განებითა» (გვ. 19, 5-6) და «მოყუარული ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, მთავართა მათითა პატივითა, მონაზონთა და მღუდელთა მათითა პატივითა, მშვიდი და განურისხებელი ბუნებითა, მონისაცა ერთისა მათრახისა არადამკრველი» (გვ. 17-18). მეორე რედაქცია კი სულ სხვანაირად გვისურათებს მას, ის პირდაპირ გამანადგურებელ დახასიათებას იძლევა: «იყო ლალი, ამაბრტავანი, თავხედი, თვთბუნება, სახეობის მოყუარე, ღვინის მოყუარე, გემომოყუარე, სმასა და ჭამას შექცეული» (ქამთალმწერელი, გვ. 547), ბილწი, მემრუშე, რომელმაც «არა ინება ქორწინება ცოლსა თანა შჯულიერსა», არამედ ხასად მოიყვანა ველისციხიდან ერთი ქალი (გვ. 545-6), თანამოასაკეთა და რინდთა გადაკიდებულმა, რომელთა კამპანიაში მან ცალი თვალიც კი დაქარგა, გიორგიმ განიშორა ვეზირნი დედისა თვისისანი და მათ მაგიერ დაიხლოვა «კაცნი უგუნურნი, მეფის კარსა ზედა ყოფისა არა ღირსნი» (გვ. 547). ქამთალმწერლის შეხედულებით, ეს იყო მიზეზი ყველა იმ უბედურებისა, რაც საქართველოს თავს დაატყდა მონღოლების შემოსევის სახით, ამ შემოსევის ის უყურებს, როგორც ღვინისაგან სამაგიეროს მიზღვევას უკეთურებათათვის: «ამისათვის აღმოსცენდეს მიზეზნი ცოდვათა სიმრავლითა საქართველოსა მოკრებისანთა» (გვ. 548).

ვის მხარეზეა ამ შემთხვევაში სიმართლე? «ქამთალმწერლის» დახასიათება შედეგი უნდა იყოს უფრო მისი მორალიზატორული ტენდენციისა და მისტიკურ-ასკეტიკური სულისკვეთებისა, ვიდრე სინამდვილის ანარეკლი, მით უმეტეს, რომ რამდენიმე გვერდით წინ ამ დახასიათებამდე მასაც კი წამოსცდენია უნებლიეთ, რომ გიორგი იყო «უხვი, არავისათვის მოშურნე, მლოცველი, მმარხველი, განმკითხველი და მოწყალე» (გვ. 543). ავტორი პირველი რედაქციისა, თანამედროვე გიორგის მეფობისა, უფრო სწორად უნდა გადმოგვეცემდეს როგორც ფაქტებს გიორგის მეფობისას, ისე მის ზნეობრივ პროფილს. მა-

გალითად, ფაქტების მხრივ გიორგის მეფობაში ორგზითი შემოსევა მონღოლებისა დამოწმებულია თანამედროვე მუსულმანთ მწერლის იბნ-ალ-ათირის მიერ, რომლის ცნობით პირველად მონღოლები საქართველოში 1220 წელს შემოვიდნენ, ხოლო მეორედ ერთი წლის შემდეგ, 1221 წელსო<sup>1</sup>. რაც შეეხება გიორგის ზნობრივ ფიზიონომიას, პირველი რედაქციის დახასიათებას საფუძვლიანად უჭერს მხარს იოანე ბატონიშვილი, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მის მიერ გამოყენებული წყაროები.

ახლა განვიხილოთ, რას იძლევა ახალს იოანეს «ისტორია» ლაშა გიორგისა და მისი მეფობის შესახებ. ჯერ შევხვით შრომის ფაქტობრივ მხარეს.

1. განდგომილ განძელთა მიერ ქალაქის კარებთან მისულ მეფეზე თავდასხმის ეპიზოდში «ჟამთააღმწერელი» გადმოგვცემს, რომ მეფის თანამხლებელნი ეუბნებოდნენ მას: «სიკუდილამდის ვილუაწოთ და დავდეთ თავი სასიკუდილოდ და არა ვარცხვინოთ პირველსა ომსა მეფობისა შენისასა» (გვ. 541). იოანეს «ისტორიით» კი მათ «მოახსენეს მეფეს: ვივლტოდეთ მეფეო, უკუეთუ არა, შთაცვივნეთ ჯელსა შინა მტერთასა! მაშინ მეფემან უბრძანა: მე მამაცობისა თქვენისა მინდობილი წარმოველი აქა და აწ ვითა ვივლტოდეთ განძელთა ფეიქართავან? და მყის ჯმა-უყო და აღმოიწოდა ჯმალი და მიმართა განძელთა. მაშინ თანამხლებელთა მეფისათა იხილეს რა ესე, იგინიცა გულმოდგინედ ზედადაესხნეს განძელთა მათ».

2. იოანეს «ისტორიაში» მოყვანილია ვრცელი მოთხრობა სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივი პაექრობის შესახებ გიორგის დროს, რაც ჩვენმა ისტორიკოსმა არ იცის. «ასურეთის კერძო, ადგილსა შინა სომეხთასა, განითქვა ანბავი ესე, რომელ ქართველნი და სომეხნი ცლობდენ ჭეშმარიტსა სარწმუნოებასა ზედა დროსა თამარ მეფისასა, რომელთაც დასამტკიცებლად სარწმუნოებისა ძაღლთა. ხოლო სომეხთა შეწირული უკუე შთანთქა ძაღლმან მან და ქართველთა შეწირულისაგან განვივლტო ძაღლი იგი. და ამას ზედა აქუნდათ მრავალი შუღლი და უბნობა. მაშინ დანიელ, ვართაპეტი ასურელი, კაცი ფიცხელი, თვისსა ენასა ზედა სწავლული, აღსდგა და თანაწარმოიყვანა რაოდენიმე სამღვდელნი. მოვიდა ეჩმიაწინს, მუნიდგან გამოეთხოზა მუნებურს მწყემსთმთავარს და წარმოვიდა ტფილისსა, რომელიც იქადა: მე ვაჩვენო სასწაული ქართველთაო! მოვიდა და დადგა ეკლესიასა სომეხთა სახლთა შინა. ხოლო რაოდენისამე დღისა შემდგომად სთხოა მეფესა მიღებაჲ თვისი და მეფემანცა ინება და მიუწოდა თვისად. მეფემან მიიღო ჯეროვნისა პატივითა და გამოჰკითხა მოსვლისა მისისა მიზეზი. მაშინ ვართაპეტმან ჰკადრა მეფესა, რათა კვალად გამოსცადოს სასწაულნი მათნი. მაშინ მეფემან უბრძანა: ხვალე შემოკრებით ჩვენთანა, და მეცა მოუწოდო სამღვდელთა ჩემთა და მაშინ იტყოდე, თუ რაჲ გნებაჲს! ხოლო ხვალისა დღე შემოკრბენ ყოველნი სამღვდელნი ქართველთანი და სომეხთანი, და დასხდენ ერთად მეფე და კათალიკოზი და სხვანი განრიგებით, და წინა დასხნეს დანიელ ვართაპეტი და სხვანი თანამზრახნი მისნი. მაშინ ჰრქუა მეფემან: უფალო დანიელ, იტყოდე რაჲ გნებაჲს! მა-

<sup>1</sup> დ. ბაქრაძე, ვახუშტის ისტორია, გვ. 222, შენ. 4.

შინ დანიელ მიუგო: ზი მეფეო, მნებაეს მე, რათა კვალად შევსწიროთ მსხვერპ-  
 ლი და დაუგოთ წმიდა კრავი ძალთა, ვითარცა დროსა მეფისა თამარისასა,  
 ამად რომელ, ჰგავს, ჩვენსა შემწირველსა ჰქონიეს მწიკელი რამე და მის-  
 თვის მომხდარა საქმე იგი, და აწ გაცნობოთ ჭეშმარიტებაჲ. ამას ზედა  
 ყოველთა სამღვდელთა აღმოუტევეს ხმა თვისი, ვითარმედ: არა განვცა-  
 დოთ ღმერთი! იგიცა კმასაყოფელ არს თქვენდა, რაჲცა შეგემთხვათ თქვენ.  
 ხოლო კათალიკოზი იტყოდა: უკეთუ მოიქცეთ ყოველნი აქამყოფნი სომეხნი, მე  
 ვყო კვალად სიტყვისამებრ თქვენისა! ხოლო იგინი იტყოდეს: ჩვენიცა შეწი-  
 რული ეგოს შეუხებელად, ინებეთ ესეო! მაშინ შეფემან: არა, მამაო, უკეთუ  
 მე მაშინ დავსწრებოდი, არამცა მექნევიანებინა საქმე ესე, ვინაჲთგან საშინელ  
 და შემადრწუნებელ არს ესე; ხოლო უკეთუ გნებაეს, მოვილოთ ორნი ჭურ-  
 ჭელნი და ვაკურთხოთ აიაზმა და მერე დავბეჭდოთ და დავსდგათ ეკლესიათა  
 შინა და დავბეჭდოთ კარიცა ეკლესიისა და დაუდგინოთ მცველნი ქართველთა  
 და სომეხთანი. შემდგომად ორმოცისა დღისა განვახენეთ იგინი და ვიხილოთ:  
 რომლისა ნაკურთხსა აეშავს მყარალი სუნი, იგი იქმნების შეცთომილ სარწმუნ-  
 ნოებისაგან! ესე სიტყვა მეფისა ყოველთა მოიწონეს და დაამტკიცეს ესე, ხოლო  
 ხვალისა დღე შემოკრბენ ყოველნივე და მოიღეს თვის-თვისნი ჭურჭელნი და  
 ცალკერძო დადგნენ სომეხნი და ცალკერძო ქართველნი, და იწყეს აიაზმისა  
 ხდა. ხოლო სომეხნი ჰვალობდეს ხმამაღლა, ვითარცა მღვდელნი ბაალისნი, და  
 მერე შთაასხეს მირონი, და დასრულდა კურთხევა ორისავე კერძოდ; და დაბეჭ-  
 დეს ორთავე ბეჭდითა აიაზმისა ჭურჭელნი იგი და შეიღეს ეკლესიად, დასდგეს  
 ერთი მარცხნით კერძო და ერთი მარჯვნივ კერძო, და მერე დაკლიტნეს კარნი  
 ეკლესიისანი და დაბეჭდეს იგიცა და დაუდგინეს მცველნი ქართველთა და სო-  
 მეხთანი. შემდგომად ორმოცისა დღისა შემოკრბენ ყოველნივე და მივიდნენ  
 ეკლესიად, განახნეს კარნი საყდრისანი და წარმოიღეს აიაზმანი იგი და დასდგეს  
 საშუალ მოედნისა. მოვიდნენ ყოველნი სამღვდელონი და საერონი, მეფე და  
 კათალიკოზიცა, განიხილნეს ბეჭდები და მერე განხსნეს და აღმოიღეს ტაკუ-  
 კითა წყალნი. მაშინ მგემებელთა სომეხთა და ქართველთა სამღვდელთა და  
 საეროთა აიაზმისაგან ქართველთასა იტყოდეს, ვითარმედ არს გემოთი ვითარცა  
 ახალი აღმოღებული წყაროასა წყალი. ხოლო ოდეს აღმოივსეს სომეხთა აი-  
 აზმა, ვერვინ მიიტანა ცხვირთან, რომელ ჰყოდა იგი, ვითარცა დამდგარი  
 გუბისა წყალი. და ესრეთ სირცხვილელნი სომეხნი აყვედრიდეს ვართაპეტსა  
 მას, ხოლო ქართველნი ადადებდეს ღმერთსა სასწაულისა ამისთვის; და მერე  
 მრავალნი სომეხნი მოიქცნენ ქართველთა სარწმუნოებასა ზედა. ხოლო ვართა-  
 პეტი იგი კვალად წარმოდგა და აღიარებდა სჯულსა თვისსა და კვალად ით-  
 ხოვდა სხვასა რასამე სასწაულსა. მაშინ მეფე განრისხნა და უბრძანა: ვინაჲთ-  
 გან ქრისტესა არა აღიარებ ორისა ბუნებითა და წმიდათა კრებათა მიერ დამტ-  
 კიცებულსა სიმეოლოსა უარჰყოფ, ვითარ ძალგძის სასწაულისა რაჲსამე ყოფა  
 მოწაფესა ევტჯხისა და დიოსკორესასა? მაშინ კანდიერად იტყოდა ვართაპეტი:  
 არს სარწმუნოება სომეხთა ჭეშმარიტი და თვინიერ სარწმუნოებისა ამისა არ-  
 ვინცა სცხონდეს და არცა ვირწმუნო სარწმუნოება და სასწაული ეგე თქვენი!  
 ამასზედა გასწყრა მეფე და კათალიკოზი, კანდიერებასა ზედა მისსა, და მყისვე

ბრძანა მეფემან განყრა მათი ტფილისთგან, რომელნიცა არა მიიყვანეს სახლად თვისსა, არამედ კრწანისამდის მიიყვანეს ქვევითად და მუნიდგან განუტევენს მამულად თვისსა».

3. იოანე გადმოგვცემს დაწვრილებით ლაშა გიორგის სამისიონერო მოგზაურობას ფშავ-ხევსურეთში, იქ ეკლესიებისა და ჯვრების აღმართვას. «ჟამთა ამათ შინა ადგილ-ადგილ იყო ფშაველთა შინა ქრისტიანობა, გარნა ვერა ვაყრათ რიგიან, ქურდობდენ და ესხათ ოროლი და სამ-სამი ცოლი და იქცოდდენ არაწმინდებით. მაშინ მეფე გიორგი წარვიდა ფშავს და წარიღო მოკედლი ჯვარი და ნაწილი წმინდისა გიორგისა; მოეგებნენ ფშაველნი, მეფემან შეიწყნარნა კარგად და უჩვენა გზა ჭეშმარიტებისა და დაუდგინა მღვდელნიცა და ქადაგნიცა. ქმნა მცირე ეკლესია და დასვენა მუნ ჯუარო იგი; და დასვენა ნაწილიცა იგი და მიუბოძა ბავრაცი. და აგრეთვე ხევსურეთსა შინაცა მიბრძანდა და მათცა მისცა ჯუარი და ბავრაცი, და იგინიცა მხიარულ იქმნეს და ნათელ იღეს. ხოლო ფშაველნი უწოდებენ ჯუარსა მას «ლაშარის ჯუარად», ხოლო ხევსურნი «გუდანის ჯუარად», და მოამედ ბავრატოანთა უწოდებენ გიორგის და ჯუართა მათ ბავრატოანთა მოძმის ჯუარად».

რაც შეეხება გიორგის მორალურ ფიზიონომიას, ის არც ისე ცუდი ყოფილა, როგორც «ჟამთააღმწერელს» დაუსახავს, აქ სულერთიან გაბათილებულია ის ბრალდებანი, რომელთაც გიორგის უყენებენ «ჟამთააღმწერლის» დროიდან დაწყებული. საინტერესოა, რომ იოანე უჩვენებს ამ ბრალდებათა წყაროსაც. იმ სარწმუნოებრივი პაექრობის შემდეგ, რომელიც სომეხთა დამარცხებით დამთავრდა, იოანე შენიშნავს: «წარსულმან მან ვართაპეტმან მათმან დასწერა მრავალნი ძაგებანი მეფისანი და ამასთან ხასების დასხმა, და ამა წერილთაგან სხვათაცა მისტორიეთა სომეხთასა გამოწერეს სჯულისა მტერობისა გამო და დაწერეს მეფისა აუგი. ხოლო მობაძავმან მათმან ვახუშტიმ ბუშმან და სხუთაცა დასწერეს მისისაგან აღწერილნი ქართველთა ძაგებანი და შეუდგენ კვალთა მათთა მტერნი მეფისა და მამულისანი».

იოანეს განსაკუთრებითი ყურადღება მიუქცევია გიორგის ცხოვრებიდან ორი ფაქტისათვის: ცალი თვალის დაკარგვისა და ხასის მოყვანისათვის. ეს ბუნებრივიც არის: გიორგის ამორალობას ჩვეულებრივ ამ ორი ფაქტით ასაბუთებდნენ. მართლაც, «ჟამთააღმწერელი» გადმოგვცემს შემდეგს: «შეიყუარნა თანამოჰასაკენი მსმურობითა და დედათა უწესოთა თანააღრვეითა და ესოდენ უსახურობათა მიიწია, რომელ ოდესმე მსმელი ფრიადისა ღვინისა, ტფილისს მყოფი, წარიყვანეს რინდთა თანა, რათა მუნ განიძღონ სიბილწე თჳსი. ხოლო რინდნი, მუნ მეფისა მისლვისა არამგონებელნი და ღვინითა უცნობოქმნილნი, ზედამოეტევენს, მკუემელნი ძლიერად, ვიდრემდი ერთიცა თუალი, მარჯუენე, ხედვისაგან უხედვო ყვეს» (გვ. 544). იოანეს «ისტორიაში» კი ეს ამბავი ასეა გადმოცემული: განძელთა დამარცხების შემდეგ «იყო მეფე მშვილობასა შინა, განცხრომასა და ნადირობასა, სწყალობდა თანაშეზრდილთა და ერთსაკოვანთა თავადთა ძეთა და მათის თხოვნითაცა აღუსრულებდა სათხოვართა სხუთა. და ამას ზედა არამცირელი შური აქუნდათ კარისკაცთა მეფისათა ყრმათა მათზედა და ამხილებდენ მეფესა. ხოლო ღღესა ერთსა, ვითარცა არს ჩვეულება ბურ-

თაობისა და ჩოგანისა თამაშობისა მოედანსა ზედა, ოდეს არბევდეს ცხენთა და ენებთ ბურთისა გატანა, მაშინ ბარათიანთაგანი ვინმე ჭაბუკი, კარგი ცხენოსანი, მეცადინეობდა გატანად ბურთისა. ხოლო მეფეცა მეცადინეობდა არა და ნებებად, და ამასობასა შინა მოახვედრა ბარათაშვილმან მეფესა უცებად ჩოგანი იგი თვალსა შინა და დიდად განუტეხა, ესრეთ რომელ თითქმის თვე ერთი ძვილ-სადამე განუშთელეს მეფესა და ამის გამო მცირედ ხედვისაგან მოკლებულ იქმნა ცალის თვალითა. ხოლო მეფემან არცალა თუ ერთი ურიგო სიტყუაჲ ჰკადრა ყრმისა მას. ამგვარი გაშუქება ამ ფაქტისა სახსებით ახალია ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

მეორე ფაქტი გიორგის ცხოვრებიდან—ეს ხასის მოყვანა და დასმა. იგივე «ჟამთააღმწერელი» მოგვითხრობს: «მისრულმან კახეთს სოფელსა ერთსა, ველისციხეს, იხილა ქალი ფრიადქმნული კეთილი და მყის აღტაცებულ იქმნა გულსთქუმათა მიერ და.... მსწრაფლ თვსად მიიყვანა და შეიყუარა» (გვ. 545); «არა ინება ქორწინება ცოლსა თანა შჯულიერსა, ამისთვის შეკრბეს კათალიკოზი, ებისკოპოზნი და ვაზირნი და მოაკსენებდეს: არა ჯერ არს, რათა მკევალი გესვას და არა ცოლი.... ხოლო მეფესა არა ენება, ამისათვის წარგვარეს ქალი იგი და ქმარსავე მისსა მისცეს, ხოლო არცა მაშინ ექორწინა მეუღლესა, არამედ ეგო უქორწინებელად» (გვ. 546).

ეს ეპიზოდი იოანეს «ისტორიაში» სულ სხვანაირად არის გადმოცემული, ისეთი დეტალებით, რაც ჩვენმა ისტორიამ არ იცის. აქ ნათქვამია: «ინება მეფემან ლაშა კახეთსა შინა წარსვლა და წარვიდა მცირისა უკუე კაციითა და მოვლო ადგილ-ადგილ კახეთისა ადგილნი და გამოიკითხა საქმენი მათნი; და ვისაცა მოხელეთა შეეწუხებინათ ვინმე უსამართლოდ, იგი მოხელენი განატიყნა და ყოველთა აჩვენა კმაყოფილება. ხოლო ჟამსა ამას იყო დღესასწაულობა ჭერემისა ეკლესიისა, და მუნ მოილოცავდენ ერნი კახთანი. ინება მეფემანცა მუნ წასვლა სადღესასწაულოდ; ხოლო მისრულმან მეფემან მოილოცა წმიდა ესე ეკლესია და მერე იწყო ქვეითად სიარული ერთა შორის და ჭერეტა განცხრომათა მათთა. ჟამსა ამას შინა იხილა ქალი ვინმე მშვენიერი, რომელიცა სთნდა მეფესა და მშვენიერებამან მისმან მოიცო გული მეფისა, ვინაჲთვან მეფეცა იყო ჭაბუკი კაცი; და უბრძანა ერთსა თვისსა სანდოსა მსახურსა, რათა გამოიკითხოს საქმე მის ქალისა და ვისიშვილობა და ანუ უქორწინია ანუ არა. წარვიდა მსახური იგი და მეზობელთაგან გამოიკითხა ვითარება ქალისა მის; ხოლო მეზობელთა აცნობეს, რომელ იგი ქალი და მშობელნი მისნი სცხოვრებენ ახაშენს სოფელსა შინა, და ესე ქალი არს ქალწულ და შვილი გაღარბებულთა და ძველთა თავადთა კლდე-კარის ერისთავთა გუარისა მიწობლიძეთა მონათესავეთაგანი, ვარდმოცვივნულნი არზაკუნიათა დროთავე შინა, და აწ გლეხად მცხოვრებნი, რომელთაცა გლეხთა აწ სთხოვს ამას ველისციხელი გლეხი კაცი შვილისა თვისისათვის სასძლოდ, ხოლო დედამამა ამა ქალისა არა მნებებლობენ; და აქუთ ჯერეთცა ლაპარაკი, და თვით იგი გლეხნი ამბობენ: ჩვენგან აქვს მიცემული ნიშანი ქალსა მას. ხოლო ჰკითხა კაცმან მან სახელი ქალისა მის და ჰრქუა: სუსანა ეწოდებისო. წარმოვიდა კაცი იგი, ყოველივე აუწყა მეფესა. მაშინ მეფემან მოუწოდა მოძღუარსა თვისსა და აფუცა, რათა არავის უთხრას

მლუდელმან მან საიდუმლო ესე მეფისა, და წარგზავნა მლუდელი იგი დედმა-  
 მისა თანა მის ქალისა და ითხოვა ცოლად თვისად. ხოლო მათ ძნიად აღუჩნ-  
 დათ საქმე ესე და სთქვეს: ჩვენ აწ თითქმის გლახად შერაცხილნი ვართ, და  
 აწ ვითა ეგების მეფემან ჩვენმან გლახთა ასული მიიყვანოს ცოლად თვისაო?  
 გარნა მცნობმან ამისმან მეფემან კვალად გაგზავნა მლუდელი იგი და იძულებით  
 წარმოიყვანა ქალი იგი და იდუმალ ყოველთა იკურთხა მოძღვრისა თვისისაგან  
 გვირგვინი, გარნა დედოფლად არა აღმოაჩინა იგი, ამისთვის, რომელ მრავალთა-  
 დიდებულთა ნებადდათ, რათა მეფისთვის მიეთხოვებინათ ასულნი ანუ დანი  
 თვისნი, ვითარცა სუროდა იოანე მხარგრძელსა, შალვა ახალციხელსა და ვარ-  
 დანისძესა. შემდგომად ამისა წარმოვიდა მეფე და დედოფალი სუსანა დაუ-  
 ტევე თიანეთს, და თვით მოვიდა ტფილისსა შინა, წელსა 1205. მცნობმან და-  
 მან მეფისამან რუსუდან, ქორწინებასა ზედა მეფისასა იწყო განრისხებუ და შეუ-  
 რაცხყოფა თავისა თვისისა და ერთა დიდებულთა და დიდებულთა ცოლებისა,  
 რომელიცა იტყოდა: ვითარ ეგების თამარ მეფისა ძესა ესვას ცოლად გლახთა  
 ასული და ვიყვნეთ ხელსა ქუეშე მისსა და ვხადოდეთ დედოფლად? და მაშინ  
 შემოკრიბნა ყოველნი და თანახმად თვისად აღძრნა იგინი. და ეტყოდეს მეფესა  
 დატევებად ცოლისა თვისისა. ხოლო მეფე იგი არარასა პასუხსა უგებდა დასა  
 თვისსა და სხვათა დიდებულთა; ხოლო კვალად აიძულებდეს მეფესა, რათა  
 დაუტეოს იგი და მოიყვანოს თვისად მეფეთა სქესთაგანი ვინმე. ხოლო მეფე  
 ეტყოდა: მაცადეთ, ვყო სიტყვათამებრ თქვენთა!».

მეტად საინტერესოა შემდეგი ბედი ამ ქალისა. შემდგომად ერთისა წლისა  
 გიორგის ფშავ-ხევსურეთში სამისიონერო მოგზაურობიდან, გადმოგვცემს იოანე,  
 «კვალად შეიქნა არეულობა მთასა მას შინა. მაშინ მიუწერა მეფემან დედო-  
 ფალსა სუსანას, რათა გარდავიდეს და დაამშვიდოს იგინი. ხოლო დედოფალი  
 უკვე წარვიდა, მოგებენ სრულიად ფშაველ-ხევსურნი და დიდისა პატივითა  
 და სიხარულით მიიღეს, და ყოველნივე დამორჩილდენ ბრძანებასა მისსა. მაშინ  
 მცნობმან მეფემან დამშვიდებისათვის მთიურთა ხალხთა ჯილდოდ უბოძა დე-  
 დოფალს პირიქით ფშავისა სოფელი ერთი, რომელიცა ინახევდენ დედოფ-  
 ლისა საჯოგე ულაყსა ცხენსა, ესე განუჩინა ხარკად დედოფალმან. ხოლო დე-  
 დოფალმან დაჰყო მუნ ვიდრე სამი თვე და მრავლისა ქვევითად სიარულითა,  
 ვინაჲთვან ვიწრო და კლდიანი ადგილები არს და ძნელად სასიარულო ცხე-  
 ნითა, გაცივდა ღამე დედოფალი ნაოფლი და შეიქმნა ძლიერად ავად, რომელ  
 წარმოიღეს ხელისა სკამითა, და ვერარა არგო რა მკურნალმანც, და მთის ამო-  
 სავალს საშუალ ადგილს გარდიცვალა დედოფალი იგი, რომელიც გარდმო-  
 ვალს გზაჲ ესე ბაჩალზედ თიანეთის მხარეს. სადაცა დედოფალი ესე მიიცივალა,  
 მუნ არს ცხრა ანუ ათერთმეტი ხე არყისა მდგომარე, და ყოველწლივ ფშაველნი  
 მივლენან მუნ, მიიყვანენ საკლავთა და ჰკლვენ და ისადილებენ მუნ, და გარ-  
 დაიხდიან ალაპსა, შესმენ ღვინოსა და ლუდსა და შეავედრებენ ღმერთს სულსა  
 დედოფლისასა, რომელიცა აწ არს ესრეთცა<sup>1</sup>. ხოლო აცნობეს ესე მეფესა,

<sup>1</sup> სიტყვებიდან—«სადაცა დედოფალი ესე მიიცივალა» სიტყვებამდე—«აწ არს ესრეთცა»  
 მთავსებულთა ავტორის მიერ შენიშნავსი.

მეფე იქმნა დიდად მწუხარე და მივიდა თიანეთს და ბრძანა დამარხვა მისი ხარკოას ეკლესიისა შინა 1207, აგვისტოს 20. ხოლო ყრმა იგი დავით წარმოიყვანა და მიიბარა დასა თვისსა რუსულანს. შემდგომად ყოვლისა ვეედრნენ დიდებულნი, რათა შეირთოს ცოლი მეფემან, გარნა არლა ინება და დაადგრა უცოლოდა.

### III

საიდან ამოიღო იოანემ ეს ცნობები? როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იოანე ბატონიშვილის «ისტორია» საინტერესოა არა მარტო ფაქტებით, არამედ წყაროების აღნიშნვითაც; კერძოდ ეს უნდა ითქვას ლაშა გიორგის ისტორიის შესახებ, აქაც აღნიშნულია წყაროები, რომელთა მომეტებული ნაწილი დღეს უცნობია.

გადმოგვცემს რა ამბავს იმის შესახებ, რომ ბარათაშვილმა მეფეს ჩოგნით თვალი დაუზიანაო, ისტორიკოსი შენიშნავს: «ვახუშტის შურითა, ვითარცა სხუანიცა მრავალნი უფინებიან თვისსა აღწერასა შინა, აგრეთვე მეფე ესე შეურაცხ უქმნია, ვითამცა ღამე სიარულში ცუდთა საქმეთა ზედა შემთხვეოდეს თვალისა გამოთხრაჲ. გარნა პატიოსანსა მას მღუდელმონაზონსა უფრორე დაეჯერება, ვიდრეღა ამას, ვითარცა აქებს მეფისა ამის მოთმინებასა მღუდელმონაზონი გამრეკელისძე იოსებ წერილსა შინა თვისსა». საინტერესოა, რომ იოანე კარგად იცნობდა «ეპითაღმწერლის» ისტორიას, მაშასადამე, იმას უნდა სკოდნოდა ისიც, რომ პირველი წყარო ამ ეპიზოდის სხუანიირი რედაქციისა, ყოველ შემთხვევაში ჩაწერილი სახით, არის «ეპითაღმწერელი» და არა ვახუშტი, მაგრამ თავი ვერ შეუკავებია და ჯოხი მაინც ვახუშტის გადაატეხა. ვინაა მის მიერ დასახელებული მღვდელმონაზონი იოსებ გამრეკელისძე, რომელსაც ეს ეპიზოდი, იოანეს რედაქციით, ჰქონია გადმოცემული, არ ვიცით. ზემოთ ჩვენ ვაჩვენეთ, რომ იოანე იოსების სახელით ორ ისტორიკოსს იცნობს: ახალციხელსა და თელაველს; შეიძლება იოსებ გამრეკელისძე იგივე იოსებ ახალციხელია, ყოველ შემთხვევაში ის ვერ იქნება იოსებ თელაველი. ამას ძიება ესაჭიროება. ძიება ესაჭიროება აგრეთვე იმასაც, იყო თუ არა იმ დროს ბარათაშვილთა გვარი, რომელიც დოკუმენტებით XV საუკუნიდან იხსენიება<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იოანე ბატონიშვილი ამ გვარის ისტორიას ვახტანგ გორგასლანის დროიდან იწყებს, მისი წარმომადგენელი მას თითქოს აბაშეთიდან გამოუყვანია: «მოთხრობისაებრ ძველთა იტყვიან, რომელ აბაშეთს შინა ბარათამ ვინმე აბაშმან ძლიერად მსახურა ვახტანგს და თანა გამოჰყვა დედაწულითურთ თვისით... ვახტანგმა უბოძა მამული სომხითსა შინა და დასახლა მუნ, და აგრეთვე თავადობა, და მუნიდან ჩამოდიან ბარათიანნი». ვახუშტის ცნობით, მათ თავიანთი თავი გამოჰყავთ ქაჩიბაძეთაგან (საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის რედაქციით, გვ. 18, შ. გვ. 13). მართლაც, ქაჩიბაძე ბარათა, რომლისაგან თითქოს შთამომავლებენ ბარათაშვილნი, მოხსენებულია 1428 წლის ახლო ხანებში (ქრონიკები II, 232). იოანეს ცნობით, ბარათიანთა გვარის იყო თვით ბანელი ეპისკოპოზი იოანე, რომელიც ვაჩე კარიჭისძესთან ერთად კონსტანტინეპოლს გადასახლდა ბაგრატ IV-ის გამეფებისას.





იოანე უჩვენებს წყაროს სომეხებთან მომხდარი პაექრობისასაც. «თხილვე უცხე ბაასი», შინიშნავს ის თავისი შრომის აშიაზე, «ძველთა მატინათა შინა და ბერძენისა ბენედიკტეს სიმვოლოს აღწერასა შინა, რომელმანცა დასწერა წელსა ქრისტეს აქეთ 1218-სა, თუ მაშინდელის შუროთ სომეხნი ქართველთა ვითა ჰრყენდიან». რომელია ეს «ძველნი მატინენი», ან ვისია ისინი, არაფერი ვიცით ამის შესახებ.

ყოველ შემთხვევაში დღესდღეობით ცნობილ ქართულ მატინეებს ვერ ვიგულისხმებთ, რადგანაც მათში ამ პაექრობის შესახებ არაფერია ნათქვამი, არც თუ სომეხური მატინეები იცნობენ მას. უცნობია აგრეთვე ისტორიაში ბერძენის მწერალი ბენედიკტე და მის მიერ 1218 წელს დაწერილი «სიმვოლო», სადაც ქართველ-სომეხთა სარწმუნოებრივი ურთიერთობის შესახებ ყოფილა ლაპარაკი. ამის მსგავს წყაროს იოანე უჩვენებს აგრეთვე იმ პაექრობის აღწერისას, რომელსაც ულუ დავითის დროს ჰქონია აღგილი. აქ ნათქვამია: «ამავე წელსა (1251) შინა შეკრბენ სომეხთა სამლუდელონი და იწყეს ორ ბუნებასა ზედა ქრისტესსა და ორსა ნებასა ზედა ბაასი და ცილობა, რომელ ერთსა ბუნებასა მხოლოდ დაამტკიცებდენ და ერთსა ნებასა და ერთსა მოქმედებასა, და სხუანიცა მრავალნი წვალეზანი აღმოაჩინეს და მარტო ღვინითა უპუროდ იტყოდენ ზიარებასა ერთსა და მერე თევზითა პირისა გახსნასა; და ჰყვეს დიდი აღრეულება ერთა შორის, გარნა ქართველთა სამლუდელოთაგან იძლიენენ და მოთავენი მათნი და მემამოხენი გარეკეს ტფილისიდგან, რომელსაცა მოიხსენებენ მისტორიენი ევროპიელთანი; ამას კვალად მოიხსენებს თვისსა სიმვოლოს შინა ვიკენტი რომაელი, მას ჟამისა შფოთისა ამა საქმისათვისა. ერთი შეხედვით შესაძლოა იფიქროს კაცმა, რომ ბენედიკტე ბერძენი, ავტორი «სიმვოლოსი», არის იგივე ვიკენტი რომაელი და მისი «სიმვოლო», მაგრამ ეს ორი პაექრობა,—ლაშა გიორგის და ულუ დავითის დროისა,—დიდად არის დაშორებული ერთიმეორეს, რომ მათი აღწერა ერთსადაიმევე პირს, თანამედროვეს, შესძლებოდა. თუმცა ეს ასეც რომ იყოს, არც ამ ვიკენტი რომაელის შესახებ ვიცით რა.

იოანე სხვა წყაროებსაც უჩვენებს ამ პაექრობისას, ესენია: ასურელი ვართაპეტი დანიელი და «სხუანი მისტორიენი სომეხთანი», აგრეთვე კათოლიკოზი ექვთიმე. არაფერი ვიცით ვართაპეტის დანიელის, მით უმეტეს «სომეხთა სხვა მისტორიეთა» შესახებ, რომელთაც ამ პაექრობის შესახებ ჰქონიათ ცნობები. აქ საძიებელია ისიც, თუ რას ნიშნავს «მოვიდა ეჩმიაწინს, გამოეთხოვა მუნებურსა მწყემსთმთავარსა». თუ «მწყემსთმთავრად» კათოლიკოზია ნაგულისხმევი, აშკარა lapsus-თან გვაქვს საქმე, ვინაიდან ამ დროს სომხის კათოლიკოზები ჯერ ემპიაძინში არ მსხდარან; შეიძლება უბრალო ადგილობრივი მღვდელთმთავარია ნაგულისხმევი. ვინაა კათოლიკოზი ექვთიმე? რომ ეს მოგონილი პიროვნება არაა, ჩანს ისეთი ნიშანდობლივი ჩვენებისაგან, როგორიცაა მისი თხზულება «წყობილ-ლექსობა», რომლიდანაც იოანეს ციტატა მოჰყავს: «ჩვენგან ძლეული ტერტერა მეფესა ლანძღავს აუგად». საქართველოს ისტორიაში ცნობილია რამდენიმე ექვთიმე კათოლიკოზი: ექვთიმე I ზარზმელი (დაახლ.

1047—1055 წ.) და ექვთიმე II (დაახლ. 1320—1340 წ.). არცერთი ამთგანი არაა «წყობილ-ლექსობის» ავტორი ექვთიმე კათოლიკოზი. საქმე ისაა, რომ ეს ექვთიმე თითქოს თანამედროვე ყოფილა აღნიშნული პაექრობისა, «წყობილ-ლექსობაში» ის ამბობს: «ჩვენ გან ძლეული», თვითონ მონაწილე ყოფილა ამ პაექრობისა, იმ ორ ექვთიმეზე კი ეს არ ითქმის. თუ მხედველობაში გვექნება ის გარემოება, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება სრული და ზუსტი სია მეცამეტე საუკუნის პირველი მეოთხედის კათოლიკოზებისა, შეუძლებელი არ იქნება, თუ ექვთიმეს სწორედ ამ დროის ერთერთ, ამდენად უცნობ, კათოლიკოზად მივიჩნევთ. არავითარი კვალი არ ჩანს დღეს ექვთიმეს თხზულების «წყობილ-ლექსობისა».

მეფის «სჯულიერი ქორწინების» და არა «ხასის დასმის» სიმართლეს იოანე ასე ადასტურებს: «კვალად ამტკიცებს სჯულიერსა ქორწინებასა მეფისასა კათალიკოზი ევთიმი, აგრეთვე მოძღუარი მეფისა გიორგი ხარქოშელი, აგრეთვე დავით-საულიანშიც მოიხსენებს ლაშას სჯულიერსა ცოლსა. აგრეთვე კათალიკოზი ანტონი იტყვის თვისსა «წყობილ-სიტყუასა» შინა: ვახუშტიმ თუმცა ისტორია აღწერა ქართლისაო, არამედ დასწერა შურით ბეგრი სიცრუეგოა. საბრალო ვახუშტი! იოანემ ამ შემთხვევაშიც ყალბი ცნობების წყაროდ ის გამოიყვანა, მხოლოდ ანტონ კათალიკოზის ავტორიტეტზე დაყრდნობით, თუმცა მას უნდა სცოდნოდა, რომ პირველი წერილობითი წყარო მეფის მიერ «არა სჯულიერი» ცოლის დასმისა არის «ჟამთააღმწერელი» და არა ვახუშტი. ყოველ შემთხვევაში რა «შური» და ანგარიშები უნდა ჰქონოდა ვახუშტის ლაშა გიორგის და სხვა, მისი დროიდან დაშორებულ, მეფეთა მიმართ, რომ მათ შესახებ ინსინუაციები ეთხზა? მეფის «სჯულიერი ქორწინების» მოწმე ყოფილა იგივე ზემოთმოხსენებული ექვთიმე კათალიკოზი და მოძღუარი მეფისა გიორგი ხარქოშელი, რომელმაც ჯვარი დასწერა მას. ხარჭაშოს გუნბათიანსა და კეთილშენ ეკლესიას თიანეთში უჩვენებს ვახუშტიც თავის გერგრაფიაში (გამოც. მ. ჯანაშვილისა, გვ. 137), აქ შემდეგში ისხდნენ ხარჭაშნელები. არც ამ გიორგი ხარჭაშოელის შესახებ მოგვეპოვება ცნობები. მეფის «სჯულიერი» ცოლი მოხსენებული ყოფილა აგრეთვე «დავით-საულიანშიც». რა არის ეს «დავით-საულიანი»? უეჭველია, ეს ისეთი თხზულებაა, რომელსაც სახელწოდება მიუღია ებრაელთა მეფეების დავითისა და საულისაგან<sup>1</sup>. ასეთი თხზულება დღეს არსადა ჩანს, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ის ჯერ კიდევ არსებობდა; ყოველ შემთხვევაში 1810 წლის კატალოგში, რომელიც, როგორც დღეს ირკვევა, დავით რექტორს ეკუთვნის, ნათქვამია: «საულ-დავითიანის წიგნი დიდი, ოცი დასტა ქაღალდი უნდა, თუ გადაიწერა»<sup>2</sup>. ხელთ ჰქონია იგი, როგორც ვხედავთ, იოანე ბატონიშვილსაც, მაგრამ ამ საუკუნის ოცდაათიანი წლების მიწურულში ის უკვე საძიებელი გამხდარა. ამაში გვარწმუნებს პლ. იოსე-

<sup>1</sup> ამას თითქოს ადასტურებს ზ. ჭიჭინაძის ცნობა ამ წიგნის შესახებ: «ამბავი მეფე დავითის და საულს შეეხებაო» (ქართული შწერლობა XIII—XVI საუკუნეებში, გვ. 2)

<sup>2</sup> А. Цагарели, Сведения III, 266. დოკ. ტ. რუხაძის მიერ მოწოდებული ცნობით, ამ თხზულების სათაური «დავით-საულიანი» მოხსენებული ყოფილა ხელნაწერებში: საქართველოს A 1767 და ლენინგრადის აკადემიისაში H 65.

ლიანის მიწერა-მოწერა აკად. მ. ბროსესთან; აი რას ვკითხულობთ აქ: «საულ-დავითიანი ძნელი საშოვნელი წიგნი ყოფილა აქა, ერთს ადგილასა მიმასწავლეს და ეგების ვიშოვნო; ბატონიშვილთ პეტერბურღში უნდა აქუნდესთ იგი» (1838 წ. 12 მაისი); «საულ-დავითიანი» ერთი იზოგება თელავის ქალაქში და არ იძლევიან, ვეცდები, როგორმე ჩავიგდო ხელში» (1838 წ. ივნისის 23). «საულ-დავითიანი» მოვატანინე თელავით და ფულიც გამივიდა მის მოტანაზედ. ის არის წიგნი სრულიად უქმი და უხმარი. რა სწერია? ისტორია დავით მეფისა და საულისა ანუ გადმოწერილი დაბადებიდან ორი წიგნი მეფეთა» (1840 წ. ოქტომბრის 10)<sup>1</sup>. პლ. იოსელიანის მოსაზრება, რომ ეს წიგნი პეტერბურღში უნდა ჰქონდეთ ბატონიშვილებსო, გამართლებულია იოანე ბატონიშვილის ციტაციით. მაგრამ პ. იოსელიანი მართალი არ უნდა იყოს, როდესაც «საულ-დავითიანად» «მეფეთა პირველსა და მეორე წიგნებს» ბიბლიიდან სთვლის; ბიბლიურ წიგნებში ლაშა გიორგის ცოლის შესახებ ლაპარაკი ვერ იქნებოდა. ეს რალაც სხვა თხზულებაა, რომელიც უეჭველად უნდა მოიძინებოს.

დასასრულ ორიოდ სიტყვა ფშავ-ხევსურეთში ლაშა გიორგის სამისიონერო საქმიანობისა<sup>2</sup> და აქ მისი ცოლის, სუსანას, მოღვაწეობისა და გარდაცვალების შესახებ. ყველაფერი ის, რაც სუსანას შესახებაა აქ მოთხრობილი, ალბათ დამყარებულია ადგილობრივს თქმულება-გარდამოცემებზე, რომელთა კვალი დღეს უკვე აღარ ჩანს, ყოველ შემთხვევაში არსებულ ლიტერატურაში ვერ ვპოულობთ ვერაფერს ამის მსგავსს. ლაშა გიორგის შესახებ კი ფშავ-ხევსურეთში უამრავი გარდამოცემა არსებობს. ჯერ კიდევ ვახუშტი ამბობდა თავის გეოგრაფიაში: «ფშავსა შინა არს ეკლესია მეფის ლაშასაგან აშენებული, რომელსა შინა არიან მრავალნი ხატნი და ჯუარნი ოქრო-ვერცხლისანი, ჭურჭელნი და წიგნნი, და უწოდებენ ლაშას ჯუარს»<sup>3</sup>. ამ ცნობის გამოძახილია იოანეს ინტერპრეტაცია «ლაშარის ჯუარი»-სა. ასეთი გაგება ამ სახელისა ადგილობრივად გაბატონებულია. ვაჟა-ფშაველა «ლაშარის ჯუარის» შესახებ წერდა: «ამ ადგილს წინათ ყოფილა აშენებული ლაშა გიორგისაგან ეკლესია წმიდის გიორგის სა-

<sup>1</sup> საქართვე. მუხ. S 4797, ამონაწერი მომაწოდა დოც. ს. ყუბანეიშვილმა.

<sup>2</sup> იოანე თამარის სამისიონერო საქმესაც აგვიწერს ასე: «მოვლო თამარ მეფემან კავკასიის კერძონი და ბრძანა უმაღლესთა მთათა ზედა ეკლესიათა აღმართებად, ეკლესიანი აწცა მრავალ არიან ამა ზემო ხსენებულთა მთათა შინა და მუნ მცხოვრებნიც აღიარებენ თამარ მეფისაგან აღშენებასა. და მერე გელაქუნის მთის კერძო ახალციხემდინ, მუნცა ყოველთა მაღალთა ადგილთა ეკლესია და ბაღი. ოსთა და ჩერქეზთა უმეტეს დამტკიცებისათვის, და აგრეთვე მუშკულეთს სვანეთსა შინა, რაჟის კერძოსა აღაშენა ეკლესია და მუნ დაასენა ხატი ღვთისმშობელისა, მოაჭვილი ძვირფასად, და მუნ დაჰმოკიდა თმა თვისი ნაწნევი, რომელსა იტყვიან ექესსა მტკაველსა, და აწცა არს მუნ ეკლესიასა შინა. ხოლო სვანნი და გარემო მის მთის ერნი ესრეთ ესვენ ღვთისმშობელისა მას ხატსა, რომელ არა ძალუძთ ტყუილად დაფიცება ვისიმე მას ზედა, და უთუოდ აღიარებს დასაფიცებელი უკეთუ შეაგდონ რამე მისგან ნაქმარი უკუუ საქმე, და ხაღიან ივინცა დედად ღვთისა ხატსა მას და ვგრეთვე ესვენ თმასა მას თამარისასა».

<sup>3</sup> მ. ჯანაშვილის გამოცემა, გვ. 139.

ხელზე, რომლისათვისაც მშვენიერი ხატი წმიდის გიორგისა შეუწირავს. ხალხს ეს გარემოება დაეიწყებია, შეწირული და შემწირველი გაუერთებია და კიდევაც გაულმერთებია. მეორე გორაზე არის აშენებული თამარის სალოცავი, რომლის დღეობას «ღელეობა» ეწოდება. როგორც ამ სალოცავს, ისე ლაშარის ჯვარს ერთად «მოდე-მომძეს» ეძახიან, რადგანაც თამარი და გიორგი და-ძმად ჰყავთ წარმოდგენილი<sup>1</sup>. ამ უკანასკნელ გარდამოცემას ეხმაურება იოანეს ცნობა, რომ «გიორგის მოძმედ ბაგრატიანთა უწოდებენ» და მის მიერ შეწირული გულანისა და ლაშარის ჯვარს — «ბაგრატიანთა მოძმის ჯვარსოა»<sup>2</sup>.

რა გვეთქმის იოანეს შრომაში, კერძოდ ლაშა გიორგის ისტორიაში გამოყენებული წყაროების შესახებ?

აღნიშნული წყაროების კვალის მიგნება თავისთავად, მათი ღირებულებებისაგან დამოუკიდებელი, მეტად საგულისხმოა: ძველი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობა ჯერ არც აღმოჩენილია სავსებით და არც გამოყენებული, კიდევ მოსალოდნელია ახალი მასალების და წყაროების აღმოჩენა, რაც ჩვენს წარმოდგენას ამათუიმ საგანზე არა მარტო შეაფხებს, შესაძლოა, შესცვლის კიდევაც ზოგ შემთხვევაში. საჭიროა ძიება, ძიება და კიდევ ძიება ამ მასალებისა და წყაროებისა. ამასთან დაკავშირებით, ყოველგვარი დასკვნებისას საჭიროა სიფრთხილე, ყოველ შემთხვევაში თავშეკავება კატეგორიული და უაპელაციო ტონისაგან.

მეორე — სანამ ლაშა გიორგის ისტორიაში გამოყენებული წყაროები აღმოჩენილი არაა, ძნელია მათი ღირებულების შესახებ საბოლოო დასკვნა გავაკეთოთ. ერთი კი შეიძლება ითქვას: ის გარემოება, რომ ლაშა გიორგის პიროვნების შეფასებაში ეს წყაროები, როგორც ზემოთაც იყო ნაჩვენები, სავსებით უჭერენ მხარს ლაშას თანამედროვე მემკვიდრის, ჩვენ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ წყაროებში იმდენად ფანტაზიისა და ხალხური შემოქმედების ანარეკლი არა გვაქვს, რამდენადაც სინამდვილისა და სიმართლის გამოძახილი და კვალი.

ასეთია ლაშა გიორგის ისტორია იოანე ბატონიშვილის შრომაში; ის დამახასიათებელია მთელი ამ შრომისა, ამიტომ ლაშარაკი ზედმეტია იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის ამ შრომის გამოცემას<sup>3</sup>.

<sup>1</sup> გახ. «ივერია» 1888 წ. № 174.

<sup>2</sup> გულანისა და ლაშარის ჯვარის შესახებ იხ. «Материалы по Археологии Кавказа», Вып. X, გვ. 13, 17, 53, 86, 134. ნ. ურბნელის აზრით, «ლაშარის ჯვარის» დაკავშირება ლაშა გიორგის სახელთან შეცდომაა, აქ ჩვენ გვაქვს, მისი სიტყვით, არა ლაშას (აქედან ვითომცდა ლაშარის) სახელი, არამედ ფშავ-ხევსურთა სამხედრო პრაქტიკით შექმნილი სახელწოდება «ლაშქარის» ჯვარი (ივერია 1888 წ. № 176). ეს, შეიძლება, ასეც იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო არაა.

<sup>3</sup> ტექსტი მისი გადმოწერილია და მხადდება გამოსაცემად («კალმასობის» შესამე ტომად). პროფესორების კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის მიერ.

К. Кекелидзе

## Новые литературные источники по истории Георгия Лаши (Резюме)

После 1801 года, когда последовало «присоединение» Грузии к России, в России формируется грузинская научно-литературная школа, в которой наблюдается большой спрос, между прочим, на изучение прошлых судеб грузинского народа. Этот спрос вызвал появление на свет «Истории Грузии» царевича Иоанна на грузинском языке.

Царевич Иоанн, настоящий энциклопедист своего времени, является представителем исторической школы ученой Вахушти; его «История» по плану, композиции, методу и хронологической системе находится в родстве с «Историей» Вахушти. Несмотря на это, в грузинской историографии эта работа имеет самостоятельное значение; автор в ней дает совершенно новые, основанные на предании или литературных источниках, сведения, указывает новые, до сих пор неизвестные источники и местами старается критиковать своего предшественника Вахушти. С этой стороны особо выделяется в этой работе история Георгия Лаши, сына царицы Тамары. Это—третья по счету редакция истории Георгия Лаши, совершенно новая и независимая, которая ставит себе целью: во-первых—дополнить историю Георгия новыми сведениями, а во-вторых—дать иное, чем принято, освещение моральной личности этого царя.

В первом отношении автор дает интереснейшие детали усмирения отложившихся гандзийцев, передает сведения о неизвестном до сих пор армяно-грузинском религиозном диспуте, описывает миссионерскую деятельность Георгия среди пшавов и хевсуров, равно как и участие его супруги в деле усмирения пшаво-хевсурского бунта; все это ново и интересно.

Во втором отношении автор рисует симпатичный облик Георгия, вопреки сведениям, сообщаемым историком монгольской эпохи. Здесь сказано, что Георгий потерял один глаз не во время разгрома и пьянства, а на стадионе во время игры в „чогани“. Тут же делается реабилитация семейной жизни Георгия: он имел не «наложницу», как сообщается в других редакциях его истории, а «законную», в церкви обвенчанную, жену, причем даются обстоятельные сведения о личности и жизни этой особы.

Царевич Иоанн не только дает в своей работе новые, до сих пор неизвестные сведения, но и указывает источники этих све-

дений; с этой стороны работа его приобретает исключительный историко-литературный интерес. Общим источником превратных толкований жизни и деятельности Георгия, царивших в грузинской историографии, по автору, являются армянские историки, в числе их какой-то вардапет Даниил, о котором ничего не известно ни в грузинской, ни в армянской истории. Источниками религиозного диспута между армянами и грузинами в царствование Георгия являются: названный Даниил, «Символ» греческого писателя Венедикта, католикос грузинский Евфимий и его сочинение «Цкобил-лексоба». Сведения о потере Георгием одного глаза во время игры на стадионе автор заимствует из сочинения иеромонаха Иосифа Гамрекелидзе, а относительно «законного» супружества Георгия—из работ католикоса Евфимия, духовника царя Георгия Харчошели и из сочинения «Давид-Саулиани». Все это является совершенной новизной в истории грузинской литературы. К сожалению, указываемые работы в настоящее время или потеряны, или еще не обнаружены. Интереснейшие сведения относительно деятельности Георгия и его супруги среди пшавов и хевсуров должны быть заимствованы не столько из литературных источников, сколько из местных устных преданий. «История» царевича Иоанна готовится к печати.

---

ლ. მელიქსეთ-ბაში

## ნ. მარის და მატერიალური კულტურის ისტორია

ნ. მარის მოღვაწეობა მატერიალური კულტურის ისტორიის დარგში ცნობილია იმ დროიდან, როდესაც მატერიალური ანუ ნივთიერი კულტურის ისტორია, როგორც ასეთი, ჯერ არ არსებობდა, არამედ უკანასკნელი წარმოდგენილი იყო არქეოლოგიის სახით—მონათესავე დისციპლინებითურთ, რომელიც არსებითად ნივთმცოდნეობას წარმოადგენდა და არ ემსახურებოდა ისტორიული პროცესის მთლიან გაგებას.

მართალია, ამ დარგში ნ. მარის გულისყური უმთავრესად პირველ ხანებში თითქოს სავსებით სომხეთისაკენ იყო მიპყრობილი, რის გამოც იგი ქართულ შოვინისტური ბანაკის ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ სომეხთაგან „შესყიდულად“ და, მაშასადამე, „ქართველთა მტრად“—აც იქნა გამოცხადებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნ. მარმა პირნათლად შეასრულა ის, რის გაკეთებაც მას, უკეთ რომ ვთქვათ, მხოლოდ მას შეეძლო, იმ შედეგებითურთ, რომელიც ვიწროდ შემოფარგლული სომხეთის ანუ კავკასიის ისტორიას სცილდება და ამჟამად მსოფლიო მეცნიერების საუნჯის კუთვნილებას შეადგენს.

ნ. მარს სომხეთში პირველად ყოფნა მოუხდა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1890 წელს, საშუალო საუკუნეების სომხურ ხელნაწერებზე საშუაოდ, ეჩმიაწინისა და სევეანის მონასტრებში. ამავე წელს მან პირველად იხილა IX—XI ს.ს. სომხეთის დედაქალაქ ანისის ნანგრევები, რომლებმაც მასზე, როგორც ეტყობა, ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს. ამიტომაც იყო, რომ, — თვით ნ. მარის თქმით, — „ისტორიულ-ლიტერატურული ინტერესები [სომხეთში მუშაობისა] შეცვლილ იქნა არქეოლოგიური ინტერესებით, რომლებმაც ნიადაგი მოიპოვეს სომხეთის საშუალო საუკუნეთა ნაქალაქევი ანისის გათხრებში, რამდენადაც მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიის ყველა ერის შესწავლისათვის, თუმცა თავდაპირველად ციხე და მისი ძირითადი მოსახლეობა სომხური იყო“, და „აქვე შექმნილ იქნა ლაბორატორია კავკასიის სიძველეთა შესასწავლად“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ნ. მარის ავტობიოგრაფია: „Огонек“ 1927 წ. № 27; Н. Марр, Избранные работы, I, Л. 1933, стр. 11; შდრ. იგივე ქართულად: ჟურნ. „ქართული მწერლობა“ 1927 წ., № 6—7, გვ. 217.

1892—1893 წწ. ნ. მარმა, რუსეთის საარქეოლოგიო კომისიის დავალებით, აწარმოა პირველი გათხრები სომხეთის სხვადასხვა ადგილას, კერძოდ ანისში, რომელთა შესახებ წინასწარი ინფორმაცია მოათავსა იმავე კომისიის „ანგარიშებში“<sup>1</sup>.

1892—1893 წწ. ანისში წარმოებულ გათხრებს საცდელი ხასიათი ჰქონდა იმ სისტემატური მუშაობისათვის ანისშივე, რომელიც შემდეგში 1904. წლიდან გაგრძელდა 1917 წლამდე, ე. ი.  $2+14=16$  კამპანიის სახით.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წლის განმავლობაში ანისსა და მის მიდამოებში დაგროვილ დიდძალ მასალას (ანისის ყველა უგამონაკლისოდ ხელნაწერი და ბეჭდვითი მასალები, ნახაზები, სურათები და ფოტოგრაფიები, ნაწერები, დიურები) კატასტროფა მოუვიდა, ვინაიდან იგი უკვალოდ დაიღუპა გზაში არმავეირსა და ბაქოს შორის 1917 წელს<sup>2</sup>, ისევე, როგორც ანისის მუზეუმში შეკრებილი კოლექციები, მცირე გამონაკლისით (რომელიც ამჟამად ერევნის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული<sup>3</sup>), გაიძარცვა 1918 წლის ამბების დროს, ყველა ის, რის გამოცემაც მოასწრეს როგორც თვით ნ. მარმა<sup>4</sup>, ისე ზოგიერთმა მისმა მოწაფემ და თანამშრომელმა, ანდა რაც შემთხვევით შერჩა იმავე ნ. მარს, ცხადჰყოფს, თუ რა დიდი შედეგები მოჰყვა ანისში წარმოებულ გათხრებს მეცნიერულის თვალსაზრისით საერთოდ. და ამის გამოც იგი, ნ. მარი, 1916 წელს, აკადემიკოს ვ. ბარტოლდისა და ი. სმირნო-

<sup>1</sup> Отчет Археологической Комиссии за 1892 г., Спб. 1894, стр. 75—86; за 1893 г., Спб. 1895, стр. 33—36.

<sup>2</sup> Н. Я. Марр и Я. И. Смирнов, Вишاپы, Л. 1931, стр. 10—11.

<sup>3</sup> იხ. Письменная справка, представленная Л. М. Меликсет-Бекковым в КИАИ о находящихся в Эривани экспонатах из б. Анийского Музея древностей, — „Бюллетень КИАИ“, № 1—3, Тфл. 1928, стр. 17—18.

<sup>4</sup> მეორე შენიშვნაში აღნიშნული გამოცემის გარდა, იხ. ნ. მარის შემდეგი ნაწარმოებები: Новые материалы по армянской эпиграфике. Ани. Аламан. Мрен. Багаран. Еровандакерт. В. Талын, — „Записки Вост. Отд. Рус. Арх. О-ва“, т. VIII, Спб. 1893, стр. 69—103; Ани, столица древней Армении (Историко-археологический очерк), — „Братская помощь пострадавшим армянам“, 2-е изд., М. 1898, стр. 197—222; ორი სურათი ანისში. წმინდა ნინო და თამარ მეფე, — „ცნობის ფურცელი“ 1905, № 2884; Раскопки в Ани в 1904 г., — „Изв. Арх. Ком.“, в. 18, Спб. 1906, стр. 73—94; Краткий каталог Анийского музея [„Анийская серия“ № 1], Спб. 1906; О раскопках и работах в Ани летом 1906 г., Предварительный отчет [„Тексты и Разыскания по армяно-грузинской филологии“ кн. X], Спб. 1907; Реестр предметов древности из VI (1907 г.) археологической кампании в Ани [„Анийская серия“ № 2], Спб. 1908; Новые археологические данные о постройках типа Ереверуйской базилики, — „Зап. Вост. Отд. Рус. Арх. О-ва“, т. XIX, 1909, стр. 064—068; Об учреждении Анийского Археологического Института, — „Изв. Акад. Наук“, 1910, стр. 438—446; Камень с армянской надписью из Ани в Азиатском Музее, — ibid., 1149—1151; Надпись Епифания, католикоса Грузии (из раскопок в Ани в 1910 г.), — ibid., 1433—1442; XI Анийская археологическая кампания. Приложение к труду — Книжная история Ани и раскопки на месте городища [„Тексты и Разыскания“, кн. XIII], Спб. 1913; Памятники армянского искусства. Ани. Дворцовая церковь (под ред. Н. Я. Марра), Пгр. 1915; „Описание Дворцовой“



ვის წარდგენით<sup>1</sup>, დაჯილდოებულ იქნა რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოების მიერ ალ. უვაროვის სახელობის ოქროს მედლით.

ასეთუისე, 1892—1893 და 1904—1917 წლების გათხრებს შედეგად მოჰყვა ის, რომ:

1) სომეხთა ტრადიციული კონსტრუქცია ანისის ისტორიისა ჩაიფუშა და, სამაგიეროდ, გამოირკვა იმავე ანისის საერთაშორისო კულტურული ისტორია მისი უაღრესად განვითარების ეპოქაში XIII—XIV საუკუნეებში; ხოლო სომეხთა ახალ სამეფოს ეპოქამ (X—XI სს.) რეალური ჩარჩოები და რეალური შეფასებაც მიიღო.

2) სრული სიბნელიდან მოგვევლინა ახალი ეპოქები სახუროთმოძღვრო ძეგლებითა და ნივთიერი კულტურის ნაშთებითაც X საუკუნიდან V-მდე და უფრო ადრინდელი დროისაც VIII—VII საუკუნემდე ქრ. წ. (საქრისტიანო და საწარმართო დროის ძეგლები).

3) იმის წყალობით, რომ გათხრებმა სულ ახალი და ახალი, უაღრესად მნიშვნელოვანი წარწერები აღმოაჩინეს სომხურ, სპარსულ, არაბულ, ქართულსა და ბერძნულ ენებზე, როგორც სომხეთისა და საქართველოს ისტორიამ, ისე მონღოლთა, სპარსეთისა და ბიზანტიის ისტორიამაც ახალი მასალა შეიძინა თვისი ხელახალი გაშუქებისათვის.

4) ანისის ეპიგრაფიკულმა აღმოჩენებმა თვისი ახალი ცნობებით წამოაყენა საკითხი საშუალო საუკუნეთა საქალაქო ცხოვრების რეკონსტრუქციის შესახებ წინა ასიაში, ხოლო ანისის ნივთიერმა აღმოჩენებმა მოგვცა უხვი მასალა საქალაქო მოსახლეობის ყოფაცხოვრების აღსადგენად ამავე აღმოსავლეთში, რამდენადაც ანისის უტილიტარულმა ნაგებობებმა, როგორიცაა ხიდები, აბანოები, ქარვასლები, წყალსადენი და სხვ., ნათლად გააშუქეს საშუალო საუკუნეთა ქალაქის სტრუქტურა აღმოსავლეთშივე.

5) აღმოჩენილ იქნა ახალი მასალები ხელოსნობისა და გამოყენებითი ხელოვნების შესახებ.

6) ანისის არქეოლოგიური მასალების თეორიულმა დამუშავებამ გამოაშკარავა საერო ხუროთმოძღვრების არსებობა და მუსლიმანური ხელოვნების ზეგავლენა, მისი მეშვეობით, ნაციონალურ-ქრისტიანულზე — სომხურსა და ქართულზე. მანვე წამოაყენა საკითხი ადგილობრივი კულტურის პრექრისტიანული საფუძვლების შესახებ და სხვ.<sup>2</sup>

церкви в Ани [„Анийские древности“ I], Пгр. 1916; Отчет Анийского Музея древностей за 1915 г., IIгр. 1917; Ani, la ville arménienne en ruines d'après les fouilles de 1892—1893 et de 1904—1917, — „Revue des Etudes Arméniennes“, t. I, 4, Paris 1921, pp. 395—410; Ани, Книжная история города и раскопки на месте городища. Ленинград-Москва 1935; დაწვრილებითი ბიბლიოგრაფია ანისის გათხრებთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მისივე ნაშრომებისა იხ. ზედაკანზე წიგნისა: Список книг библиотеки Анийского Музея древностей [„Анийская серия“, № 8], Пгр. 1916.

<sup>1</sup> В. В. Бартольд и Я. И. Смирнов, Отзыв о трудах Н. Я. Марра по исследованию древностей Ани, — „Записки Вост. Отд. Рус. Арх. О-ва“, т. XXIII, 1916 стр. 373—411.

<sup>2</sup> Записка академика Н. Я. Марра о Кавказском Историко-Археологическом Институте, — „Изв. Акад. Наук“, 1917, стр. 988—989.

ნ. მარის მთავარ თხზულებას ანისის შესახებ სათაურით: „ანისი. ქალაქის მწიგნობრული ისტორია და გათხრები ნაქალაქევის ადგილზე“ (Ани. Книжная история города и раскопки на месте городища) დიდხანს ვერ ეღობა დაბეჭდვა და მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა იმ სახით, როგორც იგი ჩამოყალიბდა წინარეგოლუციურ ხანებში მისსავე ლექციებსა და მოხსენებებში<sup>1</sup>. და აი სწორედ ამ თხზულებაშია, რომ ნ. მარი სომხებსა და ქართველებს ერთმანეთს უკავშირებს წოდებრივად და, სომეხთა ნაციონალისტური აღნაგობის საწინააღმდეგოდ, აღიარებს ეკონომიურ წინააღმდეგობათა არსებობას მეტადრე საშუალო საუკუნეთა მათ დედაქალაქში, და ამ წოდებთა ბრძოლის და არა თურქების შემოსევის შედეგად გვიხსნის ამ ქალაქის დაცემას (В опыте... истории города Ани по вещественным материалам из раскопок и памятникам, равно по языку он [Н. Марр] увязывает... армян и грузин по сословиям и вскрывает без какого-бы то ни было осознанного метода в нарушение армянского националистического построения, в армянской части, в их средневековом столичном городе особенно, экономические противоречия, и в результате их борьбы, а не вторжения турок, разъясняет падение этого города—Ани, лежащего ныне в развалинах)<sup>2</sup>.

თუ რამდენად ხელსაყრელი არ იყო ასეთი დებულება ანისის მნიშვნელობის შესახებ სომეხთა შოვინისტური წრეებისათვის, კერძოდ მოღაშნაკე ინტელიგენციისათვის, ჩანს იქიდან, რომ 1914 წლის გათხრებში ნ. მარმა უშუალო მონაწილეობა ვერ მიიღო, არამედ ასეთი ჩატარდა მისი ერთერთი მოწაფის ხელმძღვანელობით.

ანისში წარმოებულ წინასწარ გათხრებთან პარალელურად (1892) და მის შემდგომ (1899) ნ. მარმა აწარმოა ასეთივე გათხრები პრეკრისტიანული სომხეთის ნადარბაზევ ქალაქ გარნისში<sup>3</sup> და ირან-არაბეთის ბატონობის დროინდელ სომხეთის დედაქალაქ დვინში<sup>4</sup>, რომელთაგან პირველში გაცილებით გვიან (1909—1910) სისტემატური გათხრების შედეგად აღმოაჩინა ანტიკური ელინურ-რომაული სტილის ძეგლი (I—III ს. წ.), რომელიც ჯერჯერობით unicum-ია მთელს სომხეთში<sup>5</sup> და რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ნოქალა-

<sup>1</sup> იხ. „Проблемы истории материальной культуры“, 1933, № 5—6, стр. 6, прим. 2.

<sup>2</sup> Н. Марр, Яфетидология в Ленинградском Государственном Университете, — „Изв. Ленингр. Гос. Унив.“, т. II, 1930, стр. 47—68; Избранные работы, I, стр. 254—272 (271).

<sup>3</sup> Отчет Арх. Комиссии за 1892 г., стр. 75—86.

<sup>4</sup> То же за 1899 г., Спб. 1902 г., стр. 90—94.

<sup>5</sup> გარნისის შესახებ იხ.: К. К. Романов, Развалины храма римского типа в Баш-Гарни, — „Из истории докапиталистических формаций“, сборник статей к сорокалетию научной деятельности Н. Я. Марра, Л. 1933, стр. 635—655; Н. Буниатов, Языческий храм при дворце Трдата в крепости Гарни, Эривань, 1933 (სომხურად, რუსულად და ფრანგულად); Архитектура древней Армении. Сентябрь 1939 г., Изд. Армфана, 4 სურათი გარნისისა. *Գ. Լևոնյան, Գարնիի հեթանոսական տաճարը ստեղծվածը*, — „Նորհրդային Արվեստ“ 1940 № 1, էջ 44—47.

ქვეის და საერთოდ დასავლეთ-საქართველოს სხვა სიძველეთა წინაბიზანტიური ფენის გასარკვევად, ხოლო მეორეში არქიმ. ხაჩიკ დადიანმა აღმოაჩინა უზარმაზარი აგებულების უძველესი ბაზილიკა მოზაიკის ნაშთებითურთ.

ამავე ხანს (1909) ზემოხსენებული გარნისის მიდამოებში, ე. წ. გელამის მთებზე, „ვეშაპნერ“-ად ან „ალჯაპა-იურტ“-ად ცნობილს ადგილს, ნ. მარს ი. სმიროვთან ერთად წილად ჰხვდა არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე ძეგლების აღმოჩენა, რომელმაც დიდი პერსპექტივები გაშალა არა მხოლოდ სომხეთის, არამედ ამიერკავკასიისა და მთელი მსოფლიოს ისტორიის უძველესი პერიოდის შესასწავლად: ეს გახლავს ე. წ. „ვეშაპები“ და „ვეშაპოიდები“—უზარმაზარი მონოლითები თევზის ანუ ვეშაპის (გველ-ვეშაპის) სახისა სხვადასხვა დეტალით საკულტო მნიშვნელობისა, რომლებსაც მათვე, ი. სმიროვმა და ნ. მარმა, სპეციალური გამოკვლევები უძღვნეს. ხოლო ეს გამოკვლევები ნ. მარის ახალი წინასიტყვაობით 1931 წელს გამოიცა რუსულად და ფრანგულად<sup>1</sup>.

სწორედ ამ აღმოჩენის შესახებაა, რომ ნ. მარი 1912 წელს წერდა: „გარნისის არქეოლოგიურ რაიონში წარმოებულმა სისტემატურმა დახვეწვამ, რომელიც დაკავშირებული იყო გარნისშივე II ანუ III საუკუნის რომაული აღნაგობის საუცხოო საწარმართო ტაძრის გათხრებთან, მიგვიყვანა იქამდე, რომ მახლობელ მთებზე აღმოჩენილ იქნა იშვიათი, მსოფლიოში დღესდღეობით უნიკალური, ვეებერთელა (სიგრძით 3-დან 5 მეტრამდე) ქვის თევზები, გველ-ვეშაპები. ეს თევზები ორნაირია: ზოგი წააგავს თავით ადგილობრივ თევზს მურწას (ამსგავსებენ აგრეთვე ლოქოს), ზოგი კი ჭანარს. მათზე ბარელიეფებია, რომლებიც აღნიშნავენ ამ ძეგლების საკულტო მნიშვნელობას: გამოსახულია სხეულისა და ფეხის ტყავის ზოლი ხან კამეჩისა, ხან ხარისა, თავითურთ—ეს არის ღვთის შესაწირავის სიმბოლო. სურათი ზოგჯერ გართულებულია აგრეთვე საკულტო მნიშვნელობის სხვაგვარი წვრილმანებით, მაგალითად, წყვილი ფრინველით-წეროთი ან ყარყატით. თევზ-გველ-ვეშაპებში წარმოდგენილი უნდა იყოს ადგილობრივი ღმერთები „ვეშაპები“, რომელთა შესახებ თქმულებებმა, გადანაშთების სახით, მიაღწიეს სომხურ ხალხურ ეპოსში VIII—IX საუკუნემდე ქრ. შ. და უფრო გვიანაც. ვეშაპებით ჩვენ ვალწევთ საზღვარს კავკასიის კულტურულ-ისტორიული პერსპექტივისას, რომელიც იხსნება მისი ნივთიერი ძეგლებით. ამას იქით არ მიდის კავკასიის უძველესი საფლავებიც კი. ეს, თიქოს, ძირია. ამ ძირამდე არ სწვდება წარმართული დამწერლობის ძეგლები, ყოველ შემთხვევაში ადგილობრივი ვანის სისტემის ლურსმული წარწერები. მათზე, ამ ვეშაპებზე, არ ეტყობა ნაირნაირი ზეგავლენა გარედან, რომელიც ართულებს მერმინდელ კულტურულ-ისტორიულ საკითხებს კავკასიის შესახებ“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Н. Я. Марр и Я. И. Смирнов, Вишاپы, Л. 1931; N. Marr et J. Smirnov, Les vichaps, L. 1931.

<sup>2</sup> Н. Марр, Кавказ и памятники духовной культуры — „Изв. Акад. Наук“, 1912, стр. 77.

თუ რამდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ე. წ. „ვეშაპების“ აღმოჩენამ ნ. მარზე, სხვათა შორის, ჩანს იქიდან, რომ, როდესაც მომდევნო 1911 და 1912 წლებში მასვე მოუხდა ყოფნა სვანეთში, სადაც მძლავრად იჩენს თავს პრეკრისტიანული წარმართული რელიგიის ანუ, უკეთ, რელიგიების ნაშთების თვისი სპეციფიკური ატრიბუტებით მატერიალური კულტურის სფეროშიც, მან, ნ. მარმა, წარმოთქვა შემდეგი: „როგორც ათონზე ყოფნისას მე მეგონა, რომ გადატანილი ვარ ბიზანტიურ-ქრისტიანული სასულიერო ინტერესთა ეპოქაში, ისე სვანეთში ვგრძნობდი, რომ „ურარტიელთა“ და მეტადრე „ვეშაპთა“ ეპოქის წარმართული კულტურული ატმოსფერითა ვარ გარემოცული“ (как бытность на Афоне мне казалось, что я перенесен в эпоху византийско-христианских духовных интересов, так в Свании я чувствовал себя окруженным языческой культурной атмосферой эпохи „урартийцев“ и даже „вишاپ“-ов)<sup>1</sup>.

მეორე მხრით, ამ აღმოჩენას შედეგად მოჰყვა შემდეგში ანალოგიური ძეგლების აღმოჩენა სომხეთის სხვა ადგილებშიც, კერძოდ არაგაწის (ალაგოზის) რაიონში, ჩრდილო-კავკასიაში, მონღოლეთში, დაბოლოს, საქართველოშიც — უკანასკნელში ჩვენს მიერ 1929—1932 წლებში<sup>2</sup>. ხოლო 1929 წელს ჩვენს მიერ აღმოჩენილი ვეშაპ-ვეშაპიიდ-ფალუს-მენპირების გამო იყო, რომ ნ. მარმა აღიარა: „ვეშაპები აღმოჩენილია სომხეთს გარეშეც, სახელდობრ საქართველოში, საკმაო რაოდენობით, რომლებიც ენათესავებიან გელამის სტელა-თევზებს“<sup>3</sup>.

ამავე აღმოჩენამ დიდი როლი ითამაშა იაფეტიდოლოგიის სფეროშიც, რამდენადაც მან საგრძნობლად ხელი შეუწყო, რომ იაფეტური თეორიის განვითარების გარკვეულ საფეხურზე წამოყენებულყო დებულება ენათმეცნიერების მატერიალური კულტურის ისტორიასთან დაკავშირების შესახებ. ამ დაკავშირებამ კი, იაფეტური პალეონტოლოგიის დადგენაში, გადამწყვეტი როლი ითამაშა იაფეტიდოლოგიის გადაყვანაში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის პოზიციებზე.

იმავე ხანებში, როდესაც ნ. მარი გარნისსა და ანისს იკვლევდა, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ გამოცემასთან დაკავშირებით მას მოუხდა შავშეთ-კლარჯეთის მოვლა და იქაური არქეოლოგიური ძეგლების დაწვრილებით აღნუსხვა. ამ მოვლას შედეგად მოჰყვა, სხვათა შორის, ის, რომ სწორედ ხანძთელის „ცხოვრების“ ტექსტის საფუძველზე, რომელიც მას ბედექერის შავივრობას უწევდა, შესაძლებელი გახდა მრავალი ძეგლის პასპორტიზაცია. ხოლო

<sup>1</sup> Н. Марр, Из поездок в Сванию, — „Христ. Восток“, т. II, 1913, стр. 6.

<sup>2</sup> ლ. მელიქსეთ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, თბ. 1938 წ., გვ. 84—107.

<sup>3</sup> Н. Марр и Я. Смирнов, Вишاپы, стр. 10; შტრ. Н. Марр, Языковая политика яфетической теории и удмуртский язык, изд. Научно-Исслед. Института народов Советского Востока, М. 1931, стр. 109; Избранные работы, т. V, 1935, стр. 520; ср. Б. Б. Пиотровский, Вишاپы. Каменные статуи в горах Армении, Л. 1939.

თვით ტაო-კლარჯეთის სიძველეებმაც, ამის გამო, მიიღეს ჯეროვანი შეფასება: „რაც ანისის ისტორიისათვის წარმოადგენს ანისი, — წერდა 1911 წელს ნ. მარისი, — მით უფრო მეტად საქართველოს პოლიტიკური და მეტადრე კულტურული ისტორიისათვის წარმოადგენენ ტაო-კლარჯეთის სიძველენი“<sup>1</sup>. და ამ სიძველეთა დეტალური აღწერა თითქმის ყველა ეპიგრაფიკული ძეგლის ამოკითხვით, მოთავსებულია მოგზაურობის დღიურში, რომელიც, ჰაგიოგრაფიული ძეგლის პუბლიკაციასთან ერთად, ნ. მარის ერთერთ კაპიტალურ და, ამჟამად დროს, კლასიკურ ნაშრომს წარმოადგენს.

ნ. მარის მოღვაწეობას მატერიალური კულტურის ისტორიის დარგში, სხვათა შორის, ის ფრიად მნიშვნელოვანი შედეგიც გააჩნია, რომ ადგილობრივ, ანისში, მოეწყო ე. წ. „ანისის სიძველეთა მუზეუმი“ თავისი ბიბლიოთეკითა და გამომცემლობით<sup>2</sup>, რომელიც, მისივე პროექტით<sup>3</sup>, საფუძვლად უნდა დასდებოდა „ანისის საარქეოლოგო ინსტიტუტს“. უკანასკნელი, მართალია, ვერ დაარსდა, მაგრამ მის ნაცვლად 1917 წლიდან თბილისში შეიქმნა ე. წ. „კავკასიის საისტორიო-საარქეოლოგო ინსტიტუტი“ (КИАИ), რომელმაც შემდეგში რამდენიმეჯერ შეცვალა თავისი სახელი: „ამიერკავკასიის საისტორიო-საარქეოლოგო ინსტიტუტი“ (ЗИАИ), „კავკასიისმეტყველების ინსტიტუტი“ (ИК), ამჟამად ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახელობის (ენიმკი). ხოლო „ახალი მოძღვრება, იაფეტური ენათმეცნიერება, იყო ის თეორიული ბაზა, რომელმაც, — ნ. მარის სიტყვით, — დაასაბუთა აზრი КИАИ-ის დაარსების საჭიროების შესახებ“-ო (новое учение, яфетическое языкознание, послужило теоретической базой для обоснования мысли о необходимости учреждения КИАИ)<sup>4</sup>.

ასეთისე, ანისის ლაბორატორიის ნიადაგზე მოხდა ის, რომ შემუშავებულ იქნა ახალი ჩვევები გათხრით არქეოლოგიაში, ახალი პრინციპები ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის საქმეში, რომელიც, სხვათა შორის, საუცხოოდ გამოიყენა, განავითარა და დაახუსტა ი. ორბელიმ (აწ აკადემიკოსმა), ახალი ვაგება ხელოვნებათმცოდნეობის დარგში, რომელიც საუცხოოდ გამოიყენა ქართული და სომხური ძეგლების მიმართ პროფ. გ. ჩუბინაშვილმა, და მრავალი სხვ.

ხოლო ნ. მარის მიერ მიწიდან ამოთხრილ მრავალ სახუროთმოძღვრო ძეგლიდან, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ე. წ. „გავგიის ტაძარი“ (XI ს.)

<sup>1</sup> Н. Марр, Житие Св. Григория Хандзтийского [„Тексты и Разыскания“, VII], Спб. 1911, стр. XXXV.

<sup>2</sup> 1906—1916 ვანშავლობაში გამოიცა შემდეგი სერიები: „Анийская серия“ 8 წიგნი (მათ შორის 2 ნ. მარისა, 2 ი. ორბელიისა, 1 ვ. ბარტოლდისა, 1 მ. როსტოვცევისა და სხვ.); „Памятники армянской эпиграфики“, 2 წიგნი (ორივე ი. ორბელიისა); „Памятники армянского искусства“ 1 წიგნი (ნ. მარის რედაქციით); „Анийские древности“, 2 წიგნი (ნ. მარისა და ვ. ჩუბინაშვილისა).

<sup>3</sup> Н. Марр, Об учреждении Анийского Археологического Института, — Изв. Акад. Наук, 1910, стр. 438—446.

<sup>4</sup> Отчет о деятельности Академии Наук СССР за 1926 г., I, Л. 1927, стр. 244.



ანისს, მრგვალი ფორმისა, რომელიც განმეორებაა, ერთი მხრით, ნერწყვიანის მხრით, მისიერ აგებულის ე. წ. „ზვართნოცისა“ ემიმაციონის მახლობლად, ხოლო, მეორე მხრით, ტაოში ცნობილი ბანას ტაძრისა, რომელთან უკანასკნელი შედარებით უკეთაა დაცული და საშუალებას იძლევა დანარჩენთა „რესტავრაციისათვის“; სამივენი, იმავე ნ. მარის აზრით, აღმოცენებულია როგორც სომხეთსა, ისე საქართველოში ქალკედონისტური აღსარების გავრცელების ხაზით. აღსანიშნავია აგრეთვე იმავე „გავიკის ტაძრის“ ნანგრევებში აღმოჩენილი უზარმაზარი სტატუა გავიკ I მეფისა, დოღბანდით, რომელსაც ხელთ უჭირავს თვისი ტაძრის მოდელი მრგვალი ფორმისა, და სხვ.


იაფეთიდოლოგიის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, როგორც ცნობილია, წამოიჭრა საკითხი ლურსმული წარწერების შესწავლის შესახებ, ჯერ (1914) ელამურის ანუ სპარსულის (აქემენიანთა მეორე კატეგორიისა), რომელსაც ნ. მარმა უძღვნა 1 გამოკვლევა<sup>1</sup>, შემდეგ კი (1915-დან) ქალღურთუარტიულისა, რომელსაც მანვე უძღვნა მთელი რიგი წერილისა და გამოკვლევისა<sup>2</sup>. ხოლო ქალღურ წარწერათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სარღურ II-ის წარწერები: ერთი—ჩაღდირის ანუ (ვახუშტით) პალაკაციოს ტბის ნაპირას მდებარე ს. დამ-ქიორფში, მეორე—ვანის ციხეში, რომელთა შესწავლა შედეგად მოჰყვა იმავე ნ. მარის საგანგებო ექსპედიციებს (1916—1917), როდესაც მან ინახულა აგრეთვე მესხეთ-ჯავახეთი, კერძოდ ს. მურჯახეთში ცნობილი სტელები (ვეშაპოიდები)<sup>3</sup>. ყველა ამ ნაშრომით ნ. მარმა საფუძველი ჩაუყარა იაფეთიდოლოგიურ ქალღისტიკას, რომელსაც ამჟამად თვალსაჩინო სპეციალისტიც გააჩნია მისი მოწაფის, ი. მეშჩანინოვის (აწაკადემიკოსის) სახით.

ამავე ხანებში ნ. მარის ინიციატივითა და დახმარებით ჩატარებულ იქნა გათხრები ს. მურში მაქსიმე აღმსარებლის საფლავის ადგილმდებარეობის

<sup>1</sup> Н. Марр, Определение языка второй категории Ахеменидских клинообразных надписей по данным яфетического языкознания,—Записки Вост. Отд. Рус. Арх. О-ва“, т. XXII, стр. 31—106; ამ ნაშრომის შესავალი იხ. აგრეთვე: Избранные работы, I, 50—58.

<sup>2</sup> იხ. Халдская клинообразная надпись из села Леска Ванского округа,—Изв. Акад. Наук“, 1915, стр. 1731—1738; О Чалдырской халдской надписи,—Зап. Вост. Отд. Рус. Арх. О-ва“, в. XXIII, 1915, стр. III; О халдском рил-ი „камень“ || рил-и [„камень“, „каменная труба“;] „водопровод“, „канал“, — „Изв. Акад. Наук“, 1917, стр. 1279—1282; Материалы по халдской эпиграфике из командировки И. А. Орбели в Турецкую Армению,—Зап. В. О. Р. А. О., т. XXIV, 1917, стр. 97—124; Обломки Делибабинской халдской надписи,—ibid., стр. 125—132; Надпись Сардура II, сына Аргиштия, в Даш-Керпи на Чалдырском озере [„Записки Кавказского Музея“, серия В. II, Пгр. 1919; Фрагмент халдской надписи из Алашкерта,—„Изв. РАИМК“, т. I, 1920, стр. 51—60; Надпись Русы I из Маку,—„Зап. В. О. Р. А. О“, т. XXV, 1921, стр. 1—54; Надпись Сардура второго из раскопок ниши на Ванской скале [Археологическая экспедиция 1916 года в Ван. Доклады Н. Я. Марра и И. А. Орбели, Пгр. 1922], стр. 25—68, etc.; Заметки по яфетическим клинописям,—„Изв. Гос. Акад.-Ист. Мат. Культуры“, т. III, Пгр. 1924, стр. 289—304.

<sup>3</sup> Археологическая экспедиция 1916 года в Ван, стр. 41.



გამოსარკვევად (ნ. ტიხონოვი, დ. ყიფშიძე და ე. მიქელაძე), აგრეთვე ვარძიის გამოქვაბულების დეტალური გაზომვა და შესწავლა (დ. ყიფშიძე).

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ნ. მარის ყურადღება მიპყრობილი იყო, სხვათა შორის, ე. წ. „დესმოტიკის“ საკითხებისაკენ, რამდენადაც მის წინაშე წარმოდგა პრობლემა შესახებ მატერიალური კულტურის ისტორიის დაკავშირებისა ენათმეცნიერებასთან ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ენათმეცნიერების დაკავშირებისა მატერიალური კულტურის ისტორიასთან. ამას კი ფრიად შეუწყო ხელი იმ ძირითადმა გარდატეხამ იაფეტიდოლოგიაში, რომელმაც პოვა თავისი გამოხატულება ინდოევროპული ენების შესახებ 1924 წ. მისვე მიერ გამოთქმულ დეკლარაციაში, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „ინდოევროპული ენები შეადგენენ ცალკე ოჯახს, მაგრამ არა რასიულს, არამედ შეჯგარდინებას უფრო რთულის, განსაკუთრებული ხარისხის წარმონაქმს, რომელიც გამოწვეულია საზოგადოებრიობაში მომხდარი გადატრიალებებით, წარმოების ახალ ფორმებთან დაკავშირებით; ეს უკანასკნელი კი თავის მხრით დამოკიდებულია, როგორც ეტყობა, ლითონის აღმოჩენასა და მის ფართო გამოყენებასთან მეურნეობაში, შესაძლოა ფიზიკური გარემოს თანხლებ პერმუტაციითა თანამგზავრობით“<sup>1</sup>.

მატერიალური კულტურის ისტორიის დაკავშირებამ ენათმეცნიერებასთან ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ენათმეცნიერების დაკავშირებამ მატერიალური კულტურის ისტორიასთან საშუალება მისცა ნ. მარს არა მხოლოდ მთლად გადაემუშავებია თვისი მოძღვრება ე. წ. იაფეტური ენების შესახებ, რომელიც თანდათანობით უფროდაუფრო დაზუსტებულ იქნა მიგრაციებისა და შეჯგარდინების საკითხის გადასინჯვით და სტადიალობის პრობლემის წამოყენებით, არამედ აგრეთვე ჩამოეყალიბებია ახალი მოძღვრება ენის შესახებ, მატერიალისტური ენათმეცნიერება. კერძოდ, ნ. მარმა დიდძალი მასალის საფუძველზე ნათელჰყო წესი ახალ სიტყვათა და მათი მნიშვნელობის წარმოებისა, აგრეთვე ძველი ტერმინების გადასვლისა ახალ მოვლენებსა და საგნებზე მათი ფუნქციის მიხედვით.

ამ თვალსაზრისით დიდი დამსახურება მიუძღვის ნ. მარს მეტადრე არქეოლოგიის დარგში. და მართლაც, თუ კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა პირველად წამოაყენეს მოთხოვნილება, რათა იარაღებისა და ნივთების ფორმა შესწავლილი ყოფილიყო საკვლევ საგანთა ფუნქციის შესწავლასთან ერთად, ე. ი. რომ ნივთების შესწავლა საზოგადოებრივ ისტორიასთან ყოფილიყო დაკავშირებული<sup>2</sup>, ნ. მარმაც წამოაყენა დებულება, რომ ნივთები მარტოდ ფორმით კი არ უნდა იქნას შესწავლილი, არამედ შინაარსის მხრითაც, რამდენადაც ამის გამოარკვევა შეიძლება ენობრივი მასალის მიხედვით. ამნაირად ნ. მარმა არქეოლოგიაურ ნაშთებს მიანიჭა ისტორიული წყაროს მნიშვნელობა, რამდენადაც ეს ნაშთები მოწმეებია თვით საზოგადოების წარსუ-

<sup>1</sup> Н. М а р р, Индоевропейские языки Средиземноморья, — „Изв. Акад. Наук“, 1924, стр. 6; По этапам развития яфетической теории, стр. 244; Избранные работы, I, 185.

<sup>2</sup> История ВКП(б). Краткий курс. М. 1938, стр. 118—119.

ლისა<sup>1</sup>. ხოლო ამ გზით იაფეტიდოლოგია საგრძნობლად დაუახლოვდა მარქსიზმს, რის გამო სრულიად გასაგებია ნ. მარის შემდეგი განცხადება: „Яфетидология имеет притязание... на то, что ею отработан метод, притязание на выделение из себя теории, сигнализирующей, если не вскрывающей окончательно этапы развития в истории материальной и надстроечной культуры. И вот здесь явная встреча с марксизмом“<sup>2</sup>.

არაკლებ დიდი დამსახურება მიუძღვის ნ. მარს მატერიალური კულტურის ისტორიის შესწავლისა და ამ შესწავლასთან დაკავშირებულ ორგანიზაციის საქმეში: 1917 წლიდან იგი მონაწილე იყო სამუზეუმო საქმის რეორგანიზაციისა და სიძველეთა აღრიცხვისა და დაცვის ორგანიზაციისა (1918 წლიდან იგი წევრი იყო სამუზეუმო საქმეთა და სიძველეთა დაცვის სრულიადრუსეთის კოლეგიისა), აგრეთვე „საარქეოლოგო კომისიის“ რეორგანიზაციისა და ე. წ. „მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის“ (ГАИМК), შემდეგში მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის, ამჟამად არქეოლოგიის ინსტიტუტის, დაარსებაში ლენინგრადში, რომელიც ძირითადად 3 მსხვილი დაწესებულების მემკვიდრეობაზე იქნა აგებული: ზემონსენებულის საარქეოლოგო კომისიისა, რუსეთის საარქეოლოგო საზოგადოებისა და მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოებისა. ხოლო აღნიშნული აკადემიის დაარსების პირველივე დღიდან, 1919 წ., იგი არჩეულ იქნა მის თავმჯდომარედ, რომელ თანამდებობაზედაც იყო უცვლელად სიკვდილამდე. იგივე ნ. მარი იყო ხელმძღვანელი და დირექტორი საკავშირო სამეცნიერო აკადემიის უწყებაში მყოფი ინსტიტუტისა თბილისში, აგრეთვე უცვლელად დღიდან უკანასკნელის დაარსებისა, 1917 წლიდან, სიკვდილამდე. იგივე 1932—1933 წწ., სხვათა შორის, იყო ხელმძღვანელად საქ. ცაკთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ენისა და მატერიალური კულტურის ისტორიის სექციისა, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის აღდგენისთანავე (1933) გაუქმდა. ხოლო ამ უკანასკნელი მომენტიდან იყო ამავე უნივერსიტეტში ენათმეცნიერებისა და მატერიალური კულტურის ისტორიის კათედრის გამგედ და მისივე სახელობის საენათმეცნიერო სტუდენტთა წრის ხელმძღვანელად.

ფრიად დიდი, განუსაზღვრელია ნ. მარის ღვაწლი მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის (ГАИМК) შექმნაში, რომლის მიღწევები 16 წლის განმავლობაში (1919—1934) ყველასთვის აშკარაა უმთავრესად მისი, ნ. მარის, უსაზღვრო ავტორიტეტისა და უდიდესი დამსახურების გამო სწორედ მატერიალური კულტურის ისტორიის, კერძოდ არქეოლოგიის წინაშე. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ, რამდენადაც ნ. მარის სახელი პოპულარული და განთქმულია მთელს საბჭოთა კავშირში, კერძოდ საქართველოსა და სომხეთში და საერთოდ ამიერკავკასიაში, მისი გვარი სომხეთში თურმე გადაიტყა საზოგადო სახელად და არქეოლოგის სინონიმად, რო-

<sup>1</sup> „Проблемы истории материальной культуры“, 1933, № 5—6, стр. 3.

<sup>2</sup> Н. Марр, Избранные работы, I, 267.



შელსაც „მარ“-ს უწოდებენ: „Во время наших работ 1930 г. на северном склоне Арагаца (Алагеза) мы,—ამბობს ბ. პიოტროვსკი,—встретили непонятный для нас термин „мар“, которым местные жители называли археологов, работавших в этом районе. Нас также называли „марами“, и когда мы пытались получить разъяснение этого термина, то один пожилой крестьянин нам указал, что „молодые путают“ и что „мар“ это имя ученого, который сюда раньше приезжал. Оказывается, что нарицательное имя для археологов произошло от фамилии Н. Я. Марра, работавшего в этом районе в 1898 г.“<sup>1</sup>.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ნ. მარის უკანასკნელ ნაშრომთაგან მატერიალური კულტურის ისტორიის დარგში მრავალია ისეთი, რომლებიც პრაქტიკულ მიზნებს ისახავენ, იქნება ეს სამუზეუმო საქმის მოსაგვარებლად თუ სიძველეთა აღრიცხვისა და დაცვის მიზნით დაწერილი, ანდა მეთოდოლოგიური ხასიათისა საერთოდ<sup>2</sup>.

<sup>1</sup> „Проблемы ист. мат. культ.“, 1933, № 5—6, стр. 51.


<sup>2</sup> იხ. მისი წერილები: Место центральных музеев в культурном строительстве,—„Известия ВЦИК“, 1922 г., № 175 (1614) и 181 (1620); Средства передвижения, орудия самозащиты и производства в доистории (К увязке языкознания с историей материальной культуры), изд. КИАИ, Л. 1926; Лингвистически намечаемые эпохи развития человечества и их увязка с историей материальной культуры,—„Сообщения ГАИМК“, т. I, 1926, стр. 37—70; Значение и роль изучения нацменьшинства в краеведении,—„Краеведение“, т. IV, в. I, Л. 1927, стр. 1—20; Государственная Академия истории материальной культуры,—„Научный Работник“, 1927 г., № 2, стр. 27—36; Государственная Академия истории материальной культуры,—„Печать и революция“, 1927 г., кн. 7, стр. 285—292; Задачи и методы исследовательской работы по археологии и искусствоведению,—„Научный Работник“, 1928 г., № 8—9, стр. 10—24; Что дает яфетическая теория истории материальной культуры,—„Сообщения ГАИМК“, 1931 г., № 11—12, стр. 7—24; В тупике ли история материальной культуры,—„Изв. ГАИМК“, в 67, Л. 1933; ი. მეშხანინოვთან ერთად—Гидротехническое строительство и история материальной культуры,—„Гидротехническое строительство“, 1933 г., № 3—4, стр. 32; და სხვ. (შდრ. ნ. მარის მოღვაწეობის დახასიათება არქეოლოგიის დარგში: И. Орбели, Н. Марр как археолог,—„Проблемы истории докапиталистических обществ“, 1935 г., № 3—4, стр. 50—61; Г. Н. Чубинашвили, Армянское искусство с конца IX до начала XI века,—„სასუენელი დავითი“, თბ. უნივ. გამოცემა, თბ. 1939, გვ. 17—23, 34 et pass.

Л. Меликсет-Бек

## Н. Марр и история материальной культуры

(Резюме)

Чрезвычайно велики заслуги Н. Я. Марра (1864—1934) в истории материальной культуры. Н. Я. Марр — не только организатор и руководитель раскопок некропольных стоянок в Лори и на склонах Алагеза, но и двух городищ исторической Армении — Ани (1892—1893, 1904—1917) и Гарни (1909—1910), в результате которых выявлены десятки новых памятников древнеармянского зодчества как дохристианского (в Гарни, I—III в. н. э.), так и средневекового христианского (храмы и утилитарные постройки в Ани VI—XIII вв., в том числе Гагиков собор начала XI в.). На базе проводившихся в течение ряда лет археологических раскопок в Ани и многочисленных экспедиций по обследованию памятников армянского и грузинского искусства, с сопутствовавшими им разысканиями в области эпиграфики, Н. Я. Марру удалось выработать новые навыки и доходящие до педантизма точные приемы по изучению археологических объектов, которые в глазах исследователя переставали быть вещественными памятниками, приобретая значение памятников материальной культуры, притом как исторического источника. Открытие (совместно с Я. И. Смирновым) т. н. Гехамских „вишапов“, паспортизация памятников грузинского церковного строительства в Тшо-Кларджии, новый подход к оценке памятников халдской клинописи и т. п., и т. п. — все это лишь отдельные звенья в общей цепи той гигантской работы, которую вел Н. Я. Марр, одновременно вкладывая все свои знания и опыт и в область организационной работы, начиная от учреждения Анийского музея древностей (в Ани) и вплоть до организации Госуд. Академии истории материальной культуры (в Ленинграде).



## პ. გუგუშვილი

# საზაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარება ამიერკავკასიაში

(პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომამდე)

### I.

კარლ მარქსი წერს, რომ „წარმოების წესის გადატრიალების გამოსავალ წერტილს მანუფაქტურაში სამუშაო ძალა შეადგენს, ხოლო მსხვილ მრეწველობაში—შრომის საშუალება“<sup>1</sup>. მანქანური (ფაბრიკული) მრეწველობა მხოლოდ ერთერთი, სახელდობრ, უმაღლესი სტადიაა კაპიტალიზმისა მრეწველობაში. „ამ სტადიის ძირითადი და ყველაზე არსებითი ნიშნეულობა მდგომარეობს წარმოებისთვის მანქანების სისტემის გამოყენებაში“<sup>2</sup>.

მანუფაქტურიდან ფაბრიკაზე (ქარხანაზე) გადასვლა მოასწავებს მთელ ტექნიკურ გადატრიალებას. „შრომის საშუალება მანქანის სახით ისეთ საარსებო მატერიალურ ფორმას იღებს, რომელიც გულისხმობს ადამიანის ძალის შენაცვლებას ბუნების ძალით და ემპირიული რუტინული წესების შენაცვლებას ბუნების მეცნიერების შეგნებული გამოყენებით“<sup>3</sup>. მაგრამ ამ ტექნიკურ გადატრიალებას აუცილებლობით მოსდევს მკაცრი გარდატეხა წარმოების საზოგადოებრივ ურთიერთობაში, კაპიტალიზმის მთელი ატრიბუტების გამწვავება და განვითარება, შრომის საზოგადოებრივი ხასიათის შემდგომი გაფართოება. მანქანური წარმოება მუშის ოჯახის ყველა წევრს შრომის ბაზარზე ისვრის და მამაკაცის სამუშაო ძალის ღირებულებას მთელ მის ოჯახზე ანაწილებს და, ამგვარად, ადიდებს იმთავითვე კაპიტალის საექსპლოატაციო ადამიანურ მასალებთან ერთად ამ ექსპლოატაციის ხარისხსაც. მამაკაცთან ერთად ქალისა და მოზარდის ექსპლოატაცია უმწვერვალესობამდე აღწევს. მანქანა აადვილებს შრომის პროცესს და მით სპობს მამაკაცის შრომის მონოპოლიას მძიმე სამუშაო დარგებში. „შრომის იარაღი მანქანის სახით იმთავითვე მუშის კონკურენტად ხდება“. მანუფაქტურაში მუშას არ გააჩნია შრომის საშუალებები, მაგრამ შრომის პრო-

<sup>1</sup> კ. მარქსი, „კაპიტალი“ I, 321.

<sup>2</sup> ვ. ლენინი, თხზულებანი, III, 437.

<sup>3</sup> კ. მარქსი, „კაპიტალი“, I, 335—336.

ცესში მუშა წარმართავს და თვითონ განაგებს მათ; ფაბრიკაშიაც არ ეკუთვნის მუშას შრომის საშუალება, მაგრამ, მანუფაქტურისგან განსხვავებით, აქ შრომის საშუალება ბატონობს მუშაზე. კაპიტალისტურ ფაბრიკაში მუშა მანქანის დამატება ხდება.

\* \* \*

როგორც საერთოდ სახალხო მეურნეობის, ისე, კერძოდ, ფაბრიკული მრეწველობის განვითარების წარმოსადგენად აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სათანადო სტატისტიკა. ვ. ლენინი მეფის რუსეთის საქარხო-საფაბრიკო სტატისტიკის შესახებ 1899 წელს წერდა, რომ მას „...დღემდე შერჩენილი აქვს ძველი, წმინდა რეფორმის წინაღობისგან დაცული ორგანიზაცია, — იგი გუბერნატორთა ანგარიშების უბრალო დანამატია“<sup>1</sup>. არ ჰქონდათ გარკვეული წარმოდგენა ცნებისა, თუ რას უნდა ეწოდოს „ფაბრიკა“ და „ქარხანა“, რის გამოც სხვადასხვა გუბერნიის ადმინისტრაციას სხვადასხვანაირად ესმოდა იგი. ფაბრიკა-ქარხანათა რიცხვში შეჰქონდათ ისეთი წვრილი სარეწავებიც, როგორცაა ხელოსნობა და შინამრეწველობა, რომ არა ვთქვათ რა მანუფაქტურაზე. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ამ საქმეში ის „გაუმჯობესება“ იქნა შეტანილი, რომ (1885 წლიდან) ფაბრიკა-ქარხნების ნუსხაში არ შეჰქონდათ სარეწავი, თუ მისი წლიური პროდუქციის ღირებულება არ აღემატებოდა 1000 მანეთს. ვ. ლენინმა, რომელმაც კრიტიკულად შეისწავლა მეფის რუსეთის საფაბრიკო სტატისტიკა, ნათლად დაამტკიცა მისი შეტანილი ჩამორჩენილობა.

მაგრამ ამ მხრივ მდგომარეობა ბევრად უფრო უნუგეშო იყო კერძოდ ამიერკავკასიაში. მეფის რუსეთის (კერძოდ ევროპული რუსეთის) სახალხო მეურნეობის განვითარების სტატისტიკური შესწავლისათვის მაინც დიდი მუშაობა იყო ჩატარებული. 900-იან წლებამდე რუსეთში მუშაობდა მთელი პლეადა ბურჟუაზიული მეცნიერებისა, რომელთაც დიდი ღვაწლი დასდეს ამ საქმეს, კერძოდ, კაპიტალიზმის განვითარების ისტორიისათვის მასალათა თავმოყრისა და პუბლიკაციის საქმეს. გამოცემულია აუარებელი გამოკვლევა, მონოგრაფია, სტატისტიკური კრებული და სხვ., სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებისა და ცალკე გუბერნიების შესახებაც კი, ისევე, როგორც მთელი სახალხო მეურნეობის დინამიკის შესახებ. მართალია, მთელ ამ მემკვიდრეობას ჰქონდა (და აქვს) ის მნიშვნელოვანი დეფექტები, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ, მაგრამ ის მაინც დიდი მემკვიდრეობა იყო (და არის), რომელიც ყოველ გაბედულ კონსტრუქტორს მდიდარ მასალას აწვდიდა (და აწვდის).

არაა საჭირო მტკიცება, თუ რამდენად სავალალო მდგომარეობა გვაქვს ამიერკავკასიაში. დღემდე არ დაბეჭდილა არც ბურჟუაზიული და არც მარქსისტული ოდნავად მაინც სერიოზული შრომა, რომელიც სათანადო წყაროებზე დამყარებით და საჭირო ფაქტიურ მასალათა წარმოდგენით მიზნად ისახავდეს ამიერკავკასიაში (ანდა, კერძოდ, სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში) კაპიტალიზმის (ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობის) განვითარების ასეთისე

<sup>1</sup> ვ. ლენინი, თხზულებანი, III, 439.

საფუძვლიან მიმოხილვას. კიდევ მეტიც: ჩვენ დღემდე არა გვაქვს გამოქვეყნებული და გამოვლინებულიც კი ამ მიზნით საჭირო საარქივო მასალათა უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომ არა ვთქვათ რა უკვე გამოქვეყნებული (ცარიზმის ბიუროკრატის მიერ გამოქვეყნებული) მასალების, კერძოდ, სტატისტიკის, არასრულფასიანობის შესახებ.

ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობის განვითარების განხილვისას ჩვენ ვეყარებით მხოლოდ როგორც გამოქვეყნებულ, ისე საარქივო პირველ წყაროებს, ძირითადად კი გუბერნატორთა ყოველწლიურ ანგარიშებზე დართულ დამატებებს („ფაბრიკა-ქარხნების მიმოხილვებს“), სააქციზო სამმართველოს ყოველწლიურ ანგარიშებს, კავკასიის სტატისტიკური კომიტეტისა და სხვ. მასალებს.

## 2. შრომის საშუალებათა შემკეთებელი და მკეთებელი წარმოება

ამიერკავკასიაში XIX საუკუნის პირველ სამ მეოთხედში ქალაქთა შორის ყველაზე სწრაფი ტემპით თბილისი ვითარდებოდა. იგი მთელ კავკასიაში იყო არა მხოლოდ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური და სამხედრო, არამედ აგრეთვე ეკონომიური ცხოვრების ცენტრიც. თბილისში საქალაქო ცხოვრების განვითარებამ, და, პირველ რიგში, სამხედრო საჭიროებამ, ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველსავე ათეულ წლებში წარმოქმნა მექანიკურ სარეწავთა აუცილებლობა.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამხედრო უწყების (კავკასიის ცალკე კორპუსის) მექანიკურ სახელოსნოს, რომელიც თბილისში XIX საუკ. დასაწყისიდანვე გაიხსნა და რომელიც უმთავრესად სამხედრო იარაღ-საჭურველთა შეკეთებაზე მუშაობდა, და აგრეთვე ხელოსნურ და შინამრეწველურ სარეწავებს, პირველი კერძო მექანიკური ქარხანა, დამყარებული „უცხოეთიდან მოტანილი მეტად ზუსტი ნაკეთობის მანქანებზე“, თბილისში 1851 წელს გახსნა უცხოელმა შტუსემ. ამავე ხანებში თბილისში გაიხსნა თუჯის ნაკეთობათა ჩამოსახმელი პირველი ქარხანა. თუჯი და რკინა, რომელთა გადამამუშავებას ეს სარეწავები ეწეოდნენ, შემოჰქონდათ რუსეთიდან.

1860 წელს თბილისში „მსხვილი მექანიკური ქარხანა“ გახსნა ინგლისელ რუქსმა, რომელმაც 1887 წელს უკვე ააშენა თუჯჩამოსახმელი საამქროც. ამათ შემდეგ გაჩნდა კიდევ რამდენიმე მექანიკური სახელოსნო. ხოლო 1869 — 1882 წ. წ. ფოთში, სამტრედიისში, ხაშურსა და თბილისში — ამიერკავკასიის რკინიგზის საკვანძო სადგურებზე — გაიხსნა მექანიკური სახელოსნოები; თბილისში იყო მთავარი სახელოსნო, რომელსაც ჰქონდა რკინისა და თუჯის ჩამოსახმელი საამქრო. აღნიშნული სახელოსნოები სპეციალურად რკინიგზის მოთხოვნილებას ეკისრებოდნენ, თუმცა ამასაც ვერ ასდიოდნენ, რის გამოც რკინიგზისაგან მნიშვნელოვან შეკვეთებს ღებულობდნენ ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ ბაქოში არსებული სხვა კერძო მექანიკური ქარხნები.

ამიერკავკასიის რკინიგზის გაყვანის შემდეგ (70-იან წლებიდანვე) მეტად საგრძნობი გახდა აქ თუჯის ნაკეთობათა ნაკლებობა. (ამ დროისათვის, როგორც ცნობილია, უკვე შესწყვიტა მუშაობა ჩათახის ქარხანამაც). 1881 წ. თბი-

ლისში გაიხსნა თუჯსასხმელი ქარხანა, რომელიც მალე გადავიდა რ. ო. რენკვისტის ხელში. ამ ქარხანაში იღვა 8-ძალიანი ლოკომობილი, 1 ბრძმედი, 3 სახარატო დაზგა, 2 ვენტელატორი, 1 ხრახნმჭრელი, 1 სარანდავი და სხვ. მექანიკური დაზგები. რენკვისტის ქარხანა პირველ ხანებში ეწეოდა უცხოეთიდან შემოტანილი თუჯის გადამუშავებას, მაგრამ ორიოდე წლის შემდეგ გადავიდა რუსულ მასალაზე. 1880-იან და 90-იან წლებში იგი ასწრებდა წლიურად 10 — 20 ათასი ფუთი თუჯისა და 5 — 10 ათასი ფუთი რკინის სხვადასხვა ნაკეთობის გამოშვებას და უმთავრესად მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის შეკვეთებზე. ამ ხანებში მისი წლიური პროდუქცია 70 — 150 ათას მანეთამდე აღწევდა.

80-იან წლებში თბილისში გაიხსნა კიდევ ორიოდე მექანიკური და თუჯსასხმელი სარეწავი. ყველაზე მსხვილი კი ამ ხანებში იყო რ. რენკვისტის ქარხანა, სადაც, ს. გულიშამბაროვის ცნობით, მუშაობდა 120-მდე კაცი, რომელთაგან მესამედი მცირეწლოვანი იყვნენ. წმინდა სამუშაო დრო აქ 10,5 საათი გრძელდებოდა.

900-იან წლებში თბილისში ათიოდე მექანიკური და თუჯსასხმელი ქარხანა მუშაობდა (იხ. ქვემოთ ცხრილი). მათ შორის მხოლოდ ორი (რუქსისა და იარაღოვისა) იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი, სხვა დანარჩენი წვრილი სარეწავები იყო: 5 — 10-მდე მუშით თითოეული.

თბილისთან შედარებით ბაქოში გვიან გაჩნდა მექანიკური სარეწავები. მაგრამ ბაქომ ჯერ როგორც ირანთან რუსული შავი ლითონით სატრანზიტო და სასაწყობო პუნქტმა და შემდეგ, განსაკუთრებით 70-იანი წლებიდან, როგორც ნავთობის მრეწველობის უმნიშვნელოვანესმა ცენტრმა, მექანიკური და თუჯსასხმელი წარმოების მხრივ სულ მალე არამც თუ დაეწია თბილისს, არამედ ძალზე შორს ჩამოტოვა ის.

თბილისსა და ბაქოს შორის რკინიგზის გაყვანამდე ბაქოში განვითარებული მექანიკური წარმოება თითქმის არავითარ გავლენას არ ახდენდა დას. ამიერკავკასიაზე. მაგრამ რკინიგზის გაყვანის შემდეგ ბაქოში — როგორც აქამდე, ისე განსაკუთრებით შემდეგ — განვითარებულმა მექანიკურმა წარმოებამ დიდად შეავიწროვა ეს წარმოება თბილისში და ამასთანავე ერთად ფრიად შესამჩნევი გავლენა მოახდინა ამიერკავკასიის მთელ სახალხო მეურნეობაზე. ბაქოში წარმოქმნილი მექანიკური და თუჯსასხმელი სარეწავები უმთავრესად მუშაობდნენ ნავთობის მოპოების, გადამუშავებისა და სატრანსპორტო საშუალებათა წარმოებაზე. აქ უმთავრესად აკეთებდნენ: ორთქლის ქვაბებს, რეზერვუარებს ნავთობის პროდუქტთა დასაცავად, ვაგონ-ცისტერნებს, ნავთობით სათბობთა ხელსაწყობებს, ორთქლის საქაჩავებს, ქების საბურღავ ინსტრუმენტებს, გამოსანდელ ქვაბებს, გადამხეულავ იარაღებს (перемешивательные приборы) სამაგრ მილებს და სხვ.

ბაქოში პირველი მსხვილი მექანიკური ქარხნები გახსნეს: საზ-ბა „Кавказ и Меркурий“-მ (1867 წ.), ო. კ. ლენცმა (1872 წ.), გ. ლისტმა (1873 წ.), ძმ. ნობელებმა (1878 წ.), პ. ი. ბენკსტონმა (70-იან წლებში), ყარაშიღმა (1879 წ.), ნ. მარტიროსოვმა (1883 წ. — შემდეგ გადავიდა ლევენსონის ხელში), შემდეგ „კასპ.-შავი ზღვის საზოგადოებამ“, „კასპიის საზოგადოებამ“, ბრანდტმა

და სხვ. ყველა ეს ქარხანა უმთავრესად ეწეოდა რუსეთიდან (ურალიდან) შემოტანილი შავი ლითონის გადამუშავებას.

ნავთობის მასობრივი ექსპორტის მეოხებით, 80-იანი წლებიდან, შედარებით მცირე ზომის მექანიკური და თუჯსახმელი სარეწავები გაჩნდა ქ. ბათუმშიაც. (ჩვენ სხვა დროს სპეციალურად შევჩერდებით ბათუმში განვითარებული ნავთობის პროდუქტთა საექსპორტო ტარის წარმოების ისტორიისათვის).

განსაკუთრებით 80-იანი წლებიდან ქ. ბაქოში მექანიკური მრეწველობა ისე ფართოდ განვითარდა, რომ აუცილებლობამ ამ სარეწავთა შორის ნელ-ნელა გამოიწვია ერთგვარი სპეციალიზაცია. წარმოიქმნა ქარხნები, რომლებიც ისაზღვრებოდნენ მხოლოდ ერთი სახის ანუ ერთი ტიპის პროდუქტთა, მაგალითად, ორთქლის ქვაბთა, ორთქლის ტუმბოების, ნავთით სათბობი ხელსაწყოებისა და სხვ. წარმოებით. ეს ტენდენცია მით უფრო განვითარდა, რომ ზოგ შემთხვევაში ქარხნის პატრონი თვითონვე გამომგონებელი იყო ან სრულმქმნელი იმ პროდუქტისა, რომელსაც მის ქარხანაში აწარმოებდნენ.

ამ მხრივ აღსანიშნავია, მაგალითად, ო. კ. ლენცი, რომელიც წინათ იყო საზ. „Кавказ и Меркурий“-ის მთავარი მექანიკოსი. მან 60-იან წლებში რამდენიმე ხანს დაჰყო დას. ევროპაში, სადაც სწავლობდა ნავთობით გათბობის ტექნიკას. უცხოეთიდან დაბრუნებულ ო. ლენცმა „ჩაატარა მთელი რიგი მეტად საინტერესო ცდები ნავთობის სათბობად გამოყენებისათვის და, შესანიშნავი ენერჯისა და დაკვირვების უნარის მეოხებით“, მან შესძლო ამ მიზნით გაეკეთებია მთელი რიგი ხელსაწყოები. ლენცმა მალე მიატოვა საზ-ბა „Кавк. и Меркурий“ და გახსნა თავისი სარეწავი, სადაც უმთავრესად აკეთებდა საკუთარი კონსტრუქციის ხელსაწყოებს. 70-იანი წლების მიწურულიდან ლენცის ქარხანა უპირატესად მუშაობს გამოსახდელი ქვაბებისა და საბურღავი ინსტრუმენტების გაუმჯობესებისათვის. „ბურღვის ტექნიკა თავის წარმატებებში დიდადაა დავალებული ლენცისაგან. მრავალი ხელსაწყო მოფიქრებული და გაკეთებული იყო თვით ლენცის მიერ. ერთი სიტყვით, მის ქარხანაში სრულდებოდა არა მხოლოდ შაბლონური სამუშაოები, არამედ ყველა ის სამუშაოც, სადაც თავს იჩენდა ახალი აზრი“<sup>1</sup>.

შემდეგ აღსანიშნავია მოსკოველი მექარხნე გუსტავ ლისტის წამოწყებაც. გუსტავ ლისტმა 1879 წ. ბაქოში გახსნა მექანიკურ ნაკეთობათა საწყოები, ხოლო შემდეგ აქ ააშენა მექანიკური ქარხანა, რომელიც უმთავრესად მუშაობდა ორთქლის ქვაბთა წარმოებაზე. ბრანდტის ქარხანა კი ძირითადად ეწეოდა თვით ბრანდტისავე სისტემის ნავთობით სათბობი ხელსაწყოების წარმოებას; ამხ. „ფულკანი“-ს თუჯსახმელი ქარხანა — ძველი რკინისაგან სხედასხვა ხარისხის რკინის კეთებას.

80-იანი წლების მიწურულს, სახელდობრ 1888 წელს, ქ. ბაქოში მუშაობდა 12 მექანიკური ქარხანა, ამათგან ლისტის, ნობელის, ლენცის და „Кавк. и Мерк.“-ის ქარხნებში სამ-სამი ორთქლის ქვაბი იდგა, დანარჩენებში კი

<sup>1</sup> С. Гулишамбаров, „Обзор фабрик и заводов Бакинской губ.“, 1890. Тифлис, 260—261.

თითო-თითო. ამ ქარხნებში მუშაობდა 2500-ზე მეტი მუშა, რომელთაგან მხოლოდ ნობელის ქარხანაში — 1363, ლისტის ქარხანაში — 500, „Кавк. и Меркурий“-ს ქარხანაში — 300 კაცი იყო. დანარჩენებში, გარდა ლენცის ქარხნისა, მუშათა რაოდენობა მერყეობდა 17-დან 50-მდე. ამ 12-ვე ქარხნის საერთო წლიური პროდუქციის ღირებულება 1,2 მილ. მანეთს აღემატებოდა.

ამავე პერიოდში თუჯის ჩამოსასხმელი ქარხნები გამოყვენენ სპილენძისა და ჩამოყალიბდნენ ცალკე სარეწავების სახით. 900-იანი წლებიდან, გარდა ორთქლის ქვაბებისა და სხვ. საწარმოო საშუალებათა მკეთებელი ქარხნებისა, წარმოიშვა ცალკე მანქანათმშენებელი ქარხანა, რომელიც უმთავრესად ამზადებდა ისევე ნავთობის მოპოებისა და გადამუშავებისათვის საჭირო მანქანებს.

ამიერკავკასიაში შრომის საშუალებათა შემკეთებელი და მკეთებელი წარმოების (ამიერკავკასიის რკინიგზებისა და სხვა სახაზინო სარეწავების ჩაუთვლელად) განვითარების საერთო სურათს იძლევა ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი (იხ. ცხრილი 129 გვერდზე).

ცხრილი შედარებით სანდო სურათს იძლევა, განსაკუთრებით იმ მხრივ, რომ მოცემული სახის სარეწავები ამიერკავკასიაში, ე. ი. ქ. ბაქოში დიდი სისწრაფით ვითარდებოდა. აქ, როგორც საერთოდ კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებაში, ადგილი ჰქონდა კონცენტრაციის იმავე პროცესებს, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ კერძოდ ბაქოს ნავთობის მრეწველობის განვითარების ისტორიიდან.

მაგალითისათვის რომ ავიღოთ 1908 და 1912 წ.წ. ყველაზე სრული ცნობები, დავინახავთ, თუ რა სისწრაფით მიმდინარეობდა აქ წარმოების კონცენტრაცია. ნავთობის მოპოებისა, გადამუშავებისა და ექსპორტის ასპარეზზე ნავთობის მრეწველობის მაგნატების ჭიდილს არ შეიძლებოდა თავისი რეზონანსი არ გამოეწვია მესარეწეობის ამ სახეებისათვის საჭირო მანქანა-იარაღებისა და ქურტლელ-სატრანსპორტო საშუალებათა მკეთებელ წარმოებაში. ნავთობის მოპოებისა და გადამუშავების მონოპოლიისათვის მებრძოლი ფირმები ან უშუალოდ ხელში იგდებენ, ანდა თავიანთ გავლენას უმორჩილებენ ამ დარგთა შრომის საშუალებების მწარმოებელ ქარხნებს, ისე, როგორაც ნავთობის ექსპორტიორები მიისწრაფვიან ნავთობის პროდუქტთა დაცვისა და სატრანსპორტო საშუალებათა (რეზერვუარების, ვაგონ-ციტერნების) მწარმოებელი ქარხნებო უშუალოდ ჩაიგდონ ხელში.

კაპიტალისტური თავსნობის ინტერესთა ასეთი შეჯახების მეოხებით — მონოპოლიისათვის საკონკურენციო ბრძოლის პროცესში — მიმდინარეობს მთელი რიგი წვრილი სარეწავების განადგურება ან გაერთიანება და ამ სახით რომელიმე მსხვილი მრეწველობისა ანდა ექსპორტიორის გავლენის ორბიტში მოქცევა და ამისავე პარალელურად ახალი მსხვილი და უახლეს ტექნიკურ ბაზაზე დამყარებული სარეწავთა წარმოქმნა.

ქ. ბაქოში აღებული სახის სარეწავთა საერთო რაოდენობა, პროდუქცია და მუშათა რიცხვი უდრიდა (იხ. ცხრილი 129 გვერდზე):



წრომის საშუალებათა მწარმოებელი სარეწავები ამიერკავკასიაში

წლები	სარეწავთა სახეობა	ქ. ბ ა ქ ო			ქ. თბილისი			სულ ქ. ბათუმის ჩათვლით		
		სარეწავთა რაოდენობა	პროდუქცია მანეთებით	მუშათა რაოდენობა	სარეწავთა რაოდენობა	პროდუქცია მანეთებით	მუშათა რაოდენობა	სარეწავთა რაოდენობა	პროდუქცია მანეთებით	მუშათა რაოდენობა
		1	2	3	1	2	3	1	2	3
1891	თუჯისა და სპილენძსასხმელი . . . . .	14	611.214	579	2	35.883	114	16	647.097	693
	საზეინკლო - მექანიკური . . . . .	?	?	?	1	36.280	80	?	?	?
1896	თუჯისა და სპილენძსასხმელი . . . . .	42	1.600.000	2654	4	256.000	1025	47	1.894.000	3715
	საზეინკლო - მექანიკური . . . . .	?	?	?	7	22.000	53	?	?	?
1902/3	თუჯისა და სპილენძსასხმელი . . . . .	17	2.297.000	1681	5	80.000	430	24	3.150.000	3991
	საზეინკლო - მექანიკური . . . . .	75	5.161.000	9800	?	?	?	?	?	?
1908	თუჯსასხმელი . . . . .	27	369.525	412	2	25.000	25	31	547.525	517
	საქვაბე . . . . .	56	594.685	1945	—	—	—	56	594.685	1945
	მექანიკური . . . . .	22	3.673.753	7762	—	—	—	23	3.678.923	7793
	საზეინკლო - მექანიკური . . . . .	56	2.517.125	2342	3	27.737	28	59	2.544.462	2370
1912	თუჯსასხმელი . . . . .	11	109.495	153	4	43.000	59	16	172.275	232
	საქვაბე . . . . .	31	192.070	644	—	—	—	31	192.070	644
	მექანიკური . . . . .	23	2.868.000	1898	—	—	—	23	2.868.000	1898
	საზეინკლო-მექანიკური . . . . .	63	12.250.456	3872	6	60.000	27	72	12.322.656	3918
	მანქანათმშენებლობის . . . . .	1	600.000	300	—	—	—	1	600.000	300

	სარეწავთა რაოდენობა	პროდუქცია (მანეთობით)	მუშათა რაოდენობა
1908 წ.	161	7.155.088	12.461
1912 წ.	129	16.020.021	10.867

როგორც ვხედავთ, სულ ხუთიოდე წლის განმავლობაში სარეწავთა და მუშათა რაოდენობის შესამჩნევ დაკლებასთან ერთად საქმე გვაქვს წარმოების საერთო პროდუქციის 125%-ით ზრდასთან, რაც წარმოების კონცენტრაციასთან ერთად უნდა აიხსნას სარეწავთა დიდი უმრავლესობის უახლეს ტექნიკურ ბაზაზე გადასვლით. უკანასკნელი ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა სწორედ 1907—1908 წ.წ. შემდეგ, რაც სხვათა შორის ბაქოს მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ კაპიტალის შეტევის ერთერთი მეთოდის სახითაც ჰქონდათ წარმოდგენილი ნავთობის მაგნატებს, განსაკუთრებით კი უტხოეთის კაპიტალისტებს.

მუშათა მდგომარეობა ამ სახის სარეწავებში 900-იანი წლებიდან განიცდის შემდგომ გაუარესებას. მაგ., თბილისის თუჯსახმელ და მექანიკურ ქარხნებში, რომელთაც ამ მხრივ შორს ვერ წაუვიდოდა ქ. ბაქოს და ბათუმის შესაბამის სარეწავებშიც, წმინდა სამუშაო დრო 10 საათს გრძელდებოდა. მუშათა საერთო რაოდენობის ძირითად მასას შეადგენდნენ შევირდები და ქარგლები. შევირდობა 4-წლიანი იყო. შევირდის ხელფასი უდრიდა: პირველ წელს—15—20 კაპ., მეორე წელს—20—30 კ., მესამე წელს—35—40 კ., მეოთხე წელს—სამ აბაზამდე. ქარგალთა და ოსტატთა დღიური ხელფასი 0,8—2,5 მანეთამდე აღწევდა. გამეფებული იყო მუშებისადმი ფრიად უხეში მოპყრობა. მუშებს, განსაკუთრებით შევირდებს, ხშირად სცემდნენ. ინსტრუმენტების გაფუჭებისათვის მუშებს (ჩვეულებრივ შევირდებს) სისტემატურად უჭერდნენ ხელფასის მნიშვნელოვან ნაწილს, მიუხედავად იმისა, თუ რა მზეზებით გაფუჭდებოდა ინსტრუმენტი. ასე რომ იარაღ-ინსტრუმენტების უდიდესი ნაწილის განახლება (ამორტიზაცია) წარმოებდა მუშათა ხელფასის ხარჯზე.

საქეიმო დახმარება მხოლოდ ნომინალური ხასიათის იყო. ავადმყოფობის შემთხვევაში მუშას, ყოველგვარი დახმარების გარეშე, პირდაპირ ანთავისუფლებდნენ სარეწავიდან. არ წარმოებდა მუშათა დაზღვევა უბედურ შემთხვევათაგან. წარმოებაში დასახიზრებულ მუშას სახლადურის მიღება შეეძლო მხოლოდ სასამართლო ორგანოების მეოხებით, რაც ამ დახმარების მიღებას „ძლიერ ძნელ და უმეტესად შეუძლებელს ხდის“<sup>1</sup>. მძიმე იყო შრომის ჰიგიენური პირობები.

<sup>1</sup> იხ. პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი, „ანალი კანონი სამრეწველო წარმოებაში დაზიანებულ მუშათა შესახებ“ (ჟურნ. „მოამბე“, 1904 წ., № VIII, 59—78).

სამქროები არ თბებოდა. მუშათა საბინაო საკითხზე ზრუნვა უჩვეულო ამბად იყო მიჩნეული<sup>1</sup>.

შრომის საშუალებათა მწარმოებელ და შემკეთებელ სარეწავთა მუშები საერთოდ მოწინავე მუშათა რიცხვს ეკუთვნიან. მუშათა შორის სოლიდარობა, ბრძოლა კაპიტალიზმისა და ცარიზმის წინააღმდეგ აქ ადრე ვითარდება. მაგალითისათვის საქმარისა და ვასახელოთ ოუნდაც მხოლოდ ამიერკავკასიის რკინიგზათა თბილისის მექანიკური სახელოსნო, რომელიც შეიქმნა ამიერკავკასიის სახელოვანი პროლეტარიატის ერთერთი უმესანიშნავესი სამკედლო.

### 3. აბრეშუმსახვევი, საძახვი და სართავი ფაბრიკები

თავის ადგილას<sup>1</sup> მსჯელობა გვქონდა იმ წამოწყებათა შესახებ, რომლებიც მიმართული იყვნენ ამიერკავკასიაში აბრეშუმსახვევი, საძახვი და სართავი მრეწველობის „ფართე მასშტაბით დაყენებისაკენ“. ამ მხრივ კასტელას ცდა არ იყო უკანასკნელი. კასტელასეული „ფაბრიკა“ ჯერ კიდევ განაგრძობდა მუშაობას, როდესაც 1836 წელს, იტალიელი ნეგოციანტის კარლ ტრიბოლდინოს მეთაურობით დაარსებულ იქნა „ამიერკავკასიაში მებარეშუმეობისა და სავაქრო მესარეწეობის გამავრცელებელი საზოგადოება“. ამ აქციონერული საზოგადოების დამფუძნებლებია იმპერიის ისეთი გავლენიანი პირები, როგორც იყვნენ კავალ. გენ. იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი გრაფი ალ. ბენკენდორფი, სასახლის ობერ-შტალმეისტერი თავ. ვას. დოლგორუკოვი, კოლ. სოვ. ან. ჟალოვსკი და თვით მანუფაქტურ-სოვეტნიკი კ. ტრიბოლდინო.

„საზოგადოების“ კაპიტალი განსაზღვრული იყო 400), თითო ხუთასმანეთიანი, აქციით, ე. ი. 2.000.000 მან. ასიგნაც. ამ „საზოგადოებას“ მიეცა მთელი რიგი პრივილეგიები, რომელთა შორის აღსანიშნავია, მაგ., ნუხის მაზრაში თუთის ხის მთელი სახაზინო პლანტაციების 5 წლის ვადით გადაცემა მუქთად, ხოლო შემდგომი 25 წლის განმავლობაში „სახაზინო გადასახდელით, იმისდამხედვით, თუ როგორი იქნება იქიდან მიღებული შემოსავალი“. ამავე „საზოგადოების“ განკარგულებაში გადავიდა თუთის ხის აღნიშნული პლანტაციებისათვის მიწერილი ყმები.

ყოველივე ამის გარდა „საზოგადოებას“ უპირატესი უფლება ჰქონდა მინიკებული სახაზინო ფასების საფუძველზე ამიერკავკასიაში შეესყიდა აბრეშუმის პარკი და ამოხვეული ძაფიც. „საზოგადოება“ საერთოდ თავისუფალი იყო ყოველგვარი ბეგარა-გამოსაღებისაგან; მას სასურველი რაოდენობით და მუქთად ეძლეოდა სახაზინო მიწები. ამ სახით „საზოგადოებამ“ სხვადასხვა დროს მიიღო 5.000-ზე მეტი დესეტინა მიწა; მასვე გადაეცა ნუხის ახლოს (ცარაბაღში) და-

<sup>1</sup> ამიერკავკასიაში სამრეწველო მუშათა მდგომარეობისათვის იხილეთ: პ. გუგუშვილი, „მუშათა კლასის მდგომარეობა ამიერკავკასიაში...“ (ქუთ. „ბოლშევიკი“, 1940 წ. № 2).

<sup>2</sup> იხ. პ. გუგუშვილი, „მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის“ 1939. (მსკი-ტ. III).

არსებული მეაბრეშუმეობის სკოლა, რის შესანახადაც ხაზინას „საზოგადოებისათვის“ ყოველწლიურად სუბსიდიის სახით უნდა გადაეხადა 1.500 მან.<sup>1</sup>

ამ „საზოგადოებამ“, მოიპოვა რა ესოდენ ხელსაყრელი პირობები, მოინდომა „საქმის ფართო ნიადაგზე დაყენება“; გახსნა თავისი ფაბრიკები ნუხის მაზრასა და იმერეთში (სოფ. მარანში, მეაბრეშუმეობის ადგილობრივ ცენტრში), სადაც ამ ხანებში მეაბრეშუმე რაიკო (შემსყიდველი) ავრცელებდა „კარგი ხარისხის“ აბრეშუმის თესლს და შემდეგ ყიდულობდა აბრეშუმის პარკს, რომელიც დაპრესილი სახით გაჰქონდა უცხოეთში.

მაგრამ „ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობისა და სავაჭრო მესარეწეობის გამავრცელებელ საზოგადოებამ“, რომელმაც დიდის პრეტენზიებითა და ფართო მასშტაბით დაიწყო, საბოლოოდ კრახი განიცადა. 60-იან წლებამდე იგი ასეთუისე მიზნც არსებობდა და ცდას არ აკლებდა ყოველგვარი მეთოდებით და ყველგან მოეხვეჭა მოსახვეჭელი; ხოლო მას შემდეგ კი, რაც ჩვენში გავრცელდა აბრეშუმის ქიის ავადმყოფობა და თანაც ვავიდა მიღებული პრივილეგიების ვადა (1866 წ.), „საზოგადოებამ“ სამუჯობინოდ მიიჩნია მოეხდინა საქმის ლიკვიდაცია, რადგან „მნიშვნელოვანი ზარალი ნახა“.

შემდეგ აღსანიშნავია აგრეთვე 1848 წელს „აბრეშუმის ძაფსახვევი ევროპული“ სარეწავის გახსნა სამეგრელოში ფრანგი ვაჭრის გრაფ რაზმორდიუკის მიერ, რომელსაც დიდი დახმარება გაუწია სამეგრელოს მთავარმა. რაზმორდიუკმა საფრანგეთიდან მოიტანა მანქანები და ამას გარდა თან ჩამოიყვანა აბრეშუმის ამოხვევის ორი ოსტატი ქალი. ამ სარეწავის საქმე, როგორც ჩანს, კარგად მიდიოდა. რაზმორდიუკს ამოხვეული ძაფი გაჰქონდა უცხოეთში, სადაც ამ დროს, აბრეშუმის ავადმყოფობის გამო, დიდი მოთხოვნილება იყო აბრეშუმის ყოველგვარ ნედლეულზე.

ყირიმის ომის დროს თურქეთის ჯარმა ზუგდიდში, სხვათა შორის, დასწვა რაზმორდიუკის ფაბრიკაც, რომელიც კვლავ იქნა განახლებული და მუშაობდა 1866 წლამდე. უფრო ადრე, 1860 წელს, სოფ. ორპირში უცხოელმა შემსყიდველმა ვაჭარმა გოხშტრაზერმა გახსნა აბრეშუმსახვევი ფაბრიკა ორთქლის მანქანით. თავდაპირველად ამ სარეწავის საქმეც არ მიდიოდა ცუდად; გოხშტრაზერს აბრეშუმი გაჰქონდა მარსელისა და ლიონის ბაზარზე; იგი ორპირში აწარმოებდა იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს სოფლებიდან მიღებული პარკის გადამუშავებას. როგორც ჩანს, ეს სარეწავი ხშირად ვერ შოულობდა საქმაო რაოდენობით ნედლ მასალას. რამდენიმე წლის შემდეგ, როგორც რაზმორდიუკის, ისე გოხშტრაზერის ფაბრიკაც დაიხურა აბრეშუმის ქიის ავადმყოფობის გავრცელების გამო, რამაც საერთოდ დიდად დაზარალა მეაბრეშუმეობა ჩვენში.

გასული საუკუნის 50-იან წლებში დას. ევროპაში გავრცელებულმა აბრეშუმის ქიის ავადმყოფობამ და, მაშასადამე, აბრეშუმის გაძვირებამ საფუძველი მისცა მოსკოვის საფეიქრო მრეწველობის ცნობილ ფირმას დაეარსებინა ნუხაში

<sup>1</sup> ამ „საზოგადოების“ დაარსების შესახებ იხ. П. В. Гугушвили, „Сельское хозяйство и аграрные отношения“, т. I, 1938 г., 122—129.

აბრეშუმსახვევი მსხვილი ფაბრიკა. ამ წამოწყების მიზანი იყო მოემარაგებინა ნახევარფაბრიკატით მოსკოვის აბრეშუმის საფეიქრო ფაბრიკები. ალექსეევის ფაბრიკამ მუშაობა დაიწყო 1861 წელს. აქ დადგმულ იქნა 192 მექანიკური აბრეშუმსახვევი ჩარხი, რომლებიც მოძრაობაში მოყავდა ორთქლის ძრავს.

ამ „ბრწყინვალედ და დიდის გაქანებით“ დაწყებულ წამოწყებამაც დამარცხება იწვნია; ალექსეევის ფაბრიკამ მხოლოდ სამიოდე წელიწადი იარსება და 1865 წელს დაიხურა.

ამგვარად, 60-იანი წლების დასაწყისიდანვე ამიერკავკასიაში გავრცელებულმა აბრეშუმის ქვის ავადმყოფობამ, 60-იანი წლების პირველი ნახევრის ბოლოდან, გამოიწვია მთელი რიგი შესაბამი სარეწავებისა და წამოწყებათა ლიკვიდაცია, როგორც ამას ერთხმად აღნიშნავენ თანამედროვე დამკვირვებელნი<sup>1</sup>.

მაგრამ 60-იანი წლების მიწურულიდან კვლავ იწყება ჩვენში მეაბრეშუმეობის გამოცოცხლება. 1869 წელს თბილისელმა მსხვილ ვაქარ-მრეწველმა და მეიჯარემ ი. მირზოევმა 45.000 მანეთად შეიძინა ალექსეევის ფაბრიკა, რომელიც უკანასკნელს 0,5 მილიონ მანეთამდე დაუჯდა. მირზოევმა მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში, და ისიც ნაწილობრივი დატვირთვით, ამუშავა ეს ფაბრიკა, რომელიც შემდეგ „ისვენებდა“, სანამ 1874 წელს იგი 5 წლით იჯარით არ აიღო მ. განჯუნცოვმა. იჯარის ვადის გასვლის შემდეგ უკანასკნელმაც თავი მიანება ამ ფაბრიკას და 1879 წ. დააარსა საკუთარი ფილატურა. ამის შემდეგ მირზოევის ფაბრიკა კვლავ „ისვენებს“ 1884 წლამდე, როდესაც იგი იჯარით, 6 წლით, აიღო მეორე განჯუნცოვმა. ამ განჯუნცოვმა იტალიიდან და საფრანგეთიდან გამოიწერა ოსტატები; იგი „აკეთებდა საუკეთესო საქონელს“, მაგრამ გამოცდილებამ „კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ადგილობრივი მეაბრეშუმეობა მეტად არასაკმარისია ასეთი უზარმაზარი ფაბრიკისათვის“<sup>2</sup>. ეს ფაბრიკა წელიწადში არაიშვიათად მხოლოდ 7—8 თვე მუშაობდა და ისიც არამთლიანი დატვირთვით. განჯუნცოვმა წარმოებაში იმდენი სარფიანობა ვერ დაინახა, რომ ვადის გასვლის შემდეგ კვლავ აუცილებლად განეახლებია იჯარა.

ალექსეევისა და მისი „მემკვიდრეების“ მარცხით დამთავრებულ ცდებმა გამოცდილება მისცა სხვებს, რათა დაეარსებიათ გაუმჯობესებულ ტექნიკურ ბაზაზე დამყარებული, მაგრამ მცირე მასშტაბის აბრეშუმსახვევი და სართავი ფაბრიკები, რომლებიც გადაამუშავებდნენ ადგილობრივს (რაიონის, მაზრის) პარკს. ასეთი სარეწავები საკმაოდ მრავლად ჩნდება, განსაკუთრებით 70-იანი წლებიდან მოყოლებული და შესამჩნევი მოგებაც მოაქვთ თავიანთი პატრონებისათვის. ეს აბრეშუმსახვევი ფაბრიკები უმეტეს წილად იყენებდნენ ორთქლის ქვაბებს, რომლებიც 80-იანი წლების მეორე ნახევრამდე შემოქონდათ უცხოეთიდან; მაგრამ ამ დროიდან ქ. ბაქოში ნავთობის მოპოებასა და ვადამუშავებასთან დაკავშირებით წარმოიშვა და განვითარდა მექანიკური მრეწველობა, რამაც ჩვენში ფრიად გააიაფა მექანიკური მრეწველობის პროდუქცია და გააადვილა კერძოდ ორთქლის ქვაბების შექმნა. ამავე ხანებში

<sup>1</sup> Ст. Гулишамбаров, ОФ33К, 301—331.

<sup>2</sup> იქვე, 339.



„აბრეშუმის ორთქლის ფაბრიკების“ მოწყობაც უმთავრესად სწორედ ორთქლის ქვაბების გაიაფების გამო გადავიღა, რასაც შემდეგ მოჰყვა აბრეშუმსახვევი ფაბრიკების გამრავლება. ასე, მაგ., 1886 წელს ნუხის რაიონში იყო მხოლოდ 8; ხოლო 1890 წელს უკვე 26 აბრეშუმსახვევი და აბრეშუმსაძახავი ფაბრიკა.

თუ წინათ ასეთი „საშუალო ზომის“ ფაბრიკა 40—50 დაზვითა და შესაბამის რაოდენობის ტიბუჩირით ჯდებოდა 20—25 ათასი მანეთი, ახლა, ე. ი. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ასეთივე ზომის ფაბრიკა ორთქლის ქვაბიანადვე ჯდება მხოლოდ 4—5 ათასი მანეთი.

ჩვენში აბრეშუმსახვევი ფაბრიკები არ ისაზღვრებოდნენ მხოლოდ ბოქის წარმოებით, არამედ მათ ჰქონდათ აგრეთვე საძახავი (სატოლავი) განყოფილებაც, სადაც წარმოებდა ძაფის დაძახვა. იშვიათი იყო სპეციალურად ცალკე აბრეშუმსაძახავი ფაბრიკა; საერთოდ მიღებული იყო უფრო სარდიან საქმედ ორივესი ერთად მოწყობა. ამ სარეწავებში იწარმოებოდა როგორც ლარული (ძირის, საქსველი), ისე ორხოული (მისაქსველი) ძაფი.

ამ ფაბრიკების უმრავლესობა თავმოყრილი იყო ქ. ნუხაში, შუშის მაზრაში. ამ სარეწავებში მეტად მძიმე იყო შრომის პირობები. სამუშაო დღე გრძელდებოდა ზაფხულობით 13—14 საათი (დღის 5—6 საათიდან საღამოს 7—8 საათამდე), ზამთრობით 9—10 საათი; ერთი სიტყვით, მთელი სინათლიანი დღის მანძილზე ფაბრიკები განუწყვეტლივ მუშაობდნენ. აქ წარმოებდა როგორც მამაკაცის, ისე ქალის შრომის ექსპლოატაცია და აგრეთვე მოზარდებისაც. ფაბრიკაში მამაკაცი და ქალი ჩვეულებრივ თითქმის ყოველთვის დაახლოებით თანასწორი რაოდენობით იყო. შრომის დანაწილების სარდიანობის თვალსაზრისით ქალები თითქმის ყველგან ეწეოდნენ პარკის დახარისხებას, ქალებივე სჭარბობდნენ საძახავ საამქროშიც. ქალის ხელფასი 25—30<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ით დაბალი იყო მამაკაცის ხელფასთან შედარებით. ქალი თვეში ჩვეულებრივ ღებულობდა 3—10 მანეთამდე. მესარეწე ყოველთვის არჩევდა ქალის დაქირავებას, როგორც დაბალი ხელფასის, ისე „მუშაობის შესრულების წესიერების და სიზუსტის“ მხრივაც.

ასეთი ორთქლის ქვაბიანი „საშუალო ზომის“ ფაბრიკა მთელ ამიერკავკასიაში 1891 წ. იანვრისათვის ითვლებოდა:

	ფაბრიკების რაოდენობა . . . . .	51
	ორთქლის ქვაბთა რიცხვი . . . . .	53
	მუშათა რაოდენობა . . . . .	2238
	დაზვების „ . . . . .	2103
	ტიბუჩირების „ . . . . .	5841
1890 წელს	{ გადამუშავებულ იქნა პარკი (ფუთობით)	21612
	{ დამუშავებული აბრეშუმის ძაფი (ფუთობით)	2941

მაგრამ ამ ორთქლის ქვაბიან ფაბრიკებს გარდა ამიერკავკასიის სხვადასხვა სოფელში მრავლად იყო გაფანტული აბრეშუმსახვევი წვრილი სარეწავები, რომლებიც არ იყენებდნენ ორთქლის ქვაბებს. ზოგიერთი ასეთი სარეწავი (მაგ.

ქუთაისის და ერევნის გუბერნიაში) აერთიანებდა 15—25 მუშას და წარმოადგენდა მანუფაქტურული ტიპის წარმოებას. მაგ., 1888 წელს ასეთი სარეწავები იყო:

	სარეწავთა რაოდენობა	მუშათა რაოდენობა
თბილისის გუბერნიაში . . . .	12	87
განჯის „ . . . .	421	2549
ბაქოს „ . . . .	59	155
ერევნის „ . . . .	14	181

იგივე ითქმის აბრეშუმსაძახვი სარეწავების შესახებ, რომლებიც არ იყენებდნენ ორთქლის ქვაბებს. ზოგიერთ ასეთ სარეწავთა შორის უფრო მსხვილებს ჰქონდათ 100—400 ტიბუჩი და ჰყავდათ 10—30-მდე მუშა.

ამიერკავკასიაში აბრეშუმის გადამმუშავებელი მრეწველობა უმთავრესად ნახევარფაბრიკატის დამზადებით განისაზღვრებოდა. აბრეშუმის ნართი აქედან მიჰქონდათ მოსკოვისა და აგრეთვე უცხოეთის საფეიქრო ფაბრიკების შემსყიდველებს, ანდა აქაურ მსხვილ მწარმოებლებს თავიანთი ნართი თვითვე გაჰქონდათ მოსკოვისა, ლიონისა და მარსელის ბაზრებზე.

ადგილობრივად აბრეშუმის ნართიდან აბრეშუმის ქსოვა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მარცხით დამთავრებულ ზოგიერთ ცდას აბრეშუმის ფაბრიკული საფეიქრო მრეწველობის განვითარებისა) უმთავრესად შინამრეწველურ ხასიათს ატარებდა. აბრეშუმის საფეიქრო შინამრეწველობა 70—80-იან წლებამდე მნიშვნელოვნად იყო განვითარებული და თავისუფლად აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნილებას. 80-იანი წლებიდან კი სულ უფრო მასობრივ ხასიათს ღებულობს მოსკოვის საფეიქრო ფაბრიკების ნაწარმოებთა რეალიზაცია; ამ უკანასკნელმა განსაკუთრებით მას შემდეგ შეავიწროვა ადგილობრივი შინამრეწველობა, რაც მოსკოვის ფაბრიკანტებმა ხელი მოჰკიდეს ადგილობრივი მოთხოვნილების (ფერის, სურათხატების) მიხედვით აბრეშუმის ქსოვილების წარმოებას.

ამ დროიდან მოყოლებული ძლიერ დაეცა შინამრეწველური ნაკეთობის ფასი და ხშირად „გაკვირვებას იწვევს, თუ რისთვის მუშაობენ ეს შინამრეწველები“. ამგვარად, უკვე 90-იანი წლებიდან თითქმის სავსებით დაეცა იმერეთში „ღარაია“-ს წარმოება, რომელიც წინათ იმერეთსა და სეერთოდ დას.-საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ათას ცალიობით მოდიოდა ქ. ქუთაისში, სადაც იყო ცენტრალური ბაზარი აბრეშუმის შინამრეწველური ნაწარმოებისა. „ღარაია“ ჩესუჩას მაგვარი ნაქსოვია და იხმარებოდა სახალათედ, ხოლო უფრო მეტად საცვლელ თეთრეულად. ასევე დაეცა ამავე რაიონებში გავრცელებული აბრეშუმის ლეჩაქის, პირბაღის, საბნის საპირეს, თავსაფარის ქსოვა.

აბრეშუმის საფეიქრო შინამრეწველობა ყველაზე უფრო განვითარებული იყო შემახისა და შუშის მაზრებში; აქ იყო რამდენიმე ფაბრიკაც, მაგრამ ესენი





მხოლოდ დროგამოშვებით და მცირე მასშტაბით მუშაობდნენ და წლის შემდეგ უკვე იკეტებოდნენ. ასეთსავე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ბაქოსა და განჯის გუბერნიების სხვა მაზრებში და ზაქათალის ოლქშიაც.

ზემოთ მოყვანილ ცხრილში (იხილე გვ. 136) მოცემულია აბრეშუმსახვევი, საძახავი, სართავი და საფეიქრო სარეწავების ნუსხა; აქ ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით შეტანილია თითქმის ყოველგვარი შესაბამისი სარეწავი, რომელიც არაიშვიათად თვითმპყრობელობის სტატისტიკასაც არ მიაჩნდა ნამდვილ ფაბრიკად. სინამდვილეში მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ 80-იან წლებში, წვრილ კაპიტალისტურ სარეწავებს, შინამრეწველურ სარეწავებს წარმოადგენდნენ, მაგრამ ესენი ამ შემთხვევაშიც, როგორც შინაკაპიტალისტური სარეწავები, 90-იანი წლებიდან მოყოლებული მსხვილი სარეწავები იყვნენ.

წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით ამიერკავკასიაში, მაგ., 1915 წლის 1 იანვრისათვის სულ 100 აბრეშუმსახვევი, საძახავი და სართავი წამოწყება იყო. ამ სარეწავთა მთლიანი პროდუქცია უდრის 2.544.000 მანეთს, ხოლო მუშათა რაოდენობა 8072-ს. გამოდის, რომ ერთი მუშის წლიური პროდუქცია არ აღემატება 315 მანეთს, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ აღნუსხულ სარეწავთა ერთი ნაწილი მუშაობდა არა მთელი წლის განმავლობაში, არამედ ხშირად არა უმეტეს 7—8 თვისა წლიურად. ამასთანავე, როგორც ვხედავთ, თითოეულ სარეწავზე საშუალოდ მოდიოდა 80 მუშა; ხოლო თითოეული სარეწავის საშუალო წლიური პროდუქცია უდრიდა 25,44 ათას მანეთს.

რაც შეეხება აბრეშუმსაქსოვ სარეწავებს, ესენი იმავე 1915 წელს მხოლოდ ბაქოს გუბერნიაში მუშაობდნენ. სულ იყო 50 სარეწავი; თითოეულ სარეწავზე დაახლოებით მოდის 5 მუშა. შრომის ნაყოფიერება აქ უფრო დაბალია, რამდენადაც დაბალია თვით სარეწავთა ტექნიკური ბაზაც.

ჩვენი ცხრილიდან აშკარად ჩანს აგრეთვე ერთი ფრიად საინტერესო გარემოება, სახელდობრ—წარმოების თანდათან კონცენტრაციის მომენტი. მაგალითად, მთელ ამიერკავკასიაში იყო:

	აბრეშუმსახვევი, საძახავი და სართავი სარეწავი	აბრეშუმის საფეიქრო სარეწავი
1884 წელს . . . . .	615	149
1898 „ . . . . .	538	111
1908 „ . . . . .	132	4
1912 „ . . . . .	143	54
1915 „ . . . . .	100	50

წვრილი მრეწველობის დაცემის პარალელურად მსხვილი სარეწავების ჩამოყალიბების თვალსაჩინო მაჩვენებელია არა მხოლოდ სარეწავთა თანდა-



თანხი რაოდენობრივი შემცირება, არამედ ის გარემოებაც, რომ საარეწავთა რაოდენობის შემცირებასთან ერთად კი არ მცირდება დარჩენილ სარეწავებში ჩაბმული მუშათა რიცხვი და თვით სარეწავის პროდუქცია, არამედ, პირიქით, მნიშვნელოვნად მატულობს კიდევაც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მხოლოდ აბრეშუმის საფეიქრო მრეწველობას, რომელსაც ამიერკავკასიაში, როგორც კოლონიაში, გასაქანს უზღუდავდა მეტროპოლიის სამრეწველო პოლიტიკა. რაც შეეხება ნახევარფაბრიკატის (მაგ., აბრეშუმის ნართის) დამამზადებელ წარმოებას, რომელსაც ეს მასალა უნდა მიეწოდებია მოსკოვის საფეიქრო ფაბრიკებისათვის, იგი სულ უფრო ვითარდება და მსხვილდება. ასე, მაგალითად, მთელს ამიერკავკასიაში აბრეშუმსახვევ, საძახავ და სართავ სარეწავთაგან ერთი სარეწავის საშუალო წლიური პროდუქცია და მუშათა რაოდენობა უდრიდა:

	მუშათა რაოდენობა	პროდუქცია მან.
1884 წელს . . . . .	3,3	1.396
1898 „ . . . . .	8,5	2.868
1908 „ . . . . .	30,1	14.757
1912 „ . . . . .	52,9	10.461
1915 „ . . . . .	80,7	25.440

როგორც ვხედავთ, 80-იან წლებში მთელ ამ სარეწავთა დიდი უმრავლესობა იყო მხოლოდ შინამრეწველური სარეწავი; მხოლოდ უმნიშვნელო ზომით ერია მათში ნამდვილი ფაბრიკები ორთქლის ქვაბებით. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას შემდეგ, რაც ქ. ბაქოში წარმოიქმნა საკმაოდ მსხვილი მექანიკური სარეწავები და ამ სახით, შედარებით, მნიშვნელოვანი ზომით გაადვილდა ორთქლის ქვაბიანი ფაბრიკების მოწყობა, მით საფუძველი გამოეთხარა წვრილ შინაკაპიტალისტურ სარეწავებს; ისინი დიდის სისწრაფით ნადგურდებიან, რაც იყო შედეგი ორთქლის ქვაბიანი სარეწავების, ე. ი. ამ შემთხვევაში, ნამდვილი ფაბრიკების განვითარებისა, რომელთაც თანდათან ხელში ჩაიგდეს აბრეშუმის პარკის თითქმის მთელი საბაზრო პროდუქციის გადამუშავების საქმე.

#### 4. ბამბეულის საფეიქრო მრეწველობა .

1870 წელს თბილისელმა მსხვილმა ვაჭარმა გ. მ. მირზოევმა ქ. თბილისში გახსნა ბამბეულის ძაფსაძახავი საფეიქრო ფაბრიკა, რომელიც აშენებული იყო თავისი დროის ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ყოველგვარი საჭირო მანქანები და ინსტრუმენტები მიღებული იყო ინგლისიდან. ინგლისიდანვე იყო ჩამოყვანილი ოსტატები და მთელი ტექნიკური პერსონალი, რომელთაც მოაზ-

დინეს აქ ამ მანქანების მონტაჟი და პირველ ხანებში ხელმძღვანელობდნენ ფაბრიკის მუშაობას.

1870 წელს, ე. ი. მუშაობის დაწყების პირველსავე თვეებში, ამ ფაბრიკაში 400-მდე მუშა ითვლებოდა, ხოლო 1871 წელს, ნ. ნიკოლაძის ცნობით, აქ 450 კაცი მუშაობდა<sup>1</sup>; კიდევ ერთი წლის შემდეგ, ს.ტ. გულიშა მზაროვის ცნობით აქ უკვე 500-მდე მუშა იყო ჩაბმული<sup>2</sup>. მაგრამ იმავე 1872 წელს, როგორც პ. უმიკაშვილი ირწმუნებოდა, კიდევ გაუმრავლებიათ ამ ფაბრიკაში მუშების რიცხვი, ასე რომ „ამჟამად ფაბრიკაში რვაას სულამდის მეტი მუშაობს“<sup>3</sup>.

როგორც ჩანს, მეფაბრიკე თავის სარეწავში პრესის წარმომადგენლებს და „საერთოდ უცხო ელემენტებს“ არ უშვებდა და ეს ციფრები მხოლოდ დაახლოებითია; იგივე პ. უმიკაშვილი წერს, რომ მიზნოვებმა მიტკლის ქსოვა „საიდუმლო საქმესავით დაიწყო“.

ფაბრიკა ორ ძირითად საამქროსაგან შესდგებოდა: სართავი და საქსოვი განყოფილებებისაგან. აქ ქსოვდნენ: რიფსს, ფანელს, ტილოს, უმთავრესად კი მიტკალს (ნჳჰჰ). 70-იან და 80-იან წლებში ფაბრიკა ეწეოდა მხოლოდ ადგილობრივი (ერევნის გუბერნიის) ბამბის გადამუშავებას და წლიურად ასწრებდა 25—30 ათასი ფუთი ბამბის მოხმარებას და ქსოვდა დაახლოებით ამდენივე ფუთ მიტკალს. 1 ფუთი მიტკალი დაახლოებით შეიცავდა 164 კვ. არშინს და ღირდა 18—20 მანეთამდე. ამ ხანებში ფაბრიკის საშუალო წლიური პროდუქციის ღირებულება უდრიდა  $\frac{1}{2}$  მილიონ მანეთს.

80-იანი წლების პირველი ნახევრის გასულს ამ ფაბრიკაში მუშაობდა სამი 80-ძალიანი ორთქლის მანქანა, ოთხი ორთქლის ქვაბით. ფაბრიკაში მოქმედებდა 11.000 თითისტარი და 300 საფეიქრო დაზგა. ზოგიერთი ფეიქარი ახერხებდა 2 და ზოგიც კიდევ 3 დაზგაზე ერთდროულად მუშაობას. ამრიგად, სამის საფეიქრო დაზგაზე მუშაობდა სულ 140 ფეიქარი.

თავდაპირველად მუშები ხელფასს თვიურად ღებულობდნენ, მაგრამ შემდეგ სანარღო სისტემაზე გადაიყვანეს. სანარღო მუშაობაზე გადასვლა, ცხადია, გაზრდიდა როგორც მუშის შრომის ინტენსივობას, ისე მისი ექსპლოატაციის ნორმასაც. მუშაობა დღის 7 საათიდან საღამოს 8 საათამდე გრძელდებოდა, შუადღისას სადილისათვის მცირეოდენი შესვენებით.

ჩამოყვანილი ინგლისელი ოსტატების დიდი ნაწილი მეფაბრიკემ ფაბრიკის მუშაობის მესამე წელს უკანვე გაისტუმრა. 1872 წელს მის ფაბრიკაში მხოლოდ ხუთიოდე ინგლისელი იყო; ასე რომ „სულ მალე ჩვენებური ქალაქის ბიჭები ძალიან მარდობას და გამჭრიახობას იჩენენ და საკმაოდ გაოსტატებულან“.

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, „მირზოვის მიტკლის საქსოვი ფაბრიკა თბილისში“ („დრ.“ 1871, 48).

<sup>2</sup> ს.ტ. გულიშა მზაროვი, „ზოგიერთი რამ ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობაზე“ („დროება“, 1872, 24).

<sup>3</sup> პ. უმიკაშვილი, „რამდენიმე სიტყვა მირზოვის ფაბრიკაზე“ („დრ.“ 1872).

მაგრამ, მიუხედავად ამისა ინგლისელი ოსტატების წასვლა, როგორც ჩანს, დიდად დატყობია წარმოებას. ამ დროიდან გახშირებულია უბედური შემთხვევები მანქანებთან „გაუფრთხილებლობის მიზეზით“, მუშათა დასახიჩრება, რაც არაშეივითად სასიკვდილოც გამხდარა. ამას გარდა, ინგლისელთა წასვლის შემდეგ საფეიქრო მანქანებს ზოგიერთი ნაწილი გაფუჭებულია ან დაჭკლებია და, სანამ ამათ ინგლისიდან მიიღებდნენ, მუშები უქმად მდგარან. გასაგებია, რომ ეს გარემოება უნდა ყოფილიყო სიგნალი იმისა, რათა მირზოევს არ გაენთავისუფლებია ინგლისელი ოსტატები და ეხადა მათთვის მაღალი ხელფასი. ს. გულიშამბაროვი დარწმუნებულია, რომ სწორედ ინგლისელი ოსტატების განთავისუფლებამ ეს ფაბრიკა საზარალო სარეწავად აქცია<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, რომ მირზოევის ამ ფაბრიკაში ადგილი ჰქონდა მთელი კავკასიის მასშტაბით — თუ მხედველობაში არ მივიღებთ 60-იან წლებში თბილისშივე, უფრო ამქრული მოძრაობის გავლენით მომხდარ ზოგიერთ, შედარებით მცირე, აფეთქებას — ფაბრიკის მუშათა პირველ მნიშვნელოვან გაფიცვას. ეს იყო 1872 წელს — ხელფასის დაკლების გამო. თავისთავად ცხადია, რომ გაფიცვის სასარგებლოდ იმოქმედებდა ადმინისტრაციის მხრივ მუშებისადმი მეტად უხეში და არაადამიანური მოპყრობაც, ისე როგორც საერთოდ მუშათა მიძიმე მდგომარეობა. ამოდ ჩაუვლია ყოველგვარ რჩევა-დარიგებას, რასაც მიმართავდა ფაბრიკის ხელმძღვანელობა. მუშათა დიდ უმრავლესობას მუშაობაზე ხელი აუღია. ამ დღეს „მუშაობით ორიოდ საქსოვ მაშინას გარდა სხვა მუშაობა არ ყოფილა“, — გადმოგვცემს თანამედროვე დამკვირვებელი.

70-იანი წლების მეორე ნახევრიდან მირზოევის ფაბრიკა თანდათან საზარალო შეიქნა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მეფაბრიკემ დაითხოვა ის ორიოდე ინგლისელი ტექნიკოსიც, რომლებიც აქამდე მუშაობდნენ მის სარეწავში. სპეციალისტებისათვის მისაცემი მაღალი ხელფასის ეკონომიისადმი მისწრაფება საბედისწერო შექმნილა მირზოევის ფაბრიკისათვის: ახალმა, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ვერ შესძლო გაეგრძელებია „გამოცდილ ინგლისელთა მიერ დაწყებული ფაბრიკაცია“. ფაბრიკის ეს ადმინისტრაცია მისი უყაირათო მუშაობის შედეგად გაძვირებული ნაწარმოების გაიაფებას ცდილობს მუშებისათვის ხელფასის დაკლებით, ჯარიმების შემოღებით და სხვ., მაგრამ, ცხადია, ამ ხერხებით საქმე წინ ვერ წავიდოდა და, რამდენადაც ფაბრიკა სულ უფრო ზარალობდა, 1880 წ. მირზოევმა იგი იჯარით გადასცა ფრანგ ი. რიშარს.

ი. რიშარმა, რომელმაც როგორც ჩანს, კარგად იცოდა ეს საქმე, საფრანგეთიდან მოიტანა ახალი იარაღ-მანქანები, მოიყვანა გამოცდილი მუშები და ფაბრიკა წარმატებით აამუშავა. რომ უფრო რენტაბელური ყოფილიყო მისი სარეწავი, რათა უზრუნველყო თავისი ნაწარმოებისათვის მომხმარებელი, რიშარმა მიაღწია იმასაც, რომ ხელში ჩაიგდო კავკასიის არმიისათვის — ნაცვლად აქამდე მიღებული ტილოსი (ХОЛСТ), რომელიც შიდა რუსეთის საფეიქრო ფაბრიკებიდან მოდიოდა, — თავისი ფაბრიკის ნაწარმოები მიტკლის მიწოდების იჯარა. მაგრამ ამასობაში, 1886 წელს, ვადა გაუფიქრა რიშარსა და მირზოევს

<sup>1</sup> С. Гулишамбаров, ОФЗТГ., 86.

შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომლის განახლებაც უკანასკნელმა არ ისურვა და თვითონ მოჰკიდა ფაბრიკას ხელი.

ახლა მირზოვეი ხელფასში ვერ შეუთანხმდა ადგილობრივ ძველ მუშებსაც და ლოდინდან ჩამოიყვანა გერმანელ ფეიქართა 30 ოჯახი (94 კაცი). მაგრამ მირზოვეს კონფლიქტი მოუხდა ამ მუშებთანაც, რომლებიც ლოდში ღებულობდნენ კვირაში 7 — 8 მანეთამდე, ხოლო მირზოვეთან მათ უწევდა დღიურად არა უმეტეს 10 — 12 კაპიკისა; მაშინ როდესაც თბილისელი ფაბრიკანტის აგენტს ამ მუშებისათვის უფრო მეტი ხელფასი აღუთქვამს, ვინემ ისინი ლოდში ღებულობდნენ. გერმანელმა ფეიქარებმა უარი განაცხადეს აქ მუშაობაზე. გულქვა კაპიტალისტმა მათ ხელფასი არ მოუმატა, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში ჩაერია ადგილობრივი ხელისუფლებაც, და ბოლოს ეს მუშები, რომელთაც რამდენიმე დღე თბილისში ცისქვეშ გაატარეს, მათივე თხოვნით ხელისუფლებამ საეტაპო წესით გადაასხა ისევ ლოდში.

მირზოვემა ამის შემდეგ ერთხანს გულმოდგინედ იცოდვილა ამ ფაბრიკის მომგებიან სარეწვად გადაქცევისათვის, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია — ახლაც დამარცხება იგემა. ამ დროიდან ეს სარეწავი, რომელზედაც იმ დროისათვის დიდძალი თანხა (800.000 მან. მეტი) დაიხარჯა, გადავიდა კრედიტორის ხელში. ეს იყო ი. ა. ჩითახოვი, ფულადი კაპიტალის წარმომადგენელი, რომელსაც თბილისში ჰქონდა ინდივიდუალური საბანკო კანტორა. ჩითახოვმა 210 ათას მანეთად, ე. ი. თავდაპირველ ღირებულებაზე თითქმის ოთხჯერ იაფად, ჩაიგდო ხელში მთელი ფაბრიკა. უკანასკნელის ხელში ფაბრიკა კვლავ მომგებიანი შეიქნა. გაფართოებულ იქნა წარმოება, რომელიც დამყარებული იყო ისევ ადგილობრივ ნედლეულზე.

ამ ფაბრიკის წლიური პროდუქცია და მუშათა რაოდენობა უდრიდა:

	პროდუქცია მანეთობით	მუშათა რაოდენობა
1884 წელს. . . . .	1.200.000	415
1891 " . . . . .	350.000	404
18 6 " . . . . .	560.000	395
1897 " . . . . .	560.000	440
1898 " . . . . .	530.000	460

900-იან წლებიდან თბილისში ბამბის სართავი და საფეიქრო ფაბრიკული წარმოება კარგა ხნის განმავლობაში შეწყდა; მეტად ძნელი აღმოჩნდა მისთვის კონკურენციის გაწევა რუსეთიდან შემოტანილ საქონელთან. შემდეგში ძმ. მაჰ-მუღბეგოვებმა აამუშავეს თბილისში ბამბაქსოვილის შედარებით უმნიშვნელო ზომის ფაბრიკა, რომელიც მოქმედებდა თვით მსოფლიო ომამდე.

მომდინარე საუკუნის დასაწყისშივე ქ. ბაქოში მდიდარ ვაჭარ-მრეწველმა ტაგეევმა გახსნა საკმაოდ დიდი ზომის ბამბის სართავი და საფეიქრო ფაბრიკა,



რომლის შესახებ ზოგადი წარმოდგენისათვის საკმარისია ვიცოდეთ, რომ ამ ფაბრიკის მუშათა რაოდენობა და წლიური პროდუქცია უდრიდა:

	პროდუქცია მანეთობით	მუშათა რაოდენობა
1903 წელს . . . . .	1.121.000	1310
1911 " . . . . .	1.617.000	1120

მსოფლიო ომის წინა წლებში ტაგიევისა და მაჰმუდბეგოვის ფაბრიკები მოიხმარდნენ დაახლოებით 100.000 ფუთ ბამბას. მაგრამ თუ 900-იან წლებამდე ბამბეულის თბილისის საფეიქრო ფაბრიკა დამყარებული იყო ადგილობრივ ბამბაზე, ტაგიევისა და მაჰმუდბეგოვის ფაბრიკები ძირითადად მოიხმარდნენ უცხოეთის ბამბას. ასე, მაგ., 1914 წელს ტაგიევის ფაბრიკამ გადაამუშავა (ფუთობით): 11.175 ადგილობრივი, 5.761 ფრანგული, 80.441 ჩრანული და 1.337 ფუთი ეგვიპტური ბამბა. საერთოდ ეს ფაბრიკები ბამბის ადგილობრივი მოსავლის (1914 წელს — 2,2 მილიონ ფუთამდე) უმნიშვნელო ნაწილს მოიხმარდნენ.

5. თ ა მ ბ ა ქ ო ს ფ ა ბ რ ი კ ე ბ ი

თამბაქოს გადამამუშავებელი კაპიტალისტური სარეწავები ამიერკავკასიაში, კერძოდ, თბილისში, ჩნდება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისიდანვე. ამ დროიდან მოყოლებული როგორც მეთამბაქოობა, ისე თამბაქოს მრეწველობა შესამჩნევი სისწრაფით ვითარდება. მაგრამ 1873 წლიდან ამიერკავკასიაში საიმპერიო სააქციზო სისტემის შემოღებამ ერთნობით დიდად შეაფერხა ეს საქმე. დაბეგვრამ განანადგურებლად იმოქმედა განსაკუთრებით წვრილ შინამრეწველურ სარეწავებზე, რომელნიც აქამდე ფართოდ იყვნენ გავრცელებული. რაც შეეხება, კერძოდ, თბილისში არსებულ მსხვილ სარეწავებს როგორც, მაგ., ა. ენფიანჯიანცის (დაარს. 1852 წ.), ნ. ბოზარჟიანცის (დაარს. 1858 წ.) და სხვ., რომელთაც ფაბრიკებს უწოდებდნენ და რომელნიც მაშინ მხოლოდ მანუფაქტურული სარეწავები იყვნენ, — შედარებით ადვილად, თუმცა ჩვეულებრივი მოგების მნიშვნელოვანი შემცირებით, აიტანეს ეს დარტყმა; სამაგიეროდ მალე, შინამრეწველური სარეწავების დაცემის შემდეგ, მსხვილმა სარეწავებმა კვლავ მიიღწიეს ძველებურ სარფიანობას.

თვით 80-იანი წლების ბოლომდე მაინც ამიერკავკასიაში არსებული თამბაქოს „ფაბრიკები“ უმთავრესად მანუფაქტურული ტიპის სარეწავები იყვნენ; მხოლოდ ამ დროიდან პირველად თბილისის სარეწავებში ჩნდება მექანიკური დაზგები, რომელთა შემოსვლის დროიდან იწყება თამბაქოს გადამამუშავებაში სამრეწველო რევოლუცია. მაგრამ ჯერ გავეცნოთ, თუ როგორი იყო წარმოების პროცესის ტექნიკურ-ეკონომიური სახე მანუფაქტურულ პერიოდში, რომელიც წარმოადგენდა წინაპირობას ფაბრიკული მრეწველობის წარმოშობისათვის.

მაგ., ქ. თბილისის თამბაქოს ისეთ მსხვილ სარეწავებში, როგორც იყვნენ ბოზარჟიანცის, ენფიანჯიანცის (შემდეგში საფაროვის), ფირალიშვილის და სხვ. „ფაბრიკები“, — თამბაქოს ნედლეულის (ფოთლის) გადამამუშავების პროცესი შემდეგნაირად წარმოგვიდგება.

წარმოების პირველ სტადიაში ხდება თამბაქოს ფოთლის შერჩევა-დახარისხება, მეორე სტადიაში წარმოებს თამბაქოს დაჭრა, მესამეში — წინასწარ დაღვნილი ნორმის მიხედვით აწონა და კოლოფებში ან პარკებში ჩაწყობა, მეოთხეში — მასალა გადადის მეპაპიროსეს ხელში, რომელიც აკეთებს პაპიროსს (სივარებს, შემდეგ წარმოებს პაპიროსისათვის ქალაქის მუდმშტუკის (სატუჩის) გაკეთება, მეექვსეში — მზა პაპიროსთა გარკვეული რაოდენობის (მაგ., 20 — 25 ცალის) ქალაქის პარკში გახვევა ან კოლოფში ჩალაგება და ბოლოს ამ უკანასკნელისათვის ბანდეროლის გაკეთება. ასე რომ მთელი წარმოების პროცესი დაყოფილია 7 — 8 ნაწილობრივ, მაგრამ დამოუკიდებელ ოპერაციად და რამდენადაც შრომის ასეთი დანაწილება სავსებით სისტემატურ ხასიათს ატარებს, ჩვენ საქმე გვაქვს ე. წ. „ორგანიულ“ მანუფაქტურასთან.

ნაკეთობის ღირსების საქმეში უდიდესი პასუხისმგებლობა აწევს დამხარისხებელს, რომელმაც კარგად უნდა იცოდეს სხვადასხვა ხარისხისა და სახის თამბაქოს ფოთლების გარჩევა-გამოცნობა, განსაკუთრებით სიმაგრისა და სხვ. თვისებათა მიხედვით. დამხარისხებელს მეტად მძიმე პირობებში უხდება მუშაობა. იგი პირდაპირ იატაკზე ფეხგართხმული ზის და, ხსნის რა გარშემოწყობილი თამბაქოს ფოთლების კონებს, არჩევს და ახარისხებს, რომელთა ცალცალკე; ხარისხის მიხედვით, დალაგებაში მას ეხმარება ერთი ან ორი ხელქვეითი მოზარდი. დამხარისხებელი თამბაქოს ფოთოლთა კონას სანამ გახსნიდეს, პირში დაგუბებულ წყლით აპკურებს, რათა გახსნა-დახარისხებისას გამხმარი ფოთლები არ დაიფშენას. ამ მომენტს, რასაკვირველია, ზიანის მოტანა შეეძლო, რამდენადაც რაიმე გადამდები სენით (მაგ., სიფილისით) დაავადებული დამხარისხებლის ავადმყოფობა გადაედებოდა როგორც მის გვერდით მომუშავეთ, ისე მომხმარებელთაც, მით უმეტეს, რომ ამ სარეწავებში არავითარი საექიმო ზედამხედველობა არ არსებობდა. 80-იანი წლებიდან ზოგიერთ სარეწავში ეს მეთოდი შეცვლილ იქნა გობზე დასხმული წყლის ცოცხით თამბაქოს კონებზე დაშაპუნებით. მაგრამ ეს გობიც და ცოცხიც მალე მეტად უსუფთაო და შმორიანი ხდებოდა. მხოლოდ 80-იანი წლების მიწურულს, და ისიც ორიოდე სარეწავში, ამ მიზნით შემოიღეს პულვერიზატორები; ხოლო შემდეგ, უფრო მსხვილ სარეწავებში, თამბაქოს კონებს, სანამ დამხარისხებელს გადაეცემოდა, ორთქლის ქვაბიდან ანაორთქლით ანესტიანებდნენ, რაც ალბილებდა და იცავდა ფოთოლს დაფშენისაგან და თანაც ამარტივებდა დამხარისხებლის მუშაობას, ზრდიდა მისი შრომის ნაყოფიერებასაც.

ნაკეთობის ღირსება დიდადაა აგრეთვე დამოკიდებული დამკრელი ოსტატის ხელის მოქნილობაზე. თამბაქოს დაჭრა მანუფაქტურულ სარეწავებში წარმოებდა ხელის დაზვით, რომლის მუშაობის სიზუსტე, ე. ი. თამბაქოს ფოთლების თანაზომიერი სიწმინდით დაჭრა, მთლიანადაა დამოკიდებული ხელდაზვასთან მუხლებზე დაჩოქილი მკრელი ოსტატის ხელისა და თვალის სიმარჯვესა და ვირტუოზობაზე. 80-იან წლებში თბილისში არსებულ თამბაქოს მანუფაქტურებს შორის მხოლოდ ერთ — ფირალიშვილის — სარეწავში იყო თამბაქოს საქრელი ორი დაზვა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავდათ ცხენის ამძრავით. ერთი ასეთი დაზვის პროდუქცია შეესაბამებოდა დაახლოებით ხელის 8 დაზვის მუშაობას.

მაგრამ ცხენის, როგორც მამოძრავებელი ძალის, შემოყვანა სარეწავში არსებითად არ სცვლიდა ამ უკანასკნელის როგორც მანუფაქტურის ტიპს, რამდენადაც თვით საოპერაციო ნაწილში მექანიზმისა გადამწყვეტ როლს ისევ ოსტატის ხელი თამაშობდა: ეს დაზგა ჯერ კიდევ არ იყო მექანიკური დაზგა.

დამახარისხებელსა და დამჭრელს შემდეგ, ნაკეთობის ღირსების მხრივ, ღვას მეპაპიროსე. ყოველ მეპაპიროსეს თან ახლავს ხელქვეითი—7—15 წლის მოზარდი, რომელიც პაპიროსზე უკეთებს ხოლმე მუნდშტუქს; ესაა მემუნდშტუქე, რომელსაც ქირობს არა მესარეწე (მანუფაქტურისტი), არამედ თვით მეპაპიროსე. მემუნდშტუქე უკეთეს შემთხვევაში თვით მეპაპიროსის ოჯახის წევრია ან ნათესავი. მეპაპიროსე და მემუნდშტუქე სხედან სკამებზე მაგიდასთან და ყველაფერს ხელით (თითებით) აკეთებენ. 80-იან წლებში, და მანამდეც, დაჭრილი თამბაქოს გასახვევ პაპიროსის ქალაღდს ერთს მხარეზე წაცხებული ჰქონდა სახამებელი, რითაც ქალაღდი იწებებოდა. რაკი შეხვევა თითებით ხდებოდა თითქმის ყოველთვის მიუწვდომელი იყო შიგ პაპიროსში თამბაქოს თანაბარზომიერი განაწილება. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ეს ნაკლი აცილებულ იქნა პაპიროსის საკეთებელი ჰილზის (მასრის) შემოღებით, რამაც დიდად გაამარტივა მეპაპიროსის მუშაობა და თანაც გააუმჯობესა მისი ნაკეთობა.

მეტად მძიმე იყო თამბაქოს სარეწავებში ჩაბმულ მუშათა შრომის ჰიგიენური პირობები. მუშაობა წარმოებდა ვიწრო შენობაში. სამუშაო დღე: 12—14 საათი. მუშები ამავე შენობაში იკვებებოდნენ და აქვე ხდებოდა მათი მცირეოდენი შესვენებაც. სახელოსნოს კარები და ფანჯრები მუდამ გამოკეტილი იყო, რადგან სააქციზო უწყებას ეშინოდა სარეწავიდან ნაკეთობათა უბანდეროლოდ გატანისა, ეს გარემოება მით უფრო დახუთულს ჰქმნიდა თამბაქოს მტვერითა და ანაორთქლით დამძიმებულს ჰაერს. თამბაქოს მესარეწეთათვის, უცნობი იყო ზრუნვა მუშათა საბინაო, საექიმო დახმარების და სხვა საკითხებზე<sup>1</sup>.

ხელფასი დამახარისხებელსა და დამჭრელს უმეტეს შემთხვევაში ეძლეოდა კვირაობით. ერთ კვირაში მუშა, მაგალითად, 80-იან წლებში, ლებულობდა 5—8 მანეთამდე; მაგრამ მას უჭერდნენ უქმე დღეებისათვის, ასე რომ ხელზე 3,5—6 მანეთზე მეტი იშვიათად ეძლეოდა. მეპაპიროსე თავისი მემუნდშტუქეთი ხელფასს ლებულობდა ნარდად, 1000 ცალ პაპიროსზე—ათ შაურს. დახელოვნებულ მუშას, თავის ხელქვეითთან ერთად, შეეძლო დღეში გაეკეთებია 3—4 ათასი, ხოლო საშუალო სიმარჯვის მუშას 2,5 ათასი ცალი პაპიროსი. რამდენადაც მუშები ხელფასის სანარდო სისტემაზე იყვნენ გადაყვანილი, ისინი თვითონვე იმცირებდნენ დასვენების დროს და ამ სახით იძულებული იყვნენ გაეძლიერებიათ ე. წ. „ოფლის გამოწურვის“ სისტემა.

როგორც უკვე ზემოთქმულიდან ჩანს, ამ სარეწავებში ფართოდ იყო განვითარებული მცირეწლოვანთა ექსპლოატაცია. მაგ., 1888 წ. თბილისის გუბერნიაში არსებულ 8 ფაბრიკაში (ამათგან 7 მხოლოდ ქ. თბილისში იყო, ხოლო 1 ქ. ახალციხეში) სტ. გულიშამბაროვის ცნობით სულ 619 მუშა იყო ჩაბმული,

<sup>1</sup> Ст. Гулишамбаров, ОФЗТГ., 29.



აქედან 100 კაცი მცირეწლოვანი იყო. კერძოდ, ბოზარჯიანცის სარეწავში მომუშავე 260 კაციდან 50 მცირეწლოვანი იყო, საფაროვის სარეწავში 150 მუშიდან 15 მცირეწლოვანი იყო და ა. შ. მაგრამ მცირეწლოვანთა ხვედრითი წონა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ეს სარეწავები გადაიქცნენ ნამდვილ ფაბრიკებად, სადაც მექანიკური დაზგების მეოხებით მესარეწეთათვის უფრო ხელსაყრელი შეიქმნა მოზარდთა და ქალთა შრომის ექსპლოატაცია.

ზემოთ უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ ამიერკავკასიაში თამბაქოს გადამამუშავებელ სარეწავებში სამრეწველო რევოლუცია იწყება მხოლოდ 80 იანი წლების მეორე ნახევრიდან. ამ სარეწავთა ტექნიკური ბაზა აქამდე მარტივი იყო. მთელი წარმოება დამყარებული იყო ხელით მუშაობაზე. წარმოების პროცესთა მექანიზაცია აქ უწინარეს ყოვლისა თამბაქოს დაჭრის საქმეში უნდა მომხდარიყო; სწორედ ამ ოპერაციის სახით წარმოებს ნედლი მასალის (თამბაქოს ფოთლის) გადამამუშავება საპაპიროსე და საჩიბუხე ნაკეთობად. და სანამ ამ ძირითად სტადიაში გაბატონებულია ხელის დაზგა, რომელიც მოძრაობაში ისევ თამბაქოს დამკრელ მუშას მოჰყავს, წარმოება, მიუხედავად მასში ჩამბული მუშათა დიდი რაოდენობისა, მაინც არ სცილდება მანუფაქტურული ტიპის სარეწავს.

მართალია, 80-იანი წლების დასაწყისში ერთმა თბილისელმა მესარეწემ დადგა 2 „დიდი დაზგა“, რომელიც მოძრაობაში მოჰყავდათ ცხენის ამძრავით; ეს იყო ნაბიჯი წინ, მაგრამ ეს დაზგები არ იყო მექანიკური, თუმცა გადატორილებას მამოძრავებელ ძალაში ამათუიმ ზომით უნდა მოჰყოლოდა ცვლილებები საოპერაციო მექანიზმშიაც. გადატორილება, რომელიც ეხებოდა მთელი სარეწავის ტექნიკურ და ეკონომიურ სტრუქტურას, აქ გამოიწვია მექანიკურმა საქრელმა დაზგამ, რომელსაც თან მოჰყავდა ორთქლისა და ბენზინის (შიდაწვის) ძრავები.

პირველად ენფიანჯიანცის სარეწავებში, 80-იანი წლების მეორე ნახევარში, ქ. თბილისში ჩნდება მექანიკური დაზგა და ოტტოს სისტემის ძრავი. შემდეგ ადრე თუ გვიან მას მიჰყავდა სხვებიც, რამდენადაც მანქანის მეოხებით მეტად იაფდებოდა თამბაქოს დაჭრა. თუ აქამდე ხელის დაზგით 1 ფუთი თამბაქოს დაჭრა ჯდებოდა 1,5 მანეთი, ახლა ეს ხარჯი 45—50 კაპიკამდე დაეცა. თამბაქოს საქრელი მექანიკური დაზგა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავდა ოტტოს სისტემის ძრავს, 8-ჯერ და უფრო მეტად ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას, ე. ი. ამიერიდან 1 მუშა აკეთებდა იმდენს და უფრო მეტსაც, რამდენსაც წინათ 8 მუშა აკეთებდა.

ამ დროიდან თამბაქოს სარეწავი მანუფაქტურები უნდა გადაქცეულიყვნენ ფაბრიკებად; მსხვილ კაპიტალისტურ მრეწველობას უნდა მოენახა თავისი ადექვატური ბაზა.

ამ პროცესის საილუსტრაციოდ საკმარისია გავეცნოთ ქვემომოყვანილ ცნობებს ამიერკავკასიაში არსებული თამბაქოს სარეწავების ძირითადი ტექნიკური დანადგარების განვითარების შესახებ.

წ ლ ე ბ ი	ხელის დაზვა უამძრავოდ	ხელის დაზვა ცხენის ამძრავით	ორთქლის ან აირძრავიანი მექანიკური დაზვა	დოლაბი და როდინი	სიგარის დაზვა
1891 . . . . .	116	3	10	12	—
1892 . . . . .	85	4	17	7	—
1893 . . . . .	68	4	25	8	—
1894 . . . . .	66	4	25	8	—
1895 . . . . .	49	1	29	9	—
1896 . . . . .	37	1	34	9	—
1897 . . . . .	32	1	36	7	—
1898 . . . . .	31	1	38	9	—
1899 . . . . .	27	2	40	8	—
1900 . . . . .	23	1	43	8	5

როგორც ვხედავთ, ხელის დაზვების რაოდენობა დიდის სისწრაფით მცირდება. ასე, მაგ., 1891 წელს მთელი ამიერკავკასიის თამბაქოს სარეწავებში 116 ხელდაზვა იყო, 1900 წლისათვის, ე. ი. 10 წლის მანძილზე, მათი რაოდენობა დაეცა 23-მდე, მაშასადამე, შემცირდა დაახლოებით 5,5-ჯერ. სამაგიეროდ დიდი სისწრაფით მრავლდება ორთქლისა და აირის ძრავიანი დაზვები: თუ 1891 წ. მხოლოდ ათი ასეთი დაზვა იყო, 1900 წელს მათმა რაოდენობამ უკვე 43-ს მიაღწია, ე. ი. გაიზარდა 4,3-ჯერ; მაგრამ წარმოებაში ამ უკანასკნელთა ხვედრითი წონის ზრდა როდი გაიზომება ხელის დაზვების შემცირებასთან მათი რაოდენობის აბსოლუტური ზრდის შედარებით. სინამდვილეში ერთი ორთქლის ან აირძრავიანი მექანიკური დაზვა ბევრად (8—20-ჯერ) უფრო მეტს ნიშნავს, ვინემ ხელის ერთი დაზვა.

პაპიროსის სიგარები 1900 წლამდე მხოლოდ ხელით კეთდებოდა: ამ წელს პირველად ამიერკავკასიაში გაჩნდა სიგარებისმკეთებელი 5 დაზვა, რომელთა რაოდენობა შემდეგში უფრო გაიზარდა.

ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქში არსებულ თამბაქოს ფაბრიკებს ზოგიერთ პერიოდში, მაგ., 80-იან წლებში, დიდ კონკურენციას უწყევდა რუსეთიდან, მაგ., როსტოვიდან, შემოტანილი საქონელი, რომელიც, როგორც სიბიეთით, ისე ხარისხით ავიწროებდა ადგილობრივ ნაკეთობას. მაგრამ 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ჩვენში უკვე შექმნილი იყო შესაფერისი კადრები და შემოღებულ იქნა აგრეთვე სრულქმნილი იარაღ-მანქანები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი გახდა როგორც ნაკეთობათა ხარისხობრივი გაუმჯობესება, აგრეთვე გაიაფებაც. ამგვარად, განსაკუთრებით 90-იანი წლების დასაწყისიდან თამბაქოს ადგილობრივი მრეწველობა აქ შესამჩნევად ავიწროებს სამხრეთ-რუსეთიდან შემოტანილ საქონელს.

და ამ საკონკურენტო ბრძოლის პროცესში, იმავე 90-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც თამბაქოს ადგილობრივი მრეწველობა გადავიდა სრულქმნილ ტექნიკურ ბაზაზე, დაიწყო ამიერკავკასიიდან თამბაქოს მზა ნაწარმის მნიშვნელოვანი რაოდენობით გატანა. ეს გატანა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ წელს, როდესაც იგი შესამჩნევად მცირდებოდა საერთოდ თამბაქოს ცუდი მოსავლის გამო, შეუჩერებელი იზრდება. ასე, მაგალითად, 1895 წ. ამიერკავკასიიდან გატანილ იქნა ადგილობრივი სარეწავების მთელი ნაკეთობის თითქმის 11<sup>0</sup>/<sub>6</sub>; 1913 წელს კი გატანილ იქნა სულ 27.737 ფუთი მზა ნაწარმი, მაშინ როდესაც ადგილობრივი ფაბრიკების მთელი წლიური პროდუქცია (წეკოს გამოკლებით) უდრიდა 107.052 ფუთს; მაშასადამე, 1913 წელს გატანილ იქნა მთელი პროდუქციის 22,7 პროცენტი.

ამიერკავკასიიდან თამბაქოს ნაკეთობანი გაქონდათ რუსეთის იმპერიის ყველა გუბერნიაში და უცხოეთშიაც, კერძოდ, ირანში, თურქეთში, ეგვიპტეში და მცირე რაოდენობით დას.-ევროპის ზოგიერთ ქალაქში.

მაგრამ მზანაწარმის გატანისავე პარალელურად იზრდებოდა თამბაქოს ნედლეულის შემოტანაც. ადგილობრივ მეფაბრიკეებს ნედლეული შემოქონდათ უმთავრესად შავი ზღვის გუბერნიიდან, ყუბანის ოლქიდან და სტავროპოლის, პოლტავის, ყირიმის (ფავერიდის) გუბერნიებიდან. ასე, მაგ., შემოტანილ იქნა ამიერკავკასიაში ნედლი თამბაქო (ფუთობით): 1893 წ.—20.944, 1894 წ.—27.526, 1895 წ.—51.693, 1896 წ.—50.959, 1897 წ.—48.437, 1898 წ.—74.329, 1909 წ.—61.262, 1910 წ.—74.885, 1911 წ.—54.060, 1912 წ.—79.500, 1913 წელს კი—75.280.

თამბაქოს ნედლეულის (ფოთლის) შემოტანის ასეთი სისწრაფით ზრდას მრეწველობის ამ დარგის დამკვირვებელნი (მაგ., პერშკე) ხსნიდნენ, ცხადია, არა ადგილობრივი თამბაქოს ნაკლებობით,<sup>1</sup> არამედ მეფაბრიკეთა მისწრაფებით „სხვადასხვა ხარისხის თამბაქოთა შერევისა და დახარისხების გზით გაემრავალფეროვნებიათ თავიანთი ნაკეთობანი“, რათა უკეთ დაექმყოფილებიათ მომხმარებელთა გემოვნება. ცხადია, ჩვენ საფუძვლით ვერ უარყოფთ ამ „კეთილშობილურ მისწრაფებას“ ფაბრიკანტებისა, მაგრამ ისიც უდაოა, რომ თამბაქოს შემოტანა მნიშვნელოვანი რაოდენობით, და ხან უმთავრესადაც, მოწყობილი იყო იმ მიზნით, რათა ფაბრიკანტებს აეძულებიათ ადგილობრივი პლანტატორები როგორც თამბაქოს ფასების დაწევის, ისე უკეთესი ღირსების ნედლეულის მიწოდებისაკენ; და ერთერთი შედეგიც ადგილობრივი (განსაკუთრებით წვრილი) მეთამბაქოების შევიწროებისა ისიც იყო, რომ ამ პლანტაციების მნიშვნელოვანი ნაწილი გადავიდა თამბაქოს ფაბრიკანტების ხელში.

ამიერკავკასიაში თამბაქოს ვადამუშავებითი მრეწველობის განვითარების ერთერთ მხარეს ნათლად წარმოადგენს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი:

<sup>1</sup> პირიქით: ამიერკავკასიიდან რუსეთსა და უცხოეთში გაქონდათ დიდძალი ნედლი თამბაქო. ასე, მაგ., მსოფლიო ომის წინა წლებში გატანილ იქნა (ფუთობით): 1909 წ.—339.130, 1910 წ.—458.036, 1911 წ.—482.138, 1912 წ.—446.653, 1913 წელს კი—529.491.

ამიერკავკასიის ფაბრიკებში ვაღამუშავებულ იქნა თამბაქოს ფოთოლი  
 (ფუთობით):

წ ლ ე ბ ი	საერთ. ფაბრიკებში	სპეციალურად წეკოს ფაბრი- კებში	ს უ ლ
1885 . . . . .	45.001	16.744	61.745
1886 . . . . .	45.980	11 389	57.369
1888 . . . . .	47.678	10.173	57.801
1889 . . . . .	49.463	10.203	59.666
1890 . . . . .	56.893	8.690	65.504
1891 . . . . .	57.353	7.428	64.781
1892 . . . . .	66.337	7.107	74.444
1893 . . . . .	66.800	8.503	75.303
1894 . . . . .	64.569	8.796	73.365
1895 . . . . .	71.326	7.534	78.860
1896 . . . . .	77.737	7.545	85.282
1897 . . . . .	86.215	7.539	93.754
1898 . . . . .	93.673	10.101	103.774
1908 . . . . .	81.220	15.747	96.967
1909 . . . . .	82.388	14.061	96.449
1910 . . . . .	83.399	14.362	97.761
1911 . . . . .	89.014	15.021	104.015
1912 . . . . .	96.364	15.621	111.985
1913 . . . . .	109.745	12.282	122.027
1914 . . . . .	110.459	12.331	122.790
1915 . . . . .	130.487	14.682	145.169

თვითმპყრობელობა, არ აბრკოლებდა რა ამიერკავკასიაში მეთამბაქო-  
 ბის, როგორც სავაჭრო მიწათმოქმედების, განვითარებას, ხელს უშლიდა თამ-  
 ბაქოს ფაბრიკაციის საქმის წარმატებას. სააქციზო პოლიტიკა ცარიზმის ხელში  
 წარმოადგენდა იმ იარაღს, რომლის მეშვეობითაც „უმტკიენლოდ“ მიიღწეოდა

მეტროპოლიის კოლონიური სამრეწველო პოლიტიკა—გადამუშავებითი მსხვილი მრეწველობის, კერძოდ, თამბაქოს ფაბრიკაციის შეზღუდვა. ეს უკანასკნელი გარემოება ნათლად ჩანს იქიდან, თუ როგორ შეუჩერებლივ იზრდებოდა სააქციზო ბეგარა, რომელსაც ჩვენში თამბაქოს მრეწველობა (ხოლო საბოლოო ანგარიშით კი მომხმარებელი) იხდიდა ერთ გირვანქა თამბაქოს მზა ნაწარმზე: 1894 ს.—44,03 კაპ.; 1895 წ.—44,5 კაპ.; 1898 წ.—44,9 კაპ.; შემდეგ კი, კერძოდ 1909 წლიდან მოყოლებული იგივე ბეგარა ედებოდა ყოველ 1 ფუთ თამბაქოს ფაბრიკატზე: 1900 წ.—31,86 მან.; 1910 წ.—38,33 მან.; 1911 წ.—38,94 მან.; 19 2 წ.—38,86; ხოლო 1913 წ.—40,7 მანეთის რაოდენობით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო იზრდებოდა სააქციზო დაბეგვრა, მით უფრო კლებულობდა თამბაქოს წონა და ღირსება მზა ნაწარმში (პაპიროსში), რომელსაც ყიდულობდა მომხმარებელი; თუმცა გარეგნულად ეს ნაწარმი ისევე „ძველებური და უცვლელი“ იყო.

თამბაქოს მზა ნაწარმი კეთდებოდა როგორც პაპიროსების, ისე მოსაწევი თამბაქოს (დაჭრილი თამბაქო პარკებში) სახით. 90-იანი წლებიდან მოყოლებული სულ უფრო შესამჩნევად მცირდება ამ უკანასკნელის ხვედრითი წონა; მომხმარებელი გადადის გაკეთებული პაპიროსის მოწევაზე. ასე, მაგ., ხუთწლეულების მიხედვით ამიერკავკასიის ფაბრიკების პროდუქცია ნაწილდებოდა (ფუთობით):

	პაპიროსი	0/0/0	მოსაწევი თამბაქო პარკებში	0/0/0	ს უ ლ
1888—1902 წ.წ. . . . .	100.235	22,45	346.219	77,55	446.454
1903—1907 წ.წ. . . . .	113.919	26,54	315.383	73,46	429.302
1908—1912 წ.წ. . . . .	142.369	32,93	290.016	67,07	432.385

ამგვარად, როგორც ამ ცხრილიდან ვხედავთ, გაკეთებული პაპიროსის ხვედრითი წონა მთელ პროდუქციაში 15 წლის განმავლობაში გაიზარდა 10,48<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ით.

საერთოდ ამიერკავკასიაში ცალკე გუბერნიების მიხედვით თამბაქოს ფაბრიკების, მათი პროდუქციისა და მუშათა რაოდენობის თანდათან განვითარების სურათს იძლევა ქვემოთ მოყვანილი ცხრილი: (იხ. გვ. 150).

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, თამბაქოს ფაბრიკაციის ცენტრები იყო თბილისი, ბაქო, ქუთაისი და ბათუმი. თამბაქოს ფაბრიკების მუშათა მდგომარეობა 900-იან წლებშიაც ძირითადად ისეთივე იყო, როგორც 80-იან და 90-იან წლებში. მაგ., 1903 წ. ცნობით ქ. თბილისის ფაბრიკებში საშუალო დღე 11—12 საათამდე გრძელდებოდა. ხელფასი შესამჩნევად დაეცა. სხვადასხვა ფაბრიკაში მეპაპიროსე კვირაში საშუალოდ ლებულობდა 5—7,5 მანეთს, დამზარისხებელი—3,6—4,8 მანეთს; ამ უკანასკნელთა ხელქვეითნი, რომელნიც

თ ა მ ბ ა ქ ო ს ფ ა ბ რ ი კ ე ბ ი ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი ა შ ი



ცალკე გუბერნიების მიხედვით: პირველ სვეტში მოცემულია ფაბრიკების რაოდენობა, მეორეში—პროდუქცია ათას მანეთობით, მესამეში—შუშათა რაოდენობა; ბათუმის ოლქი შესულია ქუთაისის გუბერნიაში

წლები	თბილისის გუბერნ.			ქუთაისის გუბ.			განჯის გუბ.			ბაქოს გუბ.			ერევნის გუბ.			ს შ ლ ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი ა შ ი		
	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3
1891 . .	7	733,4	839	4	380,0	161	3	39,2	39	4	660,1	481	—	—	—	18	1812,7	1520
1896 . .	6	1215,0	1023	4	144,0	174	2	55,0	26	2	300,0	547	—	—	—	14	1714,0	1770
1897 . .	6	1487,0	1075	3	143,0	217	2	56,0	26	5	1089,0	656	—	—	—	16	2775,0	1974
1898 . .	6	674,0	1075	4	383,0	198	3	96,0	40	2	177,0	590	—	—	—	15	1330,0	1903
1902 <sup>1</sup> . .	5	2070,0	612	3	345,0	162	3	15,0	48	3	929,0	774	—	—	—	14	3359,0	1596
1908 . .	3	1045,6	444	2	92,0	142	2	70,0	45	4	1454,9	368	—	—	—	11	2662,5	999
1912 . .	4	176,9	276	3	136,5	294	4	109,1	90	5	942,6	215	—	—	—	16	1365,1	875
1913 . .	6	2810,0	820	3	29,7	179	3	42,2	135	4	2285,8	499	—	—	—	16	5167,7	1633

<sup>1</sup> განჯისა და ბაქოს გუბერნიებში ნაჩვენებია 1903 წლის ცნობა.

ს ა მ ბ ა ქ ო ს ფ ა ბ რ ი კ ე ბ ი ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი ა შ ი

ჩვეულებრივად მცირეწლოვანნი იყვნენ, კვირაში ღებულობდნენ 2—3 მანეთს. მცირეწლოვანთა სამუშაო დრო განსაზღვრული იყო 8 საათით, მაგრამ რამდენადაც ისინი ოსტატების ხელქვეითნი იყვნენ, ხშირად მათივე ოჯახის წევრები და მათი მუშაობის „აუცილებელი დამატებანი“, ამიტომ, გარდა უმნიშვნელო გამონაკლისისა, მცირეწლოვანთა სამუშაო დროც ფაქტიურად ოსტატთა სამუშაო დროზე იყო გადაჭიმული. მოზარდის ხელფასი კვირაში 1,5—2 მანეთამდე აღწევდა. ასევე მძიმე იყო ქალთა მდგომარეობა, რომელნიც რამდენიმედ მეტ ხელფასს ღებულობდნენ, ვინემ მოზარდნი. თუმცა უოველ ფაბრიკას ჰყავდა ექიმი, სინამდვილეში კი მუშებისათვის საექიმო დახმარება მეტად მოჩვენებითს ხასიათს ატარებდა.

90-იანი წლებიდან მოყოლებული ფაბრიკების რაოდენობა არ გაზრდილა, პირიქით, შემცირდა კიდევაც. სამაგიეროდ შეუჩერებლად იზრდება პროდუქცია ამ ფაბრიკებისა და, შედარებით მნიშვნელოვნად მცირდება მუშათა რაოდენობა. ასე, მაგ., 1897 წელს მთელ ამიერკავკასიაში მოქმედებდა 16 ფაბრიკა, რომელთა პროდუქციის ღირებულება უდრიდა 2.775.000 მანეთს, ხოლო მუშათა რაოდენობა 1974 კაცს. ათიოდე წლის შემდეგ, სახელდობრ, 1908 წელს, თითქმის ამდენსავე პროდუქციას იძლევა 1<sup>1</sup> ფაბრიკა, სადაც მუშათა რაოდენობა (999 კაცი) ორჯერ ნაკლები იყო, ვინემ 1897 წელს მომქმედ 16 ფაბრიკაში. ეს მომენტი აშკარა მაჩვენებელია არა მხოლოდ მუშათა შრომის ინტენსივობის ზრდისა, არამედ ფაბრიკათა ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა და წარმოების კონცენტრაციისაც.

## 6. ტყავის, კახრის, აგურისა და სხვ. სარეწავები

ნარკვევებში „შინამრეწველობა“ და „მანუფაქტურული წარმოება“<sup>1</sup> ჩვენ გავეცანით, თუ როგორ ხასიათს ატარებდა ამიერკავკასიაში, მაგ., ტყავის, კასრებისა და სხვ. წარმოება კაპიტალიზმის განვითარების თავდაპირველ სტადიებში.

\*

ტყავის ქარხნული გადამმუშავება, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ამიერკავკასიაში დაიწყო მხოლოდ 1875 წლიდან, როდესაც ქ. თბილისში გ. ადელხანოვმა გახსნა სათანადო სარეწავი. ადელხანოვის ქარხანა როგორც ტექნიკური, ისე ეკონომიური ორგანიზაციის მხრივ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1884 წელს მოხდა მისი რეკონსტრუქცია, თავის დროის სიმალეზე იდგა. ამ ქარხანაში იდგა 3 ორთქლის მანქანა, საში, თითოეული 55-ძალიანი ორთქლის ქვაბით, რომელთა გათბობა წარმოებდა მაზუთით. მანუ-

<sup>1</sup> იხ. „მსკი“, წ. III, 1939. თბ.

ფაქტურული სარეწავების დამახასიათებელი ხისაგან გაკეთებული გეჯები აქ იცვლება ბეტონის ნაგებობით; ქარხანას ქონდა: 42 ბეტონის აუზი, 18 საშაბე როფი (квасильный чан), 34 საფუფქვევი როფი (зольный чан), 34 სათრი- მლაზი როფი, ფილტრიანი წყალსადენი და მატყლის საშრობი ჰიდროექსტრა- კტორი. ტვირთის გადასატანად საამქროებს შორის გაყვანილი იყო რელსები. მთელი სარეწავი განათებული იყო გაზით.

ამის შემდეგ, 1889 წელს ამ ქარხანაში შემოდებულ იქნა კიდევ ზოგი ახალი გაუმჯობესებანი, ხოლო უკვე 1891 წლიდან დაიწყო ცდები ტყავის ელექტრული დათრიმლისა.

ტყავის დასამუშავებლად საჭირო დამხმარე მასალა უმთავრესად ადგი- ლობრივი იყო, ანდა იმიერკავკასიიდან და რუსეთიდან მოჰქონდათ, მთელი ნედლი მასალა კი იმიერ- და ამიერკავკასიაში შეიძინებოდა. უკვე 80-იანი წლე- ბიდანვე მოყოლებული ამ ქარხანაში 300-მდე კაცი მუშაობდა, რომელთა შო- რის 10%-ზე მეტი მოზარდი იყო. შემდეგში ამ მუშების რიცხვმა 500-მდეც მიადწია.

ადელხანოვის ქარხნის მთელი წარმატება<sup>1</sup> — ხოლო ეს იყო ტყავის ერ- თადერსი ქარხანა მთელ კავკასიაში — უმთავრესად ემყარებოდა იმ მსხვილ შე- კვეთებს, რასაც იგი, 1879 წლიდან მოყოლებული, ღებულობდა კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებისათვის საჩქმე და სამუნიციო ტყავეულის მიწოდე- ბის სახით.

ამავე გ. ადელხანოვმა ისევ სამხედრო უწყებისაგან მოპოებული შეკვეთე- ბის საფუძველზე 1885 წელს ტყავის ქარხანასთან გახსნა ფეხსაცმლის საკერავი მსხვილი სახელოსნო, სადაც თავდაპირველად 60 მეჩქმე ხელოსანი მუშაობდა. ამ დროს ეს სახელოსნო უფრო მანუფაქტურულ სარე ავს წარმოადგენდა, მაგ- რამ სამხედრო შეკვეთების შემდგომი ზრდის მეოხებით იგი მალე გადაიქცა ჩექმების მექანიკურად მკერავ სახელოსნოდ. გახსნიდან სულ ხუთიოდე წლის შემდეგ აქ უკვე 250-მდე კაცი მუშაობდა. ამიერიდან ფეხსაცმელს ამ ფაბრი- კაში ამზადებდნენ არა მხოლოდ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარისათვის, არამედ ქალისა და მამაკაცის ყოველგვარ ფეხსაცმელს — საბაზროდ. თვით ადელ- ხანოვმა თავისი ფაბრიკის ნაკეთობათა კერძო მომხმარებლებზე სარეალიზაციოდ თბილისსა, ბაქოსა და კავკავში გახსნა საკუთარი საწყობები და მაღა- ზიები.

900-იან წლებში ტყავის ქარხნის მუშების (ოსტატების) თვითრი ხელფასი მერყეობდა 14-26 მანეთამდე; ქალის ხელფასი — 12-17 მან., ხოლო მოზარ- დისა — 7 მანეთამდე. შემოდებული იყო მუშაობაზე დაგვიანებისათვის დაჯარი- მება. შრომის მიძიმე პირობებს ზედ ერთვოდა ანტიჰიგიენური პირობები: ჰაერი მოწამლული იყო სხვადასხვა წამლითა და ტყავის ანაორთქლით და დახუ- თული. მუშებს ადმინისტრაცია მეტად უხეშად ეპყრობოდა. მოზარდნი აქ მუ- შაობდნენ თავიანთ მშობლებთან ერთად, ანდა 4-5 მოზარდი აყვანილი ჰყავ-

<sup>1</sup> იხ. „Отчеты акц. об ва кожев. и войлочн. произв. на Кавказе Г. Г. Адельхана- нова“ за 1898—1919 г.г.



და თვითონ ოსტატს, რომელიც თავის მხრივ მათ უხდოდა დღიურად 10—20 კაპიკს. ხანაც ლარიბი და ხელმოკლე მშობლები, — რაკი „შვილების ცხოვრებაში“ გამოსაყვანად“ სხვა საშუალება არ გააჩნდათ, — თავიანთ შვილებს სულ უხელფასოდაც აძლევდნენ ოსტატებს, ოღონდაც ამათგან მათ ნაშიერთ ხელობა შეესწავლათ. მოზარდებს იყვანდა ხოლმე თვით მექარხნეც.

\*  
\*\*

აგურის ქარხნები. ამიერკავკასიაში თვით 70-იანი წლების ბოლომდე აგურის წარმოება არ გასცილებია შინამრეწველური და უკეთეს შემთხვევაში მანუფაქტურული სარეწავის ხასიათს. 70-იანი წლების მიწურულს ქ. თბილისში აგურის პირველი ქარხანა გახსნა თავ. ხიმშიაშვილმა. ხიმშიაშვილის სარეწავეში აგურის კეთება მექანიზებულად წარმოებდა. ქარხანას ჰქონდა ჰოფმანის სისტემით აშენებული აგურის გამოსაწვავი ღუმელი, რომლითაც მიიღწეოდა საწვავი მასალის დიდი ეკონომია. ეს ქარხანა ამზადებდა ე. წ. „რუსულ აგურს“. სულ მალე გამოაშქარავდა, რომ „ადგილობრივი მშენებელი ოსტატები, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ მჩატე ქართულ აგურს, არ ეტანებიან, გაურბიან ხიმშიაშვილის აგურს“.

მაგრამ ხიმშიაშვილი პირველი იყო, რომელმაც ააგო არა მხოლოდ ჰოფმანის სისტემის ღუმელი და ხელი მოჰკიდა სტანდარტული აგურის მასობრივ წარმოებას, არამედ თბილისში მან პირველმა დაიწყო აგურის ქარხანაში სათბობ მასალად, ნაცვლად შეშისა — რაც თბილისში, ახლო-მახლო ტყეების განადგურების გამო, სულ უფრო ძვირდებოდა — მახუთის გამოყენება; თუმცა ამ უკანასკნელ ცდას, ისე როგორც საერთოდ ხიმშიაშვილის სარეწავს, არ ჰქონია სასურველი წარმატება.

ქ. ბაქოში, სადაც აგურის კეთება მხოლოდ ხელით წარმოებდა, უკვე 80-იანი წლების დასაწყისიდანვე იყენებდნენ ნავთობის სათბობს, რის გამოც აგურსაწვავი ღუმელების ასაშენებლად საჭირო შეიქნა ცეცხლგამძლე აგური, რომელიც 90-იან წლებამდე შემოჰქონდათ ინგლისიდან. მხოლოდ 1890 წელს განჯის მაზრიდან მოტანილი მასალით ოსკარ ლივენმა ბაქოში დაიწყო ცეცხლგამძლე აგურის წარმოება.

90-იანი წლებიდან როგორც თბილისში, ისე ამიერკავკასიის სხვა მსხვილ ქალაქებშიაც, სადაც აგურის წარმოება მასობრივ ხასიათს ატარებდა, უკვე ფართოდ იწყებენ აგურის მექანიკურ კეთებას: გარდა ამისა, სათბობ მასალად უმთავრესად იყენებენ მახუთს, რისთვისაც აგურის ქარხნებში იდგმება ორთქლის ქვაბები.

როგორც ცხრილიდან (იხ. 154 გვ.) ჩანს, ეს აგურის „ქარხნები“ უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ წვრილი სარეწავეებია. ამასთანავე ერთად ამ სარეწავთა დიდი ნაწილი წლის განმავლობაში მუშაობდა არა უმეტეს 3—4—5 თვისა. შედარებით მსხვილი სარეწავეები, რომელთაც შეეფერება მართლაც ქარხნის სახელი, იყო თბილისისა, ბაქოსა და კიდევ ორიოდ სხვა ქალაქში ანდა მათს მიდამოებში.

### აგურის სარეწავთა რაოდენობა, პროდუქცია, და მუშათა რიცხვი

ცალკე გუბერნიების მიხედვით: პირველ სვეტში — სარეწავთა რაოდენობა, მეორეში — პროდუქცია ათას მანეთობით, მესამეში — მუშათა რიცხვი

წლები	თბილისის გუბერნია			ქუთაისის გუბერნია			ბაქოს გუბერნია			განჯის გუბერნია			ერევნის გუბერნია			სულ ამიერკავკასიაში		
	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3
1891				294	105	678	47	107	355	102	35	342	15	11	146			
1896	241	411	179				19	552	197	104	71	377	23	9	110			
1902	272	498	1602	218	59	378	62	1093	556	65	18	255	16	10	59	623	1678	2850
1912	64	398	645	152	103	595	47	274	709	37	27	133	30	51	124	330	653	2206
1915	64	80	331	112	98	215	28	135	224	72	56	207	34	74	211	292	443	1188

<sup>1</sup> ქუთაისის გუბერნიაში შედის სოხუმისა და ბათუმის ოლქებიც.

აგურის სარეწავებში მუშათა მდგომარეობა კიდევ უფრო აუტანელი იყო, ვინემ მთელ რიგ სხვა სარეწავებში. აქ მუშებს მეტად უხეშად ეპყრობოდნენ. ბაქოსა და თბილისის აგურის ქარხნების მუშათა დიდი უმრავლესობა ზაფხულობით ღამეს ღია ცისქვეშ ატარებდა, ხოლო ცუდი ამინდის დროს თავს აფარებდა ყაზარმებს, რომლებიც თავიანთი სიბინძურითა და მოუწყობლობით უფრო საღორეს წაავადნენ, ვინემ ადამიანის საცხოვრებელ ბინებს. ზამთრობით მუშები ცხოვრობდნენ თვით ქარხანაში, ფარდულეებში, სადაც არ იყო ნორმალური არც გათბობა და არც განათება, ხოლო ჰაერი დამძიმებული იყო მტვერით და მყრალი ანაორთქლით.

\*  
\* \*

კასრების წარმოებამ ქარხნული ხასიათი ქ. ბაქოში ჯერ კიდევ 70-იანი წლების დასაწყისშივე მიიღო. კასრი აქ უმთავრესად მოიხმარებოდა ნავთობის პროდუქტების გადასატანად. კასრი კეთდებოდა სხვადასხვანაირი: მრგვალი—სამდინარო-საზღვაო და საქაბანო ტრანსპორტისათვის, და ოვალური—სასაპალნე (აქლემის) ტვირთისათვის.

კასრების პირველი ქარხანა ქ. ბაქოში 1873 წელს გახსნეს ძმ. ჯაყელებმა, რომელთაც ქ. მარსელიდან მოიტანეს ამისათვის საჭირო იარაღ-მანქანები. შემდეგ ასეთივე ქარხანა (წლიურად 100.000 კასრის პროდუქციით) გახსნა „ბაქოს ნავთობის საზოგადოებამ“ და რამდენიმე წლის შემდეგ—მირზოევმაც, ხოლო 1888 წელს ს. შიბაევმა და კოპპ. საქასრე მასალა (ტკეჩი) აქ მოჭმონდათ ასტრახანიდან; მერე იწყეს ლენქორანის მაზრიდან მოტანილი მასალის მოხმარება.

ამგვარად, წარმოიშვა ქ. ბაქოში კასრების ქარხნული წარმოება, მაგრამ მის წარმატებას აბრკოლებდა სათანადო კადრების უყოლობა, არსებული იარაღ-მანქანების მოუხმევადობა და სხვ., რის გამოც ხშირად ქარხნული წესით დამზადებული კასრი ხარისხით უარესი და უფრო ძვირიც იყო, ვინემ იგივე საქონელი, დამზადებული შინამრეწველურს და მანუფაქტურულს სარეწავებში. ნავთობის პროდუქტებისათვის კასრების ქარხნული, ე. ი. მასობრივი წარმოების განვითარებას საფუძველი გამოაცალა უმთავრესად სარკინიგზო ტრანსპორტის—ვაგონ-ციცტერნების—და ნავთსასხმელი ხომალდებისა და გემების შემოღებამ და გამრავლებამ.

რკინიგზით ნავთობის პროდუქტთა ტრანსპორტისათვის კასრებზე მოთხოვნილება გამოცოცხლდებოდა ხოლმე იმ პერიოდებში, როდესაც რკინიგზას ხოვნილება არ შეეძლო ექსპორტიორებისათვის საჭირო რაოდენობით ვაგონ-ციცტერნების მიწოდება, ხოლო, ამავ დროს გააჩნდა თავისუფალი საბარგო ვაგონები. მაგრამ მალე ასეთი ხელსაყრელი პერიოდებიც დაეკარგა ბაქოში არსებულ საკასრე ქარხნებს.

ნავთობის პროდუქტებისათვის ბაქოში კასრებზე მოთხოვნილების ასეთმა არარეგულარობამ და შემდეგ ძალზე შემცირებამ, ხოლო ღვინის, სპირტისა და ლუდისათვის საჭირო რაოდენობით კასრების ქარხნულზე უფრო სარფინად შინამრეწველური და მანუფაქტურული სარეწავების მიერ დამზადებამ—რაც ზენ უკვე სხვა ადგილას გვაქვს განხილული—საფუძველი გამოაცალა ბა-

ქოში წარმოქმნილ საკასრე ქარხნებს, რომლებიც ადრე თუ გვიან უნდა დახუ-  
 რულიყვნენ.

\* \*

ხე-ტყის მრეწველობა. როგორც ცნობილია, ამიერკავკასია და კერ-  
 ძოდ, დას. ამიერკავკასია მდიდარია ტყეებით. აქაური ხე-ტყე კაპიტალისტური  
 თაოსნობის ევროპელთა ყურადღებას იქცევდა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეშიაც.  
 მიუხედავად ამისა, როგორც მანამდე, ისე XIX საუკუნის რეფორმამდე პერი-  
 ოდშიაც ხე-ტყის მრეწველობას, გარდა ზოგიერთი უღლეური და ავანტურისტუ-  
 ლი სამეურნეო წამოწყებისა (მაგ., გიმბას ცდები), სისტემატური ხასიათი არ  
 მიუღია.

მხოლოდ რკინიგზების გაყვანის შემდეგ ლებულობს ამიერკავკასიაში ხე-  
 ტყის მრეწველობა ასეთუისე რეგულარულ ხასიათს. თუმცა ბურჟუაზიული თა-  
 ოსნობა აქ, მთელი მისი არსებობის მანძილზე, მეტად მტაცებლური იყო და  
 არარაციონალურ ხასიათს ატარებდა; ეს ამათუიმ ზომით ითქმის ისეთ მსხვილ  
 სარეწავეზედაც, როგორიც იყო ბორჯომში დიდი მთავრის მიხეილის, ატენსა  
 და ხანდისში ქართველიშვილისა და ზეზემანის (ამიერკავკასიის რკინიგზის კონ-  
 ტრაგენტა), საკილაოში ი. ოქრომჭედლიშვილის (სერებრიაკოვის) და სხვ.

თუ რამდენად არარაციონალურად იყო ამიერკავკასიაში დაყენებული ხე-  
 ტყის მრეწველობა გასული საუკუნის 90-იან და 900-იან წლებშიც კი, ჩანს  
 თუნდაც იქიდან, რომ, მაგ., ბათუმში წარმოქმნილ ნავთობის ტარის მწარმოე-  
 ბელ ქარხნებს საჭირო ხე-ტყე მოჰქონდათ ხერსონიდან, რუმინეთიდან და ავ-  
 სტრიიდან, მაშინ როდესაც დას. საქართველო მდიდარია საუკეთესო ჯიშის  
 ტყეებით; ბაქოს ნავთობის მრეწველობა და ტრანსპორტირება და თვით საქა-  
 ქალაქო მშენებლობა დამყარებული იყო მდ. ოკისა და მდ. კამის სანაპიროე-  
 შიდან ასტრახანიით მოტანილ ხე-ტყეზე, მაშინ როდესაც ბაქოს ახლოს მდებარე-  
 რეობს ლენქორანის მდიდარი ტყეები.

ამგვარად, ამიერკავკასიაში განვითარებული ხე-ტყის მრეწველობა ვერ აკ-  
 მაყოფილებდა თვით ადგილობრივს მოთხოვნილებსაც კი. თუ მხედველობაში არ  
 მივიღებთ ზოგიერთ მსხვილ ქარხანას, ამიერკავკასიაში არსებული ხე-ტყის ქარ-  
 ხნების დიდ უმრავლესობას ჰქონდა თითო ქვაბიანი 12-ძალიანი ლოკომობილი  
 და თითო მორის სახერხი დაზგა მრგვალი ხერხით. თითქმის ყოველ ქარხანას  
 ჰქონდა რამდენიმე სხვადასხვა ზომის ხერხი, რომელსაც იყენებდნენ დასახერ-  
 ხი მორის სისქის მიხედვით. იყო ქარხნები 2-3 და მეტი დაზვითაც. 900-იანი  
 წლებიდან აქ ჩნდებიან შიდაწვის ძრავებიც. ქარხანათა უმრავლესობას ჰყავდა  
 10—15 მუშა, თუმცა 900-იან წლებიდან და ზოგან მანამდეც, წარმოიქმნა მსხვი-  
 ლი ქარხნები, სადაც ასიოდე და ხანაც მეტი მუშა იყო ჩამბული (იხ. ცხრილი  
 შემდეგ გვერდზე).

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, რომ ხე-ტყის სახერხი ქარხნების  
 უმრავლესობა მუშაობდა მხოლოდ სეზონურად, უფრო მეტად წელიწადში 4—5  
 თვე, და ხანაც უფრო ნაკლები დროის განმავლობაში, რითაც უნდა აიხსნას  
 მუშათა სიმრავლესთან შედარებით პროდუქციის სიმცირე. შრომის პირო-  
 ბები აქ მეტად მძიმე იყო; ხელფასი ძალზე მცირე, რასაც შესაძლებელს

ბ ე - ტ უ ი ს ქ ა რ ხ ნ ე ბ ი ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი ა შ ი

ცალკე გუბერნიების მიხედვით: პირველ სვეტში—სარეწავთა რაოდენობა, მეორეში—პროდუქცია ათას მანეთობით, მესამეში—მუშათა რაოდენობა.



წლები	თბილისის გუბერნია			ქუთაისის გუბერნია			ბაქოს გუბერნია			განჯის გუბერნია			ს უ ლ ამიერკავკასიაში		
	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3
1891 . . . . .	47	327	2694	14	52	125	—	—	—	3	2	8	64	371	2827
1897 . . . . .	81	417	552	23	449	316	—	—	—	3	2	13	107	868	881
1902/3 . . . . .	43	560	487	32	772	629	1	120	55	2	2	10	78	1454	1181
1908 . . . . .	41	360	665	29	175	641	—	—	—	12	15	31	82	550	1337
1912 . . . . .	62	423	398	35	288	1218	1	36	20	8	40	20	106	787	1656
1915 . . . . .	17	639	343	51	1099	602	—	—	—	8	4	16	83	1742	961

საქართველო-საქართველო მრეწველობის განვითარება ამიერკავკასიაში



ზდიდა ის გარემოებაც, რომ ამ სარეწავეებში ჩაბმული მუშების დიდი რაოდენობა არ იყო მოწყვეტილი მიწათმოქმედებას; ხე-ტყის ქარხნებში მუშაობა მათთვის მხოლოდ საშოვარზე გასვლის სახეს წარმოადგენდა.

\*  
\* \*

ჩვენ განვიხილეთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი დარგი გადამუშავებითი მრეწველობისა და დავადგინეთ, თუ როდის და რა გზით შემოიჭრა ამიერკავკასიაში პირველად მანქანური (ფაბრიკულ-ქარხნული) წარმოება.

საერთოდ ამიერკავკასიაში ფაბრიკულ-ქარხნული (ე. ი. გადამუშავებითი) მრეწველობის განვითარების ზოგად სურათს გვიშლის ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკა.

ამიერკავკასიაში მოქმედი ფაბრიკა-ქარხნები, მათი პროდუქცია და მუშათა რაოდენობა

წლები	ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი	პროდუქცია მანეთობით	მუშათა რაოდენობა	შენიშვნა
1874 . . . . .	4.389	7.445.000	17.416	1. 1884 წელს ქუთაისის გუბერნ. ცნობები მხოლოდ დაახლოებითაა 2. 1903 წლის მონაცემებში ქუთაისის გუბერნია შესულია 1902 წლის მდგომარეობით.
1878 . . . . .	3 023	8.376.000	14.628	
1884 . . . . .	4.970	29.489.000	27.930	
1891 . . . . .	8.380	39.422.000	37.806	
1897 . . . . .	10.915	50.194.000	42 052	
1903 . . . . .	12.273	110.590.000	62.886	
1908 . . . . .	11.380	50.125.000	81.524	
1910 . . . . .	11.204	156.867.000	87.666	
1912 . . . . .	10.121	157.635.000	98 161	
1915 . . . . .	9.205	228.609.000	73.820	

ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით ფაბრიკა-ქარხნების რიცხვში ბლომდაა შესული სახელოსნოები, შინასარეწავეები, რომ არა ვთქვათ რა მანუფაქტურულ სარეწავეებზე. ისეთ სარეწავეთა შორის, რომლებიც განსაკუთრებით აღიღებენ ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობას, პირველ რიგში აღნიშნულ უნდა იქნას წყლის წისქვილები, რომლებიც თვითმპყრობელობის სტატისტიკას შეჰქონდა ქარხნების ნომენკლატურაში, სადაც საერთოდ სარეწავეთა რაოდენობის დაახლოებით 40—50 პროცენტამდე შეადგენდა მხოლოდ ეს წისქვილები. ასე, მაგალითად, მთელს ამიერკავკასიაში ითვლებოდა:

წ ლ ე ბ ი	ფაბრიკა-ქარხნები		მუშათა რაოდენობა	
	ს უ ლ	მათ რიცხვში წისქვილები	საერთოდ	წისქვილებში კერძოდ
1891 . . . . .	8.380	3.643	37 806	4.176
1897 . . . . .	10.915	4.980	42.052	6.407
1903 . . . . .	12.273	5 045	62.886	5.889

ამგვარად, თუ წისქვილები შეადგენდა „ფაბრიკა-ქარხნების“ საერთო რაოდენობის დაახლოებით 40—50 პროცენტამდე, ამ წისქვილებში დაბანდებული მუშათა რაოდენობა (და, მაშასადამე, შესაბამისად, პროდუქციის ღირებულებაც) შეადგენდა მთელი სამრეწველო მუშების არა უმეტეს 10—13 პროცენტისა. ეს შეფარდება კიდევ უფრო საზარალო იქნება წისქვილებისათვის, როდესაც აქედან გამოვყოფთ კერძოდ ორთქლის წისქვილებს, რომლებიც წყლის წისქვილთაგან განსხვავებით, მანქანური (ფაბრიკული) ტიპის სარეწავებს წარმოადგენენ.

მთელ ამიერკავკასიაში (უძნავერესად ქ. ბაქოში) ორთქლის წისქვილები იყო: 1891 წელს—30 (210 მუშით), 1897 წელს—41 (289 მუშით), ხოლო 1903 წელს—50 (322 მუშით). მაგრამ ორთქლის წისქვილების როლი, წყლის წისქვილებთან შეფარდებით, უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლებით; თუ წყლის ერთ წისქვილზე საშუალოდ 1,2 მუშამდე მოდის, ორთქლის ერთ წისქვილზე მოდის საშუალოდ 7 მუშა, რომ არა ვთქვათ რა იმის შესახებ, თუ რაოდენ მეტია შრომის ნაყოფიერება ორთქლის წისქვილში.

ამგვარად, წყლის წისქვილებისა და სხვ. წვრილ (არამანქანურ) სარეწავთა ფაბრიკა-ქარხნებში გათქვეფა (რამდენადაც ყველა მათი გამოცალკეება დღეს ტექნიკურად ძნელია) ზემოთ მოყვანილი ცხრილის საფუძვლიანი ანალიზის საშუალებას გვისძობს. მაგრამ მაინც არ იქნება ინტერესს მოკლებული ზოგიერთი შედარება მოვანდინოთ.

მაგალითად, 1884 წლიდან (რა დროისათვისაც სამრეწველო გადატრიალება ამიერკავკასიის მრეწველობის მთავარ დარგებში, ამათუმი ზომით, უკვე მომხდარი ფაქტია) 1903 წლამდე, ე. ი. ოცი წლის განმავლობაში, ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობა გაიზარდა თითქმის 250%-ით; ამავე პერიოდში მრეწველობის პროდუქციის ღირებულება გაიზარდა 375%-ით, ხოლო მუშათა რაოდენობა—225%-ით. აქ მრეწველობის პროდუქციის ზრდის შედარებით მეტი ტემპი უდაო მაჩვენებელია მრეწველობის მექანიზაციისა და კონცენტრაციისა. 1900 წლიდან და საერთოდაც კრიზისებისა და მომდევნო პერიოდებში, ჩვენ საქმე გვაქვს სარეწავთა რაოდენობის შესამჩნევ შემცირებასთან, მაშინ როდესაც (აღმავლობის დასაწყისიდანვე) იზრდება დარჩენილ (გაერთიანებულ და ახლად წარმოქმნილ მსხვილ) სარეწავთა პროდუქციის ღირებულება და მუშათა რაოდენობა. მიმდინარეობს კაპიტალის შემდგომი ცენტრალიზაცია და კონცენტრაცია. მაგრამ ეს პროცესი კიდევ უფრო ნათლად დაგვეჩვენება, თუ შევა-

დარბთ 1884 წლისა და 1912 წლის მონაცემებს. ამ ოცდაათიოდე წლის განმავლობაში ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი გაიზარდა მხოლოდ 204<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ით, მაშინ, როდესაც მუშათა რაოდენობა გაიზარდა 309<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ით, ხოლო პროდუქციის ღირებულება კი—531 პროცენტით!

ყოველივე ამის შემდეგ მკითხველი, რომელიც გაითვალისწინებს ზემოთ აღნიშნულ გარემოებათ, დაინახავს, რომ ჩვენს მიერ მრეწველობის ცალკე დარგების მაგალითზე დადგენილი ვითარებანი, კერძოდ, სახალხო მეურნეობის შესაბამე დარგებში, კაპიტალისტური მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარება და კონცენტრაცია, სამრეწველო პროლეტარიატის შეუჩერებელი გამრავლება და განსაკუთრებით 90-იანი წლებიდან კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიის დამახასიათებელი მომენტები ასე აშკარად მიმდინარეობს მთელი სახალხო მეურნეობის საერთო დინამიკაში და, მაშასადამე, მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც.

მრეწველობის განლაგების მხრივ<sup>1</sup> პირველ რიგში აღსანიშნავია საქალაქო ცენტრები, კერძოდ, ამიერკავკასიის (და საერთოდ მსოფლიო მნიშვნელობის) ისეთი უმსხვილესი სამრეწველო ცენტრი, როგორცაა ბაქო, სადაც მსოფლიო ომის წინა ათეულწლებში სამრეწველო მუშათა რაოდენობა 60 ათასამდე აღწევს; შემდეგ მოდის თბილისი, კავკასიის ადმინისტრაციულ-სავაჭრო და კულტურული ცენტრი, სადაც ამავე ხანებში 20—25 ათასამდე მუშა ითვლებოდა; ბათუმი, სადაც 900-იანი წლების დასაწყისში 10—11 ათასამდე<sup>2</sup> სამრეწველო მუშა იყრიდა თავს და სხვ. საერთოდ ისეთი ქალაქები, როგორც იყვნენ ბაქო, თბილისი, ბათუმი, განჯა, ქუთაისი, ერევანი, ფოთი, გუმბრი, შუშა, ნუხა, ახალციხე, შემახა და სხვ. მეტი თუ ნაკლები ზომით წარმოადგენდნენ მრეწველობის ცენტრებს. მეორე ტიპის სამრეწველო ცენტრებად უნდა ჩაითვალოს ჭიათურა, ალავერდი, ლენქორანი, ტყიბული, ზანგეზური, ქადაბეჭი და სხვ., რომლებიც უმეტესად სოფლური ტიპის დასახლებას წარმოადგენდნენ, მაგრამ ამავე დროს იყვნენ, მნიშვნელოვანი (ხოლო, კერძოდ, ჭიათურა მსოფლიო მნიშვნელობის) სამრეწველო ცენტრები, სადაც განვითარებული იყო სამთამადნო და სამთო-საქარხნო მრეწველობა, მარილის სარეწავები, ხე-ტყის დამუშავება, მეთევზეობა და სხვ. ასეთ ცენტრებში თავს იყრიდნენ მნიშვნელოვანი რაოდენობით (500-დან 10.000-მდე) სამრეწველო მუშები. იყო აგრეთვე ისეთი ტიპის შინამრეწველური სოფლები, სადაც წვრილი სარეწავების სახით წარმოქმნილი საქმიანობა იმდენად იყო განვითარებული, რომ წარმოადგენდა უშუალო დამატებას მსხვილ სამრეწველო ქალაქებში (ხშირად შიდა რუსეთშიაც) არსებული ფაბრიკა-ქარხნებისა; ასეთი იყო ის სოფლები, სადაც მასობრივი ხასიათი ჰქონდა მიღებული, მაგ., აბრეშუმის ძაფსართავ და საძახავ წვრილ სარეწავებს, აგრეთვე მენოხეობას, ხე-ტყის ნაკეთობათა, ჩუღუთისა და მეთუნეობის სარეწავებს.

<sup>1</sup> ამ ზოგადი მიმოხილვისას მხედველობაში გვაქვს სამთამადნო (ნავთობის, მარგანცის, ქვანახშირის, სპილენძისა და სხვ.) მრეწველობაც.

<sup>2</sup> ლ. პ. ბერიძე, „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, 1938. თბ. გვ. 23.



ზემოთ აღნიშნეთ პირველი ტიპის სამრეწველო ცენტრები—ბაქო, ბათუმი, თბილისი და სხვ., სადაც თავს იყრიდნენ მნიშვნელოვანი რაოდენობით საფაბრიკო-საქარხნო მუშები, მაგრამ რათა სინამდვილესთან უფრო დაახლოებული წარმოდგენა ვიქონიოთ ასეთ ცენტრებში თავმოყრილ სამრეწველო პროლეტარიატის მასაზე და მნიშვნელობაზე, უნდა აღინიშნოს, რომ მათ რიცხვში მოქცეულ უნდა იქნან აგრეთვე მუშები, რომლებიც ჩაბმული იყვნენ ისეთ საქმიანობაში, რომელთაც ვ. ლენინი განიხილავს როგორც ფაბრიკის დამატებად; ასეთ მუშათა არსებობა უშუალოდაა დაკავშირებული ფაბრიკასთან.

ამ სახის მუშათა შორის პირველ რიგში მოსახსენებელია ხე-ტყისა და საამწებლო მუშები, მტვირთავები, მეკუბრტნეები და საერთოდ ე. წ. „შავი მუშები“, რომლებიც ყოველთვის შეადგენენ საფაბრიკო ცენტრების, ნავსადგურების და რკინიგზათა საკვანძო სადგურების მოსახლეობის არა უმნიშვნელო ნაწილს. შემდეგ აღსანიშნავია „დამოუკიდებელი“ მრეწველები, რომლებიც ფაბრიკისათვის დამხმარე სამუშაოებს აწარმოებენ, როგორც არიან, მაგალითად, მეკალათეები, კოლოფის მკეთებელნი, ქილის ქუდის მქსოველნი, საკასრე ტექნიკის მკეთებელნი და საერთოდ მუშები კაპიტალისტური შინამრეწველობისა, რომელიც უკვე გადაქცეულია ფაბრიკის დამატებად.

\*  
\*  
\*

ამიერკავკასიაში სამრეწველო მუშების მნიშვნელოვანი ნაწილი 900-იანი წლების დასაწყისში არ არის სავსებით მოწყვეტილი სოფელს, მაგრამ მათ უმრავლესობას ხშირად მხოლოდ ნომინალური კავშირი აქვს სოფელთან; მათ უმეტეს წილად სოფლად არა აქვთ საკუთარი მეურნეობა: სახლი, სოფლის მეურნეობის ინვენტარი და სხვ. რჩება ძმას, მამას, ბიძაშვილს. როდესაც ასეთი მუშა ქალაქიდან ბრუნდება სოფლად, ის აქ როგორღაც „უცხობა“ და უფრო ნაკლებადაა „დაბრუნებული“—იმის მიხედვით, რაც უფრო მეტი ხანი დაჰყო მან ქალაქში. ესენი უფრო მეტად სამრეწველო მუშებს წარმოადგენენ, ვინემ სოფლის პროლეტარებს.

საერთოდ ამიერკავკასიაში საფაბრიკო მუშების გენეალოგია 900-იან წლებში ხშირად მეორე და ზოგან კიდევ მესამე თაობამდე აღწევდა, თუმცა ასეთების რიცხვი საერთოდ სამრეწველო მუშათა შორის მცირე იყო.

როგორც რუსეთში, ისე ამიერკავკასიაშიც კაპიტალისტურმა მრეწველობამ გაიარა სამი სტადია: 1. წვრილი საქონლური წარმოება (უფრო მეტად გლეხური სარეწავები, კაპიტალისტური შინამრეწველური ანუ შინაკაპიტალისტური მუშაობა); 2 მანუფაქტურა; 3 ფაბრიკა (მანქანური მრეწველობა). პირველ სტადიაში მრეწველობა დამყარებული იყო პრიმიტიულ ტექნიკაზე, ხელით წარმოებაზე; მანუფაქტურულ წარმოებას თან მოსდევს შრომის დანაწილება, დაქირავებული შრომის სისტემის წარმოშობა და განვითარება, დიფერენციაცია შრომის იარაღისა, რომელიც ძირითადად ისევ ხელის იარაღად რჩება (ხელის დაზვა და ინსტრუმენტი), თუმცა მანუფაქტურა არ გამორიცხავს მანქანების სპორადულ გამოყენებასაც. მრეწველობის იმ დარგთა შორის, სადაც ჩამოყალიბ-




ზდა მანუფაქტურული წარმოება, ადრე თუ გვიან ხდება გადასვლა ფაბრიკულ წარმოებაზე. თუმცა ისეც ხდებოდა, რომ ახლად წარმოქმნილი დარგი მრეწველობისა გამოსტოვებდა ხოლმე თავდაპირველ სტადიებს და განვითარებას იწყებდა პირდაპირ ფაბრიკული (მანქანური) სტადიიდან, რამდენადაც სამისო გამოცდილება და შრომის საშუალებანი აქ მზამზარეული შემოდიოდა რუსეთიდან ან ევროპიდან.

ეს პროცესი, პროცესი ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობის განვითარებისა, ამიერკავკასიაში—მიუხედავად სათანადო კადრების საკმაო ზომით უყოლობისა, მუშათა დენადობისა, ადგილობრივი კაპიტალისტური თაოსნობის ჩამორჩენილობისა და სხვა.—შესაძინევი სისწრაფით უნდა წარმოებულყო საერთოდ, რამდენადაც ცენტრალურ რუსეთში ამ დროს საქმე გვაქვს განვითარებულ საფაბრიკო მრეწველობასთან; მაგრამ ცარიზმის კოლონიური სამრეწველო პოლიტიკა ბორკავს და აფერხებს მის განვითარებას. და უმეტესად მხოლოდ სახალხო მეურნეობის ისეთ დარგებში, რომლებიც არ არიან განვითარებული მეტროპოლიაში, რომელთაც ძნელად შეუძლიათ განვითარდნენ იქ, ანდა რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან აქ განვითარებული სამთამადნო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის (სპეც-ტექნიკურ კულტურათა) პროდუქტების გადამუშავებასთან იქმნება შესაძლებლობა ამიერკავკასიაში განდეს ფაბრიკული (მანქანური) მრეწველობა. ამასთანავე ძალიან ხშირად ადგილობრივი ფაბრიკული მრეწველობა (მაგალითად, აბრეშუმის ნართის ფაბრიკაცია) მხოლოდ დამატებაა შიდა რუსეთის შესაბამი ფაბრიკებისა.

მსხვილი მანქანური ინდუსტრიის განვითარებას არ შეუძლია მიმდინარეობდეს სხვარიგად, თუ არა ნახტომებით, თუ არა აყვავებისა და კრიზისების პერიოდების პერიოდული შენაცვლებებით, რასაც შედეგად მოსდევს წვირილ მწარმოებელთა განადგურება, მუშების ხან მასობრივი მიზიდვა ფაბრიკებში, ხანაც იქიდან ქუჩებში გამოყრა. მსხვილი მანქანური ინდუსტრია, ახდენს რა სხვადასხვა მხრიდან მოსულ მუშათა მასების კონცენტრაციას, ვერ ურიგდება პატრიარქალურობისა და პირადი დამოკიდებულების ნაშთებს, იგი ინდიფერენტულად უყურებს წარსულ მდგომარეობას. ამაყი აფხაზი, „კუდაბზიკა“ იმერელი აზნაური, პატრიარქალურობაში დამყაყებული მუსლიმანი კაპიტალისტური სარეწავის დაქირავებული მუშა ხდება და მითვე საკუთარი ხელებით ფხრეწს განცალკავებულობისა და კარჩაკეტილობის, რელიგიური, თემობრივი და ტომობრივი თავისებურებების საბურველს.

მაგრამ ფაბრიკა (უფრო ადრე მანუფაქტურაც) ბლომად იზიდავს ქალებსა და მოზარდებს. ქალებისა და მოზარდების პატრიარქალური საოჯახო ურთიერთობიდან გამრყვანით და საზოგადოებრივ წარმოებაში ჩაბმით ფაბრიკულმა წარმოებამ ისინი, უდაოდ, პროგრესულ გზაზე შეაყენა; მათ „დამოუკიდებელი“ მდგომარეობა შეუქმნა, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტური ჯაგონაუტის ბორბლებს ქვეშ ჩააგდო.

კაპიტალისტური წარმოების განვითარების პირველი სტადიების დროს ამიერკავკასიის მოსახლეობა ჯერ კიდევ მეტად უმნიშვნელო ზომით იყო მოწყვეტილი თავისი „თემური ყოფიერების კიპისაგან“, კეთხურობისაგან, გან-



საკუთრებულობისაგან; მანქანური მრეწველობის ამათუამ ზომით განვითარება და სარკინიგზო მიმოსვლამ გააცხოველა არა მხოლოდ სავაჭრო კავშირი ამიერკავკასიის ცალკე რაიონებს შორის, არამედ მსხვილ სამრეწველო ცენტრებში (ბაქოში, თბილისში, ბათუმში, ჭიათურაში და სხვ.) შექმნა შედარებით დიდი მოთხოვნილება მუშახელზე: შინაგანი ბაზარი სამუშაო ძალაზე. ეს შინაგანი ბაზარი ფართოვდება სოფლის მეურნეობასა და საქალაქო მრეწველობაში დამჭირავებელთა და განსაკუთრებით დაქირავებულთა გამრავლებით. სავაჭრო მიწათმოქმედებისა და მრეწველობის ცენტრები მუშებს იზიდავენ არა მხოლოდ ამიერკავკასიის სხვადასხვა რაიონიდან, არამედ იმიერკავკასიისა და შიდა რუსეთის გუბერნიებიდანაც. ხოლო კრიზისების დროს (მაგ., 1900—1903 წწ.) ამ მუშებს მრეწველობა უკანვე ისვრიდა და ამით იწვევდა უმუშევრობასა და მუშების მასობრივ გადაჯგუფებას ერთიდან მეორე სამრეწველო ცენტრში. ამგვარად წარმოიქმნა სამრეწველო ცენტრები, სადაც თავს იყრიდა კავკასიის ყველა კუთხიდან და ცენტრალური რუსეთის სამრეწველო ქალაქებიდან წამოსული მუშები, რომლებიც, ერთად თავმოყრილნი, საზოგადოებრივი წარმოებისა და შრომის ემბაზში ინათლებიან, თვით მრეწველობის ზრდისა და გაფართოების მიხედვით იზრდებიან და ვითარდებიან და ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ეროვნულ თვითგამორკვევასთან ერთად, ინტერნაციონალური გრძნობებითა და შეგნებით იმსჯელებიან. თვით ის კონტინგენტიც კი (გლეხობა), რომელიც სოფლიდან სამრეწველო ცენტრებში დროებით, სეზონურ სამუშაოზე, მოდის, აქ განიცდის უდიდეს ცვლილებებს: „ქალაქებში გასვლა ამალეებს გლეხის მოქალაქეობრივ პიროვნებას, ანთავისუფლებს რა მას იმ ურიცხვი პატრიარქალური და პირადი ურთიერაობითი დამოკიდებულებისა და წოდებრიობისაგან, რომლებიც ესოდენ ძლიერია სოფლად“<sup>1</sup>.

ამიერკავკასია, საერთოდ აღებული, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების მხოვე მაინცადამაინც დიდად არ ჩამორჩებოდა საერთოდ მეფის რუსეთს; თუმცა ცენტრალური რუსეთის სამრეწველო ოლქებთან შედარებით (რომ არა ვთქვათ რა ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებზე), ცხადია, ამიერკავკასიაში მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობა და სოფლის მეურნეობა განვითარების დაბალ საფეხურზე იდგა. ამიერკავკასია აღნაშნულ პერიოდში ბოლომდე დარჩა აგრარულ ქვეყნად და, ამასთანავე, ეპოქის მიხედვით, ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყნად.

მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიაში კაპიტალისტური მრეწველობა და, მამასადამე, სამრეწველო პროლეტარიატი, რომელსაც მთელი რიგი წლების განმავლობაში რაზმავდა და ხელმძღვანელობდა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გენიალური მესიტყვე და ორგანიზატორი დიდი სტალინი, იმდენად განვითარებული იყო, რომ როგორც მთელ რუსეთში, აგრეთვე, კერძოდ, ამიერკავკასიაშიც პირველ (1905 წლის) ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუ-

<sup>1</sup> Ленин, Сочинения, т. III, 450.



ციაში, „მუშათა კლასი რევოლუციის მოწინავე, ძირითადი ძალა იყო“<sup>1</sup>. და ეს ასე უნდა მომხდარიყო იმიტომ, რომ სამრეწველო პროლეტარიატის „ძალა ისტორიულ მოძრაობაში განუზომლად მეტია, ვინემ მისი წილი მოსახლეობის საერთო მასაში“<sup>2</sup>.

П. Гугушвили

## Развитие фабрично-заводской промышленности в Закавказье

(До первой мировой империалистической войны)

### Резюме

Отсутствие соответствующей статистики весьма осложняет, а подчас делает почти и невозможным, дать обстоятельный обзор и анализ возникновения и развития отдельных отраслей фабрично-заводской промышленности в Закавказье.

Нами сделана первая попытка, на основании изучения архивных первоисточников и опубликованных в свое время правительственными органами и должностными лицами (статистическими комитетами, акцизным управлением, губернаторами и т. п.) отчетов и обзоров дать общее представление о возникновении и развитии некоторых основных моментов капиталистической фабрично-заводской промышленности в Закавказье.

Первые капиталистические предприятия, в основном мануфактурного характера, в Тбилиси появились в первой половине XIX века (напр., механическая мастерская военного ведомства — Кавказского отдельного корпуса, — которая занималась главным образом ремонтом военного снаряжения). В Тбилиси же т. н. государственные или казенные мануфактуры существовали еще в XVIII веке.

Первая частная механическая мастерская с завезенными из Анг-

<sup>1</sup> „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორია“, 1938 თბ. გვ. 112.

<sup>2</sup> Лени и, Сочинения, т. III, стр. 11.

лии инструментами и машинами „самой тщательной отделки“, была открыта в Тбилиси в 1851 году. С конца 50-х годов в Тбилиси и Баку попеременно появляются и исчезают разные механические и чугунолитейные заводы. С этого же времени открываются фабрики, заводы главным образом по первичной обработке волокнистых веществ (шелка, хлопка, шерсти), в области обложенных акцизом производств (нефтяное, табачное, фруктово-виноградно-водочное производство), по обработке животных продуктов (кожевенное производство), в горнозаводской промышленности и т. д., однако, фабрично-заводская промышленность так или иначе развивается главным образом после реформ, особенно после сооружения Закавказских железных дорог (1871—1883 гг.).

Общую картину развития фабрично-заводской промышленности в Закавказье, за исключением казенных (жел. дор. и т. д.) заведений, можно представить следующим образом:

Годы	Количество фабр. и заводов	Продукция в рублях	Количество рабочих
1874	4 389	7.445.000	17.416
1884	4.970	29.489.000	27.930
1891	8.380	39.420.000	37.806
1897	10.915	50.194.000	42.052
1903	12.273	110.590.000	62.886
1910	11.204	156.867.000	87.666
1915	9.205	228.609.000	73.820

По официальной статистике, в число „фабрик и заводов“ вошло большое количество ремесленных и кустарных предприятий, не говоря уже о мануфактурных заведениях. В числе предприятий, которые особенно увеличивают количество „фабрик и заводов“, надо упомянуть водяные и паровые мельницы, которые составляли, приблизительно, 40—50 процентов всего количества „фабрик и заводов“, тогда как на этих мельницах было занято лишь 10—13% всех фабрично-заводских рабочих. Удельный вес продукции и рабочих, занятых на этих мельницах, значительно уменьшится, если отсюда исключить паровые мельницы, которые в действительности являются фабриками.

Таким образом, смешение ремесленных и мануфактурных предприятий с настоящими фабрично-заводскими заведениями (поскольку

выделение первых от последних весьма затруднительно) делает невозможным дать соответствующий анализ по вышеприведенным данным. Однако, некоторые сравнения представляют известный интерес.

Так, например, с 1884 года, — на какое-то время промышленный переворот в главных отраслях капиталистической промышленности, в той или иной мере, уже является совершившимся фактом, — до 1903 года, т. е. за двадцать лет, число фабрик и заводов возрастает почти на 250 процентов; за этот же период стоимость продукции увеличивается на 375 проц., а количество рабочих на 225 проц.

Сравнительно быстрые темпы роста промышленной продукции ясно указывает на дальнейшую механизацию производства. Начиная с 1900 года, в период торгово-промышленного кризиса, и в последующее время наблюдается заметное сокращение числа предприятий, тогда как в объединившихся, а также и на вновь возникших предприятиях растет общая стоимость продукции и количество рабочих. Идет процесс дальнейшей централизации и концентрации, который еще более очевидным становится при сравнении данных 1884 года с данными 1912 года. За эти, приблизительно, три десятилетия число фабрик и заводов возросло только на 204 проц., в то время как количество занятых в этих предприятиях рабочих возросло на 309 проц., а стоимость продукции на 531 проц.

При анализе развития отдельных отраслей фабрично-заводской промышленности мы показали, что в Закавказье, особенно начиная с 90-х годов прошлого столетия, идет довольно быстрыми темпами развитие капиталистической промышленности, рост класса наемных рабочих, что в ведущих отраслях капиталистического предпринимательства (в особенности горной и горнозаводской промышленности) то там то здесь появляются атрибуты, характеризующие высшую стадию капитализма, которые подчас заявляют о себе столь основательно и властно, что вызывают колоссальный резонанс во всей народно-хозяйственной и общественно-политической жизни страны.

С точки зрения размещения промышленности надо отметить городские центры, именно: крупнейший промышленный центр Закавказья (имеющий также и крупное мировое значение) — Баку, где накануне первой мировой империалистической войны было сосредоточено до 60 тысяч промышленного пролетариата; Тбилиси — административный, торгово-промышленный и культурный центр Кавказа, где в это время насчитывалось до 20—25 тысяч промышленных рабочих; Батуми — крупный промышленный центр Закавказья в начале 900-х годов. В общем, города Баку, Тбилиси, Батуми, Гянджа, Кутаиси, Ереван, Гумбри (Ленинакан), Поты, Нуха являлись как тор-

говыми, так и промышленными центрами всего Закавказья или отдельных губерний.

Промышленными центрами другого типа можно считать Чиатура, Аллаверды, Ленкорань, Ткибули, Зангезур, Кедабек и подобные сельского типа поселения, представляющие собой значительные (в частности Чиатура — мирового значения) центры горной и горно-заводской, лесной, рыбной и т. п. промышленности, с числом наемных рабочих от 500 до 10.000 человек.

Наконец, можно выделить также такого типа промышленные села, где развившиеся кустарные промыслы представляют собой непосредственный придаток фабрик и заводов, существующих в крупных промышленных центрах, чаще во внутренних губерниях России. К таким типам надо отнести села, в которых в крупных масштабах был развит шелкомотальный, шелкокрутильный кустарный промысел, который в большинстве случаев уже с 90-х годов превратился в фабричное производство, а также производство ковров, войлочных и других изделий.

Процесс развития фабрично-заводской промышленности в Закавказье, несмотря на отсутствие в достаточном количестве соответствующих кадров, текучести рабочих, отсталости местной капиталистической предприимчивости и т. п., шел довольно быстрыми темпами, благодаря притоку капитала центральной России и главным образом Западной Европы, которые давали на это капиталы, готовые средства и опыт, поскольку препятствия, создаваемые колониальной промышленной политикой царизма, не парализовали этих тенденций. Но колониальная политика царизма не в равной мере препятствовала во всех отраслях народного хозяйства развитию промышленности и соответственно с этим в вышеуказанных отраслях так или иначе развивается фабрично-заводская промышленность, которая (напр., шелкомотальная и шелкокрутильная) нередко представляет собой нечто иное, как придаток фабрик и заводов (напр., шелкоткацких) внутренней России. Капиталистическая индустрия как везде, так и у нас развивалась скачками, периодами расцвета и кризисов (чему сопутствует уничтожение мелких производителей), когда фабрики и заводы привлекают или выбрасывают массы рабочих. Крупная капиталистическая индустрия, осуществляя концентрацию рабочих из разных и отдаленных районов, не может мириться с остатками патриархальной замкнутости и личной зависимости.

В первоначальных стадиях капиталистического развития закавказское население почти не было оторвано от своей общинной, обособленной жизни. С развитием машинного производства и железнодорожного сообщения наблюдается подъем не только тор-

говых связей между отдельными районами, но и в центрах крупной промышленности (как, напр., в Баку, Тбилиси, Батуми, Чиатура) создан большой спрос на рабочую силу. Эти промышленные центры (а также торговое земледелие — табачные, хлопковые и т. п. плантации) привлекают наемных рабочих не только из разных уголков Закавказья, но и из центральных губерний России. А во время кризисов (напр., 1900—1903 гг.) промышленность опять выбрасывала на улицу этих рабочих, которые таким образом перегруппировывались из одного в другой район фабрично-заводского производства. Вследствие всего этого возникают промышленные центры с сосредоточением рабочих как из разных областей Кавказа, так и из городов центральной России.

Таким образом, в процессе дальнейшего развития общественного производства, в условиях капиталистической и полуфеодальной эксплуатации, колониального грабежа и национального гнета, в процессе непримиримой борьбы против капитализма и царизма обрывается и выковывается славный закавказский пролетариат.

ტექნოლოგიური ვ. ბოლქვაძე  
 კორექტორი ი. ანდრონიკიშვილი  
 გადაეცა წარმოებას 20/VIII—40  
 გამომცემ. შეკვ. № 85  
 სტამბის შეკვ. № 481

ტირაჟი 500  
 ანაწყ. ზომა 7×11  
 ქალაქის ზომა 72×105  
 ხელმოწერილია დასაბ. 12/XII—40  
 ჟგ 4742



